

# პ

# რილი

ფასი 2 ლარი

1134  
2014

საზოგადოებრივი  
ლიტერატურული  
ჟურნალიდან

საზოგადოებრივი  
ლიტერატურული  
ჟურნალიდან

საზოგადოებრივი  
ლიტერატურული  
ჟურნალიდან

საზოგადოებრივი  
ლიტერატურული  
ჟურნალიდან

საზოგადოებრივი  
ლიტერატურული  
ჟურნალიდან



2014/აპრილი

# 2 (222)

# ბარი / ლიტერატურა - 100

# სარჩევი

გარი / დიურასი - 100

	1	წინასიტყვაობა
	2	ნანა ლალიაშვილი   მარგერიტ დიურასი რომანტიკული და ეროტიკული
	5	ნენსი იუსტონი   მარგერიტ დიურასი: აბსოლუტის საზღვრები ფრანგულიდან თარგმნა დალი იაშვილმა
	10	მარგერიტ დიურასი   სიკვდილის სენი   ფრანგულიდან თარგმნა გურანდა დათაშვილმა
	12	ნენსი იუსტონი   რომენ გარი: უკანასკნელი სამსჯავროს კითხვარი ფრანგულიდან თარგმნა მანანა ბოსტოლანაშვილმა
	18	მირიამ ანისიმოვი   რომენ გარის მითი ფრანგულიდან თარგმნა მარინა ბალავაძემ
	20	რომენ გარი   ჰუმანისტი ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილიეშვილმა
	23	რომენ გარი   ლამე იქნება მშვიდი ფრანგულიდან თარგმნა მერაბ ფიფიამ
	35	რომენ გარის და მარგერიტ დიურასის ქართული ბიბლიოგრაფია
მეტაპოეტური ნაწერი	36	ბესიკ ხარანაული   თარგმანი ამერიკულიდან
პოეზია	54	ბექა ახალაია   სტიქიების ტეტრალოგია
ესე	61	ლაშა ბულაძე   რომანი რომანის შესახებ
რეპორტაჟი	69	ნიკი თარხან-მოურავი   ქართული წიგნები ინგლისურად
კათედრა	72	კლოდ ლევი-სტროსი   ანთროპოლოგია თანამედროვე სამყაროს პრობლემათა წინაშე
რეცენზია	76	დათო ქარდავა   ალექსანდრე ელისაშვილი
	79	ლაშა მილორავა   ლაშა ბულაძე

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Ariil"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია  
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, თამარ ლებანიძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტყეველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დსასხეპნეპალი სინფინდითა

სულხან-საბა

არილი - მზის შუში, რამიზა ღამბარდი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარლი

ბალხური


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge  
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით





## გარი / დიურასი - 100

ეს გართმული სათაური XX საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ორი გამორჩეული მწერლის ერთდროულ იუბილეს აღნიშნავს. 4 აპრილს მარგერიტ დიურასის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა, 21 მაისს კი რომენ გარის 100 წლისთავია და ჩვენს აპრილის „არილიც“ სწორედ ამ ორი თანატოლის შემოქმედებას გვინდა მიუძღვნათ. მწერლებს, ვინაც თავისი უცხოობით, გაუნონასწორებელი სტილით, მისტიფიკაციებით, ეროტიზმითა და სევდით, სიცოცხლისათვის ბრძოლითა თუ სიკვდილისაკენ ლტოლვის თხრობით დათრგუნვით, წარუშლელი კვალი დაატყვევს ფრანგულ სალიტერატურო ენას და მეტყველებას, კინოს, ყოფას, ფანტაზიას, ყველაფერს, რაც ასეა გაფანტული თანამედროვე სამყაროში, და რის მოგროვებასაც ნელ-ნელა ისევ ვცდილობთ XXI საუკუნის მკითხველები.

P.S. თემატურ ნომერზე მუშაობაში განეული დახმარებისთვის და მონაწილეობისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო - საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტს და მის ხელმძღვანელს, ბატონ ჟილ კარასოს, თამარ ხოსრუაშვილს, ნანა ლალიაშვილს, მერაბ ფიფიას, გურანდა დათაშვილს, მარინა ბალავაძეს, ცისანა ბიბილიეშვილს, დალი იაშვილს, მანანა ბოსტოლანაშვილს.

*მალხაზ ხარბედია*

თემატური ნომერი დაიბეჭდა მერაბ მამარდაშვილის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით.

Ce numéro spécial, publié dans le cadre du Programme d'Aide à la Publication Merab Mamardashvili, a bénéficié du soutien de l'Institut Français de Géorgie.

ნანა ლალიაშვილი

# მარგერიტ დიურასი

## რომანტიკული და ეროტიკული

„ჩემი ცხოვრება არ არსებობს, არარაობა ვარ. ყველაფერი მირაჟია“. ეს მარგერიტ დიურასის სიტყვებია. მწერალი, რომლის შემოქმედებას დღესაც მილიონობით ადამიანი ეთაყვანება მსოფლიოში, თავის თავს არარაობას უწოდებდა. მარგერიტ დიურასის ამ სიტყვების გასაგებად დროშიც და სივრცეშიც შორს ნასვლელად საჭირო. დროში იმიტომ, რომ მისი პიროვნების გასაგებად ინდოჩინეთში გატარებული ბავშვობის წლებია, სივრცეში კი იმიტომ, რომ ფრანგი მწერალი, მარგერიტ დიურასი, შორეული საიკონის ერთ პატარა, მიყრუებულ სოფელში დაიბადა.

მარგერიტის მშობლები, ანრი დონადიე და მარი ლეგრანი, ერთმანეთს ინდოჩინეთში, საფრანგეთის კოჩინჩინში შეხვდნენ, სადაც უკეთესი ცხოვრების საძიებლად ემიგრაციაში წავიდნენ. ისინი პედაგოგები იყვნენ და იმედოვნებდნენ, რომ შორეულ აღმოსავლეთში უფრო მეტ წარმატებას მიაღწევდნენ, ვიდრე საფრანგეთში, თუმცა არ გაუმართლათ.

1910 წელს ორი ქვრივი, ანრი დონადიე და მარი ლეგრანი, დაქორწინდა და კოჩინჩინში დასახლდა. ამ ქორწინებიდან მათ სამი შვილი შეეძინათ: პიერი, პო-

ლი და მარგერიტი. მალე ანრი დონადიე დაინაწიურეს და ჯერ ვიეტნამში, ჰანოიში, მოგვიანებით კი, კამბოჯაში, პნომპენში გადაიყვანეს სკოლის დირექტორად. ანრის თითქოს გული უგრძნობდა, რომ დაინაწიურება მას კარგს არაფერს უქადდა, ამიტომ ამ დაინაწიურის წინააღმდეგ იყო. თუმცა, რა თქმა უნდა, ოლქის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების გაუქმება ვერ შეძლო და კამბოჯაში გაემგზავრა, სადაც იგი მალარით დაავადდა. ანრი იძულებული გახდა სამშობლოში, საფრანგეთში, დაბრუნებულიყო. მალე მას ავადმყოფობა გაურთულდა და 1920 წლის 4 დეკემბერს გარდაიცვალა კიდევ. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კი ანრი დონადიემ აკეიტანის მხარეში, დაბა დიურასთან ახლოს, სახლი იყიდა. სწორედ ამ ფსევდონიმით, დიურასი, გამოაქვეყნა მარგერიტმა თავისი პირველი რომანი „თავზედები“ (სათაური პირობითია).

საფრანგეთში გატარებული ორი წლის შემდეგ მარგერიტის დედა, მარი დონადიე, ისევ ინდოჩინეთში დაბრუნდა და სკოლის მასწავლებლად დაინიშნა მუშაობა. ზუსტად ამ პერიოდთან ახლოს მარგერიტ დიურასს თავისი აქტიური ბავშვობა. საიკონის მტვრიანი





და ვინრო შუკები, კოლონიური ადმინისტრაციის ემ-საპური ხრიკები, ქალური ენებები, უკიდურესი გა-ჭირვება, წყნარი ოკეანის მრავალ მიქცევა-მოქცე-ვებთან დაუსრულებელი ბრძოლა გადარჩენისთვის, ხიწილი ბავშვების უზრუნველობა, ადგილობრივი მა-ლაჩონისების აღვირახსნილი სასიყვარულო ისტო-რიები, ნიკოტინის სუნით გაჟღერებული იფფფფფფიანი კაფეების აურზაური, შეზარხოშებული მამაკაცების გიჟური, თავდავინებებამდე მისული ხეუნა-მულდარი ერთი ლამის ნეტარების მოლოდინში, დახურული სახ-ების სკანდალური თავგადასავლები, მოტყუებული მოზარდების დაუსრულებელი მოლოდინი, სასმელის-გან გონდაკარგული ქალბატონები, ზღვასა და ოკეა-ნებში წლიტით უაზროდ მოხეტიალე ადამიანები, სა-კუთარ ოჯახში განცდილი მარტოობის სევდა, ადგი-ლობრივი მოსახლეობის არაერთგვაროვანი, ეჭვიანი დამოკიდებულება ფრანგების მიმართ, სააშკარაზე გამოტანილი შიმველი ვენება და თავმოწმონე ყმანიე-ლების თავმუშუკავებელი ქათინაურები, ვაცვეთილი, არარობად ქცეული ყოფა, გარდატეხის ასაკის გო-გონების რუმი, ცრემლნარევი სიყვარული, ფულის და დიდების გამო გაყიდული ახალგაზრდა სხეულები და სიყვარული, და კიდევ ერთხელ სიყვარული მიუღი თავისი სილამაზით, დარდით, შიშით, შფოთით, ბედ-ნიერებით და სექსის შემდგომი კაჟმანარევი ტკიო-ბით: ესაა მარგერიტ დიორასის შემოქმედება და ამავე-დროულად მისი სულის ნაწილიც, იმიტომ, რომ ბევრი მისი გმირის პროტოტიპი თვითონაა. მარგერიტმა სა-კუთარ თავზე გამოსცადა ის, რაც ბევრმა მისმა პერ-სონაჟმა გადაიტანა. ამგვარად, ქალბატონი დიორასი ვერ უკიდურესად შეყვარებული ადამიანების სიყვარ-ულის ჟამთაღმწერელი გახდა, ისეთი სიყვარულის, რომელიც მან თავის რომანებში „ლოლ სტივისს გა-ტაცება“ და „ვიცე-კონსანი“ აღწერა, შემდგომ კი საყვაროს უკიდურესი აღმოსავლეთის მწერალი. მან თავად იცხოვრა იმ სისხლსავე ცხოვრებით, რომლ-საც თავის წიგნებში აღწერა. მისი ბევრი რომანი ავ-ტობიოგრაფიულია. მარგარიტი არ მოიერა იმ ტა-ბულდებულ თემებზე წერას, რასაც ხშირად კოლო-ნიური საზოგადოება არ იღებდა. მისი რომანების „საყ-ვარული ჩრდილოეთ ჩინეთიდან“ და „საყვარელი“ მთა-ვარი მოქმედი გმირის პროტოტიპი თვითონაა. მარგა-რისის პატარა გოგონა, რომელსაც მდიდარი ჩინე-ლი საყვარელი ჰყავდა და რომელიც, ვერ გაეგო, უყ-ვარდა თუ სიძულდა. თუმცადა სანამ წერას დაიწყებ-და, იყო ბავშვობა, ყმანიელქალების უმხი და მოტყუე-ბული დედა, რომელიც წლების მანძილზე ებრძოდა „ქარის ნისქვილს“ - წყნარ ოკეანეს.

ქრის ვარდაცვალების შემდეგ ინდოჩინეთში დაბ-რუნებული ქალბატონი დონადარ მწარე რეალობის წი-ნაზე აღმოჩნდა: მას მარტოობაშიც უნდა აღეზარდა სამი შვილი იმ პირობებში, როცა ხშირად საკმარისი საკვებიც კი არ ჰქონდა. ამიტომაც იოლად დასათანბ-და ოლქის ადმინისტრაციის თითქმის ყოველი შე-მთავაზებას, შეეძინა სიახის ყურეში მდებარე მინა. მარგერიტის საბრალი დედა არც კი დაეჭვებულა, რომ მას ატყუებდნენ და რომ ადგილობრივმა მაღალ-ჩინოსნებმა შესანიშნავად იცოდნენ, იმ ადგილის მი-ნის დამუშავება შეუძლებელი იყო. მარის კი იმედი ჰქონდა, რომ იქ მონეული მოსავლის გაყიდვით მიღე-

ბული შემოსავლით გამდიდრდებოდა, მაგრამ ამაოდ. მინა მწირი იყო, წყნარი ოკეანე კი ყოველ ზაფხულს წყლით ფარავდა ნათესებს და ნაკვეთები გამოუსადე-გარი ხდებოდა. ლვარცოფვით მოვარდნილი წილდა-გარი ერთ ღამეში ანგრევდა რამდენიმე თვის მანძილზე რუდუნებით ნაშუბლე კაშხალს. მარგერიტის დედა მთე-ლი ოცი წელი ჯოტუბად ცდილობდა ოკეანის სანაპირო ჯებირების გაკეთებას, ოცი გრძელი წელიწადი უშე-დეგოდ შეალია ოკეანესთან ბრძოლას, რასაც მთელი მისი ცხოვრების დანაზოვი შეუწირა. მარის არსებულ-თან შეგუება უჭირდა, ის გამოუსწორებელი მოცნე-ბე, დაულაღვი ოპტიმისტი და ენერჯითი ალსავე ქა-ლი იყო, რომელსაც არ უნდოდა შვილებთან მოტყუე-ბულის სახელი დარქმეოდა და თავს იმით ინეუტემბ-და, რომ ცხოვრება ბრძოლაა. საკუთარი შვილების-გან კი აბსოლუტურ მორჩილებას მოითხოვდა. ის თბი-ლი, ძლიერი და ამავდროულად სასტიკი ადამიანი იყო, რომელიც ხშირად შეიხურდა უსწორებლობა შე-ილებს. სწორედ ასეთად დაამახსოვრდა მარგერიტს დედამისი, ეს ტკივილიანი შრომა-ბრძოლის ამბავი აღ-წერა მან თავის რომანში „კაშხალი წყნარი ოკეანის წინააღმდეგ“. მარგერიტს მთელი ცხოვრება სტანჯვ-და ინდოჩინეთში გატარებული მწარე ბავშვობის მო-გონებები. ოკეანესთან ბრძოლა რეალურ ადამიანებ-თან ნაგებული ბრძოლის ტოლფასი გახდა და მთელ ოჯახს ტვირთად დაანვა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ის საფ-რანგეთში გაემგზავრა საუნივერსიტეტო განათლე-ბის მისაღებად. ოურიდიული ფაკულტეტის დამთავ-რების შემდეგ კი მარგერიტს ისევ ინდოჩინეთში დაბ-რუნდა, თუმცა მოკლე ხნით. ერთი წლის შემდეგ, 1933 წელს, მან საბოლოოდ დატოვა ინდოჩინეთი და საცხოვ-რებლად პარიზში დარჩა. ამ დროიდან მოყოლებული მან პარიზში ცხოვრებას გემო გაუკო და ფხი აუწყო. მარგერიტი ეგრეთ წოდებული აზიური ციკლის გა-მანებთან ერთად პარიზული, ევროპული ცხოვრების ამსახველი რომანების ავტორიცაა, როგორებიცაა „სკვერი“, „ზაფხულის საღამოს ათის ნახევარი“, „ტარ-კინისის პატარა სენები“.

1936 წელს მარგერიტმა ბაკალავრის დიპლომი მი-იღო. ამავე წელს იგი რობერ ანტელმს შეხვდა, რო-მელმანაც მწლის შემდეგ იქორწინა. მარგერიტს ცხოვ-რებამ კიდევ ერთი განსაცდელი არგუნა ბედად. მას მკვდარი ბავში შეეძინა. ამ ამბავმა დიდი ზეგავლენა მოახდინა მის ცხოვრებაზე. შვილის დაკარგვით გა-მონეული დარდი მარგერიტს დიდხანს დასტანჯავს.

1942 წელს მარგერიტი და რობერი პარიზის პრეს-ტიფულ უბანში, სერ-ფერმენ-დე-პრეზე დასახლდნენ. ამ პერიოდში მარგერიტი და რობერ ანტელმი წინააღ-მდეგობის მოძრაობის წევრები გახდნენ. 1944 წელს მარგერიტის ქმარი დააპატიმრეს. რობერ ანტელმი ომის შემდეგ, უკვე მძიმე ავადმყოფი გაათავისუფ-ელს. ამ ტკივილიანი მოლოდინის შედეგი იყო რომანი „სკივილი“, სადაც მარგერიტმა იმეათი ოსტატობით აღწერა ლოდინით გამოწვეული დარდი. 1947 წელს მარგერიტი მუდღეს დამორდა და მალე დიონისე მას-კოლოზე იქორწინა. ამ ქორწინებიდან მას ვაჟი, ფანი, შეეძინა.

1957 წელს მარგერიტი დიონისესაც დაშორდა. ამა-ვე წელს იგი სცენარისტს და ჟურნალისტს, ჟერარ

ფარლოს დაუახლოვდა. მათი თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა არაერთი კინოსცენარი და თეატრალური ადაპტაცია. მარგერიტი აქტიურად მუშაობდა როგორც კინოსთვის, ასევე თეატრისთვისაც. 1958 წელს მარგერიტმა ალენ რენესთან ერთად დაწერა სცენარი ფილმისთვის „ჰიროსიმა, ჩემი სიყვარული“. ამ ფილმმა მარგერიტს უდიდესი აღიარება მოუტანა კინოს სამყაროში.

1980 წელს მარგერიტი იან ანდრეა სტეინერს შეხვდა, რომელთანაც იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. ბედისწერამ მარგერიტს არაერთი სირთულე გადაატანინა. ომისშემდგომი მოლოდინის დარდით გამონეული გაუსაძლისი ტკივილი, სიკვდილის აჩრდილის შიში, რაზეც მარგერიტი „სიკვდილის სენში“ მოუთხრობს თავის მკითხველს. მარგერიტი ცხრა თვის განმავლობაში იყო სანოლს მიჯაჭვული. ხუთთვიანი კომატოზური მდგომარეობის შემდეგ მან ახალი ცხოვრება დაიწყო და მის ცნობიერებაში ბევრი რამის გადაფასება მოხდა. ეს არც ისე მარტივი აღმოჩნდა.

მრავალი წლის შემდეგაც კი, ინდოჩინეთიდან შორს მყოფი მარგერიტი ხშირად ამბობდა: „მე ისევ იქ ვარ, იმ ოჯახში, საკუთარ თავში მყარად დარწმუნებული. იმდენად მყარად, რომ ვიკოდი, მოგვიანებით წერას დავიწყებდი“. ეს ტკბილ-მწარე მოგონებები ასაზრდოებდა მწერლის მთელ შემოქმედებას. ხან მკაცრი დედისგან მიღებული იმედგაცრუება და ცემა ხდებოდა მისი ნაწერების შთამავლებელი, ხან უფროსი ძმის სისასტიკე. ის, რაც მან ასე კარგად და ტრადიციული რომანისთვის დამახასიათებელი თხრობით გადმოსცა ნაწარმოებში „კაშხალი წყნარი ოკეანის წინააღმდეგ“, შემდგომ ნაწერებში სულ სხვა ფორმას იძენს და ფრაზებს მიღმა კითხვას აიძულებს მკითხველს.

პირველი შთაბეჭდილება, რაც დიურასის კითხვისას გვიჩნდება, ისაა რომ რაღაც გამოგვჩა, რაღაც

ვერწავიკითხეთ და რამდენიმე ფურცლით უკან ვბრუნდებით გამოტოვებული ადგილის მოსაძებნად. მისი სტილი დახვეწილია, თხრობის მანერა ამაღლებული, ერთდროულად ლაკონურიც და მჭკვერმეტყველიც, ფრაზებს მიღმა სათქმელი კი საგრძნობი და მეტყველია. მისი დუმილი ისევე ჰყვება ამბავს, როგორც გრძნობათა ჭიდილისა და დაუსრულებელი განცდების ამაღლებული ისტორიები. ყველა წინააღმდეგობა იგრძნობა მუსიკა. მარგერიტმა თითქოს საბურველი გადახადა თავის ფრაზას, მეძაიე ქალივით გააშვილა ის და სათქმელი მოურიდებლად უთხრა მკითხველს; ვიდრე წინადადების ბოლოს წერტილს დასვა, ყველა დეტალი წვრილმანამდე დაიყვანა და ხშირ შემთხვევაში ფრაზები დაანანერვა კიდევ სწორედ ეს ქმნის მის განუმეორებელ, დიურასის სტილს. ძელი სათქმელია, რა აღეწევს ასე მკითხველს, წინადადების ლამაზი უღერადობა თუ სულისშემძვრელი ამბავი. ალბათ, ორივე ერთად, რადგან მისი პირველი რომანის გამოქვეყნებისთანავე მარგერიტს არნახული წარმატება ხვდა წილად. როდესაც საფრანგეთში რომანი „საყვარელი“ გამოიცა, ქუჩაში სრულიად უცხო ადამიანები გაკვირვებულები და აღფრთოვანებულები უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. მარგერიტი, იმ დროისათვის უკვე ცნობილი მწერალი, გონკურის პრესტიჟული პრემიის ლაურეატი გახდა. ყოველი მისი ახალი რომანი ახალ ვენტაილელვას იწვევდა. არც მაშინ და არც შემდგომ წლებში ქალბატონ დიურასს წარმატება და პოპულარობა არ მოჰკლებია.


2014 წელს ქალბატონ დიურასს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. ის გარდაიცვალა 1996 წლის 3 მარტს პარიზში, სენ-ჟერმენზე მდებარე თავის ბინაში. მარგერიტ დიურასი დაკრძალულია პარიზში, მონპარნასის სასაფლაოზე.



ნენსი იუსტონი

# მარგერიტ დიურასი: აბსოლუტის საზღვრები

ფრანგულიდან თარგმნა დალი იაშვილიმა



ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე მარგერიტ დიურასის ხმამ ღრმა კვალი დაატოვა როგორც ფრანგულ, ისე მსოფლიო ლიტერატურას. ხმა არ კეკლუცობს, არაფერს თმობს და ისეთ რეზონანსს გამოსცემს, როგორც მღვდლის ფეხის ხმა ცარიელი ეკლესიის ან აკლდამის ქვის იატაკზე, ხმა ელვისებრი და დიდებული, რომელიც ნაკვალევს ტოვებს. ხმა, რომელიც თქვენგან დაჟინებით მოითხოვს თვალის მოხუჭვისთანავე გონების ნებაზე მიშვებას; ხმა, რომელიც გაჯადოებთ თავისი უცნაური სინტაქსით, საკუთარ დაკრულზე აგიყოლებთ და ზღვა-სავით დაგარწვთ თავისი რიტმით...

ლიტერატურა, რომელიც ამ ხმამ შექმნა, მრავალი თვალსაზრისით რელიგიური ლიტერატურაა, იგი ეხება სექსუალობისა და სიკვდილის საიდუმლოებებს, აღწერს და გვაზიარებს აბსოლუტს (ყველაფერს, არაფერს, პარაქსიზმულ ტანჯვასა და სიამოვნებას), გვერდით მოიტოვებს ყველაფერს, რაც ადამიანურია (საზოგადოებას, მრავალფეროვნებას, მონყენილობასა და სევდას).

ქვაზე ამოკვეთილი ღვთიური სიტყვებივით გვაქვს გონებაში ჩაბეჭდილი დიურასის კატეგორიული და იდუმალი ფრაზები:

დაინგრეს, ამბობს ის!  
ამაღლებული, სწორედ რომ ამაღლებული<sup>2</sup>  
ჭირსაც ნაუღია მთელი სამყარო, ესაა ერთადერთი პოლიტიკა<sup>3</sup>  
დედაჩემი ნაწერად იქცა<sup>4</sup>

1. მარგერიტ დიურასის ერთ-ერთი ნაწარმოების სათაური - *Détraire, dit-elle*. (აქ და შემდგომ შენიშვნები მთარგმნელისაა).
2. მარგერიტ დიურასის სტატია, რომელიც მან 1985 წელს გაზეთ „ლიბერასიონში“ გამოაქვეყნა (*Sublime, forcément sublime Christine V.*) სტატია ეხებოდა კრისტინ ვიემენის 4 წლის ვაჟის მკვლელობას, რომლის გამოძიება არ დასრულებულია. სხვადასხვა დროს მკვლელობა სხვადასხვა ადამიანს დაბრალდა, მათ შორის დედასაც. დიურასი სტატიაში კრისტინ ვიემენს ექომბავებოდა და ამ პუბლიკაციამ დიდი პოლემიკა გამოიწვია.
3. მარგერიტ დიურასის ცნობილი ფრაზა, რომელიც მან უთხრა დომინიკ ნოვგუს ინტერვიუს დროს. ინტერვიუ ეხებოდა მარგერიტ დიურასის ფილმს „სატვირთო მანქანა“.
4. ფრაზა დედის შესახებ დიურასის რომანიდან „საყვარელი“: „მორჩა, აღარ მახსოვს. ამიტომაც ვწერ მასზე ახლა ასე იოლად, ასე შორიდან... იგი ნაწერად იქცა“.

სრულ ქუაზე მყოფ გიჟად ვიქეცი<sup>5</sup>  
გბობებთ იმას, ვინც ანამებს, სხვა დანარჩენ-  
თან ერთად<sup>6</sup>  
ისწავლეთ კითხვა, ეს წმინდა ტექსტებია<sup>7</sup>

მისი პერსონაჟებიც გვახსოვს. ისინი ბიბლიური პერსონაჟებივით არსებობენ. რაც მათ ქმნეს და ჩაი-  
დინეს, ქმნილი და ჩადენილია. აღარაფერი შეიცვლე-  
ბა. (დიორასი ამბობს: თუ აღმოვაჩენ, რომ სინამდვი-  
ლში ჩემი პერსონაჟი სხვაზე შეყვარებული, მე და-  
სანყისს კი არ ვცვლი, ბოლოში ამბავს ვამატებო.). მი-  
სი ხელნაწერები გასწორებას, გადაკეთებას, გადანყობ-  
გადმოწყობას, რაიმეში ეჭვის შეტანას აღარ ექვემდებ-  
არება. როდესაც ხელახლა ამუშავებს ტექსტს, თით-  
ქმის არასდროს ცვლის ფრაზებს. ზოგჯერ, მხოლოდ  
ფრაზათა რიგს თუ გადაადგილებს. მახარებლებსაც,  
ერთხელ რომ ჩაიწერეს ნაკარნახევი, მერე ხომ აღარ  
შეუღუბებიათ ღმერთი რაღაც წვრილმანი გადამონ-  
მებებისთვის. ნაწერი წმინდათაწმინდაა.

როგორც ბიბლია ან როგორც ბერძნული მითო-  
ლოგია, დიორასის შემოქმედებაც მოითხოვს უსასრუ-  
ლო ეგზეგეზას, კონსტრუქციულ ინტერპრეტაციებს  
(მომის გენია ხანგრძლივი დებატები მის პერსონაჟთა  
შესახებ ვარშავაში, დუბროვნიკში.... დღესდღეობით  
ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე იმდენად მო-  
დური გახდა მარგერიტ დიორასი, რომ ფრანგული ლი-  
ტერატურის ზოგიერთი პედაგოგი უარსაც კი ამბობს  
დიორასისადმი მიძღვნილ სადიურტაციო თემაზე.)

რა უნდა ქნა, როდესაც ქალი ხარ და იხეჭქ ასეთ,  
პირდაპირ ვთქვათ, ღვთიურ ავტორიტეტს<sup>8</sup>

დაბადებისას მას მარგერიტ დონადიე<sup>9</sup> ერქვა. მა-  
მის გვარს ატარებდა. ის კი ნაკლებად ცნობილია, რომ  
სწორედ ამ გვარით გამოაქვეყნა პირველი ნივინი -  
ჭკვიანური, უნივერსიტეტული, რუკებით, ციფრებით-  
და ნახაზებით საცემ - საფრანგიის იმპერიაზე,  
ფრანგული კოლონიების მდგომარეობაზე მსოფლიო-  
ში. შემდეგ უარი თქვა ამგვარად წერაზე. დებიუტი  
არასდროს იყო, რადგან ის მომავალში დიორასი იქნე-  
ბა და მიწებზე, ვენახებზე, მამისეულ ავადგულ და-  
ინყებს წერას.

და ის, ალბათ, იქნება მტკიცე, და ჟამთაველისად-  
მი მიეგებ.

დიდხანს იცოცხლებს ეს ქვაზე ამოსაკვეთი გვარი  
(დიორასი აკვიტებული მანერით იგონებს ქვისა თუ  
ლითონის ფლერადობის სახელებს: ლოლ ვ. სტეინი,  
სტეინი, ორელი სტეინერი, იან ანდრეა სტეინერი...  
გობრალტარის მეზღვაური, მაქს თორი.)

რატომ უნდა მოგინდეს კლდეში კვეთო სახე-  
ლები?

ბავშვობა ინდოჩინეთში: შიმშილი, შიში; მამა,  
რომელიც კვდება; დედა, რომელიც გიჟდება; და  
სხვები გარშემო, სხვები დაუნდობელნი, ყოველთ-  
ვის, საშინი, რომლებიც გიყურებენ და რომელთაც

5. ფრაზა დიორასის რომანიდან „საყვარელი“.  
6. ფრაზა დიორასის ნაწარმოებიდან „ტკივილი“.  
7. ფრაზა დიორასის ნაწარმოებიდან „ტკივილი“.  
8. გვარი Donnadieu შეიძლება ითარგმნოს როგორც  
ღმერთის საწუკარი, ავტორი ხაზს უსვამს სიტყვათა-  
ბაშს.

ვერ უგებ; ყველა ეს უტყვი სხეული, საერთო ენის  
გარეშე; და ახლოვ ზღვა, სულ ზღვა, სულ მისი ხმა-  
ური, სულ აშლის, სანოლთან, სადაც ყველაფერი  
ხდება - დანაშაული, სიყვარული, გაუპატიურება,  
ძალადობა...

ომი ოკუპირებულ პარიზში: ტკივილი, გლოვა, სა-  
შინებობა, საზიზღრობა, კვლავ შიმშილი, საკუთარ  
ხელში გამოზრდილი უმცროსი ძმის სიკვდილი, პირ-  
ველი შვილი - მშობიარობისთანავე გარდაცვლილი,  
„ზიზღი ამგვარი სიყვარულის“, წინააღმდეგობა, მძულ-  
ვარება, ნამებაამისჯილობა; დაჭერილი, გადასახლე-  
ბული, დამშუული, „საკონცენტრაციო ბანაკში არ მომ-  
კვდარ“ და უკანადაბრუნებული ქმარი, ატომური ბომ-  
ბი, ბირთვული სიყვარულის ღმერთი, „ჰორიონისა ჩემი  
სიყვარული“, და შემდეგ შიში, კვლავ შიში, სიგავის  
შიში, უარესზე უარესის შიში, ალკოჰოლი, კომა, ბოდ-  
ვა, წერა, შიში.

არა, ქვეს კი არ ვესერი.  
ყველანი იმას ვაკეთებთ, რისი ვაკეთებაც ხელ-  
ეწინფება. დიორასმა კი უზომოდ ბევრის ვაკეთებაც  
შეძლო.

ყველა მწერალი ცრუობს, როცა სათქმელს არ-  
ჩეგვს და საწყაროს შიგნით თავის საწყაროს ქმნის. ამ-  
ხვრევს. იშორებს, აგდებს იმას, რაც გამოუყენებლად,  
ნარმაველად, მორუზარისხოვნად, უმნიშვნელოდ მი-  
აჩნია. როგორც საჭრეთლით შეიარაღებული მოქან-  
დაკე, ჭრის, ანაწევრებს, გამოკვეთს თავისი წმინდი სი-  
რუის კონტურებს საწყაროს უსაზღვრო სიცრუეში.  
რეალისტურ რომანს აღარაფერი აქვს საერთო რეა-  
ლობასთან, ისევე როგორც ახალ რომანს ან აბსურ-  
დის თეატრს. მაგრამ საინტერესოა ამ დანახვერვა-  
გამორჩევის პროცესის ცქერა: რაც მწერალმა გადა-  
ავდო, ის სისტემატურად გარიყული რჩება მისი შე-  
მოქმედებით.

დიორასისეული არჩევანი კი გამოირცხვას სი-  
ცოცხლეს. საინტერესო იღეთით ახერხებს ამას. რო-  
გორც ღმერთს, მას უყვარს კეთილგანწყობილი ყუ-  
რადლება დაუთმოს ადამიანურ წვრილმანებს, ბანა-  
ლურ სიტუაციებს. მაგრამ სულ ამაოდ ადლებს სიტყ-  
ვას ფეხბურთელებს, შინამოსამსახურე ქალებს, მეზღ-  
ვაურებს, გაუნათლებლებს, ბავშვებს: ყველანი, აზ-  
რის გამოსახატავად, მის ენას ირგებენ, ენას ამალო-  
ბულს (sublime) და გაკეთილმოიბილებულს (sublimé),  
უბრალო „დახა“-ის თქმის მათი მანერაც კი უკიდუ-  
რესობამდე დიორასისეულია.

უფრო ნებისმიერ ვაგონში, დილის ცხრა საათ-  
ზე, მტკიური შეტივ განსხვავებული ადამიანია, ვიდრე დი-  
ორასის შემოქმედებამ.

სიღარიბე, უშოვრობა და უფრო ზოგადედ მთელი  
„სოციალური“ სფერო, დანყვეული კამოჯელი ბავშ-  
ვების შიმშილით რომანში „კონსუმის მოადგილე“ და  
კეთრით დამთავრებული „ინდია სონგში“, კრისტინ  
ვიემენის აბუედიდად ორდინარული სახლი - ყოველი-  
ვე ეს გარდაკმენება და განდიდებაც მისი შემოქმედე-  
ბაში. კარმელიტი, კრიმინალი, მემბაივი დევილი ებრა-  
ელები და არაბები; მკვლეელი ქალი, შვილის მკვლეელი,  
გარყენილი... ყველა ჯალათი და მსხვერპლი, რეალურ  
ით წარმოსახვითი, რომელთაც ის მხეხდებოდა, ზოგ-  
ჯერ გასაუბრებოა კიდევ, პერსონაჟებად ქცეულნი.  
ისინი მწერლის ახლობლები არიან, რადგან მარგინა-



ლები, საზოგადოებიდან განდევნილები, სიკეთისა თუ ბოროტების მიღმა მყოფნი გახლავან.

მის წინგებში ბევრს არ იცინიან. ღმერთის არ იყოს, ომორი, ფანტაზია, ნაირფერონება მასაც აკლია (აი, კიდევ ერთი მსგავსება). სათქმელი მიძიმა, მნიშვნელოვანია, თავს ძალა უნდა დაატანოს ამოსაქმელად. ამიერიდან გვიჭირს და გვიკვირს გაგება, როდესაც ის გულანად გვაკინებთ იან ანდრესთან საუბრისას.

დილოგებზე, ასე მნიშვნელოვანი ადგილი რომ უკავია მის რომანებში (ალარას ვამბობ პიესებზე), - მიღობადი დიალოგიაო, ვერც იტყვი. ურთიერთჩანაცვლებადი კითხვა-პასუხება, სხვა არაფერი. მათ შორის არაა მამადილი, სანტიტერესო, გამოსაკვლევი, რაიმეს მთქმელი განსხვავება, რადგან ისინი სრულყოფილია.

დიურას მართლა რაც ხიბლავს, ვარსკვლავთმორის სივრცის მარტობაა - წყვილის, ქალის, მამაკაცის, მრავალთა და მრავალთა. მის შემოქმედებაში განუწყვეტელი მეროდება ძალისხმევა განთავისუფლებისთვის. „როგორც კი მოვიზნობთ, ჩვენ რაღაც ხეხებთ, უკვე მამადი ვართ. ვის? რის? იმის, რისაც არა ვიცი რა: და იმ ფაქტით, რომ ვიღაცას ვემსგავსებებით, ჩვენ ვტოვებთ უდაბნოს, საზოგადოებას [...]. მის პირველი სიტყვა, პირველი ყვირილი არ იცი როგორ ამოთქვა. მამ, სჯობს ისევე დემურის მოუხმეო. შეუძლებელია. მაგრამ ეს ხდება.“ („გემი ნაით.“)

საზოგადოება „უდაბნოა“. მამ, მას სცილდები. მიღობარ წყაროსთან წყლის დასალევადა. მთავარს ინარჩუნებ. მთავარი დიურასი ყოველთვის უარესია. ყველაზე უფრო განძარცული, ყველაზე უფრო ახლო მდგომი სხეულთან, ჩონჩხთან, სიკვდილთან. პირადი გამოცდილება საზღვრებს გინესებს.

„პირველი დღეებიდანვე [საკონცენტრაციო ბანაკში], წერს რობერ ანტელმო „ადამიანურ სახეობაში“, შეუძლებლად გვეჩვენებოდა იმ დისტანციის გადახვევა, რომელიც აღმოვაჩინეთ სალაპარაკო ენას, რომელებს ვფლობდით, და იმ ჩვეულებებს შორის, უზრავლესათვის, რომელსაც ჯერ კიდევ მიჰყვებოდნენ ჩვენი სხეული.“ იდეა „ენის მიღმა“ არსებულის, ერთი გამოუთქმელისა ცენტრალური იდეა დიურასის მთელ შემოქმედებაშია. საქმე ერთი უთქმელის თქმას, ფრაზებს მიღმა საკითხავს ეტება: სიჩუმე, შეძახილება, ბრაზი, სიგიჟე, შიმშილი. დეპრესია. არაკომუნიკაცია, არა-შეხვედრა.

დიურასი უარესს იჩრჩევს და ამ უარესისაგან სრულყოფილებას ქმნის.

ამგვარად, ყველაფერი, რაც ადამიანებს ერთმანეთისგან ამორებდა (ენის, კულტურის, სოციალური გარემოს სხვადასხვაობა), რაც შიშისა და ხიფათის წყარო იყო მწერლის ბავშვობაში, ისევე როგორც საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც მისი ქმარი იმყოფებოდა, მის მხატვრულ ნაწარმოებებში „სიყვარულად“ გარდაიქმნა. არ არსებობს არავითარი სოციალური სივრცე. დიურასი ხედავს, აკვირდება: პოლიტიკურ ძალადობას. წერს და იგონებს: სექსუალურ ძალადობას. მარგერიტ დიურასი შორს იყო სამოციანი წლების ფემინისტური იდეებისგან, რომლის სლოგანიც იყო „პირადი პოლიტიკაა“. ფიქრისა და განსჯის შედეგად იგი დარწმუნდა, რომ „პოლიტიკა პირადულია“.

არიადენტურობა ფანტაზმის წესია, ხშირად ტოპოგრაფიული ფანტაზმისა. სხვად გარდაიქმნა, ამოირჩიო, დაირქვა დიურასი. მამის ქალაქის სახელი? გიყვარდეს სხვა, ნიშნავს გიყვარდეს მისი ვენეციური სახელი. უდაბნო კალკუტა<sup>9</sup>. ლაორი. ბატამ-ზანიე. შენ, შენ პირისმანა ბეჭია, მე კი - ნევერი. შენ მკლავ, ანუ შენ მე სიკეთეს მიკეთებ.

რაც უფრო უცხო ხარ ჩემთვის, მით მეტად მიყვარხარ. „პიროსიმა ჩემი სიყვარულის“ შესავალში მწერალი წერს: „გეოლოგიულად, ფილოსოფიურად, ისტორიულად, ეკონომიკურად, რასობრივად, და ა.შ. ყველაზე მეტად დამორებული ორი ადამიანისთვის, „პიროსიმა“ იქნება საერთო ადგილი (შესაძლოა, ერთადერთიც კი მსოფლიოში), სადაც ეროვნობის, სიყვარულის და უბედურების უნივერსალური მონაცემები უფლებბლ შუქში გამოჩნდებიან“.

მაინც რა არის ეს „უნივერსალური მონაცემები“? უორუ ბაჭის ახლო და მიშელ ლეირისის ცოტა უფრო შორეული ნაცნობობის გამო, დიურასი, რა თქმა უნდა, იცნობდა ამ მწერალთათვის ძვირფას თეორიებს ლიტერატურისა და ეროტიზმის შესახებ. ლიტერატურა, როგორც ხარების ბრძოლა და ეროტიზმი, როგორც რელიგიური შენანირი. რადგან სიციარიელ აღარ ირხევა უხილავი და მარადიული სულნიშნის ხმაზე, სხვა რამით უნდა შეარზიო, და ეს „სხვა რამ“ სხეულია, ბუნებრივად „რამ“, ქალის სხეული, ნაყოფის მომცემი, სიცოცხლისა და სიკვდილის მატარებელი, ნივთი, შეუძალადი.

დიურასი ეგზალტირებული სიტყვებით მოიხსენიებს ბაჭის პერსონაჟ ქალებს: „ედვარდა და დიტრი ღმერთები პირიან, ამას გვეუბნება ბაჭია“, წერს ის ჟურნალში „La Ciguë“ 1958 წელს. რით არიან ღმერთები? „ედვარდა და დიტრი იმ აზრს შეუწყყრი, რომ აღარაფერი ვარანიათ, უქონლნი არიან. თუ დიტრის უყვარს მაინც და ერთი არსება მთელ ქვეყანას ურჩევნია, ედვარდას უკვე აღარაფერი და აღარაფერი უყვარს. ყველაფრამ ის სულით ხორციამდე შეიპყრო.“ (მაშასობი მედიალური სექსითაა მოცული, თავად გონებაც, ამბობდა ჟან პოლანი „ო-ს ისტორიის“ შესავალში). ან კიდევ ეს თვალწარმტაცი პიპერბოლა: „საუკუნეების მანძილზე, ედვარდა საკმოდ გაუყვებარო დიტრებსა და სწორედ ამის გამო მის შესახებ მთელი თეოლოგია შეიქმნება.“

აი, როგორ შეუძლია ქალს, დიურასის მიხედვით, მიუახლოვდეს ღვთაებრივ მდგომარეობას, გახდეს გრანდიოზული, უქონლევადი, ღმერთითი გამოცხადებული ან „უქონლობის შეპყრობილობით“ და ამის გამო გონება, სიტყვა, ჭკუა, ინტელექტი ნაკლები აქვთ. „ჩემი წინგების ყველა ქალი, წერს ის ნაწარმოებში „მატერიალური ცხოვრება“, რა ასაკიც არ უნდა იყვნენ, წარმოიშვენენ ლოლ ვ. სტიენისგან. ანუ სა-

9. დიურასი - პატარა ქალაქი ლოტ-ე-გარონის დეპარტამენტი, სადაც მარგერიტ დიურასის მამამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სახლი იყიდა. სწორედ ეს სახელი აირჩია მწერალმა ფსევდონიმად.

10. 1976 წელს მარგერიტ დიურასმა გააძლიერა ფილმი სახელწოდებით „მისი ვენეციური სახელი უდაბნო კალკუტაში“.

კუთარი თავის მივიწყებისგან. ყველას ღია ფერის თვალები აქვს. ყველა უფუნური და წინდაუხედავია. ყველა თავს თვებედურებს. ძალზე დარწმუნებულნი არიან, ემხიანთ ქუჩების, მოედნების, არ ელიან ბედნიერების კარზე მოუკაქუნებას. ფილმებისა და წიგნების ამ პროცესშივე ყველა ქალი ერთმანეთს ჰკავს..." ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი არის და არც არის თავად მარგერიტ დიურასი, რომლის ხასიათსაც თითქოს ყველა ეს ნიშანი გააჩნია (განსაკუთრებით ავორაფობიის), მაგრამ ამასთან იგი ერთი უნიკალური თვისების მატარებელიცაა, რომელიც არაფრად აქცევს ან გადასწონის ყველა დანარჩენს, და რომელიც არასდროს ჰქონიათ მის გმირებს: ესაა წერის უნარი. დიურასი წარმატებით აერთებს თავს საკმარის საქმეს, ორი როლი ჰქონდაც იმ რელიგიური რიტუალის ტოლფას თამაშში, რასაც მისთვის ლიტერატურა წარმოადგენს: ის ყოვლისშემძლე, შემქმნელი და დამანგრეველი ღმერთიცაა და იმავდროულად შესანიშნავი მსხვირპალიც. მარგერიტ დიურასის შემოქმედება თავისუფალი, უხეივ, გიჟბუნ, თვითგანწირულ, თავდავიწყებულ ქალებს გვიხატავს, რომლებიც ხან გარემოებათა (მათხოვარი), ხან კი მამაკაცების (ან-მარი სტრეტერი) ძალადობის პირისპირ რჩებიან მიტოვებულნი. და თვით ის ფაქტი, რომ მარგერიტ დიურასი თავის ქალ პერსონაჟებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სხვადასხვა ნაწარმოების გმირებად აქცევს, იმაზე მეტყველებს, რომ ავტორი მათ მთლიანად ემიჯნება.

რომანში „კაშხალი წყნარი ოკეანის წინააღმდეგ“ ქალიშვილის ეროტიზმთან ზიარება დედის სიკვდილის მიზეზი ხდება. „საყვარელი“ ვებულობით, რომ დედა სულის მიზარებას სულაც არ აპირებს, როდესაც მისი ქალიშვილი ხორციელ სიყვარულს ეზიარება. პირიქით, აქეზებს კიდევ ყმაზედ ქალს, რადგან ნამუსის ამხელთ ჩინელი ვაჟი მიიღარია. სამაგიეროდ, ამავე წიგნში, ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა დიურასი ამბობს, რომ ის დარწმუნებულია, ხელი უნდა შეუშალოს დედის სიგიჟეებს იმით, რომ წეროს. დედა ამ არჩევანის წინააღმდეგი იყო და ეს არჩევანი იყო დედის წინააღმდეგ.

სწორედ მკვდარი დედა აძლევს ქალიშვილს წერის უფლებას. ამას აშკარად გვეუბნება სიზმარი, რომელსაც დიურასი თავის წიგნში „მწვანე თვალები...“ მოგვითხრობს: „ორსეს თვატრში „აქედნ სინემა“ გადიოდა. და ერთ ღამეს, წარმოდგენის შემდეგ დამესიზმრა, რომ შევედი სვეტებთან სახლში, რომელსაც ბაღში გამავალი ღრმა შიდა ვერანად ჰქონდა. შესვლისას შემომესმა კარლოს და „ლეზიოს არიები“, „ლევან სინემას“ ვალსი და გულში ვთქვი: თურმე კარლოსი აქაა, ის უკრავს. დავუძახე. არავინ მიპასუხა. ამ დროს, საიდანაც მუსიკის ხმა ისმოდა, დედაჩემი გამოვიდა. ის უკვე სიკვდილით იყო მოცული, გახრწნილი იყო, სახეზე მწვანე ფერი დასდებოდა და ღრმულებით ჰქონდა დაკეცილი. ოდნავ შესაშინევად გამოიღმა. მითხრა: „მე უჭრავედი“. ვუთხარი: „კი მაგრამ, როგორ? შენ ხომ მკვდარი ხარ.“ მითხრა: „მე შენ დაგარწმუნე, რომ მოვკვდი, რათა ამეების წერის უფლება მომეცა“.

სინამდვილეში არც ეროტიზმს და არც მარგერიტ დიურასის ნაწარმებს არ გამოუწვევია მისი დედის სიკვდილი. მაგრამ შეიძლება შეგაძრწუნოს ფაქტმა, რომ

1957 წელს დედამისის გარდაცვალებას დაემთხვა დიურასის მიერ მახოზისტური სიაშოვნების აღმოჩენა. „ისევ და ისევ ვეძღვოდით სიყვარულს, ლაპარაკი აღარ შეგვეძლო. სვამდით. ის მირტყამდა გულცივად. სახეზე. და სხეულის სხვადასხვა ნაწილზე. აღარ შეგვეძლო ერთმანეთთან მიახლოება შიშის, კანკალის გარეშე. მან ბაღში შორს, ზემოთ წამოყვანა, კომპოს შესასვლელისკენ [...] დედაჩემი ჯერ კუბოში ჩასვენებულიც არ იყო. ყველაზე მელოდა. დედაჩემი. ვეამბოურე მის გაყინულ შუბლს [...]. ის [...] ბაღში მელოდა.“ („ღამის უკანასკნელი კლიენტო“, კრებულიდან „მატირალოური ცხოვრება“).

იგივე გამოცდილება შექმნის „მოდერატო კანტაბილეს“ და „დერეფანში მჯდომარე კაცს“.

ბლოკის უფროსმა, ამბობს ანტელმი „ადამიანურ სახეობაში“, „იციოდა, რომ შეგვეძლო გაუნრველად გვეყურებინა, როგორ ურტყამდნენ ჩვენს ამხანაგს; და რომ მოძალადის სახის, კბილების, ცხვირის ფეხქვეშ გასრესის სურვილით შეყრბობილი, ამავე დროს მდუმარედ, სადღაც სიღრმეში, შევიგრძობდით სხეულის ამოძახილს: „კიდევ კარგი, მე არ ვარ მის ადგილას“.

სხვათა ტანჯვის მაცურებელს უხარია, რომ თვითონ არ მიიღო იგივე ტანჯვა: ამგვარა პაქტი, როდემელიც დიურასმა დაიწყო თავის მკითხველთან „მდომარე კაცში“... კაცი უტყავს, უყურებს, მოქმედებს, მაშინ როცა იატაკზე განოლდ ქალს თვალები დახუჭული აქვს; მაგრამ არის მსასამე ინსტანცია: „მე“, მზერით დაჯილდოებული. რაც უფრო სასონარკვეთილია ქალი, დიურასი უფრო მეტი დაჟინებით ამხვილებს ყურადღებას ამ „მეს“ მზერაზე. ქალს „არ შეუძლია დაინახოს კაცი“; „ქალი არაფერს იტყობდა, არაფერს შეხედავდა [...] მან იცის, რომ კაცი მას უყურებს, რომ ის ყველაფერს ხედავს. მან ეს თვალდახუჭულმაც იცის, როგორც მე ვიცი, მე, რომელიც ვუყურებ“. ისევ და ისევ ქალის თვალები „იღებენ უმზეროდ და იხუჭება“. სმენას რაც შეეხება, მთხრობილი ზოგჯერ აირევა ხოლმე პერსონაჟთან: „ჩვენ გვესმის ნაბიჯების ხმა, მას და მე“.

აი, ტექსტის დასასრული, 1980 წლის ვერსიით: „მე ვხედავ, რომ თვით სხეული აძლევს ცემის ნებას, რომ ის მიტოვებულია, ყოველგვარი ტკივილისგან დაღვლილი. რომ კაცი შეურაცხყოფს და ურტყამს... და შემდეგ ვხედავ... ვხედავ... ვხედავ, რომ სხვა ხალხიც უყურებ... ვხედავ, რომ კაცი ტირის ქაზე არ წოლილი. მე ქალისას მხოლოდ უძრაობას ვხედავ. სხვას ვერაფერს. არ ვიცი. არაფერი არ ვიცი, არ ვიცი, სძინავს თუ არა.“ პირველი ვერსია (1962 წელს გამოქვეყნებული უფრანგულში) არავითარ ფეხს არ ტოვებს ქალის ბედზე: ტექსტის უკანასკნელ სტრიქონებში მის მკლავს ბუბუბი ვხევითა.

„სიკვდილის ენებში“ ის უზილაგი „მე“ იგრძნობს, რომელიც ხედავს. ეს „მე“ „თქვენობით“ მიმართავს კაცს, რომელიც „მასზე“ - ძალზე - ძალადობს, ცდილობს მისი სხეულის მოთვინიერებას, ტირის მისი დაუსვლელისას, ხან მოკვლასაც უპირებს, მაშინ როცა „ის“ - ქალი - როგორც ყოველთვის, ჩაძინებული, მოღლიმარი, აქარმყოფია.

სიყვარული სულაც არაა ურთიერთგაცვლა, შეთავაზება, მოსმენა, თანაგრძნობა, ვაგება. პირიქით.

ის სხვისი მოკვლის, გარდაცვალების, თვითმკვლელობის სურვილია. იგი დაფარულია, გასაიდუმლოებულია, დანაშაულებრივია, აბსოლუტურია, მარგინალურია. ამაღლებული (sublime) და გაკეთილშობილებულია (sublime). სიყვარული, დიურასის მიხედვით, კრისტინ ვიემენის მიერ ჩადენილი საკუთარი შვილის მკვლელობაა. ეს დიურასის საკუთარი მოლოდინია, ანტილას რომ ელოდა 1945 წელს, რომლის დროსაც დახვალის შვეიცარია. ეს ემილი ლ.-ს ხასიათი უნდა იყოს. „სიყვარული წერილია მცველსადაში, რომელსაც უხმობს. „სიყვარულის მოლოდინი, სიყვარულისა ჯერ კიდევ შესაძლო პირობების გარეშე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მისი, სიყვარულისა. და თქვენ ყველა თვის ეს მოლოდინი, ეს მინდოდა მეთქვა თქვენთვის“.

სხვისი „სიყვარული“ რომ შეძლო, ის სხვა განადგურებული, არსებობადაკარგული, კოშპი ჩაძირული, მძინარე, საკონცენტრაციო ბანაკში გამოკეტილი, მკვდარი, უსახელო, უცხო, რაც შეიძლება შორეული უნდა იყოს. იან ანდრეას ისე ძლიერად არასდროს ნდომებია მარგერიტ დიურასი, როგორც მაშინ, როცა ქალი ალკოჰოლურ კოშპი იმყოფებოდა; მარგერიტმა ეს იგრძნო; იანმაც დაუდასტურა; მათ ყველაფერი ეცოდინებოდათ.

ასეა და რას იზამ. ამინ.

დიურასის გამორჩეულ ტონს სადად გამოხატულ აღმატებით ხარისხს შევადარებდი (მე ვიცი უმაღლესი კუმპარიტება და მხოლოდ ამას გუგუბნობთ).

მე ვქმნი სამყაროს და ვამბობ, რომ ისაა სამყარო. და რაც მასშია ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება.

კაცებს გონება და ქალებს მატერიალური სამყარო. „პრინციპში კაცები არაფერს აკეთებენ ბავშვებისთვის. არაფერს მატერიალურს [...] კაცთან შედარებით ბევრად მეტსაც რომ წერდეს ქალი, რა იცვლება? მისი ძირითადი მონოდება მაინც ოჯახის გაფრთხილება და მოვლა“ („მატერიალური ცხოვრება“).

კაცებს თავგადასასვლები, ქალებს სიყვარული. „კაცს თავი ყოველთვის გმირი ჰგონია, როგორც ბავშვს. კაცს უყვარს ომი, ნადირობა, თევზაობა, მოტოციკლეტები, ავტომობილები, როგორც ბავშვს. ეს მაშინ ჩანს, როცა მას სძინავს. ასეა, ამგვარად უყვართ ქალებს მამაკაცები. ამით თავი არ უნდა მოვიტყუოთ. გვიყვარს კაცები გულუბრყვილონი, დაუნდობელი, გვიყვარს მონადირენი, მეომარნი, გვიყვარს ბავშვები.“

„ქალური ჰეიზაჟი არსებითია, ესენციალისტურიც კი, - ამტკიცებს დიურასი რადიონიტერვიში, - ესაა გიჟური სიყვარული, გამძლე. თითქოს ათწლეულების განმავლობაში შემონახული მუსიკალური ნოტი. აი, ქალის სიცოცხლე. ეს მომაკვიდნებელი და შესანიშნავია“.

უარის თქმა ქალების მხრიდან ნებისყოფაზე, გონიერებაზე, მეტყველებაზე. და ამ სიზუმიდან შესაძლოა ამოიზარდოს... ჩემი სიტყვა. მხოლოდ მე ვლაპარაკობ. მხოლოდ მე დავაღნიე თავი საუკუნოვან წყევლას, რომელიც შეაჩვენებს ქალს, თუკი იგი წერს. „კაპტენი“, ემილი ლ.-ს ქმარი, დამფრთხალი და შემფორთხებული ლექსის ბუნდოვანი სიმშვენიერით, რომელიც ქალმა ნაშუადღევის შუქზე სახელდახლოდ დაწერა (მათთვის, ვისაც კითხვა გაუჩნდება, საქმე ეხება

ემილი დიკენსონის 258-ე ლექსს), ცეცხლში ავდებს ნანერს. და ქალის ლიტერატურული მონოდება საშუალოდ იმსხვრევა.

„ვწერ ისე, როგორც უნდა წერო, ასე გმონია. ვწერ არაფრისთვის. ქალებისთვისაც კი არ ვწერ. მე ვწერ ქალებზე, რათა ჩემზე ვწერო, მხოლოდ და მხოლოდ ჩემზე, და ეს ნანერი საუკუნეებს გაჰყვება“ („მატერიალური ცხოვრება“).

ამგვარად თავად დიურასი - მხოლოდ მე, რომელიც საუკუნეებს გაჰყვება - იქნება ერთადერთი ქალი დიურასისეულ სამყაროში, და მას - ისე რომ არ დაკარგავს, არ უარყოფს, კაცებს არ დაანებებს და არც გააფუჭებინებს, - ექნება ის „ლგის ნყალობა“, რომელსაც გონება ჰქვია. ორმოცდაათი წელიწადი მყოფს ერთმანეთისგან ნანარმოებებს „წინდაუხედავები“ და „სულ ესაა“ (ისეთივე პროპორციით დაცილებული, როგორც ბეკეტის „მერვის“ და „კრუნჩხვების“ შემთხვევაშია). მარგერიტ დიურასის ნანერი, იმის ნაცვლად, რომ გართულებულიყო, მხოლოდ განიძარცვა და გამარტივა - მწერლის პიროვნების გარშემო უფრო და უფრო დაახლოებულ კონცენტრირებულ წრეებდა იქცა. მე ვარ - ის ვინც არის - მე - ნანერი - მხოლოდ მე - დასაბამიდან - სიტყვა - სექსი - მარტოდ-მარტო მე - სიკვდილი - მარტოდმარტო...

აი, რისი თქმა სურდა მას ჩვენთვის, ოლონდ უპირობოდ და სრულყოფილად - აბსოლუტურად.

1998.

გამოქვეყნებულია ჟურნალში „La Nouvelle Revue Francaise“ N542, მარტი, 1998.



მარგერიტ დიურასი

# სიკვდილის სენი

ფრაგმენტი

ფრანგულიდან თარგმნა გურანდა დათაშვილმა

მარგერიტ დიურასის მცირე ზომის წიგნს, „სიკვდილის სენს“, ხან მოთხრობას უწოდებენ, ხან ნოველას, ხან კი - რომანს. წიგნი 1982 წელს გამოვიდა, ორი წლით ადრე მის გახმაურებულ რომანამდე „საყვარელი“ („L'amant“), რომელმაც დიურასს საყოველთაო აღიარება და გონკურის პრემია მოუტანა. მწერლის მარადიული თემები: სიყვარული და სიკვდილი, ბოხოქარი ვნებების წყურვილი, ადამიანის მარტოსულობა, სიყვარულის შეუძლებლობა - ამ ნაწარმოებში კვლავაც აქტუალურია. აქაც მკაფიოდ იგრძნობა მისი პროზის განუყოფელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უღერადობა, მისი ფრაზების იდუმალი მუსიკა, სტილის გამჭვირვალობა და სიფაქიზე, რაც ამ უცნაური და ტრაგიკული ბედის ავტორის შემოქმედებას დღესაც მიმზიდველს ხდის.

ხანდახან ოთახში მიდი-მოდიხართ სანოლის ირგვლივ ან კედლების გასწვრივ, ზღვის მხარეს.

ხანდახან ტირით.

ხანდახან ტერასაზე გადიხართ, სადაც აციებას იწყებს.

არ იცით, რას იტყვს ამ ქალის ძილი, რომელიც სანოლშია.

გინდათ გაცვალოთ ამ სხეულს, გინდათ დაუბრუნდეთ სხვა სხეულებს, საკუთარ სხეულს, თქვენს თავს და ამავე დროს ტირით იმიტომ, რომ ეს უნდა გააკეთოთ.

ქალი ოთახშია, მას სძინავს. არ აღვიძებთ. მწუხარება ავსებს ოთახს მის ძილთან ერთად. ერთხელ იატაკზე იძინებთ მის ფერხით.

მას ყოველთვის ერთნაირად მშვიდად სძინავს. ასეთი საამური ძილისგან ხანდახან სახეზე ღიმილი უკრთის. მხოლოდ მაშინ ეღვიძება, როცა თქვენ ეხებით სხეულზე, მკერდზე, თვალებზე. ხანდახან უმიზეზოდაც იღვიძებს, ან იმის საკითხავად, ქარი ხმაურობს თუ ზღვის მოქცევა.

ეღვიძება. თქვენ გიყურებთ. გეუბნებათ: სენი სულ უფრო და უფრო გერევათ, თქვენს თვალებს მოერია, თქვენს ხმასაც.

ეკითხებით: რომელი სენი?

ამბობს, რომ ჯერ არ იცის, რა დაარქვას მას.

ლამეს ლამე მოსდევს, მისი წიაღის წყვილიაში შედიხართ, თითქმის ალაღებდზე, ბრმად მიჰყვებით ამ გზას. ხანდახან იქ რჩებით, იქ გძინავთ, მასსკი, მთელი ღამის მანძილზე, რათა მზად იყოთ, თუ-კი ოდესმე, მისი ან თქვენი მხრიდან რაიმე უნებლიე მოძრაობის გამო, კიდევ ერთხელ მოგესურვათ მისი დაუფლება, აღესება და ამით, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ცრემლებით დაბრმავებული ნეტარების განცდა.

მორჩილი თუ ჯიუტი, ქალი ყოველთვის მზად იქნებოდა. სწორედ ამის შესახებ ვერასოდეს ვერა-



ფერს გაიგებთ. იგი უფრო იდუმალია, ვიდრე თქვენთვის აქამდე ცნობილი ყველა გარეგანი სიცხადე.

ვერასოდეს ვერაფერს გაიგებთ, ვერც თქვენ და ვერც ვერაფერს, ვერასდროს, თუ როგორია მისი აზრი, რას ფიქრობს სამყაროზე და თქვენზე, თქვენს სხეულზე და თქვენს სულზე, და იმ სენზე, რომლის შესახებაც გითხრათ, რომ მისით ხართ დაავადებული. თვითონაც არ იცის. ვერ შეძლებს თქვენთვის ამის თქმას, მისგან ვერაფერს შეიტყობთ ამის შესახებ.

ვერც თქვენ და ვერც ვერაფერს ვერასოდეს გაიგებს, რას ფიქრობს იგი თქვენზე, ან ისტორიაზე.

რამდენი საუკუნეც არ უნდა გავიფიქროს, რომლებიც თქვენი არსებობის დაეინყებებს გადაფარავს, ამას ვერაფერს გავიგებ. თვითონ მასაც არ შეუძლია იცოდეს ეს.

რადგანაც თქვენ მის შესახებ არაფერი იცით, იტყვი, რომ მან არაფერი იცის თქვენზე. ამაზე შეჩერდებით.

ქალი ალბათ მაღალი ტანისაა. მისი გრძელი სხეული ერთბაშად ჩამოსხმულს ჰგავს. თითქოს თვით მამაზეციერს შეეკმნას პიროვნული გამოცდილების უტყუარი სრულყოფილებით.

იგი ალბათ მართლაც არავის ჰგავს.

სხეული სრულიად დაუცველია, თხემით ტერფამდე გულვი. ის გინიშნავს, რომ დაახლოებით, გააუპატიურე, სასტიკად მოეპყრა, შეურაცხყო, ზიზილი დაუყვირო, მძაფრმა, სასიკვდილო ვნებებმა მოგიცვას.

თქვენ მას უცქერთ.

იგი ძალზე თხელია, თითქმის სიფრიფანა. მისი წველების სილამაზე სხეულისგან ცალკე დგას. სხეულის დანარჩენ ნაწილებს თითქოს არც უკავშირდება.

ეუბნებით: ალბათ ძალიან ლამაზი ხართ.

იგი გაპასუხობთ: მე ხომ აქ ვარ, თქვენ წინაშე, შემომხედეთ.

თქვენ ამბობთ: ვერაფერს ვხედავ. ის გუბნებათ: ეცადეთ, დაინახოთ. ეს შედის საფასურში, რომელიც გადაიხადეთ.

თქვენი იგი ხელში აგყავთ, მის სხეულს სხვადასხვა მხრიდან უცქერთ, ატრიალებთ, კიდევ ატრიალებთ, უყურებთ, ისევ უყურებთ.

თავს ანებებთ.

თავს ანებებთ. მის სხეულს აღარ ეხებით.

ამ ლამემდე ვერ ხვდებოდით, როგორ შეიძლება ამ გცოდნოდით ის, რასაც თვალთ ხედავ, რასაც ხელი ეხებოდა, რაც სხეულს ეხება. ეს არცოდნა ახლა აღმოაჩინეთ.

თქვენ ამბობთ: ვერაფერს ვხედავ.

იგი არ გაპასუხობთ.

მას სძინავს.

თქვენ მას აღვიძებთ. ეკითხებით, არის თუ არა მძაპი. იგი უარის ნიშნად თავს აქნევს.

თქვენ ეკითხებით, რატომ დათანხმდა ლამეების გატარებაზე ფულის ვასაცვლოდ.

ის ნამძინარევი, ძლივს ვასაგონო ხმით გაპასუხობთ: იმიტომ, რომ როგორც კი დამელაპარაკეთ, მივხვდი, რომ სიკვდილის სენით იყავით დაავადებული. პირველ დღეებში სახელს ვერ ვუძებნიდი ამ სენს. მერე კი ეს შევძელი.

თქვენ სთხოვთ, კვლავ გაიმეოროს ეს სიტყვები. იგი იმეორებს: სიკვდილის სენი.

ეკითხებით, საიდან იცის. ამბობს, რომ იცის. ამბობს, რომ ადამიანმა ეს იცის, მაგრამ არ იცის, საიდან.

ეკითხებით: რითაა სიკვდილის სენი მომავალდნებელი? იგი გაპასუხობთ: იმით, რომ ვისაც იგი შეეყრება, მას არ ეცოდინება, რომ სიკვდილის სენს ატარებს. და აგრეთვე იმით, რომ მანამდეც, სიცოცხლეშივეც არ უცხოვრია და ვერც ვერანაირად

რად გაცნობიერებდა, რომ რაიმე ცხოვრებას მოუკვდა...

თვალები კვლავაც დახუჭული აქვს. გეგონება, რაღაც საუკუნოვანი დალილობისგან ისვენებს. როცა სძინავს, გავიწყდებათ მისი თვალბის ფერი და მისი სახელიც, რომელიც პირველ საღამოს შეაჩქვით. მერე ხვდებით, რომ თვალბის ფერი არ არის ის, რაც სამუდამოდ გადაულახავ ზღვარს ქმნის თქვენსა და მას შორის. არა, თვალბის ფერი არა. იცით, რომ იგი მომწვანო-მოწაცრისფროა. არა, ფერი კი არა, მზერაა იგი.

მზერა.

ამჩნევთ, რომ იგი გიყურებთ.

ყვირით. ის კედლისკენ ბრუნდება.

ამბობს: ეს დასასრული იქნება, ნუ შეგეშინდებათ.

იმდენად მსუბუქია, რომ ერთი ხელით იზიდავთ თქვენკენ. უცქერთ.

უცნაურია, ძუძუები ყავისფერი აქვს, კერტები თითქმის შავი. თქვენ მათ ენაფებით და მის სხეულში არაფერი იძვრის, იგი თქვენს ნებას დაჰყვება. გემორჩილება. შეიძლება რაღაც მომენტში იყვიროთ. სხვა დროს ეუბნებით, რომ წარმოთქვას ერთი, ერთადერთი სიტყვა, თქვენი სახელი. თქვენ მას არ სიტყვას, თქვენს სახელს ეუბნებით. ის არ გაპასუხობთ. ის არ გაპასუხობთ. თქვენ ისევ ყვირით. და მაშინ მას ელიძება. თქვენ ხვდებით, რომ იგი ცოცხალია.

ლიმილი ქრება. მან არ თქვა სახელი.

ისევ უცქერთ. მისი სახე ძილის ტყვეობაშია. იგი უტყვია, მას სძინავს, ისევე როგორც მის ხელს. მაგრამ თქვენი გონება ისევ მის სხეულს დასტრიალებს, მას მთლიანად მოიცავს ისე, რომ ამ სხეულში თითოეული ნაწილი თავადვე მონაწილე მის მთლიანობას, ხელი იქნება ეს თუ თვალები, მუცლის ამობურცულობა თუ სახე, მკერდი თუ იგი, წველები თუ მკლავები, სუნთქვა, გული, საფეთქლები... საფეთქლები, როგორც დროის ფეთქვა.

ტერასაზე ბრუნდებით, რომელიც შავი ფერის ზღვას გადაჰყურებს.

ქვირილი განცდებით, რომლის მიზეზიც არ იცით. იგი მზადაა გადმოხეთქოს თქვენი არსებიდან. თითქოს თქვენ გარეთ იყოს, თქვენთან შეერთება არ შეეძლოს, რომ თქვენ გულამოსკვნიტ ატირდეთ. სახით შავი ზღვისკენ, იმ ოთახის კედელთან, სადაც მას სძინავს, თქვენს თავს დასტირით, როგორც ვინმე უცნობი.


ოთახში ბრუნდებით. მას სძინავს. თქვენ ვერ ხვდებით. მას შიშველს სძინავს სანოლში, თავის ადგილას. ვერ იგებთ, როგორ შეიძლება, რომ მან არ იცოდეს, როგორ ტიროდით, როგორ შეიძლება იგი თავისთავად დაცული იყოს თქვენგან, ამ ზომამდე ვერ ხვდებოდეს, რომ ამხელა ადგილს იკავებს მთელ სამყაროში.

მის გვერდით წევით. ისევ საკუთარ თავს დასტირით.

ნენსი იუსტონი<sup>1</sup>

# რომენ გარი: უკანასკნელი სამსჯავროს კითხვარი

ფრანგულადან თარგმნა მანანა ბოსტოლანაშვილი



ნენსი იუსტონი, 1953 წლის 16 სექტემბერს კანადაში დაბადებული ცნობილი ნოველისტი და ესეისტი, ჯერ ფრანგულად წერს, მერე კი საკუთარ თხზულებებს თვითონვე თარგმნის ინგლისურად. ამჟამად ცხოვრობს პარიზში მეთულესთან და ორ შვილთან ერთად. გამოცემული აქვს 15 რომანი, 2 პიესა, მიმოწერის 2 კრებული, 3 საბავშვო წიგნი, ესეების 12 კრებული.

ნენსი იუსტონის ესეების კრებულში „სულები და სხეულები“ 1981-2003 წლებში შექმნილი რჩეული ტექსტები შევიდა. ვთავაზობთ მის წარმოსახვით ინტერვიუს XX ს.-ს II ნახევრის ერთ-ერთ უნიჭიერეს ფრანგ მწერართან, რომენ გარისთან (1914-1980 წწ.).

ესეში ძალიან საინტერესოდ და ძალდაუტანებლად, გარის რომანების სტილით არის ასახული რეალური ფაქტები მწერლის ცხოვრებიდან, ვულშიჩამწვდომადაა გადმოცემული სიღრმისეული მიზეზები იმ მოვლენებისა, რომლებმაც სრულიად შეცვალეს მწერალი; მისი ურთიერთობა იმ ადამიანებთან, ვინც უდიდესი გავლენა მოახდინეს ცხოვრების მისეულ აღქმაზე.

### ვინაობა

ყოველთვის მძულდა ეს შეკითხვა. არასდროს ვიცოდი, ვინ ვიყავი. ეს არავინ იცის, მაგრამ მე თავიდანვე ვიცოდი, რომ არ ვიცოდი. არ გამაჩნია არანაირი ვინაობა რომელშიც თავს ჩავრგავდი, როგორც ბუმბულის ლოცინში. მუდამ, მთელი სიცოცხლის მანძილზე, შიშისგან გადმოკარკლული თვალებით ვიზიზირებოდი.

### სახელი

ნაბიჭვარი ვიყავი. სხეული სახელის გარეშე. უსახელო და ამაზრუნე.

### მშობლები

დედა მეორეხარისხოვანი მსახიობი იყო მოსკოვში. პროფესიონალი თვალთმაქცობაში. ჩემს დაბადებამდე ცოლად გაჰყვა ერთ ტიპს, გვარად კასევს, ასე რომ გვარად კასევი გავხდი; მერე განქორწინდა. თავი მოვიკატუნეთ, რომ... რატომ? ვისთვის?

Man's but a poor player...<sup>2</sup>

ამგვარად, დედიკო - ერთი საცოდავი მსახიობი... მამიკო, ჩემი აზრით, არა უვარგისი კასევი, არამედ... იქნებ ივან მოსიუკინი, რუსი მსახიობებიდან უდიდესი?... მდიდარი მსახიობი? იქნებ სწორედ ის? ხანდახან, წლების განმავლობაში, ნინას შეენეოდა ხოლმე და უგზავნიდა თამასუქებს, როდესაც უკიდურესად გვიჭირდა?

### ბავშვობა

დავიბადე 1914-ში, და რა თქმა უნდა, შესაბამისად ვიცხოვრე: დიდი ომი, რევოლუცია რუსეთში, გაქცევა, გადახვევა, ა.შ. და ა.შ.

ჩემი პირველი მოგონებები თარიღდება იმ წლებში.

1. კრებულიდან „სულები და სხეულები“ - რჩეული ტექსტები 1981-2003 წწ. პირველად გამოქვეყნდა საერთაშორისო ლიტერატურულ ბიულეტენში, N1, 1994.

2. ადამიანი უბრალოდ ცული მოთამაშეა; პერიფრაზი: „ცხოვრება უბრალოდ ცული მოთამაშეა“ უ.შექსპირი, მაკბეტი, აქტი 5, სცენა 5.



ბით, რომლებიც ვილნიუსსა და ვარშავაში გავატარეთ: სილატაკები.

ლატაკებზე უარესები ვიყავით.

გერალები ვიყავით.

გიკრძალავთ ჩემს მუბრალებას.

დედაჩემი კერავდა შლაპებს და კაბებს ვილნიუსში მცხოვრები მეძლებული ქალბატონებისთვის, თან ხმაშლა ოცნებობდა ჩემს, როგორც საფრანგეთის ელჩს, სახელოვან მომთავალზე. მთელ თავის თეატრალურ ნიჭს აქსოვდა ჩემთვის წარმოსახვითი სამშობლოს შექმნასა და მის სინამდვილედ ქცევას: **საფრანგეთი! საფრანგეთი!** შენ მწერალი იქნები, დიდი და ცნობილი, აი, ნახავ! შენ გახდები ვიქტორ ჰიუგო! ლამარტინი! ჟან-ჟაკ რუსო!  
დედობრივი სიყვარული.

*ძმები და დები*

დედისერთა ვიყავი. მაგრამ ოკეანე იქცა ჩემს ძმად იმავე წამს, როდესაც პირველად შევავლე თვალი ხმელთაშუა ზღვას ნიცაში ჩასვლისას. „ძმო ოკეანე“, - ვეძახოდე მას. არასდროს - „ზღვას“, რაც პირდაპირ „დედადემ“ მიმიყვანდა

[ფრანგულად ერთნაირად უძერს სიტყვები: „დედა“ (la mere) და „ზღვა“ (la mer).]

(მოგვიანებით, კალიფორნიაში: წყნარი ოკეანე. ასევე, ძმებით და დებით მყავდნენ სექსუოები და ნოთელი ხეები. რომ აღარაფერი ვთქვათ უამრავ ძალღალსა და კატაზე. ძეებიც კი, ზოგჯერ.).

*მოწოდების აღმოჩენა*

ნიცაში დამკვიდრებიდან ცოტა ხანში მივხვდი, რომ დედაჩემი ბერდებოდა და დაიბეტი სჭირდა. ბუნების კანონები გამიმყვანდა მთელი მათი სასტიკი დიდებულებით:

1) აღამიანი იბადება.

2) **struts and frets his hour upon the stage** (მედიდურად დადის და იტანჯება ცხოვრების სცენაზე. უ.შექსპირი, მაკბეტი, აქტი 5, სცენა 5.).

3) უძლურდება.

4) **დრო** მას ცოცხლად ატყავებს, პანია სელაპივით.

5) იგი გარდაიცვლება, **and then is heard no more** („და მერე მისგან აღარაფერი ისმის“, უ.შექსპირი, მაკბეტი, აქტი 5, სცენა 5.).

რა ოხრობაა: მომამორეთ ეს ყველაფერი.

აუცილებლად საზღაური უნდა მიმეგო დედაჩემისთვის, მეჩვენებინა, რომ მის ძალისხმევას ამაოდ არ ჩაუვლია. სახელი უნდა მომეხეცა. მაგრამ რომელი სახელი? ანდრე მალრო... შატობრიანი... ვიქტორ ჰიუგო... ბრწყინვალე სახელებია. სამწუხაროდ, ისინი უკვე დაკავებული იყო.

რა არის in a name (სახელი)? არაფერი. ყველაფერი.

*სამხედრო სამსახური*

ომი ამაზრზენია.

მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მეორე მსოფლიო ომმა კაცად მაქცია.

ჩემი ერთადერთი ჭეშმარიტი ოჯახი: რამდენიმე გადარჩენილი ჯარისკაცი, ვისთან ერთადაც გერმანელების მიერ ოკუპირებულ ევროპას გბომბავდი ომის ბოლო წლებში.

პირველი რომანი იმავე პერიოდში დავწერე, წერ აფრიკაში, მერე კი ინგლისში. მუდმივად ვიღებდი ჯერილებს დედაჩემისგან - გამაგრდი, რომენ, გაუძელი, იყავი ძლიერი, ბოლოს გავიმარჯვებო. რომანი ინგლისში გამოქვეყნდა საფრანგეთის გათავისუფლებისთანავე. ნიცისკენ გავუშურე, მივისწრაფოდი, რათა ჩემი დიდება მის ფერხობით დამეფინა. თვით დე გოლის მიერ დაჯილდოებული ომის გამირი ორდენით „გათავისუფლების თანამებრძოლი“, აღიარებული პირველი რომანის ავტორი - და ეს ყველაფერი ერთდროულად. ნიცაში ჩასვლისას შევიტყვე, რომ ორი წლის წინ გარდაცვლილიყო. მეგობარი ქალისთვის ჩაუბარებია ჩემთან დროდადრო გამოსაგ ზავნი წერილები, ათეულობით წერილი, რომლებიც წინასწარ დავწერა. სათქმელი სულ ერთი და იგივე იყო - გამაგრდი - იყავი ძლიერი - უკვე თითქმის მივადნით... ასე მიყვარს ამ ამბის მოყოლა.

*იდეოლოგია*

რწმენები, მრწამსი, წევრობა და მიმდევრობა, ყოველნაირი ხალისიანი ჯოგურობა: წმინდა წყლის სისულელიდ მიმანდა.

ათეიზმიც, ანტიკომუნისმიც კი აუტანლად მეჩვენებოდა.

*მოქალაქეობა*

მოქალაქე ვიყავი, ოღონდ არა ომის შემდეგდროინდელი საფრანგეთისა, არამედ XIX საუკუნის საფრანგეთის მითვისა, რომელიც დედაჩემმა გადმოიღო და შეითვისა რომანტიკული და იმდგაცრუებული რუსული არისტოკრატიისგან, მერე კი ჩამწურჩულებდა მიმნდობ ყურებში, ყოველამ, როდესაც სიცივისა და შიმშილისგან სული გვეჭრებოდა ვარშავაში.

*რელიგია*

დედაჩემი ებრაელი იყო, როგორც გითხარით. მაგრამ ხშირად შედიოდა კათოლიკურ ან მართლმადიდებლურ ტაძრებში, მათ მოძღვრებთან და მღვდლებთან ნუგეისცემის ძიებაში. მე თვითონ კათოლიკედ მომწიფდეს, და იესო ერთ-ერთი არსებაა, ვინც სამყაროში ყველაზე მეტად მიყვარს.

ის და ვიქტორ ჰიუგო. ორივე მათგანი სუსტების, საბრალოების მხარეს იყვნენ (დედაჩემის მხარეს).

თუმცა ებრაელი ვიყავი.

საკმაოდ ებრაელი მსოფლიოში ყველასთვის, გარდა ებრაელებისა, ვინც უარი განაცხადეს ჩემს ჩანერაზე თავიანთ ცნობაში „Who’s who in World Jewry“ („ვინ ვინ არის ებრაულ სამყაროში“).

*გარეგნობა*

ცისფერი თვალები, ბოშური სახის ფერი, კახაკური ყვინიშალები. ვიზრდებოდი და ვიზრდებოდი, მერე შეგწყვტებოდა ზრდა.

ომის მერე ავიატორის უნიფორმა დიპლომატის სამწაწილიან კოსტიუმში გაცვალე. რაც დრო გადიოდა, ჩემი სამოსი უფრო და უფრო ექსცენტრიკული ხდებოდა: პონჩოები, შლაპები, ჭრელი პერანგები. ბევრს სასაცილოდ მივაჩნდი.

თავმომწონედ და გატაცებით ვწნოდი სიგარას. ჰავანურს. დავიდოვს. მონტე-კარლოს.

პირველ ხანებში წარმოსადგევი, ნაბლისფერთმიანი, სიმპათიური ვიყავი. შემდეგ ძლიერი აღნავიგობის, თმამევერცხლილი, ნაოჭებიანი გავხდი. სპილოსაკვით.

**საყვარელი ცხოველები**

სპილოები. ერთი მოკვალი ერთხელ, გასართობად. ეს მოხდა 1940 წელს, რომენ გარი-კასიერ მერქვა და როგორც პილოტი, საშინლად მოწყენილი ვიყავი ცენტრალურ აფრიკაში, უმოქმედობა მაგიჟებდა. ერთ დღესაც, ამხანაგთან ერთად ცაში უშაღლესი პილოტაჟის ფიგურების გამოყვანისას, ვვემით სპილო დავინახეთ და გადავწყვიტეთ, მას დავეჯახებოდით. ცხოველი მაშინვე მოკვდა. ჩემი ამხანაგიც. მე ნაკანრის გარეშე გამოვჭვირი ნამტყვრებებიდან.

ათი წლის შემდეგ სქელტანიანი და სპილოსავით მოუხუშავი რომანი დავწერე, «ცის ფესვები». ერთი კაცი ამბავია, რომელიც ხელს უშლის თეთრკანიანებს სპილოს ძვლის, შავკანიანებს კი - ხორცის მოსაპოვებლად აფრიკული სპილოების მოკვლაში. წიგნმა გონკუერის პრემია მომიტანა.

მათი აღფრთოვანების დასტურად უამრავმა მკითხველმა გამოიჩინა ზანა სპილოების ლამაზი სტატუსები... სპილოს ძვლისგან დამზადებული.

**ნივთებთან ურთიერთობა**

არასდროს ვიცოდი, რა მექნა ნივთებისთვის. თექვსმეტი წლისა რადიატორს ვესყვარულე. ოცდაათუთმეტი წლისამ საკუთარი ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატები შევჭამე. სამოცდაათი წლისა სანაგვეში ჩავხტე.

**რა საჭიროა ნივთები?**

მხოლოდ და მხოლოდ ორი რამ მანიჭებს უდიდეს სიამოვნებას:

- 1. დიდი რუსული დაკონსერვებული კიტრები.
- 2. კარგი სიგარები.

ფრიოდს ჯანდაბამდეც გზა ჰქონია.

**პროფესია**

სინამდვილეში დედაჩემმა რომანი დამარქვა (მოგვიანებით ესეც შეიცვალა), ასე რომ, არჩევანი არ მქონია. ოცდაათამდე რომანი გამოვაქვეყნე ოცდათექვსმეტ წელიწადში. ვარდა ჩემი ნაწყის ფსევდონიმისა «გარი» (რაც რუსულად ნიშნავს «იგიზგიზს!»), ექვსი რომანი შექმენი სამი სხვა ფსევდონიმით. დავწერე აგრეთვე უკვე რომანი ინგლისურად, ჩემს მეოთხე ენაზე რუსულის, პოლონურის და ფრანგულის მეორე. რომ აღარაფერი ვთქვათ რამდენიმე ასეულ სტატიაზე ამერიკულ გაზეთებში, ოცამდე სცენარზე ჰოლივუდისთვის... არ ვიკვებინი. არასოდეს არაფერია სატრაბახო.

**პოლიტიკა**

პირველად, როდესაც შარლ დე გოლმა დაიმინახა, აფრიკის მიგრუებულ ადგილას, ქალივით ვიყავი ჩაცმული და «ფრენჩ კანკანს» ვცეკვავდი სეტრში, რომელიც მე დავადგი ვიატორთა სამხედრო ნაწილისთვის, რომელსაც ვხელმძღვანელობდი. გენერალი გამეშობული იჯდა მთელი სექტეაქლის განწავლობაში.

მაგრამ მე ვიცოდი, რომ იგი, ისევე, როგორც თანა დაქარი, დედაჩემის დიდებულ და უძლეე საფრანგეთს განასახიერებდა.

ასე და ამგვარად, სამუდამოდ გოლისტიც დავრჩი ბოლომდე.

საფრანგეთს წარმოვადგენდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნიუ-იორკში სამი წლის მანძილზე. ეს საქმარისი აღმოჩნდა, რომ სამუდამოდ განკუურნებულიყავი პოლიტიკური იმედებისგან.

ჩემი მრნამსი მარტივად გამოიხატებოდა: თავს ვიცივებდი ყველასთან, ვინც იტანჯებოდა.

ვარდა ქათმებისა. მიჭირდა ჩემი წარმოდგენა ქათმად.

**მედა**

რიტგულარულად ვსანსლავდი მთლიან ქათამს სადილზე.

ანდა ცხერის ნახევარ ბარკალს. ამასთან ერთ კილო სატაცურს. მერე კი შვიდ იოგურტს: ყლუპ, ყლუპ, ყლუპ.

რაოდენობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ხარისხზე.

ეს სიმართლეს შეეფერებოდა ჩემს ნაწერებთან დაკავშირებითაც.

კაციჭამისა გაუმადლობა, უქმარისობის შიში.

ახლოდედ არსებებსაც ვსანსლავდი, ვმთათქვდი მათ სიცოცხლეს და ურცხვად ვარდაცქმინდი ლიტერატურად - რაც ცულ ვანწყობაზე საზიზრობად მიმანდა. «გაფრთხილდი, პოლ, - ყოფილმა ცოლმა ჯინ სებერგმა უთხრა ჩემს ძმისშვილს პოლ პავლოვიჩს, რომენი კანიბალია, ძალიან არ მიუახლოდე».

ჰო, მე ვიღებდი. მაგრამ გავცემდი კიდევ: წიგნებს ერთმეორის მიყოლებით, ათასობით გვერდს ვჭუქუნდი სამყაროს - აიღედ, მოუხმინედ, ოცნებედ, იცინედ, იტირედ, იფიქრედ - მომეცით საშუალება, უფრო მეტი გემოთით! - სიტყვებს უფასო კანფეტებით ვისროდი ჰაერში, რათა ადამიანები ვამეფდინერებინა (კარგ განწყობაზე ყოფნისას ლიტერატურას - ისე როგორც ცირკს, კინოს, ილუზიისა და მოხიბვლის ყველა ფორმას - ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ არასდროს მჯეროდა, რომ ის ტანჯვას გამოისყიდდა).

**სქესი**

მამრობითი.

თუ მართალია, რომ მამოს ყველა გარეგნულ ნიშანს წარმოაჩენდი, ჩემი ქუშმარიტი ღორსებები (გაკეთეს ის, რასაც ვამბობ, და არა ის, რასაც ვაკეთებ) ქალურობისკენ იხრებოდა. მგრძნობიარობა, თავაზიანობა, გულმონყალება, სულგრძელობა. სამყარო ფსევდომამაკაცურობისგან სულს ღაფავს. პოლიტიკური ძალაუფლების, თანამედროვე ომის, ატომური იარაღის, კაპიტალისტური შეჯიბრის თამაშები: ეს ყველაფერი ხელოვნური ფალოსებია იმათთვის, ვისაც საკუთარ მამაკაცობაში ვცხვი ვპარებდა.

მე კი *the real thing* (აქ: ნამდვილი სასქესო ორგანო) მქონდა.

მერე კი დავკარგე (იხ. ბუნების კანონი N3).

**ლიტერატურული სიუჟეტები**

ფრანკი. სექსუალური უძლიერობა ხანშიშესულ კაცებში. სპილოების დახოცვა. არამბ ბიჭი ბელგიეში. გარდაცვლილი ებრაელი მსახიობი კაცი, ვინც აფორიატებს და სტანჯავს ყოფილ ნაცისტს, ჰოლოკოსტიდან ათეულობით წლების შემდეგ. «შავი ავაზები». პოლინელი წინააღმდეგობის მონაწილეები. SKI ზუმს... (ადამიანები, ვინც მთელ დროს თხილამურებზე სრიალში ატარებენ.)

**საპატიო ტიტულები**

მიყვარდა ჩამთვლა, როგორც კრიალოსანზე, მრავალი მშენიერი საუნჯისა, რაც ცხოვრებამ მიპოვა:



გათავისუფლების თანამებრძოლი, საპატიო ლეგიონის კომანდორი, გონკურის პრემია, საფრანგეთის პირველი კონსული არა.

„როგორც კრილოსანზე“: დახეპრებული და აზრგადაცოლილი მარცხლებივით. მაგრამ სინამდვილეში ამ ყველაფერს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

რატომ უბრალოდ კონსული და არა ელჩი? რატომ მხოლოდ გონკურისა და არა ნობელის პრემია? რატომ მხოლოდ ერთ ადამიანი და არა ასი?

**სამოქალაქო მდგომარეობა**

ორჯერ ვიყავი დაქორწინებული: ჯერ ცნობილ ბრიტანელ მწერალზე, მერე კი ცნობილ ამერიკელ მსახიობ ქალზე. ორივე ქორწინება განქორწინებით დასრულდა. ამაზე ვერ გავიხუმრებ.

**ქორწინების გარეშე თავგადასვლები**

ყველა ასაკი, ფერის, ეროვნების ქალთან მქონია ურთიერთობა. მათი მოხიზვლა, ისევე, როგორც წერა, მუდამ უხომოდ მაფრთხობდა. მაგრამ არასდროს ამირევია ისინი ერთმანეთში: ეროტიკული ლიტერატურა ურთიერთსაპირისპირო სიტყვების წყვილად მიმანინა. ჩემი წიგნები ლაღად საუბრობენ ქალის ძუძუებსა და პენისზე, უძღურებებსა და ფრიგიდულობაზე, ათაგვარ სამოთხესა და ჯოჯოხეთზე, სადამდეც კი სექსს შეუძლებს ნაგვიყვანოს; მაგრამ არასდროს ცდილობენ ჩვენზე მოახდინონ ის ეფექტი, რასაც ახდენს სექსი.

მნიშვნელოვანი ქალები ჩემს ცხოვრებაში: ნინა, ილინა, ლესლი, ჯინ, ლეილა.

მნიშვნელოვანი ქალები ჩემს თხზულებებში: ზოსია, ლილი, ლილა, მინა, ლოლა, ლორა, ადრიანა, ალინ, ალიტ.

დასკვნები თავად გამოიტანეთ.

**ფული**

ბევრი მივიღე და ბევრიც გავეცი; მუდამ ვშიშობდი, არ დამკლებოდა.

**სიყვარული**

ბევრი მივიღე და ბევრიც გავეცი; მუდამ ვშიშობდი, არ დამკლებოდა.

ჩემი ძალი სენდი მიყვარდა.

ერთადერთი ქალი, ვინც მართლა მიყვარდა, ფაქტების ჩემი ვერსიის მიხედვით, არის ილინა. მაგრამ ომმა დაგვაპირა და, როდესაც ოცი წლის მერე მომწერა - მას შემდეგ, რაც ნაიკითხა ჩემი ავტობიოგრაფია, რომელშიც ჩვენს სიყვარულს მითროლოვარე, რიდნარევი მოკრძალებით ვიხსენებდი - მაცნობა, რომ აღ-თქმა დადო და განმარტოებით ცხოვრობდა მონასტერში. მოეცა: სინამდვილეში ეს მონასტერი იყო ფსიქიატრიული საავადმყოფო და ილინა ფსიქიკურად დაავადებული იყო. თუ მიზოფრენია სჭირდა. რაღაც ამგვარი.

მიყვარს ოცნება იმ ცხოვრებაზე, რომელიც შესაძლოა, ერთად გავგეტარებინა.

**საცხოვრებელი ადგილები**

დედამინა. მრავალი წელი გამიტარებია საფრანგეთის გარეთ - ბულგარეთში, ბოლივიაში, შვეიცარიაში, აშშ-ში - მაგრამ სადაც არ უნდა მეცხოვრა, რეჟულარულად გავბრბოდი შორს, თითქმის ყოველთვის მარტო. ინდონეზია, მექსიკა, კამბოჯა, ინდოეთი, აფრიკა, იაპონია... ერთ ადგილას არ მედგომებოდა, რა.

**პირადი რეჟიმი**

მეძინა ცხრა საათი ღამეში, საღამოს 21 საათიდან დილის 6 საათამდე. ვწერდი შვიდი საათი დღეში, რა პროფესიული მოვალეობებიც არ უნდა მქონოდა. ცხენით ვსივრავდი საკვებს და ვირივით ვჭიზობდი. გაბრაზებისას ვგარჯობობდი, კალორიების დასანგავად (სხვათა შორის, საქმაოდ კარგად ვყონგლორობდი). აზრც ალკოჰოლს მიყარებებოდა არასდროს, არც ნარკოტიკებს, რადგან ისინი სხვა ადამიანად გარდამქმნიდნენ და წამიერად გამათავისუფლებდნენ საკუთარი თავის უკიდურესად ძლიერი ზეგავლენისგან. როგორც ნაცემი ქალი ვერ მორდება ქმარს, ისე ჯიუტად ვებლაუჭებოდი ჩემს საკუთარ საძაგელ ინდივიდუალობას.

**ნაკლოვანებები**

გვიუღებოდი საკუთარი თავის გაკილვაზე, მანკის ხაზგასმარზე ხმაშალდი ხარხარი: ასე სხვა ველარავინ მეტყვოდა, ყოველ შემთხვევაში სერიოზულად, რა ზადიც გამაჩნდა; ყველას ვასწრებდი.

**ღირსებები**

გრძნობა, რომელსაც შეიძლება დავარქვათ ჰარაკირის იუმორი. ჩემი გამორჩეულად საყვარელი ფრაზა, რომელსაც ყველაზე ხშირად ვიმეორებდი - ვიცი, ვმეორდები - იყო რაღაც ამგვარი: ის სრულიად განსხვავდებოდა ჩემგან, ამიტომ შეიძლება, ერთმანეთისთვის გაგვეყო.

თავშესაქცევ ნინადადებებს ერთმანეთის მიყოლებით ვაგზავნიდი, გაიჭრებოდნენ, მერე უფრად საკუთარ თავს უბრუნდებოდნენ, თავიანთ მუცელში დანას დაიცემდნენ და ძირს უგრონობლად ეცემოდნენ.

ვერარნ შეამჩნია ეს სოციდური სინტაქსი, სანამ ძალიან დადავინდა.

**ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა**

რამდენიმე შემთხვევის გარდა, როდესაც სიკვდილს თვალეში ჩაგვხედე - ერთი დუელი პისტოლეტებით ლონდონში, 2-3 უბედური შემთხვევა თვითმფრინავით ფრენისას, ტიფის ციებ-ცხელება - ბრწყინვალე ჯანმრთელობა მქონდა. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ მუდმივად ველოდი და მეშინოდა დაავადებისა. განსაკუთრებით, სიფილისისა. მაგრამ სიფილისი მეტაფორა იყო. სიკვდილის.

**დროსტარება**

აუტანელი სიტყვაა. ჩემთვის აუცილებელი იყო მოძრაობა. სწორედ ამიტომ მიყვარდა კინო და ვერ ვიტანდი მუზეუმებს, მიყვარდა მოგზაურობა და მეჯავრებოდა ისტორიული ძეგლები, მიყვარდა მოხიზვლა და მძულავდა მონოგამია.

ხან გადარეული გზუნბა მიჰყრობდა, ხან უცნაური გამოთყვანება. არასდროს მიტაცებდა ისეთი საქმიანობა, რომელიც მოითხოვდა სინეფეს, მოთმინებას და გამეორებას, და რაც დროის ვასვლას მაგრძნობინებდა: მეზადეობა, სამზარეულოში ტრიალი, ალპინიზმი, რომელიმე ინსტრუმენტზე დაკერის შესწავლა.

ჩემი წარმოდგენა ჯოჯოხეთზე: უქმე დღეების გატარება სოფელში.

აი, სათავარები ჩემი სამი წიგნისა: „დაპირდა განთიადზე“, „დღის რეჟიმი“, „ღამე იქნება მშვენიერი“.

რა თქმა უნდა, მაკლია ბონდი. „შფოთი შებინდებისას“. ყოველ ნაშუადღევს, როდესაც დღე იკლებდა, შიშით შეჰყრობილი სანოლზე დავეგებოდი. ზოგჯერ

ისეთი დაუოკებელი თითოეული ამიტანდა, რომ იძულებული ვხდებოდი, დამამშვიდებელი ნემსი გამეპკეთებინდა. ერთხელ კიბეზეც კი ჩავიქროლე და ეზო სირილით გავიარე და თავით ნაგვის ურნაში ჩავხტი. ვმეორდები, ვიცი, ვიცი, ვემორდები.

**ლიტერატურული გავლენები**

საბჭოელო ჩემსავით მუშაობელი გადაგებული და მექალთანე იყო; ჩემსავით ისიც ერთგვარად ვულგარულობისკენ იყო მიდრეკილი. ამას გარდა, თავის ცხოვრებას და თხზულებებში განახორციელა ყველაფერი, რაც მთელს: ყბედობა, სერიოზულობა, დეგმატიზრობა, ფარისევლობა. სამწუხაროდ, ომის შემდეგ სწორედ ეს სჭირდებოდათ ფრანგებს.

მათ აგრეთვე განსაკუთრებულად უყვართ აბსურდი. აღფრთოვანდნენ, მაგალითად, როდესაც ოიხესკომ განუმარტა მათ, რომ ადამიანები იყენენ მარტორქები, მე კი ვცდილობდი, მათთვის ამეხსნა, რომ სპილოები არიან ადამიანები.

ჩემი პირველი რომანის გამოქვეყნებიდან ცოტა ხნის მერე ვინმე სემ ბეკეტმა შექმნა რაღაც სახელად „ამაზრუნე“. მას არაფერი ჰქონდა საერთო ჩემს უგვარობასთან. კაფკა, ბეკეტი, სელინა: ეს ნიშლისტები არ ყოფილან ჩემი ძმები. მე ვიქტორ ჰიუგო ვიყავი, მკვდრეთით აღმდგარი გაზის კამერებისა და ატომური ბომბების, მასმედიისა და შიმშილობების პერიოდში. მე ცოცხალი ანაქრონიზში ვიყავი: ომის შემდგომი პერიოდის ერთადერთი ფრანგი რომანტიკოსი“, ბოლშევიზმისა და ნაბიჭვრობის უღმობელ სუსხში გაზრდილი.

არც თვითიას ვწყალობდი, არც თეორეტიკოსებს, მაგრამ იმ აზრების შემდეგ, რაც მოვისმინე ერთი ტიპისგან, სახელად მიშელ ფუკო, ვიზარებდი მის ზიზლს ვინაობისადმი. ვერცერთი ვერ ვიტანდი თუ იმად (განასაზღვრულად) ყოფნას.

არცერთი თქვენგანი არ მიცნობდა. ზოგი იცნობდა გმირ პილოტს, ვინც წვლილი შეიტანა საფრანგეთის გათავისუფლებაში, ბევრი - საყვარელს, ზოგიერთი - დიპლომატს სოფიაში, ლოს-ანჯელესში, ლა პაზში, ბევრი - მეგობარს და ბევრიც - მეცენატს, სხვები - სცენარისტს, კინორეჟისორს ან მასხარას, სულ ცოტაოდენი - მწერალს, ერთადერთი - მამას, ორი - მეუღლეს, და ერთი - უძლევი, დაზარალებული უძლევი შვილს... ვერაინ შეძლებს ერთიანად შეიცნოს ჩემი ყველა „მე“.

ჩემი ნივთების უკან ყდაზე წერდნენ სიამოვნებით, თითქოსდა ათეული სხვადასხვა ცხოვრებით ვიცხოვრე. მაგრამ სინამდვილეში მე არ ვარსებობდი. უბრალოდ, ხუმრობა ვიყავი. მისტიფიკაცია. ერთხანობა გაცდუნეთ, თვალის მოგჭყერი, კურე კი ფარდა დაეშვა.

**ბავშვები**

საკუთარი თავის გარდა, „საკუთარი თხზულებების შვილისა“, ათასი პერსონაჟი ვიშობ: კლოუნები და ფონკლოირები, კომიკოსები და დიპლომატები, საქმიანი ადამიანები და ხანშიშესული ქალბატონები, ბავშვები და ფანატისკოსი პოლიტიკოსები, მექანიკური თოჯინების შემქმნელები და ფრანგები - უზარმაზარი, ხელების ქნებით მოლაყებ ბრობი, რომელიც შედგება ადამიანებისგან მთელი პლანეტიდან - და ისინი ლაპარაკობენ, ჟიმაობენ, იცინიან, ტირიან ოთხი ათწლეულის მანძილზე... ეჰ, ბოლოს მაინც მოვაგებ სახლურს, დედა!

მიუხედავად ჩემს გმირობათა შთამბეჭდავი ნუსხისა, ორმოც წელს მიღწეულმა აღმოვაჩინე, რომ ეს არ კმაროდა, დამაჯერებელი არ იყო. უარესი, ვფიქრობდი, რომ ეს **თვითმარტვიობას** ჰგავდა. მე კი **მისტიფიკატორი** ვიყავი, **შარლატანი**, ვისაც ოდესმე ნიღაბს ჩამოხსნიდნენ, ამხობდნენ იმისთვის, რაც ის სინამდვილეში იყო: **არარაობა**.

აბა, ბიოლოგიური მამობა? იქნებ ამას გაეჩინა ჭეშმარიტი ფესვები და დავეშომინებინე...

ჰო, მაგრამ უკვე ძალიან დავგვიანებული იყო, ძალიან დავგვიანებული. როდესაც ჯინ სეტერგმა ჩვენი ბიჭუნა დიეგო გააჩინა, 1963 წელს, უკვე ორმოცდაათს ვუკაცუნებდი.

ვერსადროს შევძლებ ჩემს ვაჟთან საუბარს, - ვწუნუნებდი მე, - ბედისწერა ჩვენს ნინაალმდევ არის. როდესაც ისე ნამოიზრდება, რომ მესაუბროს, მე უკვე გარდაცვლილი ვიქნები.

**უდროო სიკვდილის მიზეზი (თუ მეტი ადგილი გჭირდებათ, თანდართული სუფთა ფურცლები გამოიყენეთ)**

მე და ჯინი 1969 წელს დაექორწინდით. ჩემზე ოცდახუთი წლით უმცროსი, იდეალისტი იყო. მგზნებელი დედადა „შავი ავაზების!“ მოძრაობას, მას მთელ თავის დროსა და ფულს სწირავდა; არ მიინდოდა, ჩემი ხანშიშესულობით და ცინიზმით გამეხსრისა.

განქორწინების მერე კვლავ დაორსულდა. ჩემსავით ბავშვი ჩაესახა: უცნობი მამისგან.

**FBi-მ** საჯაროდ განაცხადა „ნრუსიკი“, რომ იგი „შეშავა ავაზამ“ დაფეხმძიმა. ღრმად შეურაცხყოფილიას ნეისერად აღარ სძინებია ორსულობის დანარჩენს პერიოდში. თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ დაიბადა პანია გოგონა, რომელიც ხუთი დღის მერე გარდაიცვალა. მას დაარქვა ნინა, დედაჩემის სახელი. და აიოვამი წაიყვანა დასაკაძალად.

ამის მერე რაღა უნდა მექნა?

1972 წელს ჩემი რომანის „გრძნელები“ გამოქვეყნების მერე, ანდრე მალრომ ბარათი გამომიგზავნა, რომელშიც მწერდა, რომ „მას არ ეგონა, თუ ასეთ ნიგამს კიდევ შექმნიდა ვინმე“.

რომენ გარი იყო სიქავაცილილი, გამოფიტული, და უძლევი.

და მაშინ ნაბიჭვარმა ახალი ავტორი წარმოშვა.

ახალგაზრდა, მხნე, ნიჭიერი. ჩემი საკუთარი ბუნებრივი შვილი.

მას ემილ აჟარი დაეარქვა. კიდევ ერთი რუსული სიტყვა.

გარი: დაინვი!  
ეჟარ: ავიზგიზდი.

თქონდა ადგილი დაიბადა, როდესაც ორმოცდაცხრამეტი წლისა ვიყავი, იმ ასაკისა, დედაჩემი რომ გარდაიცვალა. მაგრამ სწრაფადვე დამჭირდა ვინმე, ვინც მას განასახიერებდა (მე უსახელო სხეული ვიყავი, ის კი

1. „შავი ავაზების“ პარტია, ანუ **BPP** (ორიგინალურად „შავი ავაზების თავდაცვის პარტია“) იყო შავკანიანთა რევოლუციური სოციალისტური ორგანიზაცია აშშ-ში, აქტიური 1966-1982 წლებში. „შავი ავაზების პარტია“ მოიხლევა ეროვნული და საერთაშორისო აღიარება „შავი ძალაუფლების“ მოძრაობაში და 1960-იან და 1970-იან წლებში აშშ-ის პოლიტიკაში ჩართვით.



სახელი სხეულის გარეშე). პოლ პავლოვიჩი ამოვირჩიე, ჩემი ბიძაშვილი დინას ვაჟიშვილი, რომელსაც «დის-შვილს» ვეძახდი. სამი წლის განმავლობაში პავლოვიჩი თავაზიანად თამაშობდა აჟარის როლს აღფრთოვანებული პრესისა და საზოგადოების წინაშე.

აჟარის პირველ წიგნს ერქვა «დიდი და ალერსიანი»: ეს იყო აბაზევი კაცისა, ვისი საუკეთესო მეგობარიც იყო პითონი. მან უეცრად მოიპოვა წარმატება. პავლოვიჩი ვთხოვე, მაშროსთვის გაეგზავნა წიგნი წარწერით: «რომანი არ მომკვდარა!»

ეს, რა თქმა უნდა, იდუმალად მე მეხებოდა. რომანი - მე - არ ვიყავი მკვდარი.

ჯერ არა. თამაშის უტოვ შესანიღბად, განვავრდი აჟარის ბესტსელერების წერა, ჩემს „მდარე“ რომანებს კი წელიწადში ერთს ან ორს ვქმნიდი. ყველა ეს წიგნი, „აჟარი-საც“ და „ჩემებიც“, განიხილავდა ერთსა და იმავე თემებს: დაბერების ტრაგედიას და სიყვარულის ნაკლებობას.

1975 წელს ემილ აჟარმა გონკურის პრემია მიიღო რომანისთვის „ცხოვრება წინაა“. თითქმის მაშინვე გამოქვეყნდა მისი „ჭეშმარიტი“ ვინაობა: აჟარი „სინამდვილეში“ პოლ პავლოვიჩი ყოფილა! ჩვენი ნათესაობის გამო, ბევრი ეჭვობდა, რომ მე დავეხმარე პავლოვიჩს „ცხოვრება წინაას“ დაწერაში, ანდა სულაც მე თვითონ დავწერე. ამან განმარბისხა. გულისწყრომით უარყვავი ამ თხზულების მამობა.

პოლი კვლავ თავდაჯერებით თამაშობდა აჟარის როლს, ამიერიდან მთელი დატვირთილი. მაგრამ სხვა ადამიანის განსახიერებისას მისი პიროვნება ნადგურებოდა და მახინჯებოდა. საკუთარი ცხოვრება აღარ ჰქონდა. «ვაფრთხილდი, - უთხრა ჯინ სებერგმა - რომინი კანიბალია, ძალიან არ მიუახლოვდე». ციცი, ვემეორდები.

ვინაობების ბაღე ჩვენ გარშემო იკვრებოდა.

აჟარი იყო პიბრიდი, ფრანკენშტეინის უჩრხული დედის გარეშე, ვისაც სხვა არჩევანი არ გააჩნდა გარდა იმისა, რომ თავისი შემქმნელისკენ მიბრუნებულიყო და გენადგურებინა.

რაკი გამომოცემლებს და ფურნალისტებს თანდათან უფრო მეტი ეჭვები უჩნდებოდათ, ემილ აჟარის სახელით დავწერე „ფსევდი“, რომელიც „მე“ - პოლ პავლოვიჩი - განემარტავდი, რატომ გამოვიყენე ლიტერატურული ფსევდონიმი. სხვათა შორის, გიჟის ამ აღსარებაში, „მე“, ანუ ფიქტიური პოლ პავლოვიჩი, უმწყალოდ ფუტყევი რომენ გარის, ვისაც ამ შემთხვევაში „ტონტონ მაკუსტ“ ვუწოდებდი.

ბუნებრივია, ერთადერთი ადამიანი, ვინც შეიძლება საიდუმლოს ზიარებოდა, თვით პავლოვიჩი იყო; სწორედ მან დაბეჭდა „ფსევდოს“ ხელნაწერი, მთელი მომდევნო ვერსიებით. ათასობით გვერდი, ერთმანეთთან უთავიანოდ დაკავშირებული, სამი თვის განმავლობაში უუკარნახე, მან დაბეჭდა, შემდეგ შეეასწორე და მან ისევ დაბეჭდა. პოლი ვეღარ უძებნდა დაძაბულობას. მეც მის დღეში ვიყავი.

მაგრამ - the show must go on! (სანახობა უნდა გაგრძელდეს!) - შუა ფსიქოდრამაში, რომელიც ჩემს კონტროლს უსხლტებოდა, კიდევ ერთი რომანი დავწერე რომენ გარის სახელით - „ფრანგი“, რომელსაც, ჩვეულებრივ, ყველაზე ნათელ, მშვენიერ, სათუთ და თავშესაქცევ თხზულებად მიიჩნევენ.

იქნებ წინათგრძნობა მქონდა, რომ ის უკანასკნელი იქნებოდა.

ქალოშვილის გარდაცვალებიდან ცხრა წლის მერე, თითქმის იმავე დღეს, ჯინ სებერგმა თავი მოიკლა.

ამასობაში დიეგოს ძიძა კობოთი გარდაიცვალა. აშკარად ვჭირდებოდი ჩემს შვილს.

მაგრამ მის ვერსადგენს ვესაუბრე - ვწუნუნებდი მე - ბედისწერა ჩვენს წინააღმდეგე არის.

როდესაც ისე წამოიზრდება, რომ მესაუბროს, მე უკვე გარდაცვლილი ვიქნები. ვემორდები, ვიცი, ვიცი, ვემორდები.

რათა დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ ტყუილში არ გამომიჭირდნენ, დიეგო ხელოვნურად გავზარდე მოზრდილობის ასაკამდე - სრულწლოვანა მივანიჭე და გავთავისუფლე ჩვედმეტი წლის და არა თვარმეტი წლის ასაკში (სწორედ ასე მიყვარს ამ ამბის მოცოლა) - და დედამისის ზედაპირიდან გავქერი.

სამოცდაცხუნი. ქრისტეს ასაკზე როჯერ მეტი. სამყაროს ცოდვები და ტანჯვა ჩემს მხრებზე ვიტვირთე, მაგრამ არაფერ მაიპირებდა ჯვარზე გაკურს. რომენ გარი სამოცდაათი, ოთხმოცი, ოთხმოცდაათი წლისა? სასაცილოა. წარმოუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ როჯერ უკვე აღენიშნე, ბრწყინვალე ჯანმრთელობა მქონდა.

1980 წლის 2 დეკემბერს პარიზში წვიმდა. „რეკამიში“ ვისადილე ძველ მეგობართან და გამომოცემელთან, კლოდ გალიმართან ერთად და სიგარა მოვედი პირველად ბოლო სამი თვის განმავლობაში. ჩვენი ნელი ნაბიჯებით გავეშურე სენ-ჟერმენ-დე-პრეს ავენიუდან ბაკის ქუჩამდე, გზაზე შევეჩრდი და შევიძინე ნითელა აბრეშუმის პენუარი, - თავზე შემოვიხვიე, როდესაც ლოგინზე დავწვი; მხოლოდ ტრუსი მეცვა, ისიც ნითელი, რათა ლეილა საჭიროზე მეტად არ ამეფორიაქებინა.

ხომ გეცმით, არ მსურდა, რომ უშნოდ გამოსულიყო.

მაგრამ თურმე სისხლის ერთი ნვეთიც არ დაღვრილა.

გარი: დინევი!  
აჟარი: ავიზიზხი.

Out, out, brief candle! (გარეთ, გარეთ, სანთელი! - უშეკპირი, მაკებტი, აქტი 5, სცენა 5.)

ტინი უნდა დაიხას.  
ტყვია ყელში შეიჭრა.  
რომანი არ მომკვდარა.

1994

P.S. 2002  
ერთგვარად, თვით ის ფაქტი, რომ არსებობს დიდი ფრანგი მწერალი სახელად „რომენ გარი“, ამართლებს წინას; ეს გამოშახველად ანტიკაცებს იმას, თუ როგორ მოქმედებს ოცნებური რეალობაზე. მაგრამ გარდაცვალების მერე და რაც დრო გადის, თანდათან უფრო მეტად, გარი აღწევს მიზანს, რომელიც საკუთარ თავს დაუშავა - ამჯერად, თვითონ, და არა წინამ, - სახელდობო: იცოვხლოს, განაგრძოს ცხოვრება რაც შეიძლება მეტხანს, არა საუნივერსიტეტო კოლოკვიუმებსა და დისერტაციებში, არა მაღალი წრის დიალოგებში, ლიტერატურულ გადაცემებში, ყურნალებში, ენციკლოპედიებში - არამედ ადამიანთა გულეებში, რაც შეიძლება, მეტი ადამიანისა - როგორც მეგობარმა, ახლობელმა, ვინმემ, ვისთანაც შეიძლება განსაკუთრებული რუთები გაატარო, ვისაც შეგვიძლია გაუზიარო დიდი, და ვინც უსაზღვრო მოთმინებითა და კეთილგანწყობით მოვისმენს.

მირიამ ანისიმოვი

# რომენ გარის მითი

ფრანგულიდან თარგმნა მარინა ბალავაძემ



რომენ გარის 1977 წლის მაისში შევხვდი ტელევიზიის გადასაღებ მოედანზე, სადაც ჩვენს ნიგუნებზე სასაუბროდ ვიყავით მიწვეულები. იგი საოცრად თავაზიანი იყო ჩემ მიმართ, თუმცა მაშინ ძალიან ახალგაზრდა მწერალი ვიყავი. გადაცემის საყურებლად მასთან მისვლა შემომთავაზა და რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღე დავდიოდი ფინჯან ჩაიზე ბაკის ქუჩაზე.

მისი გარდაცვალებიდან ოც წელზე მეტი იყო გასული, როდესაც ლორ ადლერმა მთხოვა რომენ გარის ბიოგრაფიის დაწერა. პროექტის განხორციელება ერთად ვერ მოვახერხეთ და ჩემი ნიგნი გამომცემლობა გალიმარმა გამოსცა.

რომენ გარიმ ჩვენი ურთიერთობის დასაწყის-შივე მკითხა, მქონდა თუ არა ნაკითხული მისი ის ნაწარმოებები, რომელთაც საფრანგეთში წარმატება არ ჰქონიათ. „დიდი საკუჭნაო“ „ევროპა“, „ჩინგიზ კონის ცეკვა“, „ტიტა“.

პაველ პავლოვიჩს მასთან შევხვდი. ისე დამაჯერებლად ასრულებდა აუარის როლს, რომ ჟურნალისტებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ის ნამდვილი ემილ აჟარი იყო.

შეიძლება ჩემთან შეხვედრა გარისთვის ერთ-გვარად სახიფათოც იყო, რადგან ჩვენი საუბრებიდან მივხვდი, რომ იგი არ იყო ის ადამიანი, ვისზეც გაზეთები წერდნენ და ვინც არ უყვარდათ ლიტერატურულ წრეებში. მან მითხრა, რომ იტანჯებოდა, როდესაც არ აღიარებდნენ. მიხსნიდა, თუ როგორ იწყებდა ნიგნის წერას, რომ საღამოთი არასდროს იცოდა, რას დაწერდა მეორე დღეს.

„ხელოვნებაში ყველაფერი დასაშვებია მარცხის გარდა... თუ ხელოვნებას მარცხი არ მოსდევს, მისი ტყუილი გამართლებულია, როცა მარცხით მთავრდება, მაშინ ვერანაირი სიმართლე ვერ შეუშლის ხელს, იყოს უბადრუკი ტყუილი“ - ამბობდა ის. „რეალობა ყოველი მხრიდან მიტევა, ყველანაირად მთრფუნავდა, ყველგან საკუთარ საზღვრებს ვაწყდებოდი და ამიტომაც გამოვინებულ სამყაროში თავის შეფარებას და იქ ცხოვრებას მივეჩვიე, ჩემ მიერ გამოვანილი პერსონაჟების ზურგს უკან. ასეთი ცხოვრება უფრო აზრიანი, სამართლიანი და თანაგრძობითი სავსე იყო“ - წერს იგი „განთიადის დაპირებაში“.

გარი მუდმივ შემოქმედებით წვაში მყოფი



მხორბელი იყო, რომელიც დანერდა თუ არა პირველ ფრანკს, თავისუფლად მიიწვედა წინ ამოუცნობისკენ ყოველგვარი შეზღუდვებისა და *a priori*-ს გარეშე. მის ჟურნალზე *Preuves* სასაუბროდ მისულ ფრანსუა ბონდის, რომელიც მისი მეგობარიც იყო, გარის უთქვამს: „ხელოვანისთვის სინამდვილე ვერასოდეს იქნება რეალობა და სიცოცხლე კი ცხოვრება... ის, რასაც გასაოცარ რეალიზმს უწოდებენ, მხოლოდ რეალობის მძაფრი შთაბეჭდილებაა“.

იმ რომანების კითხვისას, რომელიც თავად მომცა და იმ რომანების გადაკითხვისას, რომელმაც სახელი გაუთქვა, ისეთი გრძნობა მეუფლემბოდა, თითქოს ეს ავტობიოგრაფიული ნაწარმოებები, სახალისო ამბები, მკითხველს რომ იტაცებდა, წარმოსახვითი პერიპეტეხები იყო. ამ გრძნობით გადავიკითხე მთელი მისი შემოქმედება და დავიწყე ჩემი კვლევები მისი ვაჟის, დიეგოს ნეპარტივი. მრავალრიცხოვანი და იშვიათი არქივის საფუძველზე, რომლის შეგროვებაც სამწლიანი კვლევა-ძიების შედეგად მოვახერხე, ეს გრძნობა უფრო განმობტვიცდა.

მისი შემოქმედება დაფარვა-გასაიდუმლოების ერთგვარი ხერხია. მაგრამ არა მხოლოდ. ბევრი რომანი თითქოს მრავალ ავტობიოგრაფიულ დაფარულ ელემენტს შეიცავს. ხშირად ეს საწარმოებელი ელემენტები რამდენიმე ერთმანეთისგან მეტად განსხვავებულ პერსონაჟშია მიმოფანტული. ამის დასახევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა სიმართლეა ცნობილი.

შენიღებული გარი წინ მიიწვედა და თვლიდა, რომ რამდენიმე ცხოვრებით ცხოვრობდა: განსაკუთრებით კი თავისი პერსონაჟების ცხოვრებით, რომლებიც მსგავსად დონ კიხოტ ლამანჩელისა, სტამბაში შესვლისას ოსტატეს ეკითხებოდა, თუ რა წიგნი იბეჭდებოდა და ელოდებოდა მის პასუხს: „დონ კიხოტ ლამანჩელის ისტორიას“.

ნაწარმოებში „სეზანარლისთვის“ ის წერს: „ფანტასტიკურ ნაწარმოებებში დარწმუნების უნარის გარდა არ არსებობს სიმართლისა და სინამდვილის სხვა კრიტერიუმი“. სურდა, რომ მისი მკითხველი ყოფილიყო, როგორც თვითონ უწოდებდა, „სუფთა ფრანგული წარმომავლობის ადამიანი“, როგორც თავად არ ყოფილა, თუმცა უანგაროდ უყვარდა საფრანგეთი. ამ უპირობო სიყვარულის გამოიხატველია დედამისი „განთიადის დაპირებები“.

იმავე წიგნში, გარემო ზუსტად იგივე ფორმით შექმნა მითიური რუსეთი თოვლით, მარხილებით, ოქტომბრის რევოლუციით. მას თავისი მკითხველის გატაცებისა და გულუბრყვილობის იმედს ჰქონდა და აღადგინა თავისი ბავშვობა და სიყვანვილე. კარგადაც ხომ გამოიყენა ქამელეონის იმ ფერის მიღების უნარი, რა ფერის ქსოვილზეც სვამიდა?

ჟურნალისტებთან მრავალი შეხვედრისას გარი არასდროს ამბობდა ბოლომდე სიმართლეს და ამას გამიზნულად აკეთებდა. ის მხოლოდ იმას ამ-

ბობდა, რაც საჭირო იყო იმისთვის, რომ ტყუილი საწარმოებში გამხდარიყო. ამ საუბრების დროს მოგონებები და შეთხზული ამბები მჭიდროდ იყო ერთმანეთზე გადაბმული, მათი თხრობის ღირებულების მიხედვით. რომენ გარი ბევრს ლაპარაკობდა და სიტყვათა ნაკადში მალავდა იმას, რაც მისი აზრით მთავარი იყო.

დედა აქტიურად მონაწილეობდა ამ გამოცენებებში და შვილს ლამაზ ზღაპრებს უყვებოდა, რაც შემდგომში „განთიადის დაპირება“ გახდა. გარის მითის შემუშავება ბავშვობიდანვე დაიწყო, როდესაც დედამისი აწმყოთი მანიპულირებდა და წინასწარმეტყველებდა თავისი ვაჟის დიდებული მომავლის ეტაპებს.

ვიტყუებით, როდესაც ფაქტებს იმისთვის ვალამაზებთ, რომ დედამისის ნაოცნებარს დავამსგავსოთ? ცრუობდა გარი საკუთარ თავზე საუბრისას? ის ყველაფრის შესახებ თორი იტყუებოდა. მისი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი, მაგალითად ომის პერიოდი, მხოლოდ ოდნავ იყო შეცვლილი. სამაგიეროდ, სხვა ეპიზოდები ან საერთოდ ამოშლილი, ან მთლიანად გადაკეთებულია.

გარი განზრახ ცრუობდა, თუმცა ამას ყოველთვის არ აკეთებდა. იყო მომენტები, როდესაც ტყუილი ხან საკუთარი სიცოცხლის ან ახლობლების სიცოცხლის გადასარჩენად სჭირდებოდა, ხანაც სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაზეც მზურვალად ოცნებობდა დედამისი. მან სინამდვილე იმისთვის შეცვალა, რომ უფრო მნიშვნელოვანი გაეხადა და იმისთვისაც, რომ მოკრძალებულად დასმარებოდა დედას წინასწარმეტყველების ახდენაში. დედის ოცნებების ერთგულებისთვის იგი უწრანლისტებს იმ ამბებს უყვებოდა, რაც დედას ეამებოდა. ყოველ შემთხვევაში, მას ასე სწამდა. სინამდვილეში იგი მორიდებული ადამიანი იყო, რომელსაც ერჩია სათუთი პიროვნება გამოეწვევი და მტკიცე პერსონაჟით ჩაენაცვლებინა.

გარი ყოველთვის შესანიშნავად აკონტროლებდა იმას, რასაც ამა თუ იმ თანამოსაუბრეს უზიარებდა. ინტუიტიურად გრძნობდა რის რისი ვაზინება სურდა და სწორედ იმას ამბობდა, რითაც შეცდომაში შეჰყავდა მსმენელი. მას ღრმად სწამდა, რომ სიმართლის დანერა ან მოყოლა ყველაფერს გაართულებდა. მან ცოცხალი, რომ დიდებსაც ბავშვებით უყვართ გამოიღონა ამბები. „ნუ მოჰყვები ყველაფერს ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა. უმჯობესია, მომხდარი ლეგენდად აქციო და სწორად შეარჩიო მის მოსაყოლად საჭირო ტონი“ („ღამე იქნება მშვიდი“).

მისი მკითხველი ტელე და ისინი, ვინც მის ლეგენდას რადიოთი თუ ტელევიზიით გადასცემდნენ, შეეგუვნენ შეთხზულ ამბებს და წინააღმდეგობრივ სიმართლეს. გარემო მოახერხა მითის შექმნა. მის მკითხველს სწორედ მითები სჭირდება. შესაბამისად, მის მსგავსად, ჩვენც, ასე თუ ისე, მეზღაპრეები ვართ.

რომენ გარი

# ჰუმანისტი

ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილეიშვილმა

1962 წელს „გალიმარმა“ გამოსცა რომენ გარის ნოველების კრებული „ჩიტები პერუში კვდებიან“. კრებულში შესულია 16 პატარა ნოველა. ნოველა „ჰუმანისტი“ ერთ-ერთია ამ კრებულიდან.



მაშინ, როცა გერმანიის ხელისუფლებაში ფიურერი ადოლფ ჰიტლერი მოვიდა, მიუნხენში ცხოვრობდა სათამაშოების ფაბრიკის მეპატრონე ვინმე კარლ ლოვი, სიცოცხლით სავსე, ოპტიმისტი კაცი, რომელსაც სწამდა ჰუმანურობის, უყვარდა კარგი სიგარები, სჯეროდა დემოკრატიის და თუმცა არიული არ ყოფილა, სერიოზულად არ ეკიდებოდა ახალი კანცლერის ანტისემიტურ გამონათქვამებს. დარწმუნებული იყო, რომ გონიერება, ზომიერება და სამართლიანობის ერთგვარი თანდაყოლილი გრძნობა, რაც ყველაფრის მიუხედავად, მაინც იყო გაერაცელებული ადამიანთა გულებში, სძლევდნენ დროებით გადახვევას სწორი გზიდან.

თანამომეები ხშირად აფრთხილებდნენ და სთავაზობდნენ მათთან ერთად წასულიყო ემიგრაციაში. შერ ლოვი გულიანად იცინოდა, პირში სიგარაგარჭობილი სავარძელი მოიკალათებდა და 1914-18 წლების ომის დროს სანგრებში შექნილ მეგობრებს იხსენებდა. ზოგი მათგანი დიდი კაცი იყო და საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად ამოუდგებოდა მხარ-

ში. სტუმრებს ჭიქა ლიქიორით უმასპინძლდებოდა, თავის ჭიქას ასწევდა და „ჰუმანურობის“ სადღეგრძელოს სვამდა. როგორც თავად ამბობდა, ძალიან სჯეროდა ადამიანების, მიუხედავად იმისა, ნაცისტის უნიფორმა ეცმებოდათ თუ პრუსიელის, ტიროლური ქუდი ეხურებოდათ თუ უბრალო მუშის კეპი. ფაქტია, რომ რეჟიმის პირველი წლები ჩვენი მეგობარი კარლისთვის არც ძალიან სახიფათო იყო და არც სამძიმო. ცხადია, იყო ცოტა შევიწროება, ცოტა წყენა. რადგან სანგრების მეგობრები თავმჯავებულად, მაგრამ მაინც მის სასიკეთოდ მოქმედებდნენ, შესაძლოა მისი ჭეშმარიტად გერმანული ხალისისა და სანდომიანი იერის გამოც, მისი ამბების ძიება ცოტათი დააგვიანდათ. მაშინ როცა ყველა, ვისი წარმომავლობაც სასურველია უკეთესი ყოფილიყო, გადასახლების გზას გაუდგა, ჩვენი მეგობარი მშვიდად ცხოვრობდა თავისი სათამაშოების ქარხნითა და ბიბლიოთეკით, თავისი სიგარებითა და სარდაფით გარემორტყმული. ამას ხელს უწყობდა მისი ურყევი ოპტიმიზმი და ნდობა ადამიანთა მოდგმის მიმართ. მე-



რომი დაიწყო და საქმე ცოტა წახდა. ერთ მშვენიერ დღეს თავხედურად აუკრძალეს საკუთარ ქარხანაში შესვლა, მეორე დღეს უნიფორმიანი ახალგაზრდები დატყვევებდნენ თავს და ძალიან უხეშად მოექცნენ. ბატონმა კარლმა ამას დაურყვა, იმას დაურყვა, მაგრამ „ფორტელი მეგობრები“ ტელეფონზე აღარ პასუხობდნენ. პირველად ეტყინა გული. თავის ბიბლიოთეკაში შევიდა, თვლი გადაავლო კედლის გასწვრივ ჩამწებულ ნიგნებზე, მერე დიდხანს შესცქეროდა მათ სერიოზული სახით. მთელი ეს შეგროვილი განძი ადამიანთა სასარგებლოდ მეტყველებდა, იცავდა მათ და ბატონ კარლს ევერდობდა, გული არ გაეტეხა, სასი არ წარუკვეთა. პლატონი, მონტენი, ერასმი, დეკარტი, ჰაინე, როგორ შეიძლება მათ არ ნდობოდა. მოთმინება უნდა მოეკრება, ჰუმანურიობისთვის დრო მიეცა თავის გამოსჯენად, ამ არეულობასა და გაუგებრობაში გასარკვევად და გასამართლებლად. ფრანგებს ამისათვის მშვენიერი გამოთქმა გააჩნიათ: „ადამიანის ბუნებრივი თვისებები კარიდან რომ გაავლო, ფანჯრიდან შემოვა“. დიდსულოვნება, სამართლიანობა, გონიერება ამჯერადაც გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ცხადი იყო, რომ ამას გარკვეული დრო დასჭირდებოდა. არც ნდობა უნდა დაეკარგა და არც ყურები ჩამოეყარა. თუმცა, ცოტა სიფრთხილის გაცოქება მაინც არ იქნებოდა ურიცხვად.

ბატონი კარლი სავარძელში ჩაჯდა და დაფიქრდა. ჩამრგვალებული, ვარდისფერილოცება კაცი იყო, სათვალეს ატარებდა. თითქოს, მისმა თხემმა ბაგეებმა ყველა მისი ნათქვამი ეკითხო სიტყვა შემოინახა. კარგა ხანს შესცქეროდა თავის ნიგნებს, სიგარეტის კოლოფებს, სასმელების ბოთლებს, მისთვის ახლობელ საგნებს, თითქოს მათ რჩევას ეკითხებოდა. მერე მზერა თანდათანობით გამოუცოცხლდა, სახეზე ეშმაკურმა ლიმილმა გადაურბინა. თხელი მინის ჭიჭა თავისი ბიბლიოთეკის ათასობით ნიგნისკენ ისე გაიშვირა, თითქოს თავის ერთგულებაში არწმუნებდა.

ბატონ კარლს ერთი ყოჩაღი მიუხედავად წყვილი ექსპურებოდა. ისინი უკვე თხუთმეტი წელი ზრუნავდნენ მასზე. ცოლი მნე და მზარეული იყო, საყვარელ კრძებს უწარაგებდა. ქმარი მძლოლად, მებადე და სახლის დარაჯად ჰყავდა. ჰერ შულცს ერთადერთი გატაცება ჰქონდა: ნიგნების კითხვა უყვარდა. ხშირად, საქმეს რომ მორჩებოდნენ და მისი ცოლი საქონლს მიუჯდებოდა, იგი საათობით ჩაჰკირკიტებდა ჰერ კარლისთან ნათხოვარ ნიგნს. მისი საყვარელი ავტორები იყვნენ გოეთე, შილერი, ჰაინე, ერასმი. ბალის ბოლოში ჩადგულ პატარა სახლში ხმაძილდა უკითხავდა ცოლს ამაღლებულ და შთაგონებით სავსე პასაჟებს. ხშირად, როცა ბატონი კარლი თავს მარტოვლად გრძობდა, მეგობარ შულცს თავის ბიბლიოთეკაში უხმობდა, სიგარას აბოლებდნენ და დიდხანს საუბრობდნენ სულის უკდავებაზე, ღმერთის არსებობაზე, ჰუმანიზმზე, თავიუხმობებასა და იმ მშვენიერ რამეებზე, მათ გარშემო ჩამწკრივებულ ნიგნებში რომ ამოეკითხათ და რომელსაც მადლიერებით გადახედვან და ხოლმე.

სწორედ მეგობარი შულცსა და მისი ცოლისკენ გახდა ჰერ კარლმა იმ სიფათიან დროს. ერთი კოლოფი სიგარები და ბოთლი შნაპსი ნაილი და ბალის ბოლოში მდებარე პატარა სახლისკენ გასწია, მეგობრებს თავისი გეგმა გაუზიარა.

მეორე დღესვე ჰერ და ფრაუ შულცები საქმეს შეუდგნენ.

ბიბლიოთეკაში ხალიჩა აკეცეს, იატაკი გახვრიტეს და სარდაფის ჩასასვლელი კიბე ჩადგეს. სარდაფის ძველი შესასვლელი ამოქოლილი იყო. ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი და სიგარეტის კოლოფები სარდაფში ჩაზიდეს. ღვინო და ლიქიორები უკვე ჩატანილი იყო. ფრაუ შულცმა სამალავი ყველა შესასვლი კომფორტით მანაყო და რამდენიმე დღეში სარდაფი პატარა, მყუდრო, კარგად გამართული ოთახად აქცია. იატაკში გაკეთებული ხვრელი გულდასმით დაფარეს კარგად მორგებული ფილით. ზედ ხალიჩა გადააფარეს. მერე ჰერ კარლი უკანასკნელად გავიდა ქუჩაში ჰერ შულცთან ერთად რაღაც საბუთების მოსაწესრიგებლად. თავისი ფაბრიკა და სახლი კონფისკაციისგან რომ ესხნა, ფიქტურად გაყიდა. სხვათა შორის, ჰერ შულცმა დაიფინა მისთვის გადაეცა საბუთები და მათი გამაბათილებელი აქტი, რომელიც, როცა საამისო დრო დადგებოდა, კანონიერ მეპატრონეს საკუთარი ქონების დაბრუნების საშუალებას მისცემდა. მერე ორი თანამშრომლები შინ დაბრუნდა. ჰერ კარლს ბაგეზე ეშმაკური ღლილი დასათამაშებდა, კარგად დროის დაბრუნებას უსაფრთხოდ რომ დალოდებოდა, თავის სამალავში ჩავიდა.

დღეში ორჯერ, შუადღისას და საღამოს შიდა საათზე ჰერ შულცი ხალიჩას ასწევდა, ფილას ამოიღებდა და მის ცოლს სარდაფში გემრიელად მოშადებულ უბრალო კერძი და ბოთლი კარგი ღვინო ჩაჰქონდა. ჰერ შულცი ყოველ საღამოს ჩადიოდა თავის დამსაქმებელსა და მეგობართან რაიმე ამაღლებულ საკითხზე, ადამიანის უფლებებზე, შემწყნარებლობაზე, სულის მარადიულობაზე, კითხვისა და აღზრდის სიკეთეზე სასაუბროდ და პატარა სარდაფს ამ დიდსულოვანი და შთაგონებით სავსე საუბრისგან ბრწყინვალე ემატებოდა.

თავიდან ბატონი კარლი ვახუთებსაც აზიღვინებდა, გვერდით რადიომიმღებიც ედგა, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ, როცა ახალი ამბები სულ უფრო და უფრო უემედო გახდა, ქვეყანა კი დასალუპად განწირული აღმოჩნდა, რადიო მოახსენებინა, რათა ახალი ამბების ხანმოკლე გამოძახებლს არ შეერყია ის ურყევი რწმენა, რომელსაც ჰუმანიზმის მიმართ ინარჩუნებდა. გულხელდაკრეფილი, ბაგეზე ღლილით, მტკიცედ დგა თავის რწმენაზე, უარს ამბობდა ყოველგვარ შემთხვევით და უმომავლო კავშირზე. ვახუთების კითხვასაც თავი ანება და თავისი ბიბლიოთეკის შედგენების კითხვით დაკმაყოფილდა. კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მარადიული სძლევდა დროებით და ეს რწმენის შემარწმუნებლად ეხმარებოდა.

ჰერ შულცი და მისი ცოლი დაბომბვისგან სასწაულოთი გადარჩენილ მის სახლში გადავიდნენ. ფაბრიკაში ჯერ ცოტა პრობლემები ჰქონდა, მაგრამ საბუთები გააჩნდა, რომელიც ჰერ კარლის საზღვარგარეთ გაქცევის შემდეგ მის კანონიერ მეპატრონეობას ამტკიცებდნენ.

ხელოვნურ განათებაზე ცხოვრებისა და სუფთა ჰაერის უკმარისობის გამო ჰერ კარლმა კიდევ უფრო მოიმატა ნონაში. ნღების მანძილზე მისმა ლოცებამც დაკარგეს ფერი, მაგრამ მისი ოპტიმიზმი და ადამიანებისადმი რწმენა ურყევი დარჩა. სარდაფში თავი ყო-

ჩაღად ეჭირა და ელოდა, რომ სულგრძელობა და სამართალი იზეიმებდნენ დედამინაზე და თუმცა ამბები, რომლებიც მეგობარ შულცს გარესამყაროდან მოჰქონდა, ძალიან ცუდი იყო, ის მაინც გულს არ იტყვდა.

ჰიტლერული რეჟიმის დამარცხებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, შილერმეტრასეზე, ჰერ კარლის სახლის კარზე ერთმა ემიგრაციიდან დაბრუნებულმა მეგობარმა დააკაუნა.

კარი მოსული ტანის, ბეჭებში ონდავ მოხრილმა ჭალარა კაცმა გაულო. ხელში გოეთეს წიგნი ეჭირა. არა, ჰერ ლოვი იქ აღარ ცხოვრობდა, არც ის იცოდნენ, რა მოუვიდა. არავითარი კვალი არ დაუტოვებია და ომის შემდგომი ყოველგვარი ძიება უმედეგო აღმოჩნდა. კარგად ბრძანდებოდეთ! კარი დაიხურა. ჰერ შულცი სახლში შებრუნდა და ბიბლიოთეკისკენ წავიდა. ცოლს უკვე მოეზადებინა ლანგარი. ახლა, როცა გერმანიაში სიუხვე დაბრუნდა, ქალი ჰერ კარლსაც ანებიერებდა და უგემრიელეს კერძებს უზმადებდა. ხალიჩა აკეცეს, იატაკიდან ფილა ამოიღეს. ჰერ შულცმა გოეთეს ტომი მაგიდაზე დადო და სინით ხელში სარდაფში ჩავიდა.

ჰერ კარლი საკმაოდ დაუძღურდა. ფლებიტი სტანჯავდა. მეტიც, გულმა უღალატა, ექიმი იყო საჭირო, მაგრამ შულცებს ასეთ საფრთხეში ვერ ჩააგდებდა; დაილუპებოდნენ, თუ გაიგებდნენ, რომ ისინი წლების მანძილზე ჰუმანისტ ებრაელს მალავდნენ სარდაფში. საჭირო იყო მოთმინება, ეჭვის აცილება; სამართლიანობა, გონიერება და ბუნებრივი სულგრძელობა მალე გაიმარჯვებდნენ. მთავარი

იყო, გული არ გაეტყვა. მართალია, ბატონი კარლი ძალიან მოწყდა, ოპტიმიზმს მაინც არ კარგავდა ადამიანების მიმართ ურყევი რწმენა შემორჩა. ყოველდღე, როცა ჰერ შულცი სარდაფში ცუდი ამბებით ჩადიოდა - განსაკუთრებით შოკისმომგვრელი იყო ჰიტლერის მიერ ინგლისის ოკუპაცია, - ჰერ კარლი ამხნევებდა და რამდენიმე კეთილი სიტყვით ცდილობდა მის გახალისებას. არენებდა კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ წიგნებს და არწმუნებდა, რომ საბოლოოდ მაინც ჰუმანიზმი გაიმარჯვებდა, რომ ასე, ამ რწმენით შეიქმნა უდიდესი შედეგები. ჰერ შულცი სარდაფიდან მუდამ გულდაშემიღებულნი ამოდიოდა.

სათამაშოების ფაბრიკა მშვენიერად მუშაობდა. 1950 წელს ჰერ შულცმა შეძლო მისი გაფართოება და საქონელბრუნვის გაორმაგება. საქმეს ცოდნით ეკიდებოდა.

ფრანუ შულცს ყოველდღე ჩაჰქონდა ცოცხალი ყვავილების თაიგული ჰერ კარლთან და სასთუმალთან უდგამდა. ბალიშს უსწორებდა, ეხმარებოდა გადაბრუნებაში, კოვზით აჭმევდა, რადგან საკუთარი ხელით ჭამა აღარ შეეძლო. ახლა უკვე ძლივს ლაპარაკობდა; მაგრამ, ზოგჯერ თვალები ცრემლით ევსებოდა, მაღლიერების გრძნობით შესცქეროდა ამ კეთილ ხალხს, რომლებმაც მისი ნდობა და საერთოდ, მისი რწმენა ადამიანებისადმი გაამართლეს.

იგრძნობოდა, რომ ბედნიერი წავიდოდა იმ ქვეყანას, თავის ერთგულ მეგობრებზე ხელიხელჩაკიდებული და კმაყოფილი, რომ ყველაფერს სწორად ხედავდა.





რომენ გარი

# ღამე იქნება მშვიდი

ფრანგულიდან თარგმნა მერაბ ფიფია

„ღამე იქნება მშვიდი“ - უნიკალური ფსევდონიმით, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლასიკოსის ალსარება. სამხედრო მფრინავი, მეორე მსოფლიო ომის გმირი, საპატიო ლეგიონის კომანდორი რომენ გარი ერთადერთი ფრანგი მწერალია, რომელიც ორჯერ დაჯილდოვდა ძმები გონკურების სახელობის ლიტერატურული პრემიით; პირველად ეს პატივი მწერალს ერგო რომანისათვის „ცის ფესვები“. მაშინ პუბლიკისათვის ის რომენ გარად იყო ცნობილი; მეორეჯერ კი ნიჟინსათვის „ცხოვრება ნინაა“; ამჯერად ის საზოგადოებას გაეცნო როგორც დამწყები ლიტერატორი - ემილ აჟარი. 60 წელს მიღწეული დიდი მისტიფიკატორი, რომელიც მუდამ სხვადასხვა ფსევდონიმით ევლინებოდა მკითხველს (გარის ნამდვილი გვარ-სახელი რომან კასევია), გადაწყვეტს, „გაეხსნას“ მკითხველს მეგობართან და ყოფილ კლასელთან ფრანსუა ბონდისთან გულწრფელ საუბარში. თუმცა ესეც მორიგი მისტიფიკაციაა: აქ გარი არა მარტო საკუთარი პასუხების ავტორია, არამედ თანამოსაუბრის კითხვებისაც. ფრანსუა ბონდი არაფერ შუაშია, მან მწერალს მხოლოდ საკუთარი გვარ-სახელის გამოყენების უფლება მისცა. მწერალი უმცაგრეს მიკერძობულ დაკითხვას უწყობს თავის თავს და საკუთარი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპებზე გასაოცრი გულწრფელი თქვითვები დახურულ კარს მიღმა, საკუთარ წარმოშობაზე, დედაზე, შემოქმედებით პროცესზე, სიყვარულზე... ბევრი მისი განმარტებაში დღეს თავისუფლად შეიძლება წინასწარმეტყველებად აღვიქვათ.

„არალი“ 1974 წელს გამოქვეყნებული ნიჟინის იმ ნაწილს ვთავაზობთ, სადაც ავტორი ყოველგვარი მიკებ-მოკიბვის გარეშე პოლიფულზე, ჩვენთვის კარგად ცნობად კინომოღვაწეებზე, მსახიობებზე და კინოინდუსტრიაზე თითქმის დაუჯერებელ ამბებს გვიზიარებს. ეს ის პერიოდია, როცა რომენ გარი ლოს-ანჯელესში საფრანგეთის გენერალურ კონსულად მუშაობდა.



**ფ.ბ.-ლოს-ანჯელესში გენერალური კონსულის მოვალეობების შესრულებას როცა შეუდექი, პირველი ოფიციალური ვიზიტი კარდინალ მაკინტიარს მიაგე. შენი აზრით, ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭო?**

**რ.გ.:** ეს წმინდა წყლის პროფესიული ვიზიტი იყო. კარდინალი მაკინტიარი, ყოფილი ბიზნესმენი და ღვთისმსახურებაში თავით ფეხებამდე გადაშვებული ბანკირი, კათოლიკური ეკლესიის ყველაზე ფხიანი მმართველი დამდგარიყო შეერთებულ შტატებში. წარსულში შექნილ საბანკო გამოცდილებას, ერის სულიერი მამის ავტორიტეტს და პირნა-ვარდნილი რეპუტაციონერის რეპუტაციას მისთვის კალიფორნიის საქმიან წრეებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენის სრული უფლება მიენიჭებინა; ჩვენი პრესტიჟი კი იმხანად ყველაზე დაბალი მაჩვენებელს უტოლდებოდა და ეს თვალნათლივ ჩანდა თითქმის ყველა კომერციულ მილაპარაკებაზე. 1956 წელს ჩვენ „ევროპის სწულს სხეულად“, ინფიცირე-

ბულ ადამიანად მოგვიხსენიებდნენ, რომელსაც უნდა მოერიდო. მოკლედ, ავდექი და ვეახლე მაკინტიარს, რათა მისთვის ცოტა პირი მომექონა, ცოტაც მოვფერებოდი და მოვლაქუცებოდი. იცო, რა მატაკა იმ წუთასვე? განმარტებაც მოაყოლა, ეს ინფორმაცია ამერიკელმა ბიზნესმენებმა მომანოდესო, მართლა კრემლის აგენტი იყო თუ არა გენერალი დე გოლი და მართლა ამზადებთ თუ არა გენერალი კენიგი მუტის? მეგობარო, მე შენ ახლა ისტორიულ ჭეშმარიტებას გაზიარე. შეკითხვა ნამდვილად ასე უღერდა, ზუსტი ციტირებაა, არც არაფერს ვამატებ და არც არაფერს ვაკლებ. ეს ის შეკითხვაა, რომელიც 1956 წელს ამერიკული ეკლესიის ყველაზე ძველ-ვამოსილმა პრელატმა დამისვა. აჰან კიდევ ერთხელ განმიმტკიცა მოსაზრება, ყველა დროის ყველაზე ძლიერი სულიერი ძალა სიბრწყინაა. მაკინტიარის ამ „უტყუარმა ინფორმაციამ“ სულ მალე გაიკვდა გზა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ყოველკვირული ჟურნალისკენ „ლაიფ“ და მოგვიან-



ბით საფუძვლად დაედო ლეონ ურისის მიერ ვაშინ-გტონში მოღვაწე კონტრდაზვერვის ყოფილი თანამშრომლის მიერ მონოღებულ „უტყუარ მასალაზე“ დაყრდნობით გამოცხადებულ ბესტსელერს „ტოპაზი“. იმედი მაქვს, არ გააკვირვებ, თუ ვეტყვი, რომ ეკლესიის პრინციპთან ამ ღირსახსოვარი შეხვედრის შემდეგ რაღაც მთავრად ვიზიტის ღირსად გრაუქო მარქსი მივიჩნე. დიახ, გრაუქო მარქსი, რომელუ.კ. ფილდსთან ერთად ამერიკული კინოსა და ბურლუკის ერთ-ერთ ბუმბერაზ ნარმომადგენლად მესახება. რაც მართალია, მართალია, ეს იყო დაუვიწყარი ვიზიტი და ვეტყვი, რატომაც. შლაპით ხელში გამოცეცხადე. სახეზე ნეტარი ღიმილი მოქონდა გადაფენილი. გრაუქომ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოეხდინა, მის მიმართ ჩემი დაფრთხილება ფეხქვეშ გაეთელა. ამ ტექნიკას, სხვათა შორის, სწორად რომ მას დავესტუმრონო მანძი „დანაშაულებრივი დღესასწაული“, როცა მატრივე ხასიათს ვეერწავდე; ადამიანისა, რომელიც ტიულ უპატრივემობასა და გულგრილობას იჩენს ყველაფერის მიმართ, რასაც გულის სიღრმეში პატრივეს სცემს. გრაუქოს მზერა ერთდროულად მედიტაციური და ღვარძლიანი მეჩვენა. აი, ისეთი, ყველაზე სუსტ, ყველაზე მონყვალად ადგოს რომ ეძებს, რათა ადვილად ჩაეცხოს ბანდერილია და ადგილზევე გაგათავოს. მოკლედ, ჩემთან შეხვედრისას გრაუქომ, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, პროვოცირების ხელოვნების მწვერვალს მიაღწია. დამსჯა, ზეთისხილით სავსე ლამაზი გადმომანოდა და მითხრა: შერგეთ ზეთისხილი (ზეთისხილი ფრანგულად ჟღერს როგორც „ოლივი“), ჩემი მეუღლე ოლივიე კი არა, არამედ, აი, ერთ-ერთ ამ ზეთისხილთაგანი. ენაკვიმატობისა და გონებამახვილობისა, დამოთანხმებით ალბათ, ამ გამოსვლაში ვერაფერი ვიპოვე, მაგრამ თანავარძობის გამო „პა-პა“ მაინც აღმოჩნდა. გრაუქოს სახეზე კმაყოფილება გადაეფინა, მზერით კი თითქოს ჩუმად მეუბნებოდა: „უბედურო, საწყალო, არარაობა!“ „დილომატი ბრძანდებით?“ - დაინტერესდა. დიახ-შეთი, ვუპასუხე. ვგრძნობდი, რომ სასაუკროდ გამომიანვევდა, გონებამახვილობაში გაბრწყინებას ეცდებოდა და მარავიდან ყველა მარგალიტს დააძრობდა, ცხადია უფერულსა და უმიღამოს, რათა ფეხქვეშ გაეგვედა და გავეთელე. „დილომატიური ფოსტის მეშვეობით იმპორტს ემსახურებთ თუ ექსპორტს?“ არ დავახანე და მის ამ „ხუმრობას“ ხმაშალაღი „პა-პა-პა“ მოვაყოლე. კმაყოფილმა გადმოხედა, შემდეგ კი ზიზღითა და ღრმა სიძულვილით აღბეჭდილი მზერით ჩემს მისხალ-მისხალ თვალიერებას შეუდგა. ცოტა ხნით დივნზეც გაიშლართა და მითხრა: „ჩემი ცოლი ვასულია, თქვენ სიულ ტყუილად ლეონზეთა თავი“. მე, რა თქმა უნდა, სიცლისგან შიშის ნაწლავები გადაემხლართა. „როგორც ჩანს, ჩემს მულს იცნობ“. მისი მული დი იზანად ჰოვარდ ჰოკისის მეუღლე გახვდართა. სწორედ მან მომიხერხა გრაუქოსთან შეხვედრა. როცა სიცლისა და ოუმობის ნაშენილი პროფესიონალის გვერდით იმყოფები, ბუნებრივია, რომ სულ კბილები გაქვს გადმოყრილი; გაიხსენეთ, რას ქადაგებდა პავლოვი ამ მიდრეკილების შესახებ. მოკლედ, დის ხსენებაზე სრულიად უმიზეზოდ ხმამა-

როგორც კი ფეხში ჩადგა ქვეყნის ახალი მთავრობა, მოძლა და ძალა იგრძნო, მიუნონა თავი. იფიქრა: ეს ძველი ხელისუფლება ხომ დაჯანჯარცხე მიწას, ახლა ვნახავ, ფეხზე ვინ გადამიჩრაო! დაერივნენ ფულიან ტომრებს, სულ სახლებიდან გამოათორიეს, ჩამოაბრიგინეს კიბეებზე და გადმოაპირქვევეს საკუთარ ხაზინაში. ხალხის გულიისგასახარი სცენები დადგეს, ანახვეს, თუ როგორ უნდა გაუსწორდე მიწინააღმდეგეს, მითუმეტეს, ფულიანს. ტელეგადაცემებით შემთვრალ ხალხს ეგონა, მათ ცარიელ ჯიბეებს შეემატებოდა რამე, მაგრამ მხოლოდ სალანძღავი სიტყვების ლექსიკა გაიძლიერა. „კორუმპირებული“ ხალხმა არ შეითვისა. ამ სიტყვას მხოლოდ ქვეყნის ახალი უფროსი ხმარობდა თავის ყოველდღიურ ტელეგამოსვლებში. ქვეყნის ცხოვრება დაეშვა პიესას, რომელშიც მთავარი გმირი ხალხის ოცნებებს და ვნებებს საკუთარ თავში ახორციელებდა: მიდდარი, მაძღარი, - ბასილევსი.

გაცუცურაკებულ ხალხს მთვრალივით ბოდიალი რომ არ დაეწყო, ძალოვნები შეუწყნეს მხარში. შედეგი ის იყო, რომ ფუნთუშის შეხედვა, მოპარვას

გაუთანაბრდა, კაცს, ჩხირი რომ ჭეროდა ხელში - ხე მოჭერი, შე ნაძირალაო!..

შესაძლოა ქრონოლოგიას ზუსტად ვერც მიჰყვე, იმდენად კალიედესკოპური სიჭრელე იყო დევებთან ბრძოლისა. მძლე ხელისუფალი ყოველდღე ვიღაცას ამარცხებდა, და, ომგადახლები, ტელევიზიით თავმდაბლად უყვებოდა ხალხს თავის გამირობის ამბავს.

მანვე გააუღერა კორუფციასთან და ქურდობასთან დაწყებული კამპანია და მისი კეთილი დასასრული.

ხელისუფლებამ ხავერდოვანი ტაქტიკა არჩია: დაიბარეს კანონიერი ქურდები და უთხრეს - ერთ ქარქაშში ორი ხმალი ვერ გამოართვო, უნდა დატოვოთ ქვეყანა და სხვა სივრცეები ათვისოსოთ. - ვიღალობთო, უთხრეს. თქვენი იყოს ახლა ეს მიძიმე ტყირთიო, მშვიდობიანად გაცვილდებითო. - კიდევ ერთი შევგისრულეთო! - რაო? - ამას თქვენს ქურდულუხუცესს ვკითხავთო! - კიბატონოო!.. გაბრძანებულეს კანონიერი ქურდები მოსაცდელში.

მთელი საათი გასროლის ხმას ელოდნენ გარინდებულები, მაგრამ კარი გაღებულა და სიცილით გულნაჯერებ სახეებს გამოუნათებიათ. შესაბამისად, კანონიერ ქურდებს სალსალმათებს დაუტოვებიათ რეზიდენცია და კრება რესტორანში გაუგრძელებიათ.

მანამდე კი ერთ ნინმსწრებ ფაქტს ჰქონდა ადგილი: კანონიერი ქურდები თავ-თავისი მანქანებით

მისრილ...  
ქურდულ...  
თი მანქან...  
საცდელში...  
ვამს: უზუ...  
დაო! ამ...  
ერთ-ერთ...  
ვასწროთ...  
გავასუფ...  
მართლია...  
რამ ერია...  
ლენილი...  
ინტივიცი...  
როგორი...  
ასეთი გან...  
მიანებს, რ...  
მართ...  
ცავების...  
მოდი, სან...  
ნეთი, გან...  
ზიაროთო...  
კანონ...  
ბით დამ...  
ტიკა.

სამარ...  
მანეთს ც...  
მაგიე...  
გაირკვა...  
ნია, ქურ...  
ქურდის...  
ისედაც...  
ხურებს...  
ქურდობ...  
ხეუზე უ...  
ამიტ...  
როცა ქ...  
სი საყვარ...

ბედნი...  
და არა ის...  
- ნავე...  
გომორში...  
ბრძენმა...  
- ცოცლ...  
მით...  
უნდა გა...  
საერთაშ...  
პირე...  
შირი? მ...  
გახლდა...  
- საღამ...

მაგრ...  
ნიმერში...  
ვებული...  
ამ ზონა...  
ამიტ...  
გავერც...  
ლებს გა...  
განს...



მისრიალდნენ სამართალდამცავის კარზე, მხოლოდ ქურდთუხუცესი და მისი მომდევნო მოვიდნენ ერთ მანქანით. მომდევნოს, სამართალდამცავის მოსაცდელში რომ ისხდნენ გაბურთულები, შიშით უთქვამს: უხუცესს თან ჩვენი კლიენტების სია ჰქონდა! ამ ცნობამ საერთო რისხვა გამოიწვია, თქვა ერთ-ერთმა, რაკ უჩვენოდ იმოქმედეს, მოდი, დაგასწოროთ და ამდამიდრ ვიდრე გაფერენამდე, ჩვენ გავასუფთაოთ კლიენტებიო. ნათქვამმა ყველას სამართლიანი შურისძიების სურვილი აღუძრა. მაგრამ ერთა მათ შორის ერთი, სხვა პროფესიიდან მოვლენილი, ბრძენი და სამართლიანი, არაადამიანური ინტუიციით დაჯილდოებული. მან თქვა: გაიხსენეთ, როგორ ბედნიერები დაბეშვიდობნენ ერთმანეთს, ასეთი განათებული და ბედნიერი სახეები აქვთ ადამიანებს, რომლებმაც ერთმანეთს სული გაუზიარეს. მართლაც: გამოთხოვების წინ სამართალდამცავების უფროსმა ქურდთუხუცესს შესთავაზა, - მოდი, სამ-სამჯერ ზურგით წამოვიკიდოთ ერთმანეთი, გადავწონ-გადმოვწონოთ და სულები გავიზიაროთ.

კანონიერი ქურდებისთვის უცხო იყო ცოდვებით დაძმობულ ხალხში მიღებული ასეთი პრაქტიკა.

სამართალდამცავმა და ქურდთუხუცესმა ერთმანეთს ცოდვები გაუზიარეს.

მაგიერში, ორივენი ჯოჯოხეთში რომ ჩასვეს, გაირკვა: სამართალთუხუცესს მეტი ცოდვები ჰქონდა, ქურდთუხუცესს კი - მეტი შიში. მაგრამ რაკი ქურდის შიში რისკთან არის დაკავშირებული და ისედაც სულ ცეცხლი უკიდია, მეტ შეღავათს იმსახურებს ჯოჯოხეთში, ვიდრე ის, ვინც ურისკოდ ქურდობს. მაგრამ ცოცხალი ადამიანი ხომ ჯოჯოხეთში უარესია:

ამიტომაც გაიხსმა სროლის ხმა სწორედ იმ წამს, როცა ქურდთუხუცესმა ბაგებთან მიიტანა თავისი საყვარელი ღორის მწვადის წილობი.

ბედნიერია, ვინც არის ისეთი, როგორც არის და არა ისეთი, როგორც გახდება.

- ნავედი მე, სიცოცხლის საძებრად! - გაიხურა გომურის კარი სხვა პროფესიიდან მოვლენილმა ბრძენმა და თქვა ვარსკვლავიან ცის დამონებმაში: - ცოცხლებში მხოლოდ სიკვდილია.

მით უფრო, რომ მართლაც ექსტრემოდა. ხვალ უნდა გავფრენილიყო ნეიტრალურ ქალაქში და ორ საერთაშორისო კონფერენციას დასწრებოდა.

პირველის სახელი იყო „პოეტთა დახურული კავშირი“, მეორე კი რეალურად კონფიდენციალური გახლდათ. ერთი კონფერენცია დილას იყო, მეორე - საღამოს.

მაგრამ რაკი იმ სივრცის ერთ-ერთ სასტუმროს ნომერში, რომელიც ჩემი ფულით მქონდა დაქირავებული, მთვრალმა სივარტე მოვნიე, დედამინის ამ ზონაში შესვლა ამეკრძალა.

ამიტომ, იძულებული შევიქნენი ბუზურას სახით გავფრენილიყავი და მხოლოდ აეროპორტის ფარგლებს გარეთ მიმეღო ადამიანის სახე. განსხვავებულ კონფერენციებზე ერთი და იგი-

ვე სიტყვა წარმოვთქვი. განგებ ჩავიდნენ ეს თუ რა-ღაც განგებთ, აზრზე არა ვარ.

**სიტყვა თქმული „პოეტთა დახურული კავშირის“ საერთაშორისო კონფერენციაზე**

„მგელი არის ჩვენი ტოტემი. მგელი არის ჩვენი თანამომქმე. - რატომ?

მგელი გახლავთ იმ სამეულის წევრი, რომელიც არ განინერტენება.

ნათქვამაც არის ჩვენს მითოლოგიაში: „სამი არ განინერტენება, მგელი, არწივი, კაი ყმა!“

სხვისი ყველას მიჩვევა შეიძლება. იმიტომ, რომ წუთისოფელში ბევრი საკენკი ყრია წუთისოფლის შვილებისათვის.

რაკი „მიჩვევა“ ვთქვი, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ იმავე ჩვენში, ანუ კავკასიონის კალთებზე მცხოვრები ერთ-ერთი ტომის მკვიდრ ხალხში, გარეული მტაცებელი ფრინველ-ცხოველისთვის მრავალგვარი საფანჯა აქვთ მოგონილი, მათ შორის მგლისთვისაც. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს საფანჯში გაბმული მგელი ენახოს. თითო-ორიჯერ შემთხვევაა საუკუნეში, როცა, მგელი არა, მაგრამ მისგან მოჭმული და გადაღლილი თათი ნახეს საფანჯში, რაც, რა თქმა უნდა, თავიანთ დაცინვად უფრო ჩათვალეს ვიდრე მგლის ზარალად. მგელი არ განინურტენება!

არწივი არ განინურტენება. „არწივთა ნაბუღარი“ - კარგი, სახელოვანი ვაჟკაცების ადგილ-სამყოფელი. „არწივის თესლი“ - სანაქებო, ვაჟკაცური ჯიში, მოდგმა.

იმავე ტომის ხალხში ყველასა აქვს სახლის ახლოს მონყობილი „საჩვევა“ - რაც თარგმანებით მტაცებელი ფრინველის მისაბყუებლად დაყრილ მარცვლეულის მახედ მოიზარება... რასაც ასევე ადასტურებს მეღელქის ნათქვამი: „ოქვენ ხო წუთისოფელს ეძახთ საჩვევაზე დენასაო!“

კაი ყმა არ განინურტენება! მისი ტოტემი - მგელია.

აი, მგლისური ეპითემები, რომლებიც საუკუნეებში კაი ყმისთვის მგელზე შეიქმნა:

„მგლის სულიანი“ - მგლური თვისებების მქონე, მამაცი, უშიშარი.

„მგელგაზიანი“ - ყოჩაღი, სწრაფი, მოქნილი. გაზი - მტაცებელი ფრინველ-ცხოველის კლანჭი.

„მგლის დაგაზული“ - კარგი ვაჟკაცის მიერ მოკლული.

„მგლის კვალი“ - კარგი ვაჟკაცის ნაკვალევი.

„მგლის ლეკვი“ - კარგი ვაჟკაცის შვილი.

„მგლისმუხლა“ - დაულალავი მუხლის მქონე.

„მგლის მხარი“ - კარგი ვაჟკაცის მხარი.

„მგლური ნაბიჯი“ - მსუბუქი და მოკლე-მოკლე

ნაბიჯით სიარული. „ბებერის მგლის ომს უზამს“ - ისე შეგებძოლება, როგორც ბებერი მგელი.

მთელმა განათლებულმა სამყარომ იცის, რომ ბუნებაში - ტყეში, ველებზე, ტალღებით ბორცვებზე, - სადაც კი სახლობენ ორჩილიქიანები - სძოვებს ბალახი, წყალს სვამენ, კერძობენ, - რადგან ესაა მათი არსებობის თავი და ბოლო, მგელი რომ არა, უანგი შეჭამდათ, როგორც გაუშლელ მამბარას. ამიტომაც, რომ მგელზე ამინისტია გამოცხადდა, დაივიწყეს, „ხარბი“ რომ იყო და „გაუშამდარი“.

მაგრამ მგლის მეტაფორა უფრო გამძლეა, ვიდრე მისი არსებობა, ვიდრე ცვალებადი სინამდვილე.

ჩვენ ყველანი ბავშვობაში ჩადენილი საქციელებიდან ვართ, თუმცა იქიდან ბევრი არაფერი დარჩა, გარდა სულისა, რომელიც იქიდან იწყება. მე, მაგალითად, აღარც კი მახსოვს იმ ბრტყელტუჩას ფერი, რომელიც უცხო მანქანის კაპოტიდან ავიღე. ჯერ ერთი, მიმიზიდა, ამას გარდა, ვიგრძენი, რომ ის ახალ პატრონს ეძებდა. და განა ახლაც იგივეს არ ვანიცხადებ, როცა რაიმეს მოვიპოვებთ? იმიტომ, რომ ჩვენნი ცოცხალია აკრძალულისა და გაბედულების ნეტირება. განა დამავიწყდება ბავშვობის ის განცდა, სასადილოს მეტუფეტის ცარიელი ბოთლების გატანა-დალაგებაში რომ ვესმარებოდი და პურს ვიპარავდი. ოთხკუთხა ბლოკით დიდი პურები იყო, მეტუფეტე ჯერ შუაზე ყოფდა და მერე ნაჭრებდა. სანამ ნაჭრებდა დაკუნვას დაიწყებდა, სანამ გადი-გამოდოდა, მე შიდა მხარეებს ჩემთვის ნაჭრებს ჩამოვაკეცავდი, ერთმანეთისთვის რომ მიგეყო ის დიდი ნახევრები, ისევე მთელი გამოვიდოდა.

ბებიჩემი მეტუფეტეს ლოცავდა, თვალწინ ხედავდა თაროებზე დალაგებულ პურებს და ბედნიერი იყო, რომ ისეთ სამთხვეში მიმეცლებოდა.

იქ, სასადილოს კულისებში ტრიალმა ბევრი მასწავლა. სიტყვა-პასუხის, საგნების განლაგების წესი, როდის, სად და რანარად ინახავს ადამიანი ისეთს, რაც სხვამ არ უნდა გაიგოს. მე დავაფასე სიტყვა და ამით ვამაყობ. მე მივხვდი, რომ ტყუილი ისაა, რასაც ყველაზე უფუფათოები იყენებენ მდარე საქმეში. ჩემს ცნობიერებაში სკოლა, მასწავლებელი, დირექტორი და ბავშვები, ერთი ტყუილი იყო. მე მიზიდავდა მოსწავლეთა კრებებზე თავმჯდომარეობა, მაინტერესებდა რა გემოთი მიჰყავდათ დიდი კრებები.

მაგრამ, ჩემს ტყუილს თუ ახალგაზომცხვარი პურის სუნი ჰქონდა, იმასთან - ობისა. გადავწყვიტე, ესენი შეჭრად ხელში და წინ გამენათებინა. რადგან ბებოჩემს პურის ნაჭრებმა მადა დაუბრუნა და სასადილოს საჭმელებზე მეკითხებოდა. მაშინ ისიც ვიგრძენი, რომ ლექსების წინა დედლებიდან გაუ-ყო-ტების საქმე კი არაა, არამედ მებძოლი, მოსვლენარი ხალხისა. განა ასეთები არა ვართ დღესაც? განა ჩვენს გამოსწორება შეიძლება? ჩვენ ვიქნებით საშინალები, თუ გამოვსწორდებით. ჩვენი ვალია, რომ საზოგადოება ყურადღება არ დაკარგოს, ჩვენი ვალია, საზოგადოება არ დაობდეს. დედამინისთვის მთავარია წონასწორობა... და რა არის წონასწორობა, თუ არა დაპირისპირებულთა ერთობა.

დღეს ჩვენ მითვლემილები ვართ. მაგრამ შეც-

დება, ვინც იფიქრებს, რომ მითვლემილ მგელს წინ გაუვლის.

ახალი იდეები თველმაში იბადება. თველმა წამნამებად გათვნილი მხევა. განა ცხვარს ახლაც ისე კრეჭენ, როგორც ძველად? მაგრამ ხომ დამეთანხმებით, რომ კრეჭენ.

ჩვენ იმიტომ ვართ შემოკმედი ერთობა, რომ ერთ ადგილზე არ ვიტკეპნებით.

ჩვენ ყველანი აქ ნიჭითა ვართ, რომელიც ღმერთის შემთხვევით მოგვეცა. ჩვენ ყველანი აქ ნიჭისთვის ვართ, რომელიც ჩვენზე მეტია და ჩვენ ვწინრებით. ჩვენ არა ვართ ერთმნიშვნელოვანი. ჩვენ არა ვცეცხლავთ ცოლ-შვილი და ნათესავები, ჩვენ მათ ვხედავთ, როგორც ციხის ვინრო სარკმლიდან...

ვინ აცეცხვავს ჯვარს ქრისტიანთან ერთად - ავახაყები, რომლებიც თარგმანი ჩვენზე ვართ. ჩვენ ვართ ვინც მის მარცხნივ და მარჯვნივ გააკრეს, ჩვენ ვიცით, რომ ერთი მათგანი ცხოვნდა, მაგრამ არ ვიცით, მარჯვენა იყო ის თუ მარცხენა. და არც უნდა ვიცოდეთ. ჩვენ ბალახიდან ვინწყობთ და მუხის ნვერი ჩვენზე დაბალია. საიქიოს სარკმელში ჩვენი ვინაგვართ როგორც ნახორციელარები.

ყველა ქურდობს, ბოლოსდაბოლოს! - თვალთ, ფიქრით, სურვილით. ვინ არის, ვისაც თვალები აქვს, რომ არ იპარავდეს? ვინ არის, ვისაც ფიქრი აქვს თავში, რომ არ იპარავდეს? დაბოლოს, სურვილი - ოო, არც ერთი ცხოველი არ შეედრება ადამიანს! სურვილებში ყველაზე მეტია“.

ო, დალოცვილი სიცრუე, გველივით, თავი კავკასიონის კალთებზე გიდევს და ბოლოთი კი შორეულ მიწაზე მანოვებ!

მოგახსენებთ, რომ თავიდან ორი „სიტყვა“ მქონდა, მაგრამ ერთმა საფარველი დაიღო და იძულებული გავხდი ორივეგან ერთი სიტყვით გამოვსულყავ. ორივეგან წარმატება მქონდა. ადამიანებს უნდებათ ხოლმე თავის საქმისგან განდგომა. ადამიანებს უნდებათ გაურკვევლობა. რადგან ორივეგან მათი საწყისია.

არა თქვა „მერე“, „მერე“ ეშმაკის დრო არის და არა კაცისა,

„მერე!“ - ვინ იცის, მე ვიქნები? შენ იქნები? რამე იქნება?

„მერე“ არ არის დრო, არც წუთი და არც საათი არც დღეა რამე და არც თვეა წელწინადისა, „მერე“ ხუმროს „გავაკეთებ ხვალ-ხვებდისა“, „მერე“ უაზროდ გზავნის კაცთა მასწავლათა, დაკარგული დრო და სამყაროს აღსასრულია.

იმიტომ ვინწყები ერთ ადგილას და იმიტომ ვითარდები იქვე, რომ სხვა სივრცე არასანდოა. თავგადასავლები შიგნითა მაქვს, გარეთ შურისძიებაც არ მერგო, ჩემივე თავის გარდა. როგორ დავიშკვიდრო თავი კაცთა მოდგმაში? ასეთი დროა: თითქმის ყველაფერმა ძველმა მოჭამა თავი. ახლა, მთავარია, განვიწმინდოთ და არ გავსტერილურდეთ. მთავარია, წინ აღვუდგეთ, მაგრამ არ ვებრძოდით. მთავარია მშვიდობიანად გავისტუმროთ წარსული.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც არ წარ-





მოუდგენიათ საკუთარი ბოროტება, სიკეთეზე კი გა-  
დაჭარბებული წარმოდგენა აქვთ, როგორც მეგლს  
ჯიონოს, რომ საკუთარი სიკეთის გამო გადაურჩა  
ცხვიარ და არა სხვა ხელის შემშლელი მიზეზის გა-  
მა, რადგან ყველა მეგლს ჰქონია, რომ ცხვიარ მისი  
კუთვნილებაა, ცხვირისა კი ბალახი. ამ აზრით დაძრ-  
ვის და ამ აზრით კვდება.

სულ ფეიქრობ, როდის ჩამესახა ცნობიერება,  
რადგან, რაც თავი მახსოვს ერთდღიანივე ნესტოე-  
ბით ვცნობდი ადამიანებს და სიტუაციებს. მაგრამ,  
ცნობიერება რომელიც უკეთურებას ებრძვის და გა-  
რბის? შემთხვევა იყო რამე თუ გზა გავიარე. ეს უმ-  
ტკუნველად ფიქრი იყო ყოველთვის. სულ ფეიქრობ-  
დი, რომ გზაზე ბავშვს ფანტაზია და წარმოსახვა არ  
ტოვებენ მარტობა, ამიტომ ის არასოდეს არაა უბე-  
დური, რომ გაიზარდოს. არ შეიძლება ითქვას, რომ  
ის რაიმეს საგანგებოდ უელის გვერდს, რომ მისი  
ცნობისმოყვარეობა შერჩევით-დიდაქტიკურია. მაგ-  
რამ მგლისა ბატკანი ვის უთქვამს და ჭინჭრის ძირ-  
ზეც მხოლოდ ჭინჭარი ამოდის. ადამიანი ძნელად  
წარმოსდგენია. ერთმა, თავის ქალარისთვის შეუ-  
ფერებელ საქმისთვის ციხემოთავებულმა კაცმა მითხ-  
რა იქ, ერთი შენი დროის კაცი ვნახე, რომელმაც  
მითხრა - მაგას ძალიან მძიძე ბავშვებს ჰქონდაო.  
სალაზნადაროდ მითხრა, ჩემს პასუხს დაუცადა,  
რომ რაიმესთვის გამოეკრა ხელი. ესენი სულ ცდი-  
ლობენ, რომ შენი დანაშაული იცოდნენ ფარულად.  
თავისი სულ აწვალვით, მალავენ, მაგრამ ტანჯავთ  
უთქმელობა და თავისას სხვისად გიყვებიან.

მაგრამ როდის ჩამესახა ცნობიერება? მიზეზმა  
მიბიძგა რამემ, თუ დრო დამიძღვა? რა ხნის ვიყავი?  
ის კაცი, რომელიც ციხიდან სულ ახალი გამო-  
სული იყო, ისე ამაოებად ამით, როგორც სოფელში  
პირველ სტუდენტურ არდადეგებზე ჩამოსული ბი-  
ჭი. ისეთი ორატორიანი დიმილით დამშორდა, თით-  
ქის, რა მოხდა მერეო...

სიმართლე რომ ვთქვა, სუნით და გემოთი ბავშ-  
ვობა ცუდად არასოდეს მახსენდებოდა, მაგრამ ნუ-  
თუ თივლებს, რომ მძიძე ბავშვობა მქონდა? ახია,  
ჩემს თავზე, ასეთი შემთხვევა! ახია, რადგან არასო-  
დეს არ დაფიქრებულვარ და მხოლოდ ემოციების  
კეთილი მონაბერით ვსაზრდობდი. განა შეიძლება  
ბავშვობა მძიძე? აბა რისთვისაა მოქნილი, რისთვის  
შეფერის ცრემლი, რატომ დაძვრება დამალულებში?  
განა იმისთვის არა, რომ გადღის, აიტანოს, გა-  
უსხლტეს, გაუჩინარდეს და ფერი იცვალოს... მაგ-  
რამ, როდის უჩნდება ცნობიერება, როდის იკვეთე-  
ბიან სიბუნებლად საგნები,

რომ ყველაფერი იხილოს, როგორც გადანმე-  
დელ სარკეში?

არა, ეს მაშინ არ მომხდარა, როცა მსუქანი კა-  
ცის სანახავად წავიდეთ. არც მაშინ, როცა ვიგრძე-  
ნი, რომ თუ ადამიანებთან არ გინდა, მაშინ უნდა  
შეძლო და არ იყო ადამიანი...

ყოველ შემთხვევაში, ვინც ჩემს ბავშვობაზე რა-  
მეს გახსენდება, ჩემთვის ის იმავე წამში ჩათლახდე-  
ბა. ახლა გავაცნობიერე, რომ ასე ვიყავ მუდამ და  
ასე ვიქნები ანიც. არავინ იცის, „კარგია“ ცუდის ბორ-  
ბალებზე ამოკრული თუ „ცუდია“ კარგზე.

ქერა ბოინობდა ცაზე, ჩემს თავს წრეს ავლებდა  
და გვირგვინს მინწავდა, მეძებდა და ვერ მპოულობ-  
და, წიოდა და არ ვეხმინებოდი.

გრძობობა ჩემში, სასაზეა მიკრული და ბავშვების-  
თვის ვერ შეუბედია.

არ შეუძლია ბავშვს თვალი მიადევნოს თავის  
ზრდას. მოხუცსაც ვერ გაუგია, როგორ მოხუცდა.  
ესაა სიცოცხლე. ერთი უდარდელად ხარჯავს, მეო-  
რე კი დაჰკანკალებს. ერთმა იცის და მეორემ არ  
იცის: არ შეიძლება სიცოცხლის ბოროტად გამოყე-  
ნება! ვერც ერთი ვერ იტყვის - მოდი ახლა სიცოცხ-  
ლისთვის ვიცოცხლებ!

ახალშობილმა არ იცის, ვინ არის: თეთრია, შა-  
ვია, ყვითელი... არ იცის, რომელ აღმსარებლობაში  
განშენდება, ვინ დროის ქვეშ დასცემს ყოიონას, რას  
ერქმევა სიკეთე და რას ბოროტება. ის მხოლოდ  
ახალშობილი სიცოცხლეა, რომელიც შემდეგ ატო-  
მივით დამიშლდა და წარმოშობს ცხოვრებას. ადამი-  
ანი უსასრულობიდან დაძრული სიცოცხლის ატო-  
მის დაშლის შედეგია. ის ველარასდროს მიადნევს  
უსასრულობას. ის მხოლოდ ამოიწურება და ჩაქრე-  
ბა. ახირებით არ მოსვლია, რომ თავის ბედის ვარსკ-  
ვლავს ეძებს სამყაროში. არც განაჩნახებული მეგა-  
პოლისია შემთხვევითი მეტაფორა. ის შეიძლება ფა-  
ტალური მიზეზით ჩაქრეს. ზოგი ისე უდარდელად  
ცხოვრობს მხოლოდ ერთი წუთისთვის, რომ დაფიქ-  
რდები, - ხომ არაფერი იცის?

„შარშანდელი თოვლი“ გამქრალი დროის მეტა-  
ფორაა, ყინულიანი და ქვიშიანი სივრცეები ერთმა-  
ნეთს სწინიან. ყველაფერს ჰყავს „ცალი ანტაგონის-  
ტი.“ მოძრაობაც ორმხრივია, უმისოდ ქვიშიდან და  
ყინულიდან გამოქცეულები ერთმანეთს ცხვირით  
შეეჯახებოდნენ.

ეს სურათი სიზმარში მქონდა, გვირაბი რატომ-  
ღაც თოვლით დაფარულ სივრცეში იყო, რომლის  
თავზეც სახურავები და ქანდაკებები ცვიოდნენ. -  
არ შეიძლება სიცოცხლის ბოროტად გამოყენება!  
მომხსენა მახვილივით გამგმირავად, ავიღე და გულ-  
ში ჩავიერთყე.

რომ ვნებდი და ვიძინებ, სახის იმ მხარეს, რომე-  
ლიც ბლინზე არ მიდევს, ხელით ვიფარავ. რატომ  
ვიფარავ ერთი ხელით სახეს? მეგლი, თავის კუდში  
ცხვირჩარგული, წრეს წარმოადგენს და, ამგვარად  
წრდშეკრული, ყინვებს ერევა. ყინვა წრეზე ფეხს  
ვერ იკიდებს. საზნადან ამოყოფილი ხელი საფრთხე-  
შია, რომ ყინვა შეგიტყამს, ეშპაკიც შეიძლება გამო-  
გებას, რაც გინდა სხვაგან იჩქაროდეს, მაგრამ ხე-  
ლიც და სახეც თუ საბანქევა გაქვს, გადატკროლებს  
და წავა. საბანქე ცხვირ-ჭირ ჩარგული თავის ნასულ-  
თქის სითბოთი ეხმარება სხეულს, გართ კი არ ისე-  
რის, ვთქვათ, ცარიელ, ცივ ოთახში, რომელსაც ერ-  
თი კაცის სუნითვა ვერაფრით გაათიხოს.

გათიენება ყველასთვის როდია სასწაული. არც  
წინათგრძობობა ყველასთვის თენდებაში, რომელზეც  
მერე მთელი დღე ბორძიკდებიან. მილიონი წლის წი-  
ნანდელი ჩვევებიც არა აქვს ყველას. არც ყველა  
ალებს დილით შეჭირხლულ ჭიშკარს და მიდის ტყიან

გზაზე, მდინარის გაყოლებით.

თუ არიან ასეთები, მაშინ ყველა იმიტომ არ მი-  
პობს ცხვირით ნოტიო ჰაერს, რომ ადამიანობით ბო-  
ძებულ სხეულს დუსლტეს. და რაიმეს გამო კი არა,  
რომ მსუბუქი იყოს და რომ შექდლოს სამყაროს მიე-  
ბას. და რომ კიდევ ერთხელ დააკვირდეს: ადამიანს,  
გარემო ყველაფერი სჯობია?

მაგრამ თუნებაც ისე გართმობს ძალას, რომ უკან-  
გზობაზე მინით მოდიხარ და შეეყრები ისევ მინი-  
რებს და მოისმენ მინიერ ამბებს. მწყემსი - მგელზე  
და ძროხაზე, დედაბერი ქათმებზე და ვარიებზე,  
კვერნაზე, ქორზე... ძერას არავინ ახსენებს, დანა-  
შაულის გარეშე სულიერს სახელი არა აქვს. ადამი-  
ანსაც ხომ გამორჩეულ სუბიექტად აქცევს დანაშა-  
ული. ვიდანაშაულოთ, თორემ არა ვყოფილვართ!..  
აიძვრება ძერაც ტყისა და ცის სადღაც ბოლოდან,  
თავს გადაშიარს სპილენძისა და ვერცხლის ლაპ-  
ლაპით. მცნობს, მხარზე ჯოხგადებული მორიალე  
სხვა არ უნახავს. ისიც იცის სადა ვცხოვრობ, ისიც,  
რომ სიმარტოვებს სახელს ატყირდება, შუალამისას,  
ერთს შენს ნამში რომ შუქად იქცევა - მდიდრული,  
უხვი, თბილი და ნათელი... და დიდი სუფრა ვრცელ  
მაგიდაზე, - აულაგებელი... მხოლოდ ასე იგრძნობ  
სიმარტოვის არსს - სამყაროს მინდობაში და არა  
ნუთისოფელში. რა გამიკვირდება ნეტავი ხვალ მე  
ბუნებაში? რა მხარე დროა: ერთადერთი წინასწარ-  
მეტყველი ამ ხვალისა ეს ტელენამყვანი ქალია, მი-  
სი მეტყველება არც ტროქეულია, არც იამბიკური,  
მისი ენა მშვიდნიერია... მისნობის ბოლოს გონებას  
არ კარგავს, არ უკიდია უცეცხლო ალი, ის გემშიე-  
დობება და მიდის ნაცარში. ნაცარი ყველაფერს! და  
პირველ რიგში კალამს. ნაცარი გულს, რომ იცის  
რასაცა გრძნობს და თვალს, რომ იცის რასაცა ხე-  
დავს. გაუმარჯოს მხოლოდ ფეხებს, რომლითაც  
გარბიხარ თავის ნაცირდან და ჩაქუჩს და ხერხს გა-  
უმარჯოს, რომლითაც ქმნი მიახლოებულს... კა-  
ლამს ყველა საგანი მირჩევნია, მაგრამ ყველაფერი  
მიფოთქდება ხელში - კალმის გარდა. წერას, ყველა  
საქმე მირჩევნია, მაგრამ ღმერთი ყველა საქმისთ-  
ვის მსჯის, ნანერის გარდა.

მე და ჭიჭია სულ ერთად ვიყავით, მაგრამ, ეტყო-  
ბა სიმარტოვე მაინც გვეყურდებოდა და გავიყრე-  
ბოდიტ ხოლომე. ის ანკეას გაიდებდა მხარზე, ჭიჭიე-  
ლებიან კოლოფს ვჯიბში ჩაიდებდა და ჩემთვის სრუ-  
ლიად არაბუნებრივ საქმეზე წავიდოდა. მე კიდევ  
ცენტრისკენ მიმავალ გზას ვაუწყებოდი. გავივ-  
ლიდი კლუბის წინ, ფოსტის წინ მილიციის წინ და  
ცენტრში ვიყავი. აფთიაქი იყო, სასამართლო, პრო-  
კურატურა, სულ ფუსფუსი და შესვლა-გამოსვლა.  
სამსართულიან სასტუმროს პირველ სართულზე სა-  
სადილო იყო, იქვე ახლო სახიკლე - საცხენეს ეძახ-  
დნენ, რადგან ფეხზედამდგარნი სვამდნენ და ჭამ-  
დნენ. საინტერესო სურათები იფურცლებოდა. ერ-  
თხელაც სასადილოს წინ კასრის ფიცრის დაბამზა-  
დებელი საწარმოს მანქანა გაჩერდა და კაბინიდან,  
შოფრისა და მუშის დახმარებით, რომელიც სხარ-  
ტად ჩამოხტა „პალტარატონის“ ძარიდან, გადმო-  
იღეს-კადმოგორეს საშუალოზე მაღალი, დიდი კას-  
რივით გადმო. უშველებელი მუცელი მუხლებზე ჰქონ-

და გადმოდებული... ისიც გავიგე სასწრაფოდ, რომ  
თავისი ხელით შარვალს ვერ იხსნიდა და მრავალი  
წელია არც ის ენახა, რაც, ჩვეულებრივ, შარვალში  
იმალება.

გავიგე დიდი ჭიჭიასთან, მოვნახე: - ნავიდეო მსუ-  
ქანი კაცის სანახავად!

ომის მერე იყო.

მაგრამ ისევ ამოვრები ვიყავით, შაქრის სახელ  
არ ვიკოდი, არც გვენახა, არც გაგვეგონა. ჩაის  
ნაცვლად „ასკილის ჩაის“ ესვამდით და პანტის ჩი-  
რით ვიტკობდით.

ომის მერე იყო.

ნიფხავი შარვალს ერქვა თავიდან, სანამ ქვედა  
საცვალი გაჩნდებოდა, მერე დაარქვეს „ნიფხავი“.  
ხმარებაში იყო ფრანა „ნიფხავ-პერანგის ამარ“.  
ჩემს დროს ბავშვების ნიფხავები არ იყო. პირდაპირ  
მარვლები გვეცვა (ცარიელ ტრაკებზე და ზამთარში  
აქა-იქ ყინულის ლოლუები გვეკიდა.

ომის მერე იყო.

ვჭამით მაკარონი, ვიხილეთ სულაბეკური, ფორ-  
დი, ენახეთ კინო.

ომის მერე იყო...

მაგრამ როდის გამიჩნდა ცნობიერება?

ომის მერე იყო.

რვა-ათისა ვიყავი...

არ არსებობს მძიმე ბავშვობა! - როგორ? შიმში-  
ლი, შიში, უშუშობა, ჩაუტრელობა, ავი მეზობლები?..

- აი, სწორედ ეგენია ბრძენი მასწავლებლები, ეგაა  
ბავშვის გამაზრდელა...

მაგრამ კაცი იმდენ გულწრფელობას ვერ ნახუ-  
ლობს თავში, რომ თავის ბავშვობაზე დაფიქრდეს.  
ეს თვისება, რომ ყოველ სიტუაციიდან რაღაც ვის-  
ნავლო, სრულიად ბავშვობისდროინდელია, როგორც  
ის, რომ არც ერთ სიტუაციას არ შეუღლია შენი ღირ-  
სება დაამციროს, თუ გაგაჩნია.

მაგრამ, რაკი ვერა, რაკი მეძახით მეღქოს, ბა-  
რემ კიდევ მეღქოს! ვისაც მძიმე ბავშვობა არ ჰქონ-  
ნია, ხელს არ ჩამოვართმევ.  
ასე ვიქმ, ანი!

საუკუნოვანი ძილი ყოფილა საჭირო და სხვაგან  
ნახვლა, რომ დამეწახე:

ჩემო სახლო, ლაფვარდი ქვით ყოფილხარ ნავე-  
ბი,

დედამინავ, გიბრწყინია, როგორც ახალი წლის  
ღამეს თოვლს ფანჯარაში.

მაპატიე, ჩემო სახლო, შენს ჭერქემს რომ ვიყავი,  
მაპატიე დედამინავ, შენს ბელტს რომ ვთვლავდი.

ბედნიერი ვიქნებოდი, კვლავ რომ მოგბრუნდ  
თქვენი ჭურჭელი,

ავივსებოდი ხან ბრაზით და ხან სიხარულით.

თქვენი კიდევ გამეცხავდით და გამაქათქათებ-  
დით, ყოველ გაზაფხულს და ყოველ შემოდგომას.

ვაგლას! არაფერი არ შემიძლია, არც მგონია, რომ  
სიტყვა შეგფერთი.

კაცი ათჯერ უნდა აღემატებოდეს ფავის გვამს,  
რომ ღირსებისთვის დრო ჰქონდეს. ასევე უნდა აღე-  
მატებოდეს გარემოს, სიტუაციებს - ღირსებისათ-  
ვის.

დრო არ არის სამანი, დრო არის თარიღი. ამიტომ, დრო არის პირადი და საზოგადო. როგორც დრო - კალენდარული და სამყაროსი.

კალამი და ფურცელი სულ უნდა ეწყოს ყველგან, სადაც შეიძლება მოხვდეს ერთი ნუთით.

ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ განმსჯივთ, რადგან ვალო მე მაქვს ალბათი და ჩემს თავს უნდა დავუბრუნო თანაზადები. მართალია წერამ სინდისი დამაკარგინა, მაინც არ იქნება სწორი, მართლებს გადამცენ, რომლებიც ქვემარტებს გარს უვლიან ხორბლის მჭამელი ვირივით.

გაიხსნა ბაგე, სიცრუის საცრელად.

ორ მგზავრს შორის მზე მესამეა.

მოგონებები წინ არ ექაჩებიან ადამიანს, - მოჩვენებებივით.

### მე - ალკოჰოლიკის სიკვდილი პირველი

მეთაე დღეს რომ გაიღვიძა, სიხარულმა ააძაგა-გა, შინ რომ არავინ იყო. ეხლა კი ჭკვიანურად მოწვეული თავსუ, გაიფიქრა, ერთხელ არ აცალეს, რომ წესიერად გამოსულიყო სმინდა, - ნელ-ნელა, აკადემურად. ვიდრე ჩაიცვამდა, ეჭვმა გაჰკრა! კარი გარედან იყო დაკეტილი. დაჯდა, ძალს მოვიკრეფ და მოვებნიო. ამაოდ ეძება. გაახსენდა, რომ ვილაცამ ვისკი მორთავ და ცოლმა დამალა. იფიქრა, ძებნა რომ დავინყო, ვერ ვიპოვი და სიგიჟე უფრო ამეწევაო. ისევეც ყოველ ნამს უძლიერდებოდა დაღვივის წყურვილი. საგარძელში ვითომ მოკალათდა და ვითომ მთელ ამ სიტუაციაზე სცადა სიცილი, თუა საგამაკოფდა, როგორ უნდა ჩამიკეტონ გიფივით კარიო! ბოლო სართულზე ცხოვრობდა, მოდი, დავინწყებ ყურებასო. მაგრამ მხოლოდ ცა იყო საყურებელი, დანარჩენი კი მხოლოდ სეირი. ეჰ, რა კარგი ცოლა ხოლმე ალკოჰოლიკის ცხოვრებაში, როცა მოეჩვენება, რომ საბოლოოდ დაიკვია ფეხებზე სასმელი. მაგრამ არა, დაღვივს. იციან ეს ახლოლებმა, ვისზეც გადავიღის ხოლმე კატასტროფა, ამიტოვაც, თუა სახლში სასმელი, თვითონაც არ იციან მისი ადგილსამყოფელი. არადა, რამდენი ახლობელი ჰყავს, სასმლის მთელი კოლექცია რომ აქეთ გამოიზურებულა.

იმდენი ოფლი დავღვარა ძებნაში, რომ ცოცხა კიდევაც მოეშვა და გაუჩნდა მეგუების შანსი. მეგობარმა დაურეკა, თურმე გუშინ რაღაც დაეთქვათ. თვითონ უკვე განეწყინებული იყო, ტყუილად გამილიო ჰქონდა ოთხივე მხრივ გზა და არც ამის ნუგეშინისცემა გაუჭირდა - კარგი, მაშინ, დაიძინეო... იმის მაგივრად, რომ გამოსავალი ერთად ეძებნათ. მაგრამ ასეთი, ყველასთვის არასასურველი მეკვარი იყო.

აივანზე გავიდა, მაგრამ შემობრუნდა შეშინებული. ვილაცამ დაუძახა, სიხარულით გავიდა და დაუნყო ძებნა იმ ვილაც დამძახებელს, ხეები უშლიდა.

აქეთ გადაიხარა, იქით გადაიხარა, ხეებისთვის უნდოდა გარსშემოგლა.

ბავშვი დაინახა ქვემოთ, იფიქრა: «გავაგზავნი ეკასთან არაყზე, ჯიგარია ეკა, გამოატანს ნისიად, ბავშვსაც ასე ვეტყვი... გადავაბუკ რაღაცეებს თოკით და პარკს ჩაუშვებ... ვადაიფიქრო, გაახსენდა: - «ვინც ბავშვი გაგზავნოს არაყზე!»

ბოლოს რომ დაანება სმას თავი, ისე კედელივით მტკიცე გახდა, რომ თვითონვე საბობდა, თუ სახლში სადმე ნააწყებობდა, ანადგურებდა თავის ხელნერას. საძაგელი ჩვევაა: ალკოჰოლიკს, როგორც კი სმას შეეშვება, თავში სიფიხილზე უფარდება.

ალკოჰოლიკი აუტანელი არსებაა. მოგებზრდება, ველარც კი უთანაგერძობდა. არ გავამტყუნებ, მაგრამ არასოდეს ზემოდან არ დამხედო, ის ერთგვარი წინასწარმეტყველია და ცოდვების თავზე ამლები. ნახეთ, როგორ ზეიმობს მასში, რასაც თქვენ მალავთ.

განსაკუთრებული საშინელებაა ალკოჰოლიკი სახლში, მაგრამ გახსოვდეს, არასოდეს არ დაუტყუოთ ალკოჰოლიკს გარედან კარი.

ყველაფერი, რაც გააკეთა ადამიანმა, თავის გარეთ გააკეთა, ყველაფერი, რაც იხილა, თავის გარეთ იხილა. ადამიანი თავის შიგნით კი არ არის, თავის გარეთაა, რაც შორს ნავა თავისგან, მეტს იხილავს და მეტს გააკეთებს. საამისოდ შორიდან იღებს გზავნილებს და არა თავის ფუყყენად.

თუ მეორესაც ის აზრი აქვს, რაც შენ, დაუტოვე და გაეცალე.

გადმოვუგდე ტატუირებული ენა, თვალი რომ მოეკრათ და ისევე შევმაღე, რომ მონატრებოდათ. გავცილიდი. ახლა კუზი ამოვიგდე ზურგზე, თვალი რომ დაბმოდათ.

აღმოჩნდა, რომ ეს კუზი აძლევს აზრს ჩემს ცხოვრებას, უკნიდან ის მიფარავს ხალხის აზრისგან, წინიდან კიდევ გველის პერანგივით მოსვირინებული ენა, რომელიც გადმოვავადებ ხოლმე და ვასანსალებ.

ესენი თუ დავკარგე, აღარც ვიცი, რას მივაშურო, რომ უცხოვ მეჭიროს თავი. რა მიუვადო ხალხს, რომ შიგ აღარ ჩამხედონ. რადგან, სინამდვილეში, დედამინა ხომ მრგვალია, მე კიდევ ზედ სწორი სარივით ვარჭირა. კუზი კი იმიტომ გავიზარდი, რომ ეტყუოდა აზრი ვერაფერში ვიყოვე. რომ წარამარა მივავაშურო და გავეცე ნუთებს და ნამებს, რომლებიც სულ არიან, როგორც კუზი.

ექიმიანაც ვყავიო, გადმოვუგდე ენა, ქალი უცხოეთში იყო განსჯალული, რისი დამდასტურებელი დიპლომებიც კედელზე ეკიდა. დაფიქრდა, დაფიქრდა და საღლები დამინიშნა. დაფიქრიდი კვირამი ერთხელ, თვეში ორჯერ, წელიწადში სამჯერ... არაფერი მემშველა, ისევე გველის პერანგივით დახატული მქონდა. ღიმილის ეპოქა იდგა, რა თქმა უნდა, მეჩინა მარგალიტივით კბილები მქონოდა. არა! მაინც-დამინიც ენა მქონდა მოსვირინებული. ბოლოს მაშინ გავმოძრდი მე და ექიმი, როცა მან ბრძანული გადანიწყეტილება მიიღო: - მოდი, ასე ვქნათ, სულ შევეშვათ და როდისმე თავისით გაქრება! მუამა, ჩემი

დაჭრელებული ენა მატერიალისტური არსებაც რომ აღმოჩნდა.

კუზზეც ბერი მატარეს, მგავლიმეს, მფიკეს, მბორცეს და თქვეს, შევეშათ და თავისით როდისმე გაქრებაო. მეამა, რომ ჩემი კუზიც ნამდვილი არსება აღმოჩნდა და არა ზურგზე მოვდებული მათფაფორული ფაფანაკი. ადამიანის ტყავი, თხელი რომ გვეგონა, უფსკრულივით ღრმა ყოფილა. თუ დაკვირვებობ, კაცი, სანამ ხმას გაგცემდეთ და გაგიღიმებდეთ, როგორ ძნელად ამოდის ჭიდან. ადამიანი ჭის ბინადარია, ბნელში აქვს ფესვები და ნათელში ხმება. ამიტომ უნდა კუზი, რომ მას მიაშუროს და ენა, რომ სარკეში იმეგობროს. ადამიანი ერთმანეთზე შედგმული სივრცეებია...

დავრჩით მე და ჩემი მეგობრები, შევითვისეთ ერთმანეთი, რომ ვერავინ გაგვყარა. - როგორ არიან? მაღლობთ, კარგად! თამაშობენ თაბისთვის და მეც შემეცქვევ. აღარ მოვკვებდი მახლობლის ძებნაში.

ახლა კი ისეთ ნანას გიმღერებთ, რისი ღირსიც ხართ. არა, ბიჭო, გიმღერებთ იმას: „- ხართ მაშაო, ფურთა დედაო, დეკეულთა ნანაო...“ თავს გავიშვივლებ, რომ არ მინყინონ დედარულისთვის. ყველაზე მეტი მაყურებელი ჯვარცმას ჰყავს, ისინი დადიან დალამინის აღმართებზე და დალამართებზე, აესებენ ქალაქებს, იღვიძებენ და იძინებენ, იბრძვიან და ერთად არიან, რომ ჯვარცმას უყურონ... სიცილითა სიცილითა დამცინევილი და სიცოცხლითა სიცოცხლის და სიმღერითა სიმღერითა პანწურმყოფლი, ჰე, ჰე! კუზზე მობურთალი არსება და ერთი მოხმალავე - სუყველას ნაგერალა, მთელი ქვეყნებისა და იავრდებისა და ეკალბარდებისა, აღმართებისა და დალამართებისა, ველებისა და მთებისა... კუზზე მობურთალი, მოჯირითი, ენის მტყორცნელი და მხილველი ადამიანისა, რადგან აღმოჩნდა, რომ ჯოჯოხეთი არსად არ არის, თვინიერ ადამიანის გვამისა და ფუყისა და სხეულის ათი-ოგათა საკრავი ქნარისა და ტვინის სკისა და მისი კარისა ზუზუნით მღებისა, სათორობისას და სიკეთისას და ზის შიგ სიბოროტედ სახელშერქმეული ჯვარცმული სიმართლე, რომ გადმოიხატონ, გადმოიწერონ და ცრემლი ღვარონ... სიციცხლის ხესა ჩამოვკრიფე ნედლი ლარები, ნედლი ლარები სარცხინველსა დასაფარები და ფრთების ნილად ფამი-ფამად მოსახმარები.

როდის იშვება ახალი მხატვრულობა, უკვე ძველის გზა გაცვეთილია, ძველ დროში აზრი და გრძნობა უღლდებოდა, სად არის ერთი, სად არის მეორე?  
- ვირის ისამე! - შეხედავ და ვითომც არაფერი, მაგრამ რომ მოგხვდება, ყვითელი ავტობუსი დაგავინყვება.

ყვითელი ავტობუსი იმიტომ, რომ გეების პარადის დამრბევებმა ჰუმანურობისთვის მოამწყვიდეს შიგ და იმდენი ურტყეს დოღოვით, რომ მუშის ნაკუნებით თმები გაენება.

სხვა ფერის ავტობუსიც იყო, მოსწავლეების ექსკურსიას რომ მიუძღვებოდა და გზად თვით ურჩევდა, რისთვის შეეხედათ.

- შეხედეთ ბავშვებო! - შესძახა, ზურგით რომ გა-

მოჩნდა ვირი და ავტობუსიც რომ გაუსწორდა, ვირი სწორედ იმას ავარჯიშებდა, რამაც რომ შეაკროს და ნერწყვი ჩააყლაპვინა, მაგრამ მალევე გაახსენა ყვითელი ავტობუსი.

როდის აქეთ გაქროლდა გუმბათი? როდის აქეთ შეიძინა სიცოცხლემ ხორცი, ჩადავ გვამში და სურვილებს გაჰყვა?

ასეთი ბედი დაჰყვა ჩემს ნანერს: როგორც კი ნინად გამოვა, არც მკითხველი კითხულობს და არც მე ვეკარები. ამიტომაც ვემორდები ნინიდან ნინში, ნინა ნანერი არ მახსოვს, თავი კი იგივე მაზაა და რაკი გამკითხავი არავინ მყავს, შევდივარ და გამოვდივარ ჩემს თავში, არ ვუყურებ, რა შემეპქეს და რა გამომაქეს. სიხარულის იმედი რომ შექონდეს, ალბათ სულ ვიკითხავდი, ესაა მიზეზი, მკითხველს რომ ვეტყვები, განსაკუთრებით კი მიზიდან გამქრალბის. რალაცეებს ალბათ ვსწავლობ კიდევაც, მაგრამ რას, ვერ დავახსებულ, როგორც სიარულის სწავლება. ერთ განათლებულ მანდილოსანს ვუთხარი რომ მის სახე ჩემს ნებაზე ვიხმარე ერთ ჩემს ნანერში. გაღიზიანებული გამშორდა, მუქართი, მაგრამ დამეკარგა. შემდეგში ეს შემთხვევა ადამიანების ჩამოსაშორებელ ხერხად გამოიხდა. ვჩუქნი ჩემს ნინად ვიცი, რომ საბოლოოდ დავიკვირებ. თან ვერავლად კი არ ვექცევი, ვაფრთხილებ, რომ ვერ ნაკითხავს. ის კი სძლეოს სინდისს და აქეთ მემუქრება. მეც, რას ვკარგავ! მიჯობს ორასიოფდ ლარი დაჯარული ვეკონინისგან გავთავისუფლებ. ჩვენი ხალხი ხომ არათუ სხვას, საკუთარ თავს არ სცემს პატივს, არდ ადგებს სხვის ღირსებას, როგორც თავისას. გრძნეულება კი მაინც ახლავთ, იციან, რომ ფეხებზე მკიდია მათი აზრი და შურს მძიობენ. ვცხ ეს მინდა. ეტყობა მეც მათსავით გრძნეული ვარ, მარტუა შევედივარ და გამოვდივარ ჩემს თავში - სრულიად ახალი. ბუნებისგან - გარემოებებში.

ნანერი არასოდეს არ გწონის ზუსტად. ხან მიმივ გამოდიხარ, ხან მსუბუქი. ამის მიხედვითაც დგები მაგიდიდან, ხან მიმივ, ხან ხალისიანად. ხალისის უნდა მიხედო! ხალისი თვითქათინაურია. მოგანყვება ლაპარაკის წყურვილი, თამამის, ლაზინდარობის, ამჩატდები, გადავარდები უწონადობაში... მიადგები ხალხს, აიანებ, აიკლებ, რადგან ადევებული ხარ იმ ნუთებში, ადიდებულ მდინარესავით. იმათთან გინდა და უვლი ვარშემო, აეთელ-ჩათელები - ყორანს რომ დაჯდომა უნდა იყ. არ გსვამენ. აგრძობლებენ თავის სიუფლებას, შენ კი, ვინ ამოვდინებ სახორხე ლაგამს, რომ თავი დაგიჭიროს. ერთხელ აჩქაფუნებული, აგრძელე ჩუხჩუხა ლაპარაკს, სანამ ხალხს არ აფიქრებინებ, - დაიწყო თავისიო! იგრძნობ, უშენიოდაც ცუდად რომ არ იყვენ. ვაჩუმიდები გატრინზავებულები, ცოტა ხანს იდგები მსმენელად და ნახვალ, ავლი ხალხს თავის ლაპარაკს. - ასაჩქამებელი აღარაფერი მაქვს, ყველას სენად მისდის ჩემი ლაპარაკი... იფიქრო და დასცვიანდები. \*

ჯავრი გაგახსენებს, შენს შიგნით რამხელა სცენაა, მსმენელიც უკეთესი გყავს, სულ რჩეული... თიამაშე შენს შიგნით, გავრთობი, გაძლები, დაიცლები.



რა და გაკვირვებისამაც. შესაძლოა სიკვდილის დრო-  
მაც გაუაროს, თუ სასიცოცხლო ძალებსაც მოუშავა  
და ირონიასაც.

მაგრამ წინსვლას მუდამ ჰყავს მტერი, ვილაც  
მიხედა:

ასე უპატრონოც გაიზრდებოდა.

ვინც მიატოვა თავისი სიტყვა და გარეთ გავიდა  
ხმაურისათვის.

თურმე გონება კი არ მიმუშავებს, არამედ ნერ-  
ვები.

როგორც იქნა, ადამიანმა ბუნება დამოუკიდე-  
ბელ სუბიექტად აღიარა.

- აი, თუ არაო! - აიძვრება ძერა, ზემოდან სპი-  
ლენისფერი, ქვემოდან ვერცხლისა... მეც რას ვაკე-  
თებ? ვნერ მიდმორობაში, არა ჯდომამი და ფრთე-  
ბის ტყლაშუნში.

ნუ ფიქრებთ, რომ თქვენ განმსჯით, რადგან ვა-  
ლი მე მაქვს აღებული. ნუ შემაქებთ, რადგან შავს  
თქვენ ვერ გაათეთრებთ, ნუ მამაგებთ, რადგან თქვენ  
ვერც თეთრს გაამაგებთ.

წერამ ადამიანობა დამაკარგვინა, არ იქნება სწო-  
რი, მართლებს ჩამიგდონ ხელში.

ჩემს ამდენ მიდმორობაში, კარგი იქნება, ერთ  
რამეს მაინც თუ შეხვდები. რა საჭიროა მთელი წიგ-  
ნი გედოს თავში.

„ღმერთო, რა ვილვანეთ ასეთი!“ - ეთქვი ქუჩაში,  
გამთენიისას, ნავით გადავსებულ ურნების რიგს  
რომ ჩავუარე.

მერე ვუყურე ფილმს გაჭირვებაზე. ყველაფერი  
ახლობელი იყო, არაფერი აკლდა თოვლის და ყინვის  
გარდა. წვიმაც არ შემეხვედრია, სულ მზე იყო. ჩვენ-  
თან ექვსი თვე ზამთარია.

ყველაფერს, რაც დასრულებულია, პოზიტიურად  
უნდა უყურო. ნაკლი შენი მომავლისთვისაა. არც შენ  
დაასრულო რამე უნაკლოდ, რომ გზა გაგრძელდეს.

უზნეოდ ვცხოვრობდი. ამის აღწერა შესაძლებე-  
ლია, მაგრამ არავის გააკვირვებს. რომ გააკვირვო,  
შენც უნდა გიკვირდეს. უზნეოდ ვცხოვრობდი! ვამ-  
ბობ მე ამას ქრისტეს წინაშე და არა ადამიანების  
სამსჯავროზე. ადამიანების წინაშე ვილაპარაკებ ადა-  
მიანებით, სხვა უფლებას თავს ვერ მივცემ, და და-  
ვისჯები.

ადამიანების სამართალი უფრო სასტიკია.

კოშმარი ბადებს ნათელს, როგორც ოდესღაც  
იყო ბნელში - ნათელი. მაგრამ შენ მე კი ნუ მბაძავ,  
ბიძაშენს მიბაძე, ხი ხედავ, როგორი სავესა, სრუ-  
ლიად ცარიელი.

არიარეზე მავალი - უგზო-უკვლოდ, უპატრო-  
ნოდ, ველზე, გარეთ, კიდეზე, არშიაზე - ბესო ორ ყა-  
მარაული, არიარეზე გაზრდილი.

ყროყინებს ვირი, ყოველ ოცდაშვიდ წუთში, ოც-  
დაათში, ოცდათხუთმეტში,

იმის მიხედვით, რაც ჩვენს დროში ცდომილე-  
ბა... ყროყინებს ვირი, არც სფინქსი და არც პირამი-  
და, არც ბაბილონი და არც ბალახი, - თუნდ ვირის  
ტირფა..."

- რეალურად აქა ვართ, ამ სინამდვილეში - გა-  
ფიქრებულიც არა მქონდა, რომ კითხვა მეძგერა: -  
რას ნიშნავს „რეალურად,“ რას ნიშნავს „სინამდვი-  
ლე“, და შენც რას ნიშნავ?

უნდა მეთქვა: - ჩემი აღქმის ორგანოებით, აქა  
ვარ, ამ სინამდვილეში.

სიცოცხლეში ადამიანი ან სოროში ცხოვრობს, -  
ჩემსავით, ან სასახლეში, - ჩემსავით და საიქიმოც  
ასეთი ცხოვრება მოიწყო.

ადამიანი ხან კეთილია, ხან ბოროტი, და, საიქი-  
მოშიც ეს თვისებები წაიყოლა.

მაგრამ მიცვალებული ასჯერ შიშველია, ვიდრე  
რაიმე და ბალახის ნამზეც ათასჯერ მცირეა, რად-  
გან, რაც იყო, იმ ნამის მეთათხედშიც კი ლაღედ არის  
და მიყანაყლებს. რამდენად მაღლა ადამიანზე ყვე-  
ლაფერი, რაც თავისია.

რამდენად მაღლა ადამიანზე - ენა, რომელსაც  
ფლობს.

### ერთი ნაკლისთვის

ბატონებო და ქალბატონებო, სრულიად ქართველნი!  
ქალნი სადღეოდოლონი ხართ და კაცნი სამეფონი,  
ერთიც არაა თქვენს შორის დაბალი, კოჭლი და  
ბრუციანი,

ავხორცი და სიტკბოსმოყვარე,  
ერთიც არაა ტახტისა და გვირგვინის გარეშე.  
უკვირთ კიდევაც!  
ზოგ ხალხებს სკამებიც არა აქვთ იმდენი, რაც თქვენ  
ტახტები...

ბატონებო და ქალბატონებო!  
გაღლეთ მოწყალება,  
ნუ მკითხავთ, ვინ მოერეოდა, - ტარიელი თუ  
ავთანდილი?

ნუ მკითხავთ, პირველი ვინ დაქვრივდებოდა, -  
თინათინი თუ ნესტანფაშაშინი?

სკოლაში ცუდად გავსწავლიდნენ, უფრო სწორად,  
არაფრად აგვებდნენ ჩვენს სიზარმაცეს,  
რაკი ძალიან ნიჭიერები ვიყავით.

ეჰ, რამდენჯერ ჩამძინებია იმ წიგნთან ერთად სამ  
სტრიქონს მერე!

მრცხვენია, მაგრამ ერთი ჩემი მეგობრის რეპლიკა  
მამხნევებს,

რომ გადაშალა ის წიგნი და რომ წაიკითხა ორი  
სტროფი

და ისე რომ ამოიგმინა, გეგონება მთელი წიგნი  
წაიკითხა...

- გენიალურს რა წაკითხვა უნდა!  
უნდა წაიკითხო შენნაირი კაცის ნაწერი, ან ისეთი,  
ყველას რომ პირზე აკერია, რომ შენც დაიკურო.

უნდა გამოგტყდეს, სიკვდილამდის ვერ წაიკითხე  
და თაროზე რომ ვხედავდი, მეჯავრებოდა,

როგორც ყველაფერი, რაც გარცხვენს და ვერ  
დაგიძლევი.

ბატონებო და ქალბატონებო!  
კაცნი სამეფონი ხართ და დედანი სადედოფლონი...  
- ამაზე ორჭოფობა შეუძლებელია!  
შერცხვათ საარსოში.

მიხედნენ, რომ არც ისე უღირსი ვიყავი, როგორც  
დავისავე, როცა ამდენ ხანს უაზროდ ვიცხოვრე  
და წყალს გავატანე ჩემი ტყავი და ხორცი, - მოყვარე  
სიტყბოსი.

მოკლედ, კვლავაც დამლუბა სიტკობი!  
- რამ შეგაყვარა ტკბილი, ქალი ხომ არა ხარო! -  
ვითომ, რაკი ტკბილი გარედან შედის.  
მწარეს კი დიდი გზა არ ჭირდება, შენს შიგნითაა.  
- კაცს კვინი მარილი უნდა ედოს საფულეში და  
წუნოს ჟამი-ჟამი,

რომ არ გაეფედეს, არ აინყვიტოს და  
ორმოცკვერცხიანი ტორტი შეჭამოს აუდგომელად...  
ტკბილი გონების საზრდაო და ნერვების მალამო  
და მწარე ბავშვობაგამოვილიისთვის არის  
განუყოფნილი,  
ვისაც შეუძლია, რომ ტკბილს შეჭყვეს მგლის  
სოროშიც...

მეტი რა გითხრათ,  
ბატონებო და ქალბატონებო,  
ამისთვისაც მშენიერი ხართ, ჩემნაირს რომ  
უსმენთ.

- რა არის ტკბილი?  
- ტკბილი არის სიყვარული ამალღებულისთვის  
და არა სურვილი, ჩემნაირს რომ მოეძალება  
თავისნაირისთვის.

სიყვარული არის - მოყვასისა,  
რომელიც საწუნნი კანფეტითი მარადიულია,  
სურვილი კი უშალ გიდნება პირში, ან კბილებით  
გეგლჯინება.

სურვილი მოკლეა, სიყვარული - გრძელი...  
და განა დიდი გამოცნობა უნდა, რომელს სჯობს  
რომელი?

გავალოთ სარკმლები, გავატანოთ ცეო ნაკლისა,  
გულსა რატომღაც ჰამო-ორი მოესაკლისა.

- ეს არ არის ჩემი ნაწერი! - ვეუბნები. - არა, თქვე-  
ნიოა და წიგნს მიშლიან. - მაშინ სისულელეების წე-  
რაც შემძებნა-მეთქი.

კარგია!  
ეტყობა, ამიტომაც გავიძელ ამდენ ხანს...  
ვერ გააგრძელეს თვითონ ჩემი აზრი და მე  
მათქმევინეს.  
- რაც მეტი სისულელეა კაცში, მით მეტი  
სიცოცხლეა!

ხუთი წელია, აბრა მაქვს გაკრული: „ვამეცადი-  
ნებ ბავშვებს ადამიანობაში!“  
ხუთი წელია, არავინ შემხმინებია.  
სამუშაოს ვინც არ ეძებს, ეჭვს იწვევს ხალხში.  
ეჭვი კი, ვაგლახ, ზურს თუ შეერწყა, სახიფათოა.  
ვაპირებ აბრის განახლებას.  
მთავარია სხვა კითხვები გაუჩნდეთ, ვიდრე  
იფიქრონ:  
- რითი ცხოვრობს ეს მამაძალი, რა აქვს ისეთი?

- მარჯვენა - სიბერის, მარცხენა სიღარიბის! -  
ვეტყობი,  
თუ რომ ნებას მაძლევდნენ ეს ორი ტიპები...

მარტუა ვნევარ, პრივილიგიებული ჩემს სასახ-  
ლეში. წყვილში ჭენება არ შემძლიან, მარტუა კი,  
იცოცხლე! ხან ისე დაგახვიხვინებ, გაღმით თავს ას-  
წევს ხოლმე ჭაკი-მეჯვრელი. თქვენ მე გვეგონება,  
იტყვი - დია! რას გვაგონებო ნეჭვე? მეგ ხნისა  
კუილიც კი დაეჯერება, არათუ ტყუილი. საბასთან  
პირნაკული ნაქიხნება ბოყინს... ვადილავ და... მარ-  
ტუა ვარ, და, ლექსიკონებით და დიალექტების იმი-  
ტირებით ვერთობი, ხან სადაღური ვარ, ხან სიდოუ-  
რი, ცისარტყელასავით შვიდფერი დიალექტებით...  
ქართველები საათს არ იცნობენ. კი აქვთ მაჯვებზე  
მოფონებულად, მაგრამ, მოკალი და, არ იცნობენ.  
აქედან არავამომდინარე, ქართველები ტოლერან-  
ტულები კი არ არიან, - ინდეფერენტულები. უკე-  
თეს არჩევენ. ამასობაში მოვიფიქრე „მენიუ ჰაერ-  
ში.“ შემოდის მავანი, ჭამა უნდა, მეკითხება, - რა  
გაქვთ? და მოითხოვს მურსი. - ჩვენი მენიუ ჰაერ-  
შია! აბა, რა გეყნობათ? - ვეუბნები მე. იყნობებს მა-  
ვანი, - ნიერის ხინკალია, - ხელს ნაფუკრავ გამოც-  
ნობაში,

- იმ სუფრაზე უკვე მეორედ მივიტანე.  
შევაღნიოთ ნიერის ხინკალში:

გულად ნახევარი წილი ნიორი და ნახევარი ნი-  
გოზია, ერთად დანაყული. ერთს თუ გასინჯავთ, შე-  
იძლება, სხვა აღარაფერი მოითხოვოთ - ესა აქვს  
ნაკლი. ჩვენს სახელოვნებო კაფეს „ამო რამე“ ჰქვია,  
ვცდილობთ ხალხს ყნოსვა განუფითაროთ, რომ ფერ-  
ნერაში და ნანერში უკეთ გაერკვან. ამიტომაც, მე-  
ნერაში რომ ჰაერში უკეთ დაეკიდეთ. ამას გარდა, ჩვენ ვცდი-  
ლობთ მოულოდნელი ფრაზებით შევიქციოთ მავან-  
ნი, რომ საერთო ფერხული იყოს. აი, ახლა იმ მაგი-  
დას მიგმართავ, მარცხნივ როა:

- როცა პატრონი სხვაგანაა, შინ არაფერი უკეთ-  
დება!

ვინც ამას მოისმინებს, მისთვის ფრაზა ახალი დრო-  
ის დასაწყისი იქნება. ხომ კარგია?

ყნოსვა და სიტყვა და, ორივე გულს ევინება.  
მოხვედი სხვა და მიდიხარ სხვა. სახელოვნო კაფე  
„ამო რამე“ - ინგოროყვას N4. თუ ადამიანმა თავის-  
თავში შეაღწია, აღმოჩნდება, რომ აქამდის ნახევა-  
რი ძალით უღვია. თუ ადამიანი გამოლიანდა, სამ-  
ყარო დროს განახლებს და მიწიერი კალენდარი  
სრულიად შეიცვლება. - სად ვყოფილართ, ვიტყ-  
ვით. ვიტყვით ყველაფერზე, - მიწაზე, რწმენაზე, აზ-  
როვნებაზე... ვიტყვით - სად ვყოფილართ? რაც  
მოხდება მომავალში, ის რომ დღეს მოხდეს, აფეთ-  
ქდებით. დრო ყოველთვის მიღწევებს მიჰყვება და  
მხოლოდ ყოყმანი უფორკავს ნაბიჯს. ამიტომ, გაქ-  
რება ქვეყნობილი წინადადებები, გაჩნდება ახალი  
სიმბოლოების ენა, რომელიც ერთმნიშვნელოვანი  
და ზუსტი იქნება. ტყუილის ფასი, როგორც ძველი  
ადამიანის არსებობის ეტალონი, დაეცემა და გაქ-  
რება. ადამიანი, თუ რამეთია გაცისკოვანებული,  
თუ რამეთია თავისუფალი, - არცოდნაა. როგორც  
კი რამე ვიცი, მე ვარ მოღრუბლული და უსასოო...  
შეიძლება ამის ქადაგება მაშინ, როცა ცოდნა გვაკ-

ლია? შეიძლება შეიძლება ამის ქადაგება ახალგაზრდა ხელოვნებთან? შეიძლება შემეცნების დინამიკა არცოდნაშია, არცოდნა სძრავს ადამიანს, ის გარბის ცოდნიდან. ცოდნა ისეა, ქერის გროვას რომ უვლიდეს ვარშემო ვირი, ან ფურშეტის მაგიდებს კაცი. ცოდნა სულელურ მდგომარეობაში აყენებს კაცს, არცოდნა კი ძინაშია. უფულობა ახალგაზრდისთვის ნამალაია, მოხუცისთვის კი სანამლევი. ადამიანისთვის მთავარია, რომ ჩიხში არ მოიძწყვიდოს თავი. განა შეიძლება, ადამიანმა ცოდნის ან არცოდნის ჩიხში მოიძწყვიდოს თავი? ღირს ემოციების ჩიხში? წარმოდგენების ჩიხში? დაპირისპირების, სიყვარულის, სიძულვილის, საერთოდ, სურვილების ჩიხში? ცხოვრება ცოდნა და არცოდნა, ქონა და არ ქონა და სხვა ურთიერთსაინაზღაურებელი ცნებები კი არაა, არამედ მათთან დელიკატური მოქცევა. განა ბავშვი დელიკატურად არ ექცევა თავის ცოდნას, როცა გადასასვლელზე მწვანე შუქს ელოდება? ამავე დროს განა ის დელიკატური არაა თავის არცოდნასთან, რადგან გზის და დროის ყოველ მონაკვეთში ის უამრავ ხიფათს და გადარჩენას ხედავს. და განა არ გინახავთ ბავშვი, რომელიც თავის ახირებულ სურვილში მოექცა და ვერ გამოიდის. ჩვენთვისაც იგივეა ჩიხის ანატომია. „მეს“ ჩიხში რომ მოექცევი, ყველანიარ იარაღს გამოიყენებ, ამიტომ ეგოიზმის ახლებური მართვა უნდა ვისწავლოთ. ფართე გზა შეიძლება ჩაიკეტოს, ჩიხის შესასვლელი კი მოუდამ დაიაა. რა სული უნდა შეერჩეს ჩიხში მომწყვედულს? ნუ ვიქნებით სერიოზულები ყოველ წამს და ნურც გაღიმიებულები ყოველ წუთს, პატივი ვცეთ ჩვენს ძალას, მოქნილობას და არც ერთი სურვილით თავი ჩიხში არ მოვიმწყვიდოთ.

ძალიან რომ თავს წამართმევს ლაპარაკი, ჩემი ლოიალური ანგელოზი ზურგსუკნიდან მეხუმრება, - კი თქვი პანა, ცუდად რა მთერევა.

ვიან და როდის დაიწყებ ნეტავ, პირველმა - თხზვა. ეტყობა, მოაწვას სინამდვილე, მოაწვას... რა ეთქვა, რომ მოაწვებოდა? ეტყობა სინამდვილე არ მოიწონდა და თხზვა დაიწყო. და დარჩა ორივეში. რადგან ჩიხიდან გამოსვლას მარტივი მოქმედება ესაჭიროება.

ასე მოიქცა ერთი მწერალი, რომელსაც სულ იწუნებდნენ და ზემოდან დასცქერიოდნენ გამომცემლებს, რედაქტორებს. ადგა, და, რაკი იმიტომ იწუნებდნენ, სიუჟეტი არ გივარგაო, ამისთვის კი სიუჟეტი იყო კოზირი, დაიწყო ხალხში მათი შემონეშება. აღმოჩნდა, რომ მისი მონაყოლი ძალიან მოქმედებდა მსმენელზე, ერთხელ ერთმა მანდილოსანმა ისეთი ბლავილი ატეხა, რომ დასამშვიდებლად მთხრობელის ჩარევა გახდა საჭირო, რომელმაც ტუჩები ყურთან მოუტანა თვალეგადაქაჩულ მსმენელს და უწურჩულა: „განა მართლა მოხდა ეგეთი რამ, სიუჟეტი შევამონეო!“

ეს ტრაგიკული კაცი სერიალების წინარე ხანაში ცხოვრობდა.

ნუ ჩქარობთ, დიდხანს არ მოგიწევთ ლოდინი. დაიხოცებიან წმინდა გიორგის ბედაურები, დაცარიელდება იმისი თავლა. ქალაში სიხარული აღტკინდება ვირები, წარმოიდგენენ, რომ საჯინბო,

საითაც ვერცკი გაეხედათ, მათ დარჩა. მაგრამ დიდ სივრცეში ვერ გამოჩნდებიან და წავლენ ისევ, სხვა საქონელთან, თავის ბავშვს დაებმებიან. სამასი წელი გაგრძელდება ასე. მოძველდება ანდაზა, „ბედურები დაიხოცენ, ვირებს დარჩანა მოუდანი“.

ჩემი თავი მყავს და, სხვა რაღად მინდა, ისედაც ასი ვარ და ბევრით ათასი.

რაც უფრო მეტი ტყუილია გარშემო, მით უფრო ვკვრბლები სიბართლემი.

მე არა მაქვს დრო, რომ ასი სიყვარული გამოვცადო, ჩემთვის დრო ძალაა.

შეყვარებულები უნდა ემსგავსონ აჩრდილებს, რომ სხეულით არ დაამძიმონ. შეყვარებულები უნდა ემსგავსონ ფრინველებს, რომლებიც მიფრინავენ და მოფრინავენ და ვერაზინ მოსთხოვთ, რომ ერთ ადგილზე ებან.

კარის დარაჯთან უფრო ნამდვილი ხარ, ვიდრე იმასთან იქნები, ვინც კარს იქით გელის. ამიტომ მუდამ უცნობის უკან იდექი, როგორც წყალობის როგმი.

დასრულებული ნაწერი უსასრულობის კართან დატოვილი ფეხსაცმელია, დაუსრულებელი კი დაკარგული კვალი.

თუ ერთმანეთს დაამთხვიე, სიბერე და სიღარიბე და სასვლელ-ჩასასვლელი თუ გაქვს კიდევ ორი კიბე, სათამაშოდ ამის მეტი რაღა გინდა, ახვალ ხლმე სიფრთხილითა და ჩამოხვალ სიფრთხილითა და არასდროს არ მოიწყენ სისუსტით და შიშპილითა, კავშირს შეერევი ხან ბრაზით, ხან ნახუარებით. უთამაშოდ რისთვის გინდა სიბერე და სიღარიბეშიც? რაღა აზრია და ცხოვრებაც რაღა არის, განუწყვეტლივ თუ არ ჰკიბე, თუ არ გექნა განსაცდელი, ვარდის, დაცურების. უინტერესო იქნები შენი თავის, მაყურებლის, უინტერესო იქნები ყველასათვის, შინ და გარეთ, და ტაშს არავინ დაგიკრავს, აღტაცებით, უანგაროდ...

ახალგაზრდებს უყვართ ბნელი და მოხუცებს - ნათელი. ეს ასეა, დღეს არ დაწყებულა. დაფრჩობი მარტო და ჩავანებლებდი ოთახს, მოვიდოდა დედაჩემი და ვადაწვენდა ფარადებს, ვერ გაეგო თუ ვინმეს სიბნელე ეჩრია. ბებოჩემი ანუგეშებდა: „ახალგაზრდები მეღამიეები!“

გვინდა თუ არ გვინდა, დედამინა ოდესღაც დაცარიელდება, ან სულ დაბნელდება, ან ვაკაჰკაჰდება. ორივე შემთხვევაში, დედამინაზე სიციველი უშდლებელი შეიქნება. გაასწრებენ, ალბათ ვილაკები დაღუშვას, სხვა პლანეტაზე გაფრინდებიან. დარჩენილები, გადამხმარი ტყის ხეებით ხელგაშვერილები, უკანასკნელ ლაღადს მოასწრებენ და ნაცურად იქცევიან. ამ სცენას უშუალო აღმწერი არ ეყოლება, სხვა პლანეტაზეც არ დაიწყებენ ზღაპრების შეთხზვას. დედამინის ამბავი, ამ სტრიქონებთანად, ვითომც არ ყოფილიყო, გაქრება უკვალოდ. დამჩ-



ბა სამყარო, ვარსკვლავების ცვენას სხვა პლანეტაზე დაითვლიან, მაგრამ უფულოდ და უსისყვარულოდ. გული მოიშორებს ეპითეტებს და ძარღვებიანი მუშტი გამოვა, სიცხარული სურვილად იქცევა, სურვილი ბიოლოგიურ უნარად.

ყველაფერ ამას მე ვერ მოვეხსნები. მე ტრადიციული, ოდესღაც დროინდელი კაცი ვარ, წინა შემოდგომას ძალიან მაღლა ვიყავი მთაში, არ დაიჯერებოდა, ერთი უძმის ჯოხი მინდოდა მომეჭრა და, დღემთო, ჩემი! ნაბოტარი ირმების სუნი მეცა. ვაბახსენდა, მყვირალობა იყო და ყველაფერს, ვარშემო, უძრის ხესაც და ყველა მათ შუნივე საგანს, ნაბოტარი თხა-ვატის სველიფიკური სუნი უდიოდ! ლმერთო! - ია იყო? - ვარდი? - სოსანი? - ვეკითხებოდი ჩემს სურვილს. მე ერთხელ ყვავილივით ლამაზ ქალი ვალექსე, თუმცა თანშეზრდილი, „ხოშია“ რომ ერქვა და რითმის ყუას რომ ითხოვდა მე-თავქარიანისთვის, და მოედო მთელ ხეობას ნალექსარი და პასუსმაც არ დააგვიანა: „ხოშიას რაად გვილექსებ, ქალსა, სივრცელთ მთვარას (მოტრიალ), ბევრჯერ ვიყურნა საქონნი, დამრჩალსა ობოლმანარესა...“ ეგზლა, ორბის თბესავით რომ მადეეს ჭალარა, მახსენდება, რომ ხოშიას გარდა, არ მადეეს არავისი ვილი, და, მანაც უფალოდ მტრიანი ვარ, რადგან ვარ ყინჯარის ნახარდი, „ოქროს ბურთი“ დედამ-ბებოსთვის, დაბადებით ორგემოიანი, რქათეთრი, რქამარნუხა ვაცი და საქმელი თუ ვიშოვე, ორი ქურთი ვინყებ ჭამას, ვივებ პირს და ორ ყბას ვამუშავებ და გონს რომ მოვალ, ვითომ თავს დავცივნი: „ქალს ეტყვიანი: ქმართასავ ორი ქურთი ნუ სჭამდი.“ მართალია, ზოგი უფრო ჭკვიანი პატარაძალი გამოდგებოდა ხოლმე, რომ მერე ეკვება: „ჩემსა პატარალობაში, შვინდსა შეიდეჯერ ვუკვიროდი, როცა თვალი ვიციდნიოდი, მსხალსა ყუნწით ნაწყვიტოდი...“ ეპე... რა ქალები ამიტყდა, წადროენებული ვარ, „აღარა ვარ ახალკაცი.“ არ არგებს ერთის დროსასა, დანდობა ქალისაო.“ მე მგონი არ ვაქვამე უფრო მომიხდება: „რა ალლი იქვს არაყსა, კაცს რო მათქვეს ენდა...“ მაგრამ შენს ენაში რომ დადიხარ, შენს მიწაზე, ვანა მარტო ბალახის თესლი და წერილი ხის ბუსუსი აგეკრობა, შენი ენის ყოველი ბერა... მოკლედ, ესეთი ნაშოვიზარდე, მე ბალობიდან ანემდე, მტრედები მილულუნებდნენ, ანგელოზები მარნევენდნენ... და რა გასაკვირია, თუ დრომოქმული ჯიში ვიყო და ვიცილოდ, რომ სევედი კი არ დამკრძალავენ, არამედ ხალისით. არ მიტირებენ არც სამოცდაათი და არც ორმოცი დდე, სამ წამს იკმარებენ, რადგან, ჩემს სიკვდილში არაფერი მეტაფიზიკური არ იქნება, არამედ მხოლოდ ბიოლოგიური.

საერთოდ, დედამიწაზე თანდათან „ბიოლოგიური“ ნაშოვა წინ. აღმოაჩენენ, რომ სული - ატომია, რომელიც პერმანენტულად აფეთქებს სიცოცხლის ენერგიას - ბოლო ტკაცუნამდე.

ამ და სხვა თემებზე მე „კაცობრიობის მომავლის პუმიანური საბჭო“ სხდომებზე ვილაპარაკე, სადაც, დადგენილი წესით და შუალედებით ინვესტირებ ვამორჩეულ უმეტერებს ყველა კონტინენტიდან, - როგორც მონადირეებს დაჰყავთ ხოლმე მძებარი ძაღლები ნადირობაში, - მათი განსაკუთრებული უნარისათვის.

ჩემდამი განსაკუთრებული ინტერესი ვაუწნდათ ორი მიზეზით: ჯერ ერთი, ზოგადკანონი ვიყავი, მეორე - მქონდა ასეთი სტრიტონები „ყური მოუქმადრე ცასა, ვთქვი-თუ, ვნახო, მეტყვის რასა?“ ეტყობა ჩათვალეს, რომ როგორც ძაღლის ყნოსვა განიტქმული მინაზე, შესაძლოა, იმავე მინაზე ვინმე კაცს ცისა ესმოდეს. ამავე დროს ასეთი რამეც მქონდა: „- ვინა ვარ მე, - ვთქვა? - მორიალე მეელი, მგორიალე ქვა!“

ძალზე უკეთესი ყნოსვა მეგელსა აქვს, მაგრამ არ მინაურდება, მგორიალე ქვასაც ხავსი არ ეკედება, მაგრამ არავინ იყენებს მათ ნიჭს. ამათ კი უნდათ, არც ერთი უნიკალური უმეტერება არ გამოჩნეთ გამოუყენებელი.

ამიყვანეს მე და სხვა უმეტერები უშველებელი და უშლელი სუნობის თავზე. დაბაყენეს ზედ უფსკრული სიბრას და მიბრძანეს - მოუქმადრე ცას ყურით. მოუქმადრე შიშით, რადგან, რომ გადავეგდე, წეროს სკინტივით მინამდეც ვერ მივალწვედი იმ სიმალლიდან.

- არაფერი არ ჩამდის-მეთქი! - ვალარე პატიოსნად. ჩემსა სიალალემ შემინახა!

სხვებს კი, მამინეც რომ გადაკარკლავდნენ თვალებს და აბუტბუტდებოდნენ ადგილობრივი ქადაგების ყარგონზე, უტგებდნენ რომ მწიხნავები იყვნენ და ძირს ისროდნენ, დარწმუნებულები რომ მინას ვერ დასვრიდნენ და ჰაერშივე განიბნებოდნენ.

რა თქმა უნდა, კისრისტებით უკან დამბრუნეს, დავალბენი, რომ ჩემი ჰაერის ფუნგადით დავტენილიყავი და რაც მთავარია, ყური სულ ცის უბეზე მდებოდა. ვამებრაზა. - მე ქალის უბეზე გამივიცა ხელი, ფუტკრის კასასეთი რომ შიშით ჩააძერუნს, და არა ყური... და ვამინათდა ნამივით: ქალწულის გულის ხმაზე ტკბილი და იდუმალი ხმა ჯერ მე არ გამეცონა და ცაც ხომ ქალწულია ყოველ ცისკრისას...

ის ქალწული რომ მომიკვდა, იმისთვის უნდა ვიძიო შური, პერანგს რომ მიკურავდა და ქლეტი ჰქონდა... „ ვახუნდა შენი საკერავი, ჩავარდა სააბრაშუმე ძაფის კოჭი, ვაგორდა შენი სათითე...“ დროის შემდეგ მომკვლედი და მკვლელი სულ ერთად სხედანი.

ვიზიარ ჩემს მაღალ ივანზე. ზეცა დაბლა, მე ტელესკოპილა მაკლია. წინ სამზრეთია, ვუყურებ მე სამზრეთის ცას, ვტკებები, რომ ზურგსუკან ჩრდილოეთია, ხელმარცხნივ აღმოსავლეთი, და ხელმარჯვნივ დასავლეთი. მაგრამ „ხატების ტრასა“ სამზრეთითაა. მინახავს რამდენჯერმე: ერთ მუჭა თივას ცეცხლი რომ ნაუკილო, ისე მოედება რაღაცას ალი, გეგონება მთარახის ცეცხლიანი ბოლო გაიქნისო და, ვაქრება.

- აა, ვაგვენიტა, ბერი კოპალას ცეცხლმა-მეთქი! შევეთვლიდი ავსულს ბავშვივით. ძალიან დიდ პატივს ვცემ კოპალას და სხვა ნახორცილარ ღვთისმშობლებს, თუმცა თვითონ თეთრი გიორგის ყმა ვახლავართ. - ბავშვობაში მყავს ნაგრძნობი, როცა გონებას არავინ მიქმბდა. რაკი დედაჩემი და ბებოჩემი ყველაფერს მწიხნე მარიაშს და თეთრ გიორგის სთხოვდნენ, მახსოვს, მეც ვთხოვდი ერთხელ - ვამათეთრე-მეთქი, რაზეც თეთრ გიორგის გაელიმა და სახეზე ნაჭრილობები ჩაეკეცა. სულ სხვანაირი დავინახე: მაგვერემანი იყო და თეთრ ცხენზე იჯდა.



ელა კი, ვინა ვარ? სიბერემ დაშიახლევა, და-  
მიხვევდა საფიქრალი! ერთხელ, ამასწინ, ჩვენი და-  
ნი დუქანში დავითვერ და შულღობა მომწადდა.  
გამაშველეს, თანმხლებმა ქალებმა - იმათ ვანონებ-  
დით თავს - მაგრამ ვამკონეს, გამაცილეს იქაობა. „ -  
ეგრე კი არ ვაგამშვედებ, ქალებს რომ არ დავეჭი-  
რე-მეთქი!“ მივაყვირე, მაგრამ ფოთლად არ მივი-  
დათ ჩემი მუქარა: „ - ბებერ კაცის შულღ რაილა?  
სიბერ-სიკვიდილის ხანთ გონ ანაბარ გამაუვ კაც-  
სა!“ ეს ნათქვამი იყო ჩემი მონაგები. წამომიყვანეს  
დაძმარებული. შევესანარ გულგრილს, ვისიც უფრო  
ნდომა მქონდა, მზემამსწერალ ეშმას დამედარა,  
რომელიც მზის ამოსვლადვე ვერ მოასწრო დამალ-  
ვა და იქვე დარჩა. ერთხელ ჩემი თვალით შევესნარ,  
მზემამსწერალი ეშმა ქალის სახით იჯდა წყაროზე.  
ისევ დავინახე ის ეშმა, ისევ შევადარე ჩემს რჩე-  
ულს, ვთქვი ხმაშალა: „გაგამ თქვა - „კია ქალ მი-  
ნდა!“ კია ქალმა თქვა - „გაგა არ მინდა!“ მომე-  
ფერნენ სხეები. ადვილად გამომიცვალა გული და  
არჩევანი. მიგბრუნდით უკან, ნამყოფ დუქანში, გა-  
მოვაცხადე ხმაშალა: „კაცს შულღიც უნდა შეეძ-  
ლოს და შერეგებაც, ერთზე გათლილი არ უნდა  
იყოს!“ ქალებს კი ვანუშმარტე, „ერთზე გათლილი“  
ბრეყვს, ჯეოტს, პრიმიტიული შეუსმენელს ნიშნავს-  
მეთქი! მტერობის ხე გახმება, ზავი ჩამოვარდება,  
მტრები შერეგებიან, ძირს წულარ გაუხედლებ-  
დათ, გახმეს მტერობის ხენიო!“

მკებნია ცხენს უქინდან მოუარე, მწიხლავს - წი-  
ნიდან!

აეხლა, ესხედვართ და ვლაპარაკობთ მე და ნა-  
ნაისძე. ვაჭი დაეღუბა, ახალი წელგათავეებულია.  
აღარ უდგება სახლში გული, აღარ ცისარულის თავი  
აქვს, უნატრია, იქნება ვინმეს ჩემთან მოეყვანა, მე-  
ლა ვარ იმის დროთა, შეუსვამთ ტანის დამჭერებს  
ცხენზე და, მოვიდა. მე კიდევ ვიჯექი ბუხართან ოთა-  
ხის სიბნელეში. ისე აღარ მიჭირს თვალთ, სიუჩინე,  
კვამლი და ხრწოლი ვეპარმავეს ჩვენი. გუშინამდე  
სულ ლოგინში ვინექ, დღეს ავდექ, იქვე მათრობლავს...  
ავ სიზმრებსა ვისინჯავ სულყოველამ, კი ვამბობ  
ყოველ გათენებულზე „გულთხელთა მოგონილია  
ცულ სიზმრის და ავ მხარიო!“ მაგრამ მე კი მანუხე-  
ბენ, ვისი მოგონილიც გინდა იყოს.

ქრისტეს თიხის კაცია ნანაისძე, წმინდა, ალა-  
მართალი... მოსულეს ჩემმა ვაჟმა შემოასწრო, „ნა-  
ნაისძე მოგივიდა სტუმრად, ხო ვახოსეს, შვილი რომ  
ჰყავს ახალი მკედარი, მოუსამძიმრე!“

ნადირმა იცის ერთი ადგილის აჩემება და სულ  
იქა წვება. ეგრე ვარ მეც, ამ ჩემ ბუხრიან ოთახში,  
ესაა ჩემი დარბაზი, იმას რო ვაცვდები, თავი სხვა-  
გან მგონია.

- საყვავყორნები დავრჩით, ძმაო!  
მეტყვის ნანაისძე. ადგილს შეეურჩევე, კარგად  
მოვანყო. მეცა მაქვს სათქმელ-სალაპარაკო. - ეეკუ,  
სულ ვნეყარ, სულ ლოგინაუკრეფელი ვარ... შეეგა-  
გებ სიტყვას... გამახსენდება, რო გამაფრთხილა ჩემ-  
მა ვაჟმა, „მოუსამძიმრე“, მეწყინება თავისგან, ვეტყ-  
ვი ჩვენს ძველ ნებსზე:

„- ვერ გექნა ჩემ თავი, მანამდე ეგეთს განხე-  
ვი, დიდი ბრალია, რო შენ შვილ დაგაკლდებოდას,

შენ გულ დასწუხდებოდას, ჩემ კვალ კაც მზეს იარე-  
ბოდას, სიტყვას გეტყუდას...  
- შენის მტრისია, დუმშანისია, რაის კაისად ორთ,  
რა კას დავსცდებით, ჩვენზე ბეჩავ ვინ მოკვდების?  
მოვსწებთ ბეჩაობასა, ჭირთ ყოფასა, მზეს დავს-  
ცდებით თქვენს სწორსა, კაის მაკეთის თავსა.  
- უტეთის კაისად არავინ ას, უტეთე კი არავის და-  
აკლდების. გამასადეგნი ხართ ძმისწინ, მამისწინა-  
ნი. დღეს ამას იქით მარხე წულარა მაგცას, ნარჩობთ  
ჯვარ დაგწერასთ“.

შიძილება ბოლო ჩვენ ვიქნეთ, ვინც მისამძიმრე-  
ბის ეს საუკუნეებში გაუცვთელი ტექსტი წარმოთ-  
ქვა - მე და ნანაისძე.

ეკ, ნანაისძე, შენ კი დამიარხები შენს მიწაში! მე  
ვინ იცის სად მომწევა სიკვიდილი. დღოია, დღოი!  
წინ მე ვარ, მაგრამ ახლოს მესმის მეორის ცხენის  
ქშუტუნი, და ვიქნევ მათრახს, ცხენსაც ვუძახი, თავ-  
საც და ფერდობიდან მაყურებელ ხალხსაც... რა ვი-  
ცი, სად მოკვდები, ათასგან დავეთრევი... მოვივლი  
ქვეყანას და მოვალ აქ, მოვივლი და, მოვალ... შიძ-  
ილება თვის ადგილას მოკვდე, რომ გამოკვლევა და-  
ჭირდეთ ჩემი სადაფრობისა... შიძილება არაბად და-  
მადგინონ, მიდივლად, მისრეთელად, ურად... ჩვენს  
მთებში ხომ მივლი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მო-  
დიოდნენ ლტოლვილები... არის იმის ალბათობა, რომ  
ჩემი სხეული ხარანის ყოფილ ტერიტორიაზე დაფ-  
ლან. - ნახარანაულეშში... აქიდანაც ბევრნი არიან  
ნასულეები და რაკი ბევრი არაფერი ჰქონდათ ნასა-  
ლეები, ის მიჰქონდათ, რაც თავში ჰქონდათ კაის  
ქვით ამოჭრილი - ენა, ადათები, ტრადიციები... ასე,  
რომ, იცოდეთ, თუ ვინმე ხელის ფრჩხილებს და თავ-  
ზე შეჭრილ თმას დაჰკანკალებს - მარხავს, წავს,  
სხვის თვალს უშალავს, იმის წინაპარი უთუოდ ჩვე-  
ნებური. თუ არ გვერთა, ლაბორატორიას გაასინ-  
ჯეთ იმის სისხლი და ძვალი და, ნახავთ „კაკკასისა“  
რომ ამოვიგდებთ. კაკკასისი კალთებიდან სულ თავ-  
ქვე და სულ ვაკეა, აქიდან ნასულ კაცს რა დაიჭი-  
რე! სხვა მთებში - იბერიის ბოლომდე, ისეა კაკკასი-  
ონთან ვითომც ვერცხლისფერი ფოლგა დაგიჭრუჭ-  
ნია. მიცვალბულს მთელ წელს გლოვობდნენ.

სისულს მთელი სიცოცხლე ძიობდნენ, თუმცა კი  
სწადნათ, რომ დროის შემდეგ მოკლული და მკვლე-  
ლი სულ ერთად სხედან გაუშორებლად. ან ჯერ კი-  
დედ როდის ითქვა - „გავსილან სასაფლაოანი, მკედარს  
აღარ სწვდება მიწანი“.

- არაა საკვირველი! - ამომძახის საიქიოდან წინა-  
პარი.

ყველაზე მაღალი „საძახებელა“ მთა ჩვენშია -  
„ქუდნისლა“ - ადგილი, საიდანაც შორს, შორს ვას-  
ძახებ... და რატომ არ შიძილება მზის თვალციკ რომ  
გაჰყვებს და მთელი დედამიწა მოიაროს და რატომ არ  
შიძილება, ის „ცისთვალი“ იყოს, რომელიც მაღალი  
მწვერვალების ვერცხლის და ბროლის თაიგულში  
ისვენებს.

ან რისგანაა, რომ სალ კლდეებს შორის ამაყად  
გაზრდილმა კაცმა, იმავდროს დანიუნის კიდევაც  
წინაპრებისგან ხმელთ ნაჭერი მიწა: „არხოტ რა  
საცხობისია, ეშმაკიან-ქაჯიანი?“

### ნარღვნა ერთი ადამიანისთვის

ძვირად დამიჯდა დროის ტარება. ნუ დაღვეო! ერთს მეუბნებოდა ღმერთი და, იმასაც არ ვუსრულებ. ჩემს მტერს, რა დღემიც მე ჩავვარდი.

ჯერ ხომ სახლში მარტო ვიყავი და ამის გამო ყველა კუთხე-კუნჭულში მივიმტვრიე-მოვიმტვრიე, მერე მივლი დღე გულს მაზიდა, მაგრამ, ჯანაბას, ესეთი ყველასთვის გასაგებია. გაუგებრობა მერე და მზერა, უკვე ფიზიკური რომ ვიყავი, მაგრამ ლოგინიდან ტანს ვერ ვიღებდი - საბელი ვინატრე. მიძიე ავადმყოფის ჭერიდან თოკს რომ დაუკიდებდნენ, რომ იმის შემეგობით ნამოენია, გვერდი ეცვალა. იტყოდნენ ასეთზე „საბელთ ხკიდავო!“

სიკვდილის შემეშინდა, უფრო მაგრა უნდა იყო, სიკვდილი რომ მოვა. გავისხენე, გავისხენე, გავისხენე: საგლოლა მგონი არ გაეუყარე კარს, მგონი ვიფიქრე, მარტუას რა ურდული უნდა-მეთქი!

მაშინ იყო, წმინდა გიორგი რომ გამომეცხადა გარდაცვლილი ბიძაჩემის სახით, რომ უფრო შევეძარი.

მინდა გავაგებინო მკითხველს ჩემი განცდები, მაგრამ ვერ ვერევი, ქარსაც ვერ ვუტარებ, არათუ ვნევი, როგორც ფარდავს ვერ განურავ, ისევე გაფენ, გაუღწილი... დაე, მკითხველი ეკიდოს და წყალი გასდიოდეს...

ყველაფერი ერთ ნაშში მომხდარ საშინელებას ზგავდა - მიწისძვრა, ხანძარს, წყალიდობას.

მოვლენის დინამიკა ასეთი იყო: დიდი ცეცხლის ბურბური გავამის ღრუეში, აწევა ტემპერატურის თავის უმაღლესამდე და მერე უკანდაშვება სწრაფი სრიალით, წყლის სმა გაზაფხულის გრძელი დღის მანძილზე, მერე რწყევა-ტრანავა და პირღებება შადრეანული - ცალცალკე და ერთადც... და მერე ყველაზე საშინელი ეპიზოდი: ოფლისგან ხორცის დიდი დნობით, როგორც ტანჭირიან გველეშაპს, ძვლებზე მცვივოდა ტყავი და ძირს მყერებოდა და არსიდან ხმა, არსით პატრონი...

იატაკზე ვეგდე ცარიელი ჩონჩხი, ყველაფერი ხორცეული გამიქრა, გულიდა მეკიდა ზარის ენასავით და ნეკნებზე მეხლებოდა. ვიფიქრე, ჩავიხედავ-მეთქი ჩემს ნახორციელარში, იქნებ სული ჩანდეს სადმე-მეთქი. ვერსად მოვიძიე. არც დიდ ფულუროში და არც მის კუნჭულებში, არსად არ იყო. მაინც არ ვთქვი, „ფიქცია ყოფილა-მეთქი!“ ეტყობა იმიტომაც, რომ ხანძარივით ვანათებული გონება მქონდა, რასაც ვგრძნობდი, ვხედავდი კიდევაც. საშინელი სასურებელია ნავრძნობი! და ისევე მომინდოდა, გავში რაც ვიყავი.

შევარბიე ჩონჩხი და აფურიალდი. ვიყუჩე შიშით. ვიგრძენ, რომ გადაადგილებას შეეძლებდი, თუ გზაზე არ დავიმსვრევოდი.

გავფორთხი მაგადისკენ - იქნებ ტელეფონს მივწვდი და დავრეკო... არა! სირცხვილი სულ არ დამიკარგავს: „თავი ნუ მოგნოს სიკვდილო, სირცხვილზე მტერი არც შენ ხარ!“ ასეთებზე ვარ გაზრდილი - ასე სამარცხვინო. სამარცხვინო იმიტომ, რომ სიცოცხლისთვის ასეთად დარჩენაზეც თანახმა ვიყავი. და-

ვაკირდი ჩემს მოცემულობას და ჩავთვალე, რომ ჩემს მიერ ნახას ყველა ჩონჩხს ადამიანის ოთხზე დამდგარი ჩონჩხი სჯობია, უფრო სრულყოფილია. ტყუილად გაიმართა ადამიანი, მიჰქარა, რომ ოთხს ორი ფეხი არიან... შეიძლება ჩემით დაიწყოს უკუველოლუცია, შეიძლება წინა უფრო მტკივნეული იყო...

უცტრად, თითქოს ზღაპარი შემანყვეტინესო, ჰაერი მათრახის ტყლაშუმმა გააპო, - ეტყობოდა, რომ ცხენისთვის არ იყო გადაქცეული...

თეთრი გიორგი ედა ჩემ წინ, დედიმჩაჩემის სახით. მეგონა ის მკერდისხლიანი პერანგი ეცმებოდა, მე რომ ბავშვმა ვიპოვე კარანის საიდუმლოდ დაკეტილი უჯრანი. არა! დედიმჩაჩემს ულაქო თეთრი ტანისამოსი ეცვა, კვლავაც შავგვერმანი იყო, ხაროვით მსხვილი თვალებით, ოდნავ გადაბმული ნარბებით და კეხიან ცხვირით... მაგრამ, ეტყობოდა იმიტომ არ იყო მოსული, რომ დავეტკებ: - ახლა უკვე ადამიანსაც გადააჭარბე სიუჭკოვითი! - მითხრა და გაქრა. „ვისი სახელიცა მქვია, იმის სული მპატრონობს.“ - მიველოცე თავს.

არასოდეს მენახა დედიმჩაჩემი, გული მომიკვდა, „როგორ ფასს იღებს ეს თეთრი გიორგი-მეთქი!“ - გამიფიქრდა ეს მკრეხელობა და ვიგრძენ, რომ კვლავ ხორციელი შევიქნებოდი.

კვლავ შორიდან გაისმა შოლტის ტყლაშუნი, აეკრთი, და... მე ვიყავი, ფეხზე დამდგარი, კვლავ იგივე, სახელით და გვართი და ინიციალებით... და მომინდა სადმე ვინმეთვის ნერლის გაგზავნა, მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ უკანა მისამართის ადგილას ახალი გამოცვლილი სახელები ჩამენერა. მთელ სხეულში „მე!“ მივუგუნებდა - მე-მე-მე! - იძახდა სული - არ ვიცი საიდან, და, გრძნობდა, რომ ახალგანსწავლული ვიყავი.

„მე“ შეიძლება მელოდია იყოს? რამ აქცია ეს ნაცვალსახელი სამყაროს ნაწილად?

გავვარდი გარეთ და სახლის წინ, ფართო მოლზე ცეკვა გავმართე, - ზოგადკანინი ცეკვაედა ზოგადსაკიანში... ცეკვაედა და ვმღერო, ვმღერო და ცეკვაედა, დამზუბუქებული სხეულით, წკრილა სულით, ვგრძნობ, რომ ჯერეთუქმნელი „ბებრის რეპი“ შევქმენი, ამამაობაში, ვიციინი და ესეც უხდებდა:

- „ნუ გატყდები! „ვაიმე“ არ გიშველს იქა, „ათათა“ შაასწერილი!“

დაქანცული დავგვდე ბალახზე, დავისვენე. წვიმისალაფარი ნაგემები ბალახი იყო, დამატკობ ძალიან. მაგრამ მეტი რომ არაფერი ენახა!

ნამოვდექი და ძელსკამზე დავჯექი და მაშინვე სახლის თავს ზემოთ, „ადგილის დედის“ სალოცავისკენ გავიხედე უხმო მადლიერებით...

მელქოლა ედგა თავის ორ ძროხას და აძოვებდა. ყველაფერი იხილა. ეხლა მოყოლოდა ეკლდა. საღამომდე უნდა ეცადა. ორი ძროხა და ერთი ბულა ჰყავთ მელქოლას და იმის სიძლიერებს. ბულამ გაანვალათ. დადის, დაღმუის, ორ ქალს და ორ ძროხას ერთი ბულა ვერ გაუწერებია!

და შევიქენი მე ზოგად-ასაკიანი. ხან სიბერის წყლებს ვუმავრებ მუხლებს, რომ არ წამილოს სიძაბუნეში, ხან მივანჩქლე, როგორც ჭაბუკი. ხან ცინგული ერევა პირთან მიტანილ კოვზს, ხან ოცი წლის ჭაბუკის ნიღზე შემბული ხმალი ვარ.

არ ვიცი ეგებ, ზოგადასაკიანად რომ მიპირებენ კურთხევას! რადგან ჩვენში ყველაფერი კურთხევით არის.

- აჰა, ვიტყვი, ზოგადასაკიანი ვარ, რომელშიც მინდა, იქ გადავცხები!

ხან მაგარი ვარ, ხან რბილი, ხან მაღალი, ხან დაბალი, ხან დედალი, ხან მამალი, ხან მანჭი, ხან პრანჭი, ხან მოვიკუნტები და ვლილივარ, რომ არავინ გაიგოს, „სიცივემ გამამზანავა, ამინდებ დადგა ფინთები.“ ხან მივედივარ და მივანგრევ უდანაშაულო ქუჩას კიბლების ღრჭიალით: „აესეთი ჩქამი დააყენოს, თუ ბიჭია, ამ ქალაზე გავლილმა!“ ხოლო ქალმა? ქალმა ისეთი ბიჯით უნდა იაროს, რომ ჩალა არ ააჩქამოს! მე კი გავაგრძელებ ჩემი ზოგადასაკიანისას... ხან რომ ორბივით თეთრი ვარ და ხან შავი არნბივით ჩამოვუფდები - ძირითადად ქალებს, რადგან, გამოცნობაც არ უნდა, იმდენი დაიარევიან თეიურიანი ვაჟები, სულ რომ შეწუხებულთბი და რალაც უნდათ - თვეში კი არა, კვირაში ოთხი დღე... სულ რომ მძაღარი ვიყო, ასე კი არ ვიქნებოდი! შიმშილი დიდი შემნახავია ორგანიზმისა. რამდენი ხანია, შიმშილზე აღარაფერი წამიკითხავს. აღრა ნერვ? იქნებ აღარ შიათ? იქნებ დაავიწყდათ? იქნებ შიმშილი მხატვრულ სახეზე იქცა?

- ბავშვებო, აბა ვინ მტყვის, რას ნიშნავს „ცულისყოობა?“ - დიდი შიმშილობის დადგომას, როცა ცული იმდენ მარცვალზე იციდებოდა, რამდენიც ამ ცულის ყუაში ჩაეტეოდა!

დახე, მეც კი მიცხოვრია ქვეყანაში, სადაც ურჯულობით დღიურ მუშასაც კი არ აჭმევდნენ, რასაც ადასტურებს ჩვენი დამწერლობა: „მწყეს-მუშად პურ-წყალი არღა არგასამეტებელია, უცოდომადლო თუ არ არი კაცი!“

აუ, აუ, არ დამენახებინან ეს ქალები, დასთხიეთ აქიდან!

აუ, რა მითხარ-გითხარანი არიან ე რაღა-ქალები, რა ამბისანი! მომარიდეთ! ენატარტალა, უდიერი, ახალგაზრდობას ვერ თმობენ! მომამორეთ, დასთხიეთ აქიდან, თვალთ არ მანახით - არ მინდა! რა წამალი? არ მივიკარებ - მოკვდები!

თებერვლის ციკაები ამძვრალან ცვათამბჯენის სახურავზე.

როგორც ჭიანჭველა ეწვალება თავისზე ასვერ დიდ რალაც მარცვალს, ისე ეს კაცი ქალს ეწვალება.

რას ექვებს? ერთი კალათა აქვს ქალს და იქ უნდა, ბურთი ჩავაგდოს. გაუნიე, ქალი, ტიკს ფეხები, ნუ აწვალებ კაცს, ძალადობის რომ ეშინია.

- აი, ამებოთ, როგორ გამოიმეცალა თვალთავან ამხელა სამყარო! მცირედი დიდი როგორ ეჭირა - იტყვის კაცო ერთ დიღას, როცა ეზიარება. მიხედება: მცირეების ბატონობის დროს უცხოვრია.

წერილმანთყვევ მითქვამს!

- არა თქვა „ცოფ!“ მე გეტყვი: - არა თქვა „გნაც...“

„ღმიილით ნუ ესვრი, ალერსით ნუ გადაადგებ.“ მე გეტყვი.

ერთბაში ჭენებით უნდა დაამთავრო ნანერი, ერთი სიტყვითა!

კარგია ერთი, სოლოვითა! მკითხველის გოგონისთვისაა ზედგამოწერილი თორემ ისე თავიდან უვარდებათ ნანერი, ქარის მოტანილივით...

და მკითხველის უმისოდაც მწერლად ვერ გახდები!

- რაა ის „ერთი?“ ამისთვისაც უნდა გატანჯო მკითხველი, უნდა ათრიო აბზაცებზე, ფურცლებზე აბორძიკო, ბეგრი ოფლი ადინო, წაგლიჯო ხელიდან თავის წარმოსახვა, გადაუგლო, შენი შეწარო...

ასე იქმდნენ დიდი მწერლები სასურველი შედეგისთვისა, თვითც იგვემდნენ თავს და მკითხველსაც ტანჯავდნენ, ცუცხლზე ატრიალებდნენ ურტყამდნენ, - „ცოფ!“ ეუბნებოდნენ, განათუ - „ვირო!“

არადა, ვირისა თუ არ დაუდე, როგორ იქნები მკითხველის მწერალი.

ბოლოსთვის ვინახავდი მე სულელი, რაც მკითხველის თავში ყოფილა...

- რაა ის „ერთი?“ - ვირისა გახლავთ!..

(უნდათ, რომ შემაცდინონ და მაუზრდელიონ):  
- შეხედავ და, ვითომ არაფერი, მაგრამ რომ მოგხვდებოდა... მერე გაიგებ!

- რაიო? - უკან მიბრუნებთ? - მითვლით კიდევაც, „შენს უკანანშიო?“

- ათათა! მკითხველო, გადმოგიტები ამ ნანერიდან, შინ შემოგეჭრები, პირდაპირ რომ არ გითხარ სიტყვა - როგორიც არის, ის გათამამებს? ახია ჩემზე! ვირი რომ ევეფემიზმს მიმართავს, ახია ვირზე! დაღირებას დავკრა სჯობს, ოდიოვანი! ხახახა... ვირის ევეფემიზმი! - როგორც თქვენი ჭკუა, მკითხველი! და ჩემი სისულელი... ხახახახა! მოვიხმო ვერ ჩემი მადევი! შემოვიტებით სახლის ბანზე, ბრავა-ბრუსს აგიყენებთ, თავზე გეყვრებოდეს მიწა და ჭლი!

ვერა, ვერა, ვერ გამტყხავ, „ვაიმეს“ ვერ მათქმევინებ,

„ათათას!“ შეგასწრებ, შემოგაცივლებ ძველ-აუფრადა:

- თქვენდამც იყოს! თქვენი ცოცხლისადამც, მტრისადამც, მოყვრისადამც,

ქალისადამც, რძლისადამც... ყოვლისადამც, ვინც წინ იხრება, მალისადამც, დაბლისადამც, ტროყვისადამც, ნაზ-ნარნარისადამც: ემ წუთებში თუნდ ყვავილს წყვეტდეს!..

ამენ-ამენ-აგრიდა!



ხან მას უყურებენ, როგორც მაიმუნს, და ხან ეს უბედურს მაიმუნზე უარესად, იმის მიხედვით, ვანგებ ვადმოვადგეს მაიმუნებმა რაზე, თუ შემთხვევით გადმოუვარდათ.

ასეა თუ ისე, მწერლის კლასიკური სახე, როგორც ისაა ვაზრდილი და სულ ყურებშია მელიოდისავით, - როგორც თვითონაც არის, როგორც გინდა იუაროს, - ცოტათი შეემღვრება ხოლმე უშუალო ვულგარობით, ვისოსებს იქიდან რომ ეფურქვევა მის ფანჯრებს, - ბევრად მსუბუქით, რა თქმა უნდა, ვიდრე დანარჩენ ქალაქში და ასაკებშია, მაგრამ მაინც... ისევე, როგორც მანქანაზე ფიქრი და თვალეზისა და გონების მასზე გადართვა აფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, ნაწერის აზრი უფრო ნაკლებადაა მასში, ვიდრე მანქანისა. თუნდაც წერდეს „აზრი და საგანი“ - ასეთ რაიმეს. მაგრამ ამ ნაშში გადაახტა ყველა ფიქრს, „ჩვენ მაშინ დავიღუპეთ, როცა ორფა-ენიანი ქალები დაგვისხდნენ ვეზურად!“

დაიხ, „ქალებს, რაც უფრო მეტი უფლებები მიეცათ, მით ხელი აიღეს სინდისზეო...“ მაგრამ მოასწრო და ფიქრშივე ჩაასწორა - „მიეცათ“ კი არა, „მოიპოვეს“, რომ ვინმეს არც შემთხვევით არ მისცემოდა მის ქვეცნობიერზე, სადაც ქალები კუბურში იწმინდებოდნენ, ვიდრე მასთან შენვებიან.

სიხარულს გააქვს, მწუხარება - აზრუნებს. ასე შეტანილ-გატანილი კაცს არც ამდიდრებს, არც აღაბრძობს.

ჩემი აზრით, წესიერება და უნესობაც ასეთივე წყვილია, ოღონდ ათასჯერ დიდი ასაბრებით. წესიერების დავინყება შეიძლება, უნესობისა - არა. წესიერება ზრდაშეჩერებულია, უნესობა - მზარდი.

უნესობა უზრდილებს წესიერებას, მინას, ცას, ყველაფერს უთხერის და განუწყვეტლივ ხედავს შედეგებს.

ელოდება, როდის აწინააღმდეგა წესიერება: „ჩუმი რომ ალის, ვანა ალ ესმის; ლომ ალ ამბობს, ვანა ველ ხედავს!“

### აქა ამბავი ბებერი სახედრის სიყვარულისა

ესიზმრა ბებერ სახედარს: სადღაც ტრიალ მინდორში იყო და ბალახობდა. მოწყენილი იყო. ძირს-დახროლ ნაშნამებზე სწვდებოდა ნაშიანი ბალახი და უხაცუნებდა. ფოთლისხელა ჩიტი ევჯდა ზურგზე და ცოტა ხანს უფასოდ მგზავრობდა.

სახედრის სმენას, ამ მინდორზე ათასჯერ უფრო დიდი მიწის ამბები მოსდიოდა. ყველგან მხოლოდ მშვიდადაა ძოვდნენ. მარტო ერთი ქურციკი შეკამათდა თავის ტოლ-ამხანაგებთან და შორიდან, ისე, რომ კარგა გვიან გამოჩნდებოდა თვალისთვის, სახედარის საძოვრისკენ გამოეკანა.

მაგრამ ქურციკების ნაჯარიდ არავის უკვირს, ტალღამ, რომელიც სხეულში აქვთ, უცებ იცის ხოლმე აჩქაროლება.

იმ ფასვე, ყნოსვამ ისეთი ამბავი ამცნო სახედარს, რომ ყურები ცამდის ააცქვეტინა: გაიხედა შორისკენ

და აჰა! გრძელ-გრძელი ნახტომებით, რაც ტალღას ამგავსებდა, მისკენ მოქროდა ქურციკი.

გული მიშმადა აუტოკა: როგორ ჩვენგანოდ იმ სახისა, რაც გუშინ საღამოს წვიმის ნაგუბარში იხილა: ბებერი, უშნო, საბაველი. ჩადგავუნა ნაგუბარში ჩივირი და აადგავუნა. მოსვა ცოტად ამღვრილი წყალი, რადგან წმინდის ღირსი არ იყო და ვაცივდა. შუბფიცა თავს, რომ ქურციკზე ფიქრს შეეშებოდა.

მაგრამ, აჰა, ბედმა დასცინა.

„გაქცევის დროაო!“ უთხრა მუსხლებს, მაგრამ მინამი დარტყბილი ფეხები ვერ დაძრა.

ქურციკი არაბუნებრივად მწყრალი სახით მიეხილა და ხაზგასმით მეტი შავი დატოვა სახედარსა და თავის თავს შორის.

„გავა ჩვენს შორის თვალეზის გარდა ყოფილა რამე?“ სახედარი თავდახრილი უსმენდა. „ამხანაგები მამბრაზებენ, დამცინიან თქვენს გამო.“

„სულ რომ დავიკარგო, მაინც დავცინებენ, იმიტომ, რომ ყველას სჯობიაზარ“. სახედარს არ უნდოდა მისი აზრი კომპლიმენტად ეთარგმნა ქურციკს, თავის გაქნევიტ ნაშალა ბოლო ორი სიტყვა და თქვა: „იმიტომ, რომ გვეთება“. გაავრძელა სიტყვა სახედარმა: „ახლა მე ნავალ და იმათთან მოვიძოვ, მწახონ, როგორი ვარ!“

სახედარს თვალეზში არ შეუხედავს ქურციკისთვის, აიღო თავი და ქურციკების მიმდგრისკენ გაემართა.

რომ მოუახლოვდა, სელა შეანელა, ძოვაზე გადავიდა, დანახა ქურციკებს თავის სიმწიფე და უბერებლობა - ერთი-ორჯერ რისკიანად ტლინკებო შეყარა, რითიც, მართლაც მიქცია ქურციკების ყურადღება. კერძოლობის დრო არ დადგომოდათ და მეტი ჰქონდათ განსჯის უნარი, განსხვავებით დაბა-ქალაქების ქალებთან, რომლებიც ისე არ ვაცდებოდა სახედარს, თუ არ გააკვირეს, მამალია სახედარი თუ დედალი...

„ჩვენნი ამხანაგი ხომ არ შეგხვედრიათ?“

„- ვინ თქვენი ამხანაგი? თქვენ ჩემთვის ყველა ერთნაირი ხართ. მე ხანდახან თვალთმე მიმტრდებო ხოლმე, სულ ერთია, რაზე, რაც ცოლი დავკარგე.“

ქურციკებმა ირწმუნეს ნათქვამი, ვითომ შენუსხენ კიდევაც და ანუგემეს მშრალი ნაშნამების ქვედახროთ.

„როგორ შეიძლება ამქვეყნად მარტო ხეტება, ვინმე უნდა ნახოთ, რომ ლოგინი დაგიტოპოთ.“

კიდევ ერთხელ სცადას ბედი თვალთმაქცმა ქურციკებმა, ვინდოლ რაზე ნაშისცდენოდა სახედარს.

სახედარისც, ვითომ გაგულბრყვილობა - „პიპიპი, არის ერთი დარბაისელი მანდილოსანი, რომელსაც ქმარი ლომმა შეუჭამა...“

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ პეპლებით აფრთხენენ ქურციკები და სახედარმაც მათ მოსაწონად ტლინკები მილაგრად გაიქინა...

ღმერთო! ასეთი შემთხვევა გამოტოვოლი აქვს ისტორიას, - იმასაც, იმასაც, და იმასაც-უმცროსს... რაკი სახედარს ეტება და არა გმირის: სახედარის ერთი მძლავრი ფეხი - მეორეს იტკიებდა, - ლომის ხახამი აღმოჩნდა. ეს ისეთი მოვლენდელი იყო ორივე ცხოველისთვის, რომ ვერაფერი იღონეს: სახედარის ფეხმა ლომის მუცელს უწია, იმისამ მიმყოლმა ბარკალმა კი სუნთქვა სრულიად შეუკრა. სახედარიც, უძრავად ხომ



არ იქნებოდა, იქნედა ფეხს გასათავისუფლებლად და ღიანი აყენებდა ლომის შიგანს. ლომი ვერ სუნთქავდა, შიგანიც დაავინა და კბილებიც, გეგონება დანტისტის თხოვნით ჰქონდა გადმოყრილი. ასე, რომ, ლომმა ცოტახანსაც გაიბრძოლა და გაუდული დაეკიდა სახედრის ფეხს. სახედარმა გაჭირვებით გაითავისუფლა ფეხი, გეგონება შემწვარი ხარიდან გრძელი კეტი გამოეერთო, მაგრამ სიკვდილისგან ლომის კბილები ხაფანგის კბილებად გადაქცეულიყო და სახედრის ბარკალმაც დანაკარგი მიიღო. თემოს თავიდან ვიდრე ჩლიქამდე სახედარს ტყავი ჩამოლადროდა და სისხლი სდიოდა...

სულ მალე ქურციკებიც მოცივიდნენ. გარსემოეჯარნენ გამარჯვებულს, გარეუხტოდნენ, ულოცავდნენ და ანუგეშებდნენ...

სად იყო და სად არა, მაგრამ უსწრავესად „ისიც“ მოფრინდა, პეპელასავით კუდათითოლებულად.

„არაფერია!“ თქვა მან და სახედარმაც რწმენაზე მეტად ირწმუნა.

მაგრამ „ის“, სხვებისაგან განსხვავებით, მხოლოდ პირითი ნუგეშებით არ შემოზღუდულა, მაშინვე, ტკბილ-ხაოინი ენით და ნმინდა ნერწყვით ჩლიქიდან დანყებული ბარკლის ძირამდე, ჭრილობების დამუშავებას შეუდგა.

სახედარს მთელ სხეულში ჟრუანტელი უვლიდა, გრძნობამ ტკივილის განცდას აჯობა და როცა ბარკლის ძირში მიანვდინა ენა ქურციკმა, სახედარის გრძნობამ ნიშანი გამოიღო და ქურციკსაც მოუხვდა ენა. მაგრამ, როგორც ვთქვით, კერძილობის დრო არ ედგათ ჯერ გაეაფილწლიქიანებს.

სახედარმა, მადლიერების ნიშნად, ჩიჩვირი მიაპყრო ქურციკის ყელ-კისერს და საუკუნოდ ჩაისუნთქა იგი. ქურციკმაც რაღაც ბუნდოვანი იეჭვა თავში.

რას ვიზამთ, ფოთლისთვის ის ტალღა ფავორიტია, რომელსაც მიაქვს.

დიდხანს არ ვიქნები შენთან, მკითხველო!  
ის ერთი სიტყვა რომ მინდოდა,  
ხომ მივიღე ის ერთი სიტყვა.  
მაგრამ გვამის სამცაო ლუკმა იყო ის ერთი სიტყვა,  
მე კი ჭამა მინდა, მკითხველო!  
ხომ გავიგონია ძველთაძველი ნათქვამი:  
„ურემო, შეშას არ მოიტან და თვითონ ხარ შეშა!“  
ვერიდები შენს შეჭმას, მკითხველო,  
სანადიროდ ვეპირები ჯიხვზე და შერეული ვერ  
ნავალ.

მეც ვცდები, მკითხველო!  
ხომ ვახსოვთ, რომ ვაცხადებდი: „ყური მოვუძაბრე ცასა!“  
არ მოვუსმინე მაშინ, თუ რა ვქმენი მე საბრალომ?  
დავკრუდი?  
არა:  
ასეთ კითხვებით და აძაბრული ცისკენ ყურებით, ბრმად მიმიყვანა ცხოვრებამ უფსკრულის პირას და, რომ მიხვდები იმ წამშივე, რაც მომელოდა, ავფრთხვი ძერასავით... და კეთილმოსურნე რას დამენოდა!

ყური მოვუძაბრე ცასა,  
ვთქვი-თუ,  
ენახო,  
მეტყვის რასა:

- მორიალეს  
ჰგავდე  
მგელსა,

მგორიალეს ჰგავდე  
ქვასა!

**ფარდა**

ძერისა მესმის წივილი, მაგრამ ვერ ვხედავ ძერასა, თავზე ტყე წამომხურვია, ფოთოლი მიშლის მზერასა, თან გზაზე დევი გამოჩნდა, უყურეთ ბედისწერასა! ვიცანი დევთა მეზღაპრე, ლოყის ქურებსა ბერავსა, თავსაღმით გავცდით ერთურთსა, ბლევრა ვარჩიეთ ძგერასა.

წავიდეთ შვილო სადმე, დავიკარგოთთ, აქ არც მოგვახვეწიებენ, არც დავგათესკინებენ, არც დედამშობლობას გვათქმევენებენ, დედლო...



## ბექა ახალაია

# სტიქიების ტეტრალოგია

### 1. მინისა

სწორედ ასეა ჩემი საქმე. სხვას კი რა უჭირს.  
 არ დავდევ პეპლებს,  
 რადგან ასეა ჩემი საქმე. სხვას კი რა უჭირს.  
 ჩემს ნაფეხურში არ დგება წყალიც,  
 ცაზე კიღია ჩემი გული ნეკნის კაუჭით  
 1. და ნახვერტიდან წერილად ყრის მარილს.

დავუქროლებდი შენს ბალ-ბოსტნებს დილის ქარივით,

მიყვარდა ფრენა,  
 ჩამოვუვლიდი შენს ბალ-ბოსტნებს დილის ქარივით,  
 თუ დარჩა ჩემგან მისხალი მისხლის,  
 კარგად შევკმაზე შენი მინა გულის მარილით,  
 2. ენის პილილით და ძმარი-სისხლით.

შენთან მოვედი შორეული გალაქტიკელი,  
 ვიქეცი კაცად,  
 შენთან მოვფრინდი უშორესი გალაქტიკელი,  
 რომ შენმა ღმერთმა კაცივით მგვემოს,  
 გამიზიდა მინა მეტი ძმრისგან ალაგ წითელი,  
 3. თუმცა მე მასაც ჩავეტან გემოს.

მინა შევეჭამე და გამეჭრა მომავლის თვალი,  
 ყველაფერს ვხედავ,  
 შეჭამე მინა და გამეჭრა მომავლის თვალი,  
 გავანგდენ ბულში ცალმზერა შევრილს:  
 მოვა დეკაკი, ბუმბერაზი, საოცარ ძალით,  
 4. მონყურებულზე ტბა-ვერცხლის მსმელი.

რკინა იქნება და ფოლადი დეკაკის ჩონჩხი,  
 გული კი - მები,  
 რკინა იქნება და ფოლადი დეკაკის ჩონჩხი,  
 და გაიზლართავს თმა-წვერში ყვავებს,  
 დასაველით იგი მზეს მინათმებს ყოველდღე ხონჩით  
 5. და ამოიყვანს მიწიდან ღამეს;

გაისად ბელლებს ამოავსებს მოსავლის ხევი,  
 ჰარი, ჰარალე,  
 გაისად ბელლებს ამოავსებს მოსავლის ხევი  
 და არ მოგვიწევს ლოდების შუბმა,  
 ყურს ნუ ათხოვებ მოსანგელი ღრუბლების ბლავილს,  
 6. დაე, მონველონ მშიერმა თემბამ;

ენახე: სამშობლოს ცის მაგივრად ეხურა შუშის,  
 ბროლივით წმინდა,  
 ზეცის მაგივრად მას გუმბათი ეხურა შუშის,  
 ზედ იდგა ქალი - უთქმელი ენით,  
 ვკითხავდი: დედი, რა გინათებს, მითხარი, სულში?!  
 7. მიპასუხებდა: იმედი თქვენ!

იყვენ ღრუბლები, მზეები რომ სხვა ელფერს სძენენ,  
 ვიქეცი მზერად,  
 იყვენ ნისლები, ღრუბლები რომ სიმსუქნეს სძენენ,  
 იყო გალობა, ბუმბულითა ცვენა,

ვკითხავდი: დედი, რა შთაბერო, მითხარი, ჩვენებს?!  
 8. მიპასუხებდა: ურყევი რწმენა!

ჩვენი ცრემლები, მთლიან წვეთად, მეჭირა მუჭში,  
 ხელისგულს მწვავდა,  
 მთლიანი წვეთი, სათუთად რომ მეჭირა მუჭში,  
 მინა ვამგვანე გაფენილ ქილობს.  
 ვკითხავდი: დედი, რა ვისწავლით ყველაზე უნინ?!  
 9. მიპასუხებდა: მოთმენა, შვილო!..

ვიფურთებოდი ყელზე დამდგარ ჟანგიან ლუზებს,  
 რომ იყო ბლომად,  
 ვიფურთებოდი ყელზე დამდგარ ჟანგიან ლუზებს,  
 და მე ვანვეჭრეტიდ მომავალს სანამ,  
 ჩემი ძმარ-სისხლით შენი მინა დამთვრალა რჯულზე  
 10. და აპირებდა ხრიოკზე ყანას...

ნუ ინყევლები, შენი წყველა არის მცოცავი,  
 ამიხდა ბევრჯერ,  
 ნუ ინყევლები, შენი წყველა არის მცოცავი,  
 ვის ახოვდებ ჯიშსა და ჯილაგს?!  
 ვისზე დამგვემე, ვის მივდევდი და ვის ვხოცავდი,  
 11. რაში მარგია, რაც მერგო წილად.

ცაში ფრინველი არ არის და ტყეში ნადირი,  
 და კაცის ჯური,  
 ცაში ფრინველი არ არის და ტყეში ნადირი -  
 სისხლი არ მეცხოს ძარღვიან მკლავზე  
 და ჩემს მინურთან დიდი ორმო ღელედ დამტირის,  
 12. მათი დათხრილი თვალებით საესე.

ძვალი ძვალია, ხორცს დაყრის და მინას შეისხამს,  
 და შეივებს,  
 ძვალი ძვალია, ხორცს დაყრის და მინას შეისხამს,  
 კიდევ ცაშორდის ასწლოვან მუხას,  
 თავის დარდს ისიც თან ატარებს, მაგრამ მე ის ვარ  
 13. შიშველი თვალის სევდა რომ უყვარს.

უკეთესმკვდარო, მისჯილივით, შენს წყველას ვუსმენ,  
 გველივით მცოცავს,  
 უკეთესმკვდარო, თვჩახრილი, შენს წყველას ვუსმენ,  
 მიმსუბუქდება ტვირთი მცირედით,  
 დედამუხაზე შენი ხელით ჩაჭვდილ ლურსმენებს  
 14. რომ ამოვადრობ ბასრი კბილებით.

ნუ გააბრაზებ დროს, მომავალს, ტყუილბურალოდ,  
 უკეთესმკვდარო,  
 ნუ გააბრაზებ დროს, მომავალს, ტყუილბურალოდ,  
 თორემ ორივეს ჩაგვივლის გვერდით,  
 ბუნვდაყროლ კატებს წაიყოლებს, შენ რომ უგალობ  
 15. სიტყვებს, რომლებსაც ჩემს ტანზე წერდი.

წყალმერჩხას შენი გალობა და შენი თვალები,  
 უკეთესმკვდარო,  
 წყალმერჩხას შენი გალობა და შენი თვალები,  
 დაე, მშიერმა თევზებმა ჭამონ,  
 სული რომ მქონდეს, მთელ სამყაროს შევიბრალებდი  
 16. შენი მინის და ჰაერის გამო.



ხე-ქეა-ბორიოს მოტორტმანე შენი გულ-მკერდი, უკეთესმკედარო, ხე-ქეა-ბორიოს მოტორტმანე შენი გულ-მკერდი, დაე, გაჭეჭყრო მნიფე მსხლებივით, მახსოვს, მათ ვამო, მზენამდგარი ვის არ ვურქენდი, 17. გამინგრევია შუბლით ჯებირი.

ასი მთის იქით შენი თმა და შენი სურნელი, უკეთესმკედარო, თაბრუდამხვევი შენი თმა და შენი სურნელი, დაე, ისუნთქონ ცალრქა დევებმა, ასი დღის მერე, დაე, ის დღე, მე რომ სულ ველი, 18. რომ შენთვის დევეკაცს შუბით შევება.

მაინ ჩემს სუნთქვას მოხტუნავე გული ჩამოკრავს, შეე ზანზარდები, ზარის თოკივით ჩემს სუნთქვას რომ გული ჩამოკრავს, აფუგუნდება მთელი ჰაერი, მინას, ცრემლდელით რომ გავყავი, გაღმა-გამოღმა 19. ზათქი შუარხვეს ათასნაირი.

ცას დასცვივდება ფრინველები მნიფე ხილივით, მზეს გააჭუროლებს, ჩამონყებთან ფრინველები მნიფე ხილივით, და დასცვივდებათ ხეებს ფოთლები, მე - ყველა სიტყვა, სათითაოდ და ყრუ ტკივილით 20. და საუთურო დუმოლს მოვდგები.

### 2. ჰაერისა

სწორედ ასეა ჩემი საქმე. სხვას კი რა უჭირს, არ დადევ ჩიტებს, რადგან ასეა ჩემი საქმე. სხვას კი რა უჭირს, შენს გარდა, ვის აქვს იქ ჩემი დარდი, ცაზე კიდია ჩემი სული ნეკნის კაუჭით 1. და პემესიტოლა ნაფლეთებს ბარდნის.

ვითვლიდი კენჭებს, უსაშველოდ მინა მოვისხი, ვინეკი მშვიდად, ვითვლიდი მატლებს, უსაშველოდ მინა მოვისხი, და ჩემი ყველა ჩონჩხით შევერთდი, და შენ რომ მოსვლა გადაწყვიტე, მე იმ დროისთვის 2. გავსუქდებოდი მთელი ხმელეთით.

ცაში გევონე, დაგცქეროდი თითქოს ზემოდან, და ამტროდი, რადგან, გევონე, დაგცქეროდი თითქოს ზემოდან, ვერ აგანვდინე მეც ხმა ვერაფრით, და რა იცოდი, მინად ყოფნა მომწყინდებოდა, 3. რომ შევიკერავს ჩემთვის პერანგი?!

უკაცო სახლი ნახრილია, ვიცი თავადაც, ტკივილად ნამყვა, უკაცო ეზო დათხრილია, ვიცი თავადაც - მთაც კი ამაზე მძიმე არ არი. შენ რა იცოდი, ღვინოს გემოს რომ ვერ ჩავატან?! 4. გამოგიკეტავს ჩემი მარანი.

ვის გაუგია ხედ ცოცხალი კაცის ცხოვნება, ერთი მოთხარი, ვის გაუგია მზედ მცხუნვარე კაცის ცხოვნება, და ვინ დალლია მიწის ტარებით?!

შენ რა იცოდი, რომ მე ახლა ხარის ღონე მაქვს?! 5. გაგიყვია ჩემი ხარებიც.

დედი! ცრემლები დამიმარცვლე სიმინდ-სიტყვებად, და მომაბნე, დედი! ცრემლები დამიმარცვლე ყურძენ-სიტყვებად, ნულარ, ასე ყრუდ ნულარ დამტირი, მე მოვაშავე ეგ ლეჩაქი, რომ არ გიხდება, 6. მე მოვაშავე კაბა სატინის!..

დასაბამიდან გარდაცვლილი მკედრების გემო აქვს, ძალიან მწკარტე, მინას აქამდე გარდაცვლილი მკედრების გემო აქვს, ჯერ ჩემი ძელები არ გიგემია, აყალო ხორცი შავ ლეჩაქი, რომ არ გიხდება, 7. ერთი ლაგარი მხოლოდ ჩემია.

დასაბამიდან გარდაცვლილი მკედრების სულია, თეთრიც და შავიც, ღრუბელი დღემდე გარდაცვლილი მკედრების სულია, და ვერნატირი ცრემლები გვანჯიმს, არ დაგცემია ჩემი ნვეთი, ნიავს თუ მიაქვს 8. და სულ სხვა დედას სახეზე ავრის.

დასაბამიდან გარდაცვლილი მკედრების სუნთქვაა, თბილც და ცივიც, ჰაერი დღემდე გარდაცვლილი მკედრების სუნთქვაა, ასე ბინძური და ასე სუფთა, და შენ რომ სუნთქავს ის ჰაერი, დედი, სულ სხვაა, 9. და მე რომ მსუნთქავს ის დედა - სულ სხვა.

დანაბარები მეც მქონია ცაცხვის სუროსთვის, თუკი გადმოვცა, ჩემი სიმწვანე - ცად გასული ცაცხვის სუროსთვის, ამინვა ბუქი ფესვების ცეცხლმა... ნამოწოლილი, მარტოოდენ, ნესვი თუ მოდის, 10. ნამოვდექი და მოვდეგარ მენყრად.

ღვარ-ცოფად მომსკდარ მდინარებს თავზე ვეველებ, დიდი გზა მიდევს, ღვარ-ცოფად მომსკდარ მდინარებს თავზე ვეველები, და ვილას ახსოვს მტკივანი ბუქი, გამეწერილი მაქვს, თითებივით, ჩვენი გველები, 11. რქეს რომ ვუდგამდით ნინკართან გვეჯით.

ნეტაე, ჩემს სამღერ ძველ სიმღერებს ახლა ვინ მღერის, ვინ დადის ველად, ჩემს სალიღნო ძველ სიმღერებს ახლა ვინ მღერის, ჩემი ორლით ვინ ხოცავს ტახებს. ამომიკერავს ეს თვალები შენი თმის ღერით, 12. ახლა ჭალარა ნამწანებს ვახელ...

მახსოვს, ვინეკი. ბინდი იყო. სისხლი მდიოდა, მიჭირდა სუნთქვა, სალამო იყო. მე ვინეკი. სისხლი მდიოდა, და სისხლის სუნი აელოთ აფთრებს, ამოიზარა შეცხადება მოთბო სიოდან 13. და ჩათვლემილი ყვავები დაფრთხენ.

შენი ხმა იყო. ხოლო მე კი, როგორც როდინში, დალლილი ხელით, სიკვილს ვნაყავდი გაბზარული გულის როდინში, მესმოდა შენი ფრჩხილის ხმა კლდეზე, ჩემმა მამალმაც მოიყვლა მთელი ოდიში 14. და ჩემს მუქ სისხლში ანობდა დეზებს.

იმ ანგელოზმა, ჩვენს ნაძვზე რომ ჯდომა უყვარდა,  
ხე იყო მისი,  
იმ ანგელოზმა, ჩვენს ნაძვზე რომ ჯდომა უყვარდა,  
ძირს ჩამოყრილი გირჩებით მითხრა,  
რომ ჩემი მამლის თავი გდია ბებერ მუხასთან,  
15. ფეხი კი - სულზე მეტყობა ნითლად.

დედი! ტკბილია, ხელმეორედ, თვალის ახელა,  
უკვე ვიგრძენი,  
თუ რა თბილია, ხელმეორედ, სუნთქვის ახელა,  
ჩვენს ნახირს მინდურად ისევ გავედენი,  
მე მოგაშავე შენი კაბა - დარდი ცამხელა,  
16. და ეგ ლეჩაქი - ცრემლი ზღვამდენი.



დღეები, უკვე ჩავლილები, მუდამ გეტანჯავენ,  
მე მათ ვივინყებ,  
დღეები, უკვე ჩავლილები, მუდამ გეტანჯავენ,  
ჩვენი მომავლის შეცვლას ცდილობენ.  
მანაც დავისისხლავ მოჭრიალე კარის ანჯამებს,  
17. მანაც დავენერწყავ ნაძვის ჭრილობებს.

სული თბილია, და მე ვცდილობ ციდან ჩამოვსხნა,  
მაგრამ ვერ ვწვდები,  
სული თბილია, და მე ვცდილობ ციდან ჩამოვსხნა,  
ნამოვიწიე მეწყრის ცერებზე,  
შემოვანვდინო ეს მკლავები, მინდა, ნამოდვრალ,  
18. ჩემს ნაოსტატარ მთვარეს, მერე მზეს...

დასაბამიდან გარდაცვლილი მკვდრების სულია,  
თეთრიც და შავიც,  
ღრუბელი დღემდე გარდაცვლილი მკვდრების სულია,  
და ვერნატირი ცრემლები გვანვიმს,  
არ დაგცემია ჩემი წვეთი, ნიავს თუ მიაქვს  
19. და სულ სხვა დედას სახეზე აცრის.

დასაბამიდან გარდაცვლილი მკვდრების სუნთქვაა,  
თბილიც და ცივიც,  
ჰაერი დღემდე გარდაცვლილი მკვდრების სუნთქვაა,  
ასე ბინძური და ასე სუფთა,  
და შენ რომ სუნთქავ ის ჰაერი, დედი, სულ სხვაა,  
20. და მე რომ მსუნთქავს ის დედა - სულ სხვა.

### 3. ცეცხლისა

ცარცისგან არის ჩემი გოგო, ლილის თვალებით,  
ფოთლებში სძინავს,  
ხო, ცარცისაა ჩემი გოგო, ლილის თვალებით,  
სურვილებს, თითით, ლოყაზე მაწერს,  
მან იცის, როცა ჩამოკრავენ ნასვლის ზარები,  
1. მამაც გაჰყვება ქარგება კაცებს.

ნახშირის არის შენი ბიჭი და ღამით დგება,  
არც არის დღისით,  
ის მხოლოდ ღამის სიბნელეში ნაცრიდან დგება,  
როცა ჯერ კიდევ შორსაა დილა,  
ცეცხლის ორ ნახევს გამოიბამს მცხუნვარე ფრთებად  
2. და თავის ნაცრით ჩემს მინდვრებს თრთვილავს.

ჩემს ნაფეხურებს აღარ აწვიმს, აღარც ბალახი,  
დავრბივარ ისე,  
აღარ ამოდის, რა ხანია, მათზე ბალახი,  
რამდენ წვეთს ვაქრობ და ღეროს რამდენს,

შენი ეშმაკი, ცეცხლისდედავ, წყველით და ლახვრით,  
3. გვრძობ, რომ, ყოველთვის, ფეხდაფეხ დამდევს.

ეს უსარგებლო ნაფოტები, დე, იყოს მისი,  
მე არ მჭირდება,  
ჩემი ცულიდან ასხლეტილი, დე, იყოს მისი,  
რადგან რწმენით და იმედით მავსებს.  
განა იმდენი კაცი არის ზედ კაკერის ღირსი,  
4. რამდენი ჯვარიც აღემართე გზაზე.

თავთუხის ყანა, ამაღამაც, საოცრად ღელავს,  
დალპობის შიშით,  
თავთუხის ყანა, ამაღამაც, ძალიან ღელავს,  
და გამორიყავს უამრავ ავსულს,  
და გაუყვება ჩემი თვალის ცეცხლი და ელვა  
5. ჯვრებს შორის გაბმულ ეკლიან მათულს.

ლოლუა პურით ვიკერავდი გარღვეულ ნიავეს,  
რომ მეცვა ტანზე,  
ლოლუა პურით ვიკერავდი გარღვეულ ნიავეს,  
და პირში ძარღვის ნაკუნს მედო,  
ყვავებს მიჰქონდათ მოსავალი, ვით ახლა მიაქვთ,  
6. მე კი გულმშვიდად გავცქერე ფერდობს.

ჩემი ხარები, ზარმაცები, ტალახში წვანან,  
და ლანდი გასდით,  
ჩემი მშვიერი ხარ-ძროხები ტალახში წვანან,  
თვლებდამბალ ურემს აბა რა დაძრავს,  
შენ შეგაბერდეს ეგ მარჯვენა, რომ ჩემი ყანა  
7. ორიოდ ნუთში აქციე ნაცრად.

განა ვერ ვხვდები რა მოხდება ყველაფრის მერე,  
მზეს ისევ ვნახავთ,  
განა არ ვიცი რა იქნება ყველაფრის მერე,  
თუ ჩემს ბელელში შემვიგდ ქუდი,  
სველ სიბნელეში შიმშილისგან დახოცილ მღრღნელებს  
8. ლელვის ტოტებზე დავკიდებ კუდი...

ჩემი გოგონა გაფრინდება, მთებს მიღმა, წელსაც,  
ფოთლების ფრთებით,  
ცარცის გოგონა გაფრინდება, ზღვებს მიღმა, წელსაც,  
და თან წაიღებს ბზის მომცრო არგანს,  
გარდამოხსნილთან დაიჩოქებს, მოინშენდს ცრემლს და  
9. ნალურსმნალებში ყვავილებს ჩარგავს.

მათი ფოთლები მოარჩენენ ყველა იარას,  
თუკი დააფენ,  
მათი ფოთლები მოარჩენენ ყველა იარას,  
მათი ტანებით დაგინწავ გვირგვინს,  
მათი ნვენით კი, ეს უბრალო ლექსი კი არა,  
10. დაინერება ნიგნების ნიგნი.

ხელჯოხიანი, მოლუშული, ჩამივლის კაცი,  
თვალს გავაყოლებ,  
ხურჯინიანი, მოლუშული, ჩამივლის კაცი,  
გადაგვიკითხავს ორივეს, მიდის,  
მე ვწერ სიცოცხლეს, გაქვავებულ მინაზე, ცარცით,  
11. შენ კი, ნახშირით, თოვლზე წერ სიკდილს.

ქარს გამოუვსვი გამშრალ ყელში ყინულის დანა,  
და ტბაზე გდია,  
ქარს გამოუვსვი გამშრალ ყელში ყინულის დანა,  
და მასთან ერთად სიკედილს შევები,



მუხლამდე თოვლში გასუსული სიტყვები დგანან,  
12. როგორც დატბორილ ტყეში ხეები.

მარტის ყვავილებს ვაგროვებ და ძნებივით ვკონავ,  
და ჩრდილში ვანყობ,  
აპრილის ლექსებს ვაგროვებ და ძნებივით ვკონავ,  
და ანი ჩემთან ერთად ივლიან,  
რადგან მე ვიცი, რომ აზრია სიტყვების წონა,  
13. მნიშვნელობა კი - მათი ჩრდილია.

სიტყვებმა მხოლოდ ის იციან, რაც ჩვენ არ ვიცით,  
სხვა არაფერი,  
ღიახ, მათ მხოლოდ ის იციან, რაც ჩვენ არ ვიცით,  
ჩვენ არაფერი არ ვიცით თითქმის,  
იყუყუბიან ყურის ძირში ჩუმად, თავისთვის,  
14. ჩვენ კი ძებნაში გადაგვდის ხვითქი...

თვალის ფარდიდან ვიყურები, მთელი სამყარო,  
ფოტოგრაფიით,  
ჩემი თვალისგან შავ-თეთრი ჩანს მთელი სამყარო,  
გათენებული დღეების მჯერა,  
მე გთხოვ, რომ, ერთხელ, ცადაწვდილო, თავი დახარო,  
15. დატკეპნილ მინას შეავლო მზერა.

გადმოვაბიჯე, ჩემს წინკართან, ლეკვივით, ანმცოს,  
და აქ მოვედი,  
გადმოვაბიჯე ჩემს წინკართან განოლილ ანმცოს,  
და გადმოვახტი დრო-ჟამის ლელეს,  
დამრეც ფერდობზე, მუხლჩახრილი, ტირილად ვანყობ  
16. ქვებს - ისტორიის მდუმარე ცრემლებს.

გამოგიტირე, ცეცხლისქალო, შავ-თეთრი ქვებით,  
ვამწკრივე ბევრი,  
გამოგივლოვე, ცეცხლისქალო, შავ-თეთრი ქვებით,  
სიკომორები არიან მოწმე,  
არც ეს კლდეები, არც შვილი და არც ჩემი ძმები,  
17. ცრემლებს, მარტოდენ, მენყერი მომწმენდს...

ვამბობდი: „ხეხილს ძველისძველი წყევლა შემოყვა,  
და მე მინა“.  
ვფიქრობდი: „აპრილს უჩვეულო წყევლა შემოყვა,  
ხავსმოდებული ამიტომ ვდგავარ,  
ბაყაყსაც კბილი ამოუვა, სანამ შენ მოხვალ,  
18. და ეს მდინარეც თავალმა წავა“.

სახეს ვუშვერდი დაუნდობელ მზეს და ქარ-წვიმებს,  
ვიდექი დიდხანს,  
კეფას ვუშვერდი გამმეტებელ მზეს და ქარ-წვიმებს,  
ცრემლი მდიოდა დასჯილ ბავშვივით,  
ბერივ გეძახე, როგორც იქნა ხმა მოგანვდინე  
19. და შენც მოხვედი, მინას ცარცი და თოვლს ნახშირი!



4. წელისა

დაე, კაკებმა ჩაგაკაკბონ მწარე სიმართლე,  
ამ ზღვის შესახებ,  
დაე, კაკებმა ჩაგაკაკბონ მწარე სიმართლე,  
სადაც წარსულთან დამხვდა საზღვარი,  
ჯაჭვებზე ასხმულ დაჟანგებულ ლუზეს მივათრევე,  
1. ფეხქვეშ ხრამუნობს ნაზღვათაზღვარი.

მივიდვარ, ხშირად ვიხედები დამსკდარ ფეხებზე,  
 რომ მომდის სისხლი,  
 მივიდვარ, ხშირად ვიხედები დამსკდარ ფეხებზე,  
 ამ ქვიშხავით მზისგან გამოვშრი,  
 მივიდვარ მშრალზე დარჩენილი ძველი მეთევზე  
 2. და გველებს ვიჭერ ამ უდაბნოში.

ზღვამ წაიყოლა გამოზრდილი ჩემი თევზები,  
 როცა წავიდა,  
 თან წაიყოლა დასაჭერი ჩემი თევზები,  
 ახლა ვაგროვებ გამხმარ ქერეჭებს,  
 წყლისა ვიყავი და დროდადრო ხმელეთს ვეძებდი  
 3. და სამუდამოდ დავრჩი ხმელეთზე.

მასხვს, როგორღაც დაგიძვერი მღერი მუჭიდან,  
 თუმც არ გინდოდა,  
 ვზედავ, რომ ისევ დაგიძვერი, ზღვაო, მუჭიდან,  
 და ჩემი გემით ოცნებებს გიპოზ,  
 დავემეგობრე ჩემი მდედრი თუთიყუშო და  
 4. შენი ფილტვების მამალი კიბო.



მაგრამ ზღვების მტრად მოკიდება ისე მძიმეა,  
 ვერც კი ავნიე,  
 დიან, მტრად ზღვების მოკიდება ძლიერ მძიმეა,  
 თავს გადაგხდიან რამე სიავეს,  
 ყოველთვის აცდა ჩემი გემი ახალ გვინეას  
 5. და სულ ტყუილად ვიხეტიალეთ.

საბოლოოდ კი ის ადგა და სულაც წავიდა,  
 აორთქლდა ცაში,  
 ხო, საბოლოოდ ის ადგა და სულაც წავიდა,  
 პალმები სიმწრით ძირში მოვთხარე,  
 ახლა, ხანდახან, წვიმად მოდის მუდამ შავი და  
 6. ყავრის ბზარიდან კორტნის სოხანეს.

ახლა ყველა გზა მოჭრილია, წრეზე ვტრიალებ,  
 ვერსად მივიდვარ,  
 რადგან ყველა გზა მოჭრილია, წრეზე ვტრიალებ,  
 უდაბნოს ქარი დამითვლის ნეკნებს,  
 გაყვითლებული ნიჟარების ინიციალებს  
 7. ბარბაც-ბარბაცით მოვყვები შენკენ.

ახლა ყველა მზე ჩამქრალია, იმ ერთის გარდა,  
 მე რომ მინათებს,  
 ახლა ყველა მზე ჩამქრალია იმ ერთის გარდა,  
 ჯერ რომ ჩადის და მერე ამოდის,  
 მასხვს, ოდესღაც ანათებდა ოქროვან ღარტაფს,  
 8. მანათობელი იყო სამოთხის...

პატარა გოგო უდაბნოში. სულ სხვა ქარ-წვიმის,  
 და ამ სიმართლის,  
 გოგოს სახეზე ნაკვალევი სულ სხვა ქარ-წვიმის,  
 ულუკმაპურო მორიგი მსგეფსის.  
 და მან ცრემლები მომანოდა ვერცხლის ბარძიმით,  
 9. და მე, მწყურვალმა, ხელთბილად შევსვი.

ხმამადიდებით შემოგვესმა შენი გალობა,  
 მიდამოს გასწვდა,  
 ხმამადიდებით შემოგვესმა შენი გალობა,  
 და შეებჯინა დანულ ტატნობს.  
 " - აქ რა გინდაო, - შევეკითხე, - აქ რა, ქალობავ,  
 10. ამ დაკარგულში რასა იქმ მარტო?!"

და მის თვალთაგან გადმოვიდა უხვი წყალობა,  
 ვუშვერდი ბარძიშს,  
 გადმოიღვარა მის თვალთაგან უხვი წყალობა,  
 შენი ხმა ძლევდა ტურების ჩხავილს.  
 „ - რა გატირებსო, - შევეკითხე, - რაო, ქალობაგ?!“  
 11. და მან მდუმარედ ჩახარა თავი.

ძვალგატეხილი ზღვა თუ იყო მისი ცრემლები,  
 მასავით მღვრიე,  
 ძვალდამსხვრეული ზღვა თუ იყო მისი ცრემლები,  
 უწყავი სევდა ვიგრძენი მისგან,  
 და მივხვდი თვალის ფიქრიანი, ზუსტი შევლებით:  
 12. ის იყო, ოდენ თავისთავს ვინც ვგავს.

და ჩემმა გულმა აქაფებულ დარდში შეტოპა,  
 მეც შემეიყოლა,  
 და ჩემმა სულმა ადუღებულ ცრემლში შეტოპა,  
 სიმძიმე მისი დამანვა უღლის.  
 „ ნუთუ... წინდანინ... - ვიჩურჩულე, - ნუთუ... დედობავ...“  
 13. და მომეკვეთა ორივე მუხლი...

ორიათასი წლის წვეთები სახეზე მანვიმს,  
 ავყურებ ზეცას,  
 ორიათასი წლის ხილები თვალეში მანვიმს:  
 მახსოვს, გავშალე სამგზავრო რუკა...  
 და შავი ხარი რკინის ფერდზე აღმართულ ჯვარცმით,  
 14. იმ წმინდა მთიდან გამომყვა უკან.

ბზის წვრილი არგნით თვჩახრილი მოგვედევს ვიღაცა,  
 არ უჩანს სახე,  
 მტერიანი თალხით შემოსილი მოგვედევს ვიღაცა,  
 და წლებად აპობს ხავსიან წარსულს,  
 ხარს ვუყრი შენს თმებს სააღდგომო ყოველ კვირაძალს,  
 15. უცნობს კი ლუკმის გატეხვა არ სურს.

ერთხელაც ვნახეთ ნავსადგურის ზვირთსამსხვრევიდან,  
 ზღვა იყო მშვიდი,  
 და მაშინ ვნახეთ ქვა-ბეტონის ზვირთსამსხვრევიდან,  
 გემზე ვიღაცას დაბორბვლით სჯიდნენ,  
 ჩვენი უცნობი გაბრუნდა და ნისლში შევიდა,  
 16. მას შემდეგ ხარი იმ უცნობს მისდევს.

მე ჩემი ქოხი გამოვაბი კუდზე სახედრებს,  
 მეჭირა სახერ,  
 ჩემი ქოხ-მახი გამოვაბი კუდზე სახედრებს,  
 ვშლიდი ტვინიდან დროს, უკვე ჩავლილს,  
 და ზღვის ნაპირას, დაგროვილი ბოლმა გავხეთქე  
 17. და გავაშავე მინა და წყალი...

ეს ზღვა ოდესმე ნაპირზე რომ ტალღას ალესავს,  
 მე მაშინ მოვალ,  
 ნაზღვათაზღვარი ნაპირზე რომ ტალღას ალესავს,  
 და დროს ჩასერავს, პინდბუნდზე მთვარის,  
 ნაჭრილობევი ზღვა და შუქი შევა გარედან,  
 18. ხოლო შიგნიდან გამოვა ხარი.

ყოველ აღდგომას ამოხეთქავს ქვიშიდან ლავა,  
 შეგვმოსავს ნათლით,  
 ყოველ აღდგომას ამოხეთქავს ნაკურთხი ლავა,  
 ჩავანვდენ მასში ცალმზერა შვერილს,  
 დრო რომ მოაწევს, ჩვენ, სამივე, სიკვდილში გავალთ,  
 19. როგორც მდინარე ფაცერში წნელის.



ლაშა ბულაძე

# რომანი რომანის შესახებ

## მწერლის პრობლემა

| ნაწილი



### 1. თვითგვემა წიგნის პრეზენტაციის წინ

მივდივით ჩემი წიგნის პრეზენტაციაზე და ვფიქრობდი, მაინც რა აბსურდია ეს „წიგნის პრეზენტაცია“: მრავალფეროვანი ინტერესებითა და პრობლემებით მოცულ ხალხს შენთან (თუ შენს წიგნთან) შესახვედრად მოსვლას სთხოვ, წიგნს არ ჩუქნი, ახარჯვინებ ფულს და თითქმის აიძულებ, შენ მოვიგისმინონ, შენით დაინტერესდნენ, შენზე კონცენტრირდნენ ერთი საათის (თუ მეტი არა) განმავლობაში. ადამიანმა უნდა გადადოს თავისი საქმეები (ისეთებიც კი, რომელიც არა აქვს), დაიწყოს საკუთარი მნიშვნელობა და იმ დღის მთავარ აქტუალურ მოვლენად აქციოს შენი წიგნის პრეზენტაცია.

ამ დროს, პრინციპში, თუკი რაიმე არააქტუალური შეიძლება იყოს მისთვის იმ დღეს, ეს სწორედ შენი წიგნია.

მსოფლიოში რევოლუციები, ქვეყანაში სკანდალები, სახლში პატარა თუ დიდი მნიშვნელობის ამბები, ის კი ვალდებულია შენთვის დათმოს თავისი ბიოგრაფიის სამოცი წუთი მაინც და შენი წიგ-

ნით ხელში ჩაგდეს რიგში (როგორც ზიარების მიღების წინ, ოღონდ ამჯერად - ავტოგრაფის მისაღებად).

ავტორიც უცნაურ მდგომარეობაშია: მას საჯაროდ უნევს საუბარი ისეთ სუბიექტურ (არ მინდა ვთქვა, ინტიმურ) მოვლენაზე, როგორც წიგნია, მით უფრო - რომანი.

რა დავწერ? რატომ დავწერ? როგორ დავწერ?

საინტერესოა, როგორ უნდა უპასუხო ამ შეკითხვებს?

წიგნი და ავტორი ურთიერთობის ფორმაზე ვერ ჩამოყალიბებულან: წიგნს ვერც აქვს და ვერც აკრიტიკებს, შენუხებული მშობელივით მიედ-მოედები რალაც აბდა-უბდას და ვერ გაგირკვევია, შეძლებს თუ არა რომანი მკითხველებთან კონტაქტის დამყარებას შენი დახმარების გარეშე.

რამდენადაც ბანალურად არ უნდა ჩანდეს, ამ შემთხვევაში მართლაც მშობელი ხარ, შენმა რომანმა რომანი უნდა წამოიწყოს უცნობ ადამიანებთან და შენც სამართლიანად დღეა: უგულვისყოფილად არ მოეპყრან, ცივად არ შეხედნენ, არ მიაგ-

დონ, შურნაღაცყოფა არ მიაყენონ, არ უღალატონ, არ იძალადონ მასზე...

ამიტომ წინასწარ ამაზღებ მის მომავალ პარტნიორებს და ქართველი დედის კლასიკური ემპირიულობითაც ბავშვის ხასიათს: «ცოტა ბრაზიანები ვართ, ზოგჯერ უნამწურ სიტყვებს ვამბობთ, ტყუილები გვიყვარს, მაგრამ საერთო ჯამში სითბოსა და ყურადღებას ვეძებთ».

ავტორი ფიქრობს, რომ სუბიექტური ინტროდუქცია ნებისმიერ შემთხვევაში ნაადგება მის რომანს, რადგან მიუხედავად მშობლის მიმართ კეთილგანწყობისა, მკითხველები a priori მსუბუქად სკეპტიკურად უყურებენ მის ახლადმოვიწინებულ შვილს: ვინაა? რა უნდა? რატომ უნდა დავინტერესდეთ მისით, როცა ამდენი რამე არ გვიანტერესებს?

როგორ უნდა დაინტერესო შენი რომანი მკითხველები? ღირს თუ არა მშობიარობის დეტალურად საუბარი უცხო ადამიანებთან? რადგან იმით და უარყოფითი თვისებები აქვს შენს რომანს? და, საერთოდ, რამდენად საინტერესოა ეს ახალი ქართული რომანი?

წიგნის პრეზენტაციამდე სულ რაღაც ხუთიოდე წუთია დარჩენილი, მე კი ამ მკითხვებზე უნდა მოვასწრო პასუხის გაცემა.

## 2. ქართული თემა, ქართული ბესტსელერი, ქართველი მკითხველი

ქართული ტელევიზორის ყველაზე მაღალრეიტინგული თემები რომ „სექსი“ და „რელიგია“ იყო, ეს ერთმა ცნობილმა ტელეპროდიუსერმა გამანდო საიდუმლოდ რამდენიმე წლის წინ. ამ ორ თემაზე, თურმე, პოლიტიკაც კი ვერ უწევდა კონკურენციას. თან სად - ჩვენს აბსოლუტურად პოლიტიზებულ ქვეყანაში. თუკი იღბლისა თუ რაიმე სასწაულის წყალობით, ეს ორი თემა (წმინდანთა უხრწნელი სხეული და ტრანსგენდერთა პლასტიკური ოპერაციები) ერდროულად მოხედებოდა რომელიმე გადაცემაში, მაყურებელს მოულოდნელი არამაგელონიკ ვერ მოხვედრდა ტელეკრანებს. საგარაუდოდ, ალბათ, ახლაც მუშაობს ეს ოქროს წესი, რადგან ეჭვი მეპარება, გემოვნება შეცვლიდათ ჩვენს მასებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც სკეფისით ვისმენ ტელევიზიების ბობოლათა დაუღალად მანტრას იმის შესახებ, რომ ხალხი ბნელია და თუკი ის რამეს იმსახურებს, მხოლოდ საეჭვო ვართობას. ამ სკეფისის კი ჩემი კოლეგების და საკუთარი მედიაგამოცდილება მიყარებს, რაკი აშკარად ვხედავ, რომ თუკი ვინმე საინტერესოდ საუბრობს ვერც ნოდებულ სერიოზულ თემებზე (ვთქვათ, ლიტერატურაზე), მაგამომდინარე ჰყავს მაყურებელი და მსმენელი. მაგრამ ამათ შორის, როგორც ჩანს, ნაკლებად არიან თავად მედია-მამები და მედია-დედები, რომელნიც, მართალია, უარყოფენ, მაგრამ პრინციპით თავად იღებენ ყველაზე დიდ (და უაღრესად საკამათო) სიამოვნებას თითქოსდა მხოლოდ მასებისთვის განკუთვნილი თემებისგან.

თუმცა ასეა თუ ისე, რეიტინგული თემები არსებობს და ამას ვერსად გავუქცევით: ტელევიზორს

კი გამოერთავ, მაგრამ უხრწნელ გვამებს ფანჯრებიდან შემოვიგვებენ.

ხოდა, თუკი ქართულ ტელევიზიას აქვს კარგად გასაყიდი თემა, საინტერესოა, არსებობს თუ არა ასეთი თემა ქართულ ლიტერატურაში?

რა იყიდება ყველაზე კარგად? „სიკვდილი“ - მასსულობა ერთ-ერთი (რომ არ ვთქვა, ერთადერთი) ქართული ბესტსელერის ავტორი - ყველაზე კარგად სიკვდილი იყიდება. ეს ფაქტობრივია.

- ესე იგი, დეტექტივები? - იტყოდა საქმეში ჩაუხედავი ადამიანი (ვთქვათ, უცხოენოვანი მკითხველი).

არა, გამოძიება და დამნაშავეის პოვნა აქ არავის აინტერესებს (რადგან საქართველოში ისედაც ყველაზე ყველაფერი იცის), თუკი ბოლო ათწლეულის ყველაზე კარგად გაყიდული რომანის მაგალითით (და მისი ავტორის შუფასებაზე დაყრდნობით) ვიმსჯელებთ, საქართველოს მკითხველთა მასას აინტერესებს არა უბრალოდ სიკვდილი, როგორც ვნახსტენციალური ან კრიმინალურ-ბიოლოგიური აქტი, არამედ სიკვდილი, რომელიც ელიტარულ ჯგუფებს, ცნობილ და მეტ-ნაღებულ საკამათო პიროვნებებს მუსრავს. ამ ამბებს, მათ რეალურ გმირებთან ერთად, მეტ-ნაკლებად ყველა უნდა იცნობდეს და სულაც არაა საჭირო, რომ ისინი ძალიანაც ისტორიულები იყვნენ (კლასიკური პრინციპით: „ეს თვალები ხედავდნენ ნაპოლეონს“), თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მასობრივ მკითხველზე (ესე იგი, დიდი-დიდი, ოცდაათი ათას ქართულ ენაზე მკითხველ მოქალაქეზე) ორიენტირებული ავტორი მაინცდამაინც ახლო წარსულზე უნდა კონცენტრირდეს - დასაშვებია ისტორიული რომანის დანერაც, ოღონდ ერთი დათქმით: ისტორიული რომანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ასახავდეს ნამდვილ ისტორიას - ისტორია ისეთი უნდა იყოს, როგორცაა მკითხველი ელის და შეეჩვია; ანუ როგორც, პრინციპში, საბჭოთა კინომ ასწავლა. წინააღმდეგ შემთხვევაში გულგრილობით (მივიათ შემთხვევაში - რისხვით) იქნება დასჯილი.

„სიმათლის მოყოლას არავინ ვთხოვს, - ამბობდა თავის ირლანდიელებზე გამწყარალი ჯოისი, - ვის რად უნდა ეს შენი სიმათლე! ის არავის არაფერად სჭირდება“.

თუკი არცთუ დიდი ხნის წინანდელ ქართულ ბესტსელერებს გადავავლებთ თვალს, მასებს კვლავაც უნდა აღვუგებდეთ „კანონიერ“ ქურდთა (უმჯობესია, ქართველების) რომანიტიკული და ფაიტირაკებით სავსე ცხოვრება, სადაც ზერეულად (არამომქანცველად) იქნება გარეული დიდი ფული და დიდი პოლიტიკა. ბუნებრივია, ზედ - მალე და ობიექტურად არადამაჯერებელი სასიყვარულო ამბით.

სექსი დიდად არ იყიდება. სიტყვით აღწერულ სექსს, როგორც სტატისტიკა ამბობს, ჩვენში გასავალი არა აქვს: ნაკითხვას ყურება ვვიჩვენებთ. თუ შესაძლებელია, ამ შემთხვევაშიც პოპულარული და არცთუ ისტორიული პერსონაჟების მონაწილეობით. განსაკუთრებით - არჩევნების პერიოდში.

ნაკითხული სექსი (გუიანოზმის ლიტერატურული ფორმა) მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სა-



ინტერესო (ესეც, ცხადია, ქართულ ბესტსელერებზე დაყრდნობით), თუკი მეტ-ნაკლებად (ოღონდ ამ შემთხვევაშიც ირიბად, ზერულად) პოლიტიკის დიდ ბოზობლებთან და კამერული მედიასკანდალებით განთქმულ ქალბლებთან იქნება დაკავშირებული.

პერვერსია და „გაუკუღმართებული სექსუალური კავშირების“ აღწერა საწყისივე მარცხისთვის იქნება განხილული, რადგან მკითხველი, სავარაუდოდ, წაუკითხავად გამოუტანს განაჩენს: „ამ სინბინურეს როგორ ნავიკითხავ“.

ამის მიზეზი კი ისაა, რომ მკითხველთა ფართო მასები სტეროტიპებს ეტანებიან.

თუმცა, რა სიმსხვილისაც არ უნდა იყოს რომანი, თუკი თაროს შწო და უნარი არა აქვს მწერალს, ნიგნი თაროზევ დალბება.

შეიძლება მასების მომზიდავ თემებს შეწედე, მაგრამ იმ მწერლად არ ჩავთვალთ, ვისგანაც ამ ამბებს მიიღებენ. შეიძლება ბევრმა წეროს, ვთქვათ, თვითფორნიავის გამტაცებელთა საკამათო გმირობისა თუ ტერორისტობაზე (და ბევრსაც დაწერილი აქვს უკვე), მაგრამ წარმატებული მხოლოდ კონკრეტული მწერლისგან მოთხრობილი („კანონიკური“ ტექსტის) აღმოჩნდეს, მით უფრო, თუკი ეს მწერალი არაა „ყვითელი“, არამედ ნიჭიერი და სანდო მოხრობელია.

ყველსგან ყველა ამბავი არ მიიღება.

თუმცა, როცა დიდი და მასისთვის საინტერესო თემები მოგვცას მავალითავე, ამ შემთხვევაში წამდვილად არ ვგულისხმობ ზოგადად ლიტერატურული პროცესის გაფართოება-გააქტიურებას. მასები იშვიათად ახერხებენ ნიგნების კითხვას. რომანი თვითმფრინავის გამტაცებელ ახალგაზრდებზე ან სოლოტური გამოსაკლისია. ერთი კაცი ნიგნის მალაზიაში შევარდნილა და ყვირილით უთხოვია შევე: „ნიგნი მინდა... ნიგნი!“, სათაურის გარეშე, რადგან მისთვის მხოლოდ ერთი ნიგნი არსებობდა ამქვეყნად - რომანი-ქრონიკა რომანტიკოსი ტერორისტების შესახებ. შესაბამისად, არ ვარ დარწმუნებული, მართებული იქნება თუ არა, რომ ასეთ სპონტანურ მკითხველს მკითხველი ვუნდოდით. ალბათ, არა, სამწუხაროდ.

ის, ვინც რეგულარული მკითხველია, ცოტა და ძალიან პრეტენზიულია, და მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არცაა, რა თემაზეა რომანი, რადგან ასეთი მკითხველი არა თემებს, არამედ მწერალს ენდობა.

ამიტომ ვინც კი მკითხველია, პრინციპში ყველა ასეთია (ვიმბოძებს, სპონტანურ მკითხველებს მკითხველებად ვერ ჩავთვლი): „აპასხაზე“ აცრილი და უაღრესად პრეტენზიული.

შესაბამისად, ქართველი მწერალი უშემივს მდგომარეობაშია: მას მხოლოდ პროფესიონალი კრიტიკოსები (ბიბლიოფაგები) ჰყავს მკითხველებად, რადგან სხვანაირი მკითხველი არც არსებობს.

ამერიკელ, გერმანულ ან რუს მწერალს ამ მხრივ არ უჭირს: თუკი მის ნიგნს სობობდა და გურმანები არ მიიღებენ, პუბლის იმედად მაინც დარჩება, აქ კი „სნობებისა“ და „გურმანების“ მეტი არც არავინ კითხულობს ნიგნებს, ამიტომ, თუკი გინდა რომ ვინმემ ნავიკითხოს, მარტივ გამოსავალს უნდა დასა-

ჯერდე: კარგად წერო, თორემ შეუბრალებელ განაჩენს გამოგიტანენ: „დრო არ უნდა დამეხარჯა ამ რომანზე, ამის ნაკითხვას ჯობდა ისევე კაფკა ან რულფო წამეკითხა“.

ქართველ მკითხველს მხოლოდ ასეთი არჩევანი აქვს.

### 3. პრეზენტაცია (90-იანების ექო)

ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს არც გეკონდა არჩევანი: ნიგნის პრეზენტაცია, გინდა არ გინდა, რუსთაველის ქუჩის ქვეშ ჩაკარგულ „თავტრალურ სარდაფში“, უფრო ზუსტად კი მის გვერდით მდებარე კაფე-საბილიარდოში უნდა გაგემართა.

მე არ მახსოვს ოთხმოციანი წლების მიწურულსა თუ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის პრეზენტაციები (ჰყვებიან, რომ ჩვენი ავანგარდისტები საზოგადოებრივ ტელევიტებში აწყობდნენ საჯარო კითხვებს), რადგან უფრო გვიანი ეპოქის კითხვი ვარ, მაგრამ ერთ უკვე კლასიკად ქვეყნის ვა-პრეზენტაციას მეც დავსწრებივარ 13 წლის ასაკში. სახელმწიფო უნივერსიტეტში 90-იანების პირველსკანდალური მწერალი კუთხულობდა თავის საკულტურ ტექსტს („სტრფობა წამეწვლთა“), რომლის ბოლომდე მოსმენაც მხოლოდ ერთელეუბისთვის თუ გახდა შესაძლებელი. როგორც კი პირველი წინადადება ჩაასრულა ავტორმა („სანაყოლობელ იქმნა უზადერო გვი, რამეთუ უზავერო ცოლი ჭემპირიტი, აღიარა მშვენიერი ღონდა და... მოტყნა“), დარბაზი აღშფოთებულთა და შემცივნულთა ჯგუფად დატყო.

ტექსტის კითხვის პარალელურად გაოცებული მსმენელები ხმაურით ტოვებდნენ დარბაზს და, მგონი, იმის მერე აღარც შემობრუნებულან ქართული ლიტერატურისკენ. თითქმის მთელი ლიტერატურული ეპოქა დასრულდა იმ დღეს.

შემცივნელები ტყუილად არ მიხსენებია; კიდევ დიდხანს გვეციოდა და ხალხმრავალი პრეზენტაციების ჩატარების მიზეზი დიდნილად სწორედ სიცოცხე იყო. სიცოცხე და ელექტროენერჯის პრობლემები.

„სარდაფის“ ერთ-ერთი მასობრივი ლიტერატურული საღამო სპონტანურად დაიბდა: ქალაქი წყვილიადა მოიცვა, ყველგან შუქი ჩაქრა და შემთხვევით თუ გამიზნულად (გვახსოვდეს - შემთხვევითობა არ არსებობს), „მინის ქვეშ“ ბევრმა მოიყარა თავი. მახსოვს, სამრეტესტო აქტივიც კი იყო გარეთ - ხალხი ქუჩებს კეტავდა და საბურავებს უკიდებდა ცეცხლს, აქ კი ელექტრომომმარაგებელი გენერატორი ჩართეს და ჩემმა ტექსტურმა კოლეგამ რაღაც თავისთავად, თითქმის სპონტანულად დაუტყვავდა ნაიყვანა პრინციპში არსაიდან აღმოცენებული ლიტერატურული საღამო. ეს დღე იყო და ეს დღე - ლიტერატურული საღამოები და პრეზენტაციები ერთმანეთს ენაცვლებოდა, კითხულობდა ყველა, დიდიც და პატარაც; ისინი, ვისაც ახლა დაეწყო წერა და ისინიც, ვინც ჩვენად სამარცხინოდ, ყველას გარდაცვლილი გვევანა.

ჩვენთან მკვდრებიც მოდიოდნენ.

იქ მოსული ხალხი მაშინ მსმენელი უფრო იყო, ვიდრე მკითხველი და ეს მსმენელიც სრულიად უპრეტენზიოდ, ესთეტიკური თუ ინტელექტუალური სელექციის გარეშე იღებდა ნებისმიერ მწერალს. განსაკუთრებით კი - ნორჩებსა და პოპულარულებს.

ეს მსმენელები (უმეტესად - გოგონები, რომელთაც პირველი მატრიარქებივით თავიანთი მუცლენი აბრავს სამშობიაროდ გამთავადებული ქართველი მწერალი) არათუ ლიტერატურას ეკიდებოდნენ სელექციის გარეშე, არამედ ყველაფერს, რაც მათ გარშემო ხდებოდა: ისინი დაუზარებლად და თანაბარი ექსტრემობით შთანთქმავდნენ პათეტიკურ მუხრან მაჭავარიანსა და ეპატაჟურ ირაკლი ჩარკვიანს, პოპულარულ „ქუჩის ბიჭებს“ კონცერტსა და ნორა ჭილაძის პროზას. ჯონ ლენონის ცნობილი ნარცისული გამონათქვამის არ იყოს („ჩვენ იესოზე პოპულარულები ვართ“), მაშინ ქართველ მწერლებსაც თამამად შეეძლოთ იმის თქმა, რომ ისინიც ისეთივე პოპულარულები იყვნენ, როგორც ქართული პოპფეფუი ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“.

რადგან იმ ხანად მნიშვნელოვანი არ იყო ლიტერატურა, მნიშვნელოვანი იყო იმის გახსენება, რომ თურმე ლიტერატურაც არსებობს, ცოცხალია და ლიტერატურით დაინტერესება კარგი ტონია.

მსმენელისა და მწერლის შეხვედრა მართლაც ცოცხლად მიდიოდა: მწერლები ჭკუას არ გარიგებდნენ (სტალინური თქვენ სულის ინჟინერები ხართ ს ინტრიტით), ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს არ ამბობდნენ და საესეებით ცოცხლად გამოიყურებოდნენ. ეს კი უცნაური იყო, რადგან იმ უპრეტენზიო თაობაც ჯერ კიდევ საბჭოეთიდან გადმოჰყოლოდათ ანაქრონიზტული წყევლები: რომ მწერალი ერის აღმზრდელია და, რაც მთავარია, მკვდარია. ძალიან მკვდარი.

მაშინ (და მეტ-ნაკლებად ახლაც) აქტიური მწერლის მოდელი გულსხმობდა ყვირილს, მოსახყენ და ანაქრონიზტულ კავშირს ტრადიციულად ჩამთხვლევებულ ხელისუფლებასთან, პანაშვიდებს, ერთმანეთის ლანძღვა-გინებას, სიბრაზეს და, რაც ყველაზე უცნაურია, მკითხველის თაუდ არარსებობას. მწერლები არ წერდნენ, არ ჰყავდათ მკითხველები, მაგრამ მაინც მწერლები ერეკით. თუკი მასა (უფრო სწორად კი, მედია) მწერლებით ინტერესდებოდა, მხოლოდ კომპიური და ბანალუორობამდე ჩახლართული სკანდალებით. მახსოვს, ერთ-ერთ ტელეჟურნალისტს „მწერალთა კავშირში“ გამძვინვარებულმა მწერალმა კატისკობის მოქნილობით და ჩხაილით (არ ვაჭარბებ) დრუზა თავში ვეებერთელა ნიგნი და ეს მთელმა საქართველომ იხილა. ეს ამ ავტორის მიერ შეთხზული ნეკროლოგების სექტანინანი კრებული გამოდგა.

თუმცა ეს არ იყო სასაცილო. მწერლობა ბრახიანი და სერიოზული რამ გახლდათ.

ამიტომ, ვისაც არ უნდოდა, რომ ასეთ მწერლად არ ჩაეთვალათ, ჯერ ერთი, უნდა ეყრდა და მეორეც, ყველა ღონე უნდა ეხმარა, რომ რაც შეიძლება უშუალო, ბუნებრივი, არაპედაგოგიური და პოტენციური თუ არსებული მკითხველისათვის არამტრული ყოფილიყო.

მწერლობას უნდა მოშორებოდა პანაშვიდურობის წყევლა.

თუმცა იყო გადაჭარბებაც. მსმენელის არასტერეოტიპულმა და არატრადიციულმა გართობამ („თანამედროვე მწერლები თამამები და ბუნებრივები არიან“) რუტინული ფორმა მიიღო.

ასე, მაგალითად, ჩემი მეგობარი და კოლეგა თითქმის ყველა ლიტერატურულ საღამოზე ჰყვებოდა (და დღემდე ჰყვება, ოღონდ თუკი მე არ ვარ მის გვერდით), ერთსა და იმავე ამბავს იმის შესახებ, როგორ ვერ გავებედა აფთიაქში პრეზერვატივის ყიდვა და ვთხოვე, მას ყეიდა ჩემს მაგივრად.

ამ ამბავში მნიშვნელოვანია უშუალოდ, სიტყვა „პრეზერვატივი“ და იმის მინიშნება მკითხველისთვის, რომ ქართველ მწერალსაც შეიძლება ჰქონდეს ზოგჯერ სექსი. და რაც ყველაზე უჩვეულოა - პრეზერვატივით.

ვერც დავმაღავ, მონათხრობი მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე და შეიძლება ახლაც ახდენას, არ ვიცი), რადგან სიტყვები „მწერალი“ და „პრეზერვატივი“, ან „ქართველი მწერალი“ და „სექსი“ სრულიად შეუსაბამო გახლდათ ერთმანეთთან. მწერლებს, ხალხური წარმოცდებით, სექსი არც ჰქონდათ (და ტუალეტშიც კი არ შედიოდნენ).

სხვებზე რას ვამბობ, მეც კი მეხამაშუება ისეთი ვულგარული ფრაზა-ოქსიუმორონის წარმოთქმად, როგორც, ვთქვათ, „მწერალ ლეო ქიჩაილის სექსუალური ცხოვრება“, ან „პოეტ ბესიკს გაუვალობა სჭირდა“.

ვერც იმას დავმაღავ, რომ მართლაც მრცხვენოდა და, მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ახლაც მრცხვენია პრეზერვატივის ყიდვა, რადგან, თუკი ვამყიდველი ასაკოვანი ქალბატონია და რალაცნაირად ეცნობი (რაც მთავარია, როგორც მწერალი), დაუფარავი საყვედური ეხატება სახეზე: „უი, თქვენც? არ ველოდი... ამ დროს, როგორ პატივს გცემდით?“

მაგრამ რამდენჯერ შეიძლება ერთი და იგივე ამბის მოყოლა, მით უმეტეს, რომ ერთხელ დაისაჯა კიდევ ამის გამო. თუ არ ცვდები, სახელმწიფო უნივერსიტეტის „მალივი“ კორპუსის სააქტო დარბაზში მოჰყვა ამ ამბავს (იმავე მიზეზით: ჩვენ სხვანაირი მწერლები ვართ - უშუალოები და თამამები, შესაბამისად, ამ სითამამით და უშუალოებით განსხვავებულნი) და მიიდა თუ არა ცნობილი ფრაზას „პრეზერვატივის ყიდვა მთხოვა, რახან რცხვენოდა“, დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და წვეროსანი ახლავზრდები - დოგმატიკოსების ახალი და უცნაური სოციალური ჯგუფი - პირქუშად შემოგვაცქერდნენ. უნდა გამოვტყუე, მაშინ პირველად დავაფასე ეს ნაამბობი, რაკი მივხვდი, რომ საზოგადოების გარკვეულ წარმომადგენლებს კვლავაც მნიშვნელოვანია ტახტად იქვე ვიყოქრე, ამათ ჯინაზე ბარემ ისიც ხომ არ მოყვებ (დეტალურად) პრეზერვატივის ყიდვას რა მოჰყვა-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე - ვინც ამ ამბის თხრობა დანიყო, გაგრძელებაც იმას უნდა მოყოლოდა.

თუმცა ამ შემთხვევაში არა ეს ეპოზოდი, არამედ სიმბტომა მნიშვნელოვანი. ერთი ის, რომ იმით, ვისაც ახლა მართლაც აინტერესებთ ლიტერატურა

(და არა მხოლოდ მწერლების ნახვა და სმენა, როგორც ჯგუფი „ქუჩის ბიჭების“ წევრების), მხოლოდ გაერთობა და უშუალოდ დემონსტრირება საკმარისი არაა: მწერლისგან ბევრად მეტს ითხოვენ. კიდევ ერთი სიმბოლოა, ან, გნებავთ, მახასიათებელი კი ისაა, რომ ლიტერატურას თითქმის სრულიად გამოაკლდნენ თითქოსდა შემთხვევით შემოხეტებული ადამიანები („ნივინ გაქეთ? ნივინ!“); დოგმატიკობით ცალკე გადგნენ და მრავალი მიმართულებით იმუქრებიან, მსმენელი, რომელსაც კითხვა ეზარება, მსმენელობითაც დაიღალა და თუკი დარჩა ვინმე, დარჩა მკითხველი, რომელიც ერთხელ აუცილებლად გაიცინებს პრეზერვატივის ვერყიდვის უშუალოდ მოყოლილ ამბავზე, მეორედ კი არა აღარ.

აღრე, თუნდაც 10-15 წლის წინ მწერლები ხილულად წინ იყვნენ თავიანთ მკითხველებზე, ახლა კი მკითხველი (მკითხველი და არა წერა-კითხვის მცოდნე მასა) გაიზარდა, დაიხვეწა და სახიფათოდ იბიექტური გახდა.

და რაც ყველაზე საგანგაშოა - დაუკმაყოფილებლობის განცდა გაუჩნდა.

### 4. დაუკმაყოფილებლობა

როგორ ვთქვა, მკითხველი სამართლიანად დაუკმაყოფილებელია-მეთქი (დაუკმაყოფილებლობა ნებისმიერ შემთხვევაში უსამართლოა), მაგრამ ის კი ცხადია, რომ ქართული რომანისგან (არ ვიტყვი ავტორისგან, რადგან ამ თემაზე საუბარი ლიტერატურის საზღვრებს გასცდებოდა) მეტი სიამოვნების მიღებას ითხოვს, ვიდრე ეს ქართულ რომანს გამოულის.

რომანი ან კარგად იწყებს და მთხლედ ამთავრებს, ან მოულოდნელად იჩქვარება შუანელში ცხელად ან შემთხვევით ერთმნიშვნელოვად უარყოფით გავლენას ახდენს პროცესში ემოციურად ჩართულ მკითხველზე; ან იმაზე ჩქარა იკითხება, ვიდრე თავმოყვარე რომანს შეეფერება ან იმდენად ნაცნობი ერთფეროვნებით გეგვება, რომ შენ თვითონ გინდება სწრაფად გაცლა.

ავილით თუნდაც ბოლო წლები. როგორც მკითხველი, რომელიც აშკარად დაინტერესებულია ახალ წიგნთან ურთიერთობის გაღრმავებით, ვერ ვისვენებ ვერც ერთ რომანს, რომელსაც ან ერთმნიშვნელოვანი სიამოვნება მომგვარა კითხვის პროცესში, ან დასრულების შემდეგ მომანატრა თავი (ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, იმ მკითხველის პოზიციასაც გამოვხატავ, რომელსაც ჩემი რომანებით სრულმანით ვერ ვანიჭებ სიამოვნებას). მართალია, უმეტესად სანდო ავტორების რომანზე ვეცნობი (არასანდოებს არც ვეცები), მაგრამ პრობლემა თავს მაინც არ მალავს. ეშმაკიც, სამწუხაროდ, არა დეტალებში, არამედ სახეებით ხილულ მსხვილმანებშია. აი, ერთ-ერთიც:

### 5. ერთფეროვნება

ყიდულობ კარგი ან ძალიან კარგი მწერლის ახალ რომანს, იწყებ კითხვას და საკმაოდ მალე ხვდები, რომ ეს ახალი რომანი კარგა ხნის წინ გქონდა ნა-

კითხული. ტექსტიც თითქოს ახალია, წიგნიც ახალი გამოუსულია და, რაც მთავარია, ავტორიც ფიქრობს, რომ თავისი ახალი რომანი გამოსცა, მაგრამ, სინამდვილეში, არც თემა ახალი და სიუჟეტიც თითქოს არავითხელ მოყოლილი აქვს. თუკი თავად ავტორი ვერ ხვდება ამას, ეს უკვე კრიზისის ნიშანია და ინტუიტიურმა კრიტიკოსმა მას აუცილებლად უნდა მიუთითოს ამაზე. მწერალი, ბუნებრივია, განრისხდება, ბოლმად და არარეალიზებული მწერლად წარმოსახავს კრიტიკოსს, თუმცა ეს სიბრაზე (რევანშის ალების ჟინით) მომავალში აუცილებლად დაანერინებს უკეთეს ტექსტს. ოღონდ, ცხადია, კრიტიკოსიც მოწოდების სიმაღლეზე უნდა დარჩეს: მწერალი არ უნდა ლანდოსს პიროვნულად („ბოროტი და ავადმყოფური თვალები აქვს“) და მწერალს „წირვა არ უნდა გამოუყვანოს“ („წავიდეს, სხვა პროფესია აარჩიოს, წულარ წერს“).

იყო დრო, გასასაუბრებობი ხსენებულ 90-იან წლებში, როცა საქართველოში მოურიდებლად სცემდნენ კრიტიკოსებს, თუმცა მაშინ ვინმეს ცემისთვის მოსაწყენად ადვილი იყო მიზეზის პოვნა: მაგალითად, პოპულარული ქართული ფოტოგრაფი მხოლოდ ისმის გამო გალახეს, რომ მან ველოსიპედით სიარული გაბედა თბილისის ქუჩებში. თბილისი არც სამტრედია გახლდათ და არც ამსტერდამი, რომ ასე ნებიერად და გამომწვევად გვარა ველოსიპედით, რადგან ხალხი ისედაც საკმარისად გალიზიანებულნი იყო.

მახსოვს, ხელებს ირტყმევინებოდნენ ცნობილი მსახიობებიც: ერთმა, მაგალითად, საჯაროდ შემოუთაქა საკმაოდ ავტორიტეტულ კრიტიკოსს, რომელმაც გაბედა და მეტრი „შექსიპირის გავულგრულებში“ დაადასწაულა.

საბედნიეროდ, არ მახსენდება მწერლების მუშტი-კრივი კრიტიკოსებთან (ქართულ რეალობაში უმეტესად მწერლებს ემუქრებოდნენ მოკვლა-გალახებით, თან ვერც კიდევ ილია ჭავჭავაძის დროიდან. ვაისინფო რეაქცია ახლად დაბეჭდილი „კაცია-ადამიანზე!“), ამიტომ მშვიდი სინდისით მოეუწოდებ კრიტიკოსებს, დაუზარებლად და უშიშრად აკრიტიკონ მწერლები, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, კარგი ავტორის გრაფომანად ქცევის საშიშროება გაჩნდება.

არ ვიცი, რას ფიქრობდა ზიგმუნდ ფროიდი გრაფომანიის შესახებ, მაგრამ, ჩემი აზრით, გრაფომანია ნევროზია. ანუ კითხულობ არა რომანს, არამედ ავტორის ნევროზს, დამაფიქრებელ აჩემებას, არწერის თითქმის ფიზიკურ შეუძლებლობას. ასეთ რომანისტს თითქმის დასაწყისშივე ავიწყდება მკითხველი, ხდება წერადარაკოდებული და უკვე არა საკუთარი ან მკითხველის სიამოვნებისთვის, არამედ მეტ-ნაკლებად სტაბილური ემოციური და ფსიქიკური მდგომარეობის შენარჩუნებისთვის წერს. ერთ მწერალს უთქვამს: „ვერე, რადგან მხოლოდ ასე უემიძლია დროის ფიქსირება“. ვეთანხმები, ბრძნული სიტყვებია, მაგრამ მკითხველის დროზეც ხომ უნდა იფიქროს ვინმემ?

კიდევ უფრო სახიფათოა, როცა მწერალი „შინაგან ლოგისა“ ხედავს დაწერილ ტექსტში და ვერ ხვდება, რომ მისმა ტექსტმა უკვე კარგა ხანია და-

კარგა მკითხველთან კონტაქტი. ესე იგი, ეს უკვე დაუგეგმავი ბოღვაა და არა მიზანმიმართული (ჯოისის ნულარ შევანუხებთ, საკმარისია).

რომანისტები, რომლებიც საკუთარი ლიტერატურული alter ego-ს ტყვეობაში ექცევიან, როგორც ნესი, საკმაოდ ფიქტები არიან: მათი ლიტერატურული, ესთეტიკური ან, თუ გნებავთ, სოციალური ფასეულობები მყარადაა ჩამოყალიბებული და ბრაზიანი კონსერვატორებივით მოუყვებიან თავიანთ გზას. ასეთ დროს, მწერლებს ინტელექტი უნდა მიემკველით, რადგან მხოლოდ ინტელექტის ნდობა არ კმარა: „სულიერ ორგანიზმს“ სასიცოცხლოდ აღარ ჰყოფნის ის მასალა, რომელიც წლების წინ ასაზრდოვდა. ბრაზიანთა გაბრაზება კი, მოგვხსენებთ, უადვილესი საქმეა. კრიტიკოსები წინდანებულ და აქცენ: მრისხანე შემოქმედებს უნდა შესწირონ თავი, რათა მათ ახალი და უჩვეულო სამყაროს შექმნა შეძლონ.

### 6. ავტოფიქსაცია, არამნიშვნელოვანება და ერთი იდიოტური ენიგმა

ყიდულობ ახალ წიგნს, იწყებ კითხვას და გულურყვილო (პრინციპში, მკითხველისთვის შეუფერებელი) ეჭვი გიჩნდება: „ეს საკუთარ თავზე ხომ არ დანერგა?“ ამ დროს, როგორ არ მიყვარს, როცა მე მომმართავენ ასეთი შეკითხვით: „ეს შენ გადაგხდა? ეს ისაა?“ და ა. შ., მაგრამ რა უყუით იმ ფაქტს, რომ ქართული რომანების სიუჟეტები (მათ შორის, ცხადია, ამ სიტყვების ავტორის) არათუ ერთ ქალაქში, არამედ ქალაქის რამდენიმე ქუჩაზეა გამოქცეული. კიდევ კარგი, არიან რომანისტები, რომლებიც ქალაქებს უცვლიან სახელებს (ეს კი, ალბათ, იმიტომ რომ უკვე შეუძლებელია სიუჟეტების შეცვლა), მაგრამ, პრინციპში, თანამედროვე ქართული რომანის სამოქმედო გეოგრაფია მხოლოდ რამდენიმე ათეულ კვადრატულ მეტრს მოიცავს. მწერლის ინსპირაციის წყარო მისი უშუალო რეალობაა და ამ რეალობის ასახვაც იმდენად უშუალოდ ხდება, რომ მკითხველს ბუნებრივად ებადება შეკითხვა: რამდენად ლიტერატურაა ის, რასაც ახლა კითხულობ? თითქმის მწერალს ისეა დარჩენია, რომ ემპირიული რეალობა ბანალურად გარდაქმნას არცთუ მთლად საინტერესო მხატვრულ სინამდვილედ: მხოლოდ ის აღწერს, რაც ცხვირის აქვს და მხოლოდ ისინი, ვინც ცხვირისან არაა. ამ მხრივ, უკვე ისეთი საგანგაშო ვითარებაა, რომ ზოგიერთი ჩემი ნაცნობი, სანამ რამეს მიაშობდეს, რალაცნაირი შიშით მაფრთხილებს: „ეს არ დანერგა“, ან, უფრო უაზრო, სხვას აფრთხილებს: „ამას არ მოუყვით, დანერგა“. მასსოვს, წლების წინ, სატელევიზიო სერიალს ვნერდ და სწორედ იმ დღეებში ერთმა ჩემმა მეგობარმა გულწრფელად გამანდო თავის ცოლთან კამათის დეტალები, ხოდა, არ ვიცი, რა დამემართა, რა სახეობის ანგეზიის მსხვერპლი შევიქცენი, მაგრამ ჩემი სერიალის გმირებს (აქაც ცოლქმენს) სიტყვა-სიტყვით გავაგმორბინე ცოლთან ნაწახუბარი მეგობრის ნაამბობი. მის ცოლსაც, ჯინანზე, მაინცდამაინც ამ სერიისთვის უყურებია, მთე-

ლი სიციხადით ამოუცნია საკუთარი თავი და ამჯერად წინაზე უფრო სასტიკად უჩხუბია თავის ქმართან - ეს როგორღა მოუყვით. იმ დღეს, კინაღამ გამორებულან ერთმანეთს, ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ წერისას არც დაფიქრებულვარ, რადუნად სანყენი იქნებოდა ეს მათთვის; ცოლ-ქმრის კონფლიქტის ტექსტი მჭირდებოდა და გონებაში თავისთავად ამოტყავდა მზამზარეული რბილიყვი. მაგრამ აქ მოყვანილი უხერხული ეპიზოდის მიუხედავად, ერთმნიშვნელოვნად არ ვიზიარებ იმ მკითხველთა ზოზიციას, რომლებიც მწერალს ნაკლად უთვლიან ცოცხალი პროტოტიპების რომანის გმირებად ქვევას. მეტიც, ასეთ მკითხველს, თუკი ზედმეტად მკაცრად არ ჩამოვლით, საერთოდ არც ვთვლი განსაკუთრებით განაფულ მკითხველად, რადგან მსოფლიოში არ არსებულა ფაქტობრივად არც ერთი დიდი თუ მცირე მწერალი, რომელსაც გმირებად არ ექცია მის ირგვლივ მცხოვრები ადამიანები, უბრალოდ, ჩვენ არც ფლობერს ვიცნობდით პირადად და არც დოსტოევსკის, თორემ საღამოობით რომ რუანში ვმსხდარიყავით ფლობერთან ერთად ან რუსეთის პროვინციაში გვეხეტიალა დოსტოევსკის მზარდამხარ, ჩვენც ზუსტად გვეცოდინებოდა (და რეალურად ვიცით კიდევ), საიდან წარმოიქმნა აფთიქარი ომე და ან საბრალო სტეფან ტროფიმოვიჩი.

ასეა ჩვენს გვერდით მცხოვრები მწერალიც: ისიც, ფლობერისა და დოსტოევსკის არ იყოს, რეალობიდან სესხულობს მასალას. ცნობილმა ქართველმა მწერალმა თავისი რომანის ერთ-ერთ სახასიათო გმირს ფეხბურთის ტელეტრანსლაციის ყურების დროს მოუპოვა სახელი: ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი რექსარი (უფრო სწორად კი, გვარი) იმ დამესვე შეიტანა თავის ტექსტში. ეს ბუნებრივი და საინტერესოა, მაგრამ პრობლემა, ჩვენს შემთხვევაში, სხვაგან ძვეს: მიქვენება (და, ვიცი, ჩემი რომანების მკითხველსაც ასე ეჩვენება), რომ თანამედროვე ქართულ რომანებში არაფერი ხდება განსაკუთრებით უჩვეულო, ორიგინალური და, რაც მთავარია, მნიშვნელოვანი. ისედაც ყველამ ყველაფერი ვიცით ერთმანეთზე, რა საჭირო იყო ამაზე რომანის დაწერა? სიტუაციები, თემები და სახეები იმდენად ნაცნობია, რომ თითქოს წასაკითხიც კი აღარაფერია - ნაუკითხავად ხვდები, რა და როგორ აღწერა მწერალმა. თვალსაც (თუნდაც 10-15 წლის წინ) მკითხველს სიამოვნებას ჰგვირდა თავისი დროისა თუ სოციალის რეალისტური, კვაზილიკუმენტალური და, ზოგჯერ, სატირული აღწერა, მაგრამ ახლა ტექსტისგან მნიშვნელოვანებას უფრო ელის, ვიდრე დროის თუნდაც ოსტატურად ფიქსირებას. ქვეყანა პატარაა (რუსული „მათიულხლართების“ წყალობით კიდევ უფრო შემცირებული), ხალხიც ცოტა, მკითხველი - უფრო ნაკლები, და ასეთ სიმწირეში რომანებიც რალაცნაირად კლასტროფობიული გამოდის: ერთფეროვად თემებში, ენასა და სახელებში გამომწყვედული.

სახელები ტყუილად არ მიხსენებია. ვთქვათ, ისეთი მწერლისთვის, რომელსაც ჩემნაირი რომანები აქვს დანერილი (ესე იგი, სოციალ-ფსიქოლოგიური თუ სატირულ-რეალისტური... არც ვიცი, რო-



გორ დავახასიათო - კრიტიკოსებს ჩვენთვის არ სცხვლათ), პირდაპირ პროფესიულ წყევლად ექცა ქართული სახელ-გვარები. გინდა არ გინდა, ამ გიორგებით, ზაზებით, ნინოებით, ლეილებით, სანდროებით და თავშენებით უნდა მოჰყვე ამბავს. ცხადია, არაინი დამოძღვს, თუკი პერსონაჟს ელვირას დარქმევ, მაგრამ საქმეც ისაა, რომ სახელი ელვირა სოციო-ფსიქოლოგიურად სენსიტიური მკითხველთვის (რომელიც ისევე კარგად იცნობს შენს მცირე სოციალს და მის ესთეტიკას, როგორც შენ) ელვირა უმალ პაროდოლის, არასაჭიროდ ეგზოტიკურისა და არანაცნობის სიმბოლოდ აღიქმება და არა იმად, რასაც იგივე პერსონაჟი, ვთქვათ, სახელი ანათი გამოხატავდა. ანასთვის რომ ელვირა მწოდებინა, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება მისდამი დამოკიდებულება. როგორც უაილდის ალფერნონის მიმართ პიესაში „როგორი მნიშვნელოვანია, ვიყოთ სეროზული“, რომელს სახელიც გარკვეულ წინასწარ დამოკიდებულებას გულისხმობს მის მიმართ.

ვთქვათ, მინდა ვუწოდო ჩემს პერსონაჟს არცთუ ხშირად გამოყენებადი უშანგი, მაგრამ არ მინდა, რომ ქართველ მკითხველს ისეთი დამოკიდებულება ჰქონდეს ჩემი უშანგისადმი, როგორც შეიძლება რომ ჰქონდეს საერთოდ სახელი უშანგის (ან ზოგადად უშანგების) მიმართ; მიხდა, ჩემი უშანგი ისე აღიქვან, თითქოს მას უხერხული ასოციაციებისგან თავისუფალი სანდრო ან დათო ჰქვია. მაგრამ არ გამოდის. უშანგი შეუძლებელია იყოს დახვეწილი და დამაჯერებელი პროტაგონისტი, რადგან ის წინასწარ განწირულია მარცხისთვის. ვერაფერი ვიწმინდებ (ისევე, როგორც ჩემი მკითხველი), რომ შესაძლოა დამაჯერებელი და არადიმილის-მომგვრელი იყოს ეროტიკული სცენა შეყვარებულ (და თავისთავად არაკომიკურ) ჯემალსა და ლამარას შორის. არაფერს ვერჩი ჯემალებსა და ლამარებს, მაგრამ თუკი ქართველ რომანში მათი სახელები მოხვდება, ისინი სახასიათო, კომიკურ და პრინციპში მეორეხარისხოვან პერსონაჟებად ცხოვრებას უნდა შეეგუონ. გმირს (ან თუნდაც ანტიგმირს), მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, შეუძლებელია ერქვას ოთარი, თენგიზი ან მაყვალა, თუკი ეს ტექსტი სატირული ჟანრის არაა.

ამ ენიგმის გასაღები ჩვენს სინამდვილეში უნდა ვეძოთ. სახელები ისევე კვდება რომანებში, როგორც ცხოვრებაში. ეჭვი ეპარება, ახლა რომელიმე მშობელმა ჟუჟუნა, ან კონრელი დაარქვას თავის შვილს (მიუხედავად იმისა, რომ ორივე სახელი ძალიან მომონს), თუკი სპეციფიკურ შემთხვევასთან არ ეგუქვს საქმე: აგრესიული (და, რაც მთავრია, მარჩენალი) ბაბუა-კორნელი ვიუტლად უნდა ითხოვდეს შვილიშვილისთვის თავისი სახელის დარქმევას.

ასევეა რომანისტიც, რომლის პერსონაჟის ლიტერატურული თუ სოციალური ბედისწერაც მის სახელზეა დამოკიდებული (რომანს, კიდევ კარგი, ბაბუა არა ჰყავს).

მიმზიდველ ქართველ გოგონას ოდესლაც შორენა უნოდა კონსტანტინე გამსახურდიამ, ახლა კი რამხელა ძალისხმევა სჭირდებათ თანამედრო-

ვე შორენებს, რომ სახელისგან დამოუკიდებლად აღიარონ და აღიქვან მათი სექსუალობა. შესაბამისად, ისევე როგორც ქართველ დედებს, მწერალსაც თითებზე ჩამოსათვლელი რჩება სერიოზულად აღსაქმელი სახელები: 5-7, მეტი არა. მწერალმა ამ 5-7 სახელი უნდა მოჰყვეს თავისი ამბავი. ეს 5-7 სახელი კი თავისთავად გულისხმობს გარკვეულ სტერეოტიპს (გეო რატომღაც ვერაფრით იქნება გროტესკული, ისევე როგორც ფიროზი ინტელექტუალი), რომელიც ისედაც ზღუდავს ქართული რომანის სამოძრაო მწირ ტერიტორიას. ამიტომაც ცდილობდნენ დიდი ქართველი რომანისტები სოციალურად „გაცვეთილი“ ქართული სახელ-გვარებისგან გაქცევას და კარგად მხედურ, „დახვეწილ“, თითქოსდა უცხო, უჩვეულო სახელებს უგონებდნენ თავიანთ პერსონაჟებს: კორინთელი, კაშველი, დომენიკო, ზესამე...

დააკვირდით, თუკი თანამედროვე რომანისტს არასახასიათო და პრინციპში ჩვენნაირი პროტაგონისტის შექმნა აქვს გადაწყვეტილი, მას აუცილებლად ზაზა, გიო, მაკა ან ნინო ერქმევა, ხოლო ნათელა და ეშვარი - არავითარ შემთხვევაში (გამონაკლისი შემთხვევა პროტაგონისტები, რომლებიც საპენსიო ასაკს მიაღწიეს, თუმცა ასეთები ნაკლებად გვხვდებიან ქართულ რომანში). თუკი მწერალს ეგონება, რომ ეშვარის შექმნით, მისი ეშვარი ისეთივე ბუნებრივი ეგონებათ, როგორც (რატომღაც) უდახვეწილესი გიო, ის ან „პარალელურ სამყაროში“ ცხოვრობს, ან შემთხვევით დაკავებულია ამ პროფესიით) (ციტატა ბრაზიანი კრიტიკოსის სასაუბრო ლექსიკონიდან).

ასე რომ, აქ ორი გზა რჩება: რომანისტმა რაიმენაირი სასწაულის ძალი უნდა დააღწიოს თავი საცენარო სახელებზე თუ სახელები მიბმულ სტერეოტიპებს, ან სემუელ ბუქსტინის მეოთხის გამოკრება სცადოს, რომელმაც უხერხული ალფერნონები დაუფიქრებლად ჩაანაცვლა დეფინიციებით: A, B, C...

### 7. კონვენტრაცია („კარი გამოხურვ, მწერალო“)

თანამედროვე მწერლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მარტო დარჩენის შეუძლებლობაა.

ქართველ მწერალს საშინლად უჭირს განმარტება, ამ დროს, გინდა არ გინდა, მარტო უნდა დარჩეს, რაღაც რომ დაწეროს. არ მახსოვს, რაიმე სერიოზული შედეგი გამოედოს კოლექტიურ წერას. ხალხმრავალ ადგილებში ვერ წერენ (ეს მითია, რომ ჰემინგუეი რაიმე სერიოზულს წერდა კაფეებში!) მწერალი, მოსწონს თუ არა ეს ვინმეს, განწირულია ასოციალურიობისთვის (ყოველ შემთხვევაში, წერის დროს მაინც); რომანისტი მინ უნდა წავიკვდეს, სადმე მიყუჩდეს, კარი გამოხუროს და უინტერესო საკუთარ თავთან ერთად დარჩეს მარტო. ყველას ესმის, რომ ეს საშინლად რთულია (ყველა და ყველაფერი ჩართულობასა და ურთიერთობას გთხოვს), მაგრამ სხვა გზა არ რჩება - ხმაურში წერა არ გამოდის. ერთი ცნობილი ქართველოლოგი გაკვირვებას გამოთქვამდა მისივე საყვარელი

ქართველი რომანისტის ცხოვრების წესის გამო, რომელიც თითქმის ყოველდღიურად იღებდა სტუმრებს: ყოველდღიური სტუმრობები რომ არა, სულ ცოტა, ორჯერ მეტი რომანის დაწერას მოასწრებდაო. საერთოდ, ეს სტუმრობები პირდაპირ წყველა მწერლისთვის, ნერვებზე მოქმედებს: თან გიხარია (როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს უხარია სხვა ადამიანებთან ერთად ყოფნა), თან იტანჯები (რაკი სწორედ ესენი ვართმევენ წერისთვის გადანახულ დროსა და ძალას).

ჯერ კიდევ როდის ჩიოდა ანტონ ჩეხოვი, შავ ჭირზე და ათას უბედურებაზე უარესია ისეთი სტუმარი, რომელიც გაუჩერებლად ლაპარაკობს და არ იცი, როდის წავაო. თუმცა მეცხრამეტე საუკუნეში ბევრად უფრო ადვილი იყო მარტო დარჩენა, ვიდრე ახლა: თითქოს თავად ეს ეპოქა გამოირიცხავს საკუთარ თავთან დარჩენას. ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ყურადღება გაგეფანტოს და უამრავი არასაჭირო მოვლენით ამოგვესოს თავი. ვთქვათ, მოახერხე და შენთვის ხარ, შესაძლოა ხელი (და, ცხადია, გონებაც) რეფლექსიურად გაგექცეს, წესით, სხვა მიზნისთვის გამოსაყენებელი კომპიუტერის კლავიშებისკენ და შენთვისვე მოულოდნელად აღმოჩნდე ვირტუალურ სოციალურ ერთობაში. ანუ ფიზიკურად მარტო ყოფნის შემთხვევაშიც ვერ მოახერხო შენს ტექსტზე კონცენტრირება. ეს ინფორმაციის ინტერვენცია: ყველა მხრიდან გესხმიან თავს! კარს ხურავ, ფანჯრიდან ძვრებიან; ფანჯარას კეტავ, ძვრებიან კანალიზაციის მილიდან. კედლებზე ყრუდ აკაუნებენ: ყურადღება

გაგეფანტოს! ყურადღება გაგეფანტოს! წერას შეეშვი! საბარლო მწერალს ერთი სული აქვს, ვალი მოიხადოს - დაფიქსიროს ეს წყველი დრო (ესე იგი, ინვანტილურად დაწეროს ორი-სამი პეკარი) და მერე შეპყრობილივით შეუერთდეს ცვალებად ვირტუალურ სოციუმს. ბოლოს კი თავადაც იქცეს თავდამსხმელად.


მართალია, მწერალი ასე თუ ისე მაინც ახერხებს ტექსტზე მუშაობას, მაგრამ ნაწერს უკვე ეტყობა, რომ ის სხვაგან იყო ამ დროს. თითქოს მხოლოდ ფიზიკური სხეული აგრძელებდა წერას, თითქოს მისი ნაწილობრივი ჩარევის პირობებში დაინერა ტექსტი, ოღონდ არა ზეპუნებრივი ინსპირაციის წყალობით („ჩვენ გადაამწერნი ვართ“), არამედ იმიტომ, რომ ავტორი ვერ დისტანცირდა, ვერ დაემალა ხმაურთან სამყაროს გაუფილტრავ ინფორმაციულ spam-ს.

ჯდება თუ არა ავტორი სანერად, მსოფლიოც, ჯინაზე, სწორედ მაშინ იწყებს თუხთუხს; იღებს თუ არა ავტორი ხელში სანერ-კალამს (ან როგორც კი ჯდება კომპიუტერთან), იწყება რევოლუციები, ტომები ერთმანეთს უწყებენ ბრძოლას, პოლიტიკა უვარდება ოთახში; როგორც კი პირველ სიტყვას წერს, სწორედ მაშინ იწყებენ ხმაბადალ ყაყასს.

ყველა სიტყვა დაკავებულია. ყველა კომპიუტერიდან ვილაც ზის.

მწერალს ისლა დარჩენია, ან საერთოდ არ წეროს, ან სამყაროზე მეტად იხმაუროს. იქით შეუვარდეს სამყაროს.

რა გამოუვა აქედან, სხვა საკითხია.



ნიკი თარხან-მოურავი

# ქართული წიგნები ინგლისურად

ანუ ოკეანეში ცურვის პირველი გაკვეთილი



ბოუკერის (Bowker) 2004 წლის სტატისტიკის მიხედვით, რომელიც ბიბლიოთეკების მონაცემებს ეყრდნობოდა, ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნების მხოლოდ 3% წარმოადგენდა თარგმნილ ლიტერატურას, რაც დაახლოებით ხუთჯერ ნაკლებია გერმანულ და ოთხჯერ ნაკლები საფრანგეთის ბაზრების მაჩვენებლებზე. არაფერს ვამბობ ისეთ ქვეყნებზე, სადაც თარგმნილი ლიტერატურა გაცილებით დიდი რაოდენობით გამოიცემა, ვიდრე ეროვნული.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საგანგაშო სტატისტიკის გამოქვეყნებას ინგლისურენოვანი გამოცემლების მძაფრი კრიტიკა მოჰყვა, სურათი მაინც არ შეცვლილა და ინგლისურენოვანი ბაზარი უცხოელი ავტორებისათვის ახლაც ყველაზე რთულად შესაღწევ სივრცედ ითვლება და იმავდროულად ყველაზე სასურველადაც - თუ გავითვალისწინებთ ინგლისური ენის გავრცელების საზღვრებს და შესაბამისად, მკითხველთა რაოდენობას.

„დალქი არქაივ პრესი“ ერთ-ერთი იმ გამომცემლობათაგანია, რომელიც მუდმივად ემიჯნება საგამომცემლო ინდუსტრიაში გაბატონებულ კომერციულ კანონებს და ყოველწლიურად 40-მდე უცნობი (უცხოელი მკითხველისთვის უცნობი, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში პოპულარული) ავტორის წიგნებს სთავაზობს ინგლისურენოვან მკითხველს.

წელს ამ სიაში ქართველი ავტორებიც მოხვდნენ - მ აპრილს ლონდონში ოთხი ქართული რომანის ინგლისურენოვანი გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა: აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში“, ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“, ლაშა ბულაძის „ლიტერატურული ექსპრესი“ და ზურაბ ქარუმიძის Dagny or a Love Feast, რომელიც ავტორმა ინგლისურ ენაზე დაწერა.

თარგმანის გამოცემის ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერად მასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები შეიძლება ჩაითვალოს: მთარგმნელის ჰონორარის გარდა, ესაა რედაქტირებისა და მარკეტინგის გაორმაგებული ბიუჯეტი. ამას ადასტურებს „დალქი არქაივ პრესის“ 2011 წელს ჩატარებული კვლევა, რომელშიც ინგლისურენოვანი გამომცემლების რედაქტორები და მარკეტოლოგები იღებდნენ მონაწილეობას. თავად „დალქი არქაივ პრესი“ დამოუკიდებელი, არაკომერციული გამომცემლობაა, რომელსაც რამდენიმე მსხვილი ორგანიზაცია აფინანსებს. სხვადასხვა უცხოურ პროექტებისათვის იგი პარალელურად ადგილობრივ უწყებებშიც იძიებს თანხებს.

ბოლო წლებში ინტერესი ქართული ლიტერატურის მიმართ დასავლეთში საგრძნობლად გაიზარდა. ერთი მხრივ, ეს განაპირობა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა, წიგნის ბაზრის

ზრდამ საქართველოში და ა.შ., ხოლო მეორე მხრივ ამას ხელი შეუწყო კულტურის სამინისტროს ინიციატივამ, დაეფინანსებინა ქართული წიგნების უცხოენოვანი თარგმანები. წელს გერმანულ ენაზე გამოიცა ბესო ხვედელიძისა და ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობების კრებულები, რასაც წინ უძღვოდა თამაზ მელაშვილის რომანის გერმანულ თარგმანის გამოცემა, რომელიც პრესტიჟული ახალგაზრდული ლიტერატურული პრემიითაც დაჯილდოვდა.

ოთხი ქართული რომანის გამოცემა ინგლისურად მხოლოდ ნაწილია იმ გეგმისა, რომლის შესრულებაც დაისახა მიზნად „დალქი არქაივ პრესმა“. მომავალ წელს ლამა ბულაძეს, ზაზა ბურჭულაძეს, ზორბეგ ქარუმიძეს და აკა მოქრიანიძეს დაემატება ოთხი ახალი ავტორი. პროექტის საბოლოო მიზანი 20 წიგნისგან შემდგარი ქართული ლიტერატურის სერიის გამოცემაა. ინგლისურენოვან გამოცემებს ნანალოზრე საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული წიგნის ფონდი დააფინანსებს.

პირველი ოთხი წიგნი 1700-იანი ტირაჟით დაიბეჭდა და უკვე გაყიდვამია. ცხადია, ეს ტირაჟი ძალიან მცირეა ინგლისურენოვანი ბაზრისთვის, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თხოვივ ავტორი სრულიად უცნობია ბრიტანელი და ამერიკელი მკითხველისთვის.

რამდენიმე წლის წინ, როცა ინგლისური თარგმანი ჯერ კიდევ ძალიან შორეულ პერსპექტივად ჩანდა, ზაზა ბურჭულაძემ მითხრა: ინგლისურენოვანი წიგნის ბაზარი ოკენესავითაა - ერთი მხრივ, ძალიან დიდ ასპარეზს გიხსნის, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან საშიშია, რადგან თუ ცუდრა კარგად არ იცი, დაიხრჩობი.

თანამედროვე სამყაროში წიგნის გამოცემა აღარ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან და ყველასთვის ხელმისაწვდომია. მთავარი ამოცანა გამოცემლებისათვის წიგნის გაყიდვაა, იქნება ეს ფიზიკური თუ ელექტრონული სახით. სწორედ ამას მიაქვს გაცილებით მეტი რესურსი, ვიდრე ფიზიკურ ბეჭდვას (მით უმეტეს, ელექტრონული წიგნის შექმნას), განსაკუთრებით მაშინ, თუკი ავტორი უცნობია. შესწევს თუ არა უნარი „დალქი არქაივ პრესს“, გაუქეითოს რეკლამა ახალ გამოცემებს? ეს კითხვა ბუნებრივად ჩნდება იმ შემთხვევაში, როცა გამოცემლობისთვის თითქმის არ არსებობს ფინანსური რისკი, რომელიც მას აიძულებდა, მთელი ძალებით ჩართულიყო სარეკლამო კამპანიაში.

ხშირად საქართველოში წიგნის რეკლამა ნეგატიურად აღიქმება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული წიგნის ბაზარი გაცილებით პატარაა, ვიდრე ნებისმიერი დასავლეთევროპული ბაზარი და წიგნი წარმატებული ყოველგვარი რეკლამის გარეშე შეიძლება გახდეს, თუკი გამოცემელი მის დროულ დისტრიბუციას მოახდენს წიგნის მალაზიებში. დასავლურ ბაზარზე სარეკლამო კამპანიას გაცილებით ადრე იწყებენ, ვიდრე წიგნი მალაზიის თაბროზე შემოიღება. რეკლამა აუცილებელია, რომ წიგნს ეს ადგილი მალაზიაში ან ნებისმიერ გავრცელების პოპულარულ ზონაში გერანტირებული ჰქონდეს, სხვანაირად ის შეიძლება ვერასდროს გას-

ცდეს საწყობის კედლებს. სარეკლამო კამპანიის მეორე ეტაპი მედიასთან ურთიერთობაა. გამოცემელი მედიის წარმომადგენლებს წინასწარ უგზავნის ე.წ. სანიმუშო ვეზუდებს, რომელიც სპეციალურად სარეკლამო კამპანიისთვის მზადდება. გამოცემელმა წიგნის გამოცემამდე უკვე იცის, რომელი გაზეთი, ჟურნალი ან სხვა მედიასაშუალებლა გამოცემას უნდა მის გამოცემაში, ამიტომაც, როგორც ლოსი, გამოცემიდან პირველივე კვირაში უკვე შეუძლია განსაზღვროს, თუ რამდენად წარმატებული იქნება მისი წიგნი და რამდენი მკითხველი ეყოლება. თუ გამოცემელთან არ აქვს რესურსი, ამგვარად მოემსახუროს ავტორს, იგი სრულყოფილ გამოცემლობად ვერც ჩაითვლება და აღარაფერი განასხვავებს ე.წ. „სამიზნობრივად“.

„დალქი არქაივ პრესს“ თარგმნილი ლიტერატურის გამოცემის დიდი ტრადიცია აქვს და მუდმივად ჰყავს ახალი თარგმანის მომლოდინე მკითხველი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს არის სახლი გარეუბანში, რომელიც მთავრად აღმშენებელი ტრანსპორტი არ მიდის, მაგრამ დაინტერესებული პირი აუცილებლად დაიჭირავებს ტაქსის იქ მისასვლელად. გარდა ამისა, ქართული წიგნების ინგლისურ ენაზე გამოცემა ზრდის შესაძლებლობას, სხვა უცხოენოვანი გამოცემლები მეტად დაინტერესდნენ ამ ნაწარმოებებით, რომლებზეც უზარალოდ მანამდე ხელი არ მოუწვდებოდათ. მათთვის ნაკლებადცნობილი ენაზე დაწერილი ლიტერატურის შემთხვევაში ყოველთვის არსებობს ამისი დიდი ალბათობა. ამიტომ ხანდახან საკმარისია რომელიმე ერთ პოპულარულ ენაზე ითარგმნოს წიგნი, რომ მათინვე გზახსნება სხვა ქვეყნების ბაზარზეც. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მკითხველთა წრის გაზრდა ყოველთვის ზრდის მწერლის მოტივაციას - ზურამ ქარუმიძემ პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ რომანის არა მხოლოდურ ენაზე შექმნა სათქმელის გლობალურად გამოთქმის სურვილმა უბიძგა.

ინგლისურ ენაზე გამოცემა კი ნამდვილად ნიშნავს მკითხველთა გლობალური წრის წინაშე გამოსვლას, ამ ენის მასშტაბიდან გამომდინარე. ინგლისური ენა მსოფლიოში მესამე ყველაზე გავრცელებული ენაა, რომელსაც წინ უსწრებენ ჩინური და ესპანური ენები. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ენაზე მოსაუბრეთა რაოდენობა საგრძობლად აღემატება ჩინურად და ესპანურად მოლაპარაკეთა რიცხვს. ინგლისური ენის პროფესიონალი დივიდ კრისტალი თავის ნაშრომში „ინგლისური როგორც გლობალური ენა“ ირწმუნება, რომ მსოფლიოში ერთი მეოთხედი ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობს და კითხულობს და ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

შესაბამისად, ინგლისურენოვანი წიგნის ბაზარი ყველაზე დიდია მსოფლიოში. წიგნის ბაზრის სიდიდეს, ერთი მხრივ, ენის გავრცელება განაპირობებს და, მეორე მხრივ, განათლება და კითხვის მოთხოვნილება. ციფრებში რომ გამოვსატოთ ეს მონაცემები, დიდ ბრიტანეთში წელიწადში დაახლოებით 150 ათასიდან 200 ათასამდე დასახელების წიგნი გამოიცემა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს რიცხვი 350 ათასამდეც შეიძლება ავიდეს.



გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ენა თარგმნილ ლიტერატურაშიც დომინირებს. სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი იოჰან ჰეიდორნი ირწმუნება, რომ გამოცემული უცხოური ლიტერატურის 60% ინგლისურიდან თარგმანს უკავია. ფინანსურ გრაფაში რომ გადავიტანოთ, ნიგნების გაყიდვების შემოსავლების 30% თარგმანის გაყიდვებიდან შესდის დიდ ბრიტანეთს.

ინგლისურენოვან გამოცემებს, ცხადია, აქვს თარგმანის სახსრები, თუკი ნიგნის თარგმანს გააწყვეტს, მაგრამ, სამაგიეროდ, არა აქვს დრო, რომელიც ამ თარგმანს უნდა დაეთმოს და შემდეგ მის რეკლამას, რაც უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე თარგმანის ტექნიკური შესრულება. შესაბამისად, უპირატესობა ყოველთვის ისეთ ნაწარმოებს ენიჭება, რომელსაც არ ახლავს დამატებითი ხარჯი, მით უმეტეს, როცა არჩევანი შირთლაც უზარმაზარია.

ალბათ არ უნდა იყოს ვასაკვირი, რომ ასეთი შესაძლებლობების პირობებში, ნიგნის ინდუსტრია ინგლისში უფრო მეტად კომერციულია, ვიდრე თუნდაც საფრანგეთში ან გერმანიაში. მწერლობაც გაცილებით შემოსავლიანი საქმეა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. «გარდაინის» ავტორი ალექს კლარკი თავის სტატიაში «რედაქტორების დაკარგული ხელოვნება» საუბრობს ერთ სამწუხარო ბოლოდროინდელ ტენდენციაზე, რომელიც ინგლისურენოვანი ნიგნის ბაზარზე შეინიშნება. მისი დაკვირვებით, საგამომცემლო კომპანიაში ან ლიტერატურულ სააგენტოებში რედაქტორები მარკეტოლოგებმა და პიარის სპეციალისტებმა ჩაანაცვლეს. ისინი უკვე ტექსტის დახვეწასა და განვითარებაში იღებენ მონაწილეობას. შედეგად ეს ტექსტები ნელ-ნელა ჯგუფური მუშაობის შედეგი ხდება და ინდივიდუალობას უკარგავს ავტორებს - განსაკუთრებით დამწყებებს.

გარდა ტექსტზე მუშაობისა, გაყიდვებისა და მარკეტინგის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები ნიგნის დიზაინსა და ფორმატის შერჩევაშიც. მხატვრული პროზა ძირითადად სამ ფორმატში გამოიცემა, სქელვდიან გამოცემას მოჰყვება თხელვდიანი, შემდეგ კი ე.წ. «მასობრივი თხელვდიანი» გამოცემა. სამივე ფორმატს ფასი და ნიგნის ყდის დიზაინი განასხვავებს. მასობრივი გამოცემა

ყველაზე იაფია და ყდის დიზაინით სარეკლამო ბაზარს უფრო ჰგავს.

პირადად მე ოთხივე ნიგნის ყდის დიზაინი მომწონს. განსაკუთრებით მიმზიდველად ზაზა ბურჭულაძის «ადიბასი» და ზურაბ ქარუმიძის Dagny or a Love Feast გამოიყურება, თუმცა ოთხივე სერიისთვის დამახასიათებელი ერთი მაშლიონთაა შექმნილი. საერთოდ, კარგად შესრულებული ყდის დიზაინი ნიგნის მიმართ გამოცემლის დამოკიდებულებასაც გამოხატავს.

დაბოლოს, ორი სიტყვით ნიგნების პრეზენტაციას შესახებ:

სამწუხაროდ, ზაზა ბურჭულაძე ვერ დაესწრო პრეზენტაციას, რომელსაც უძღვეოდა გამოცემული ჯონ ო'ბრაიანი. მან ავტორებთან ერთად მიმოიხილა საქართველოს კულტურული და ისტორიული კონტექსტი, რაც პირველ რიგში უცხოენოვანი მკითხველისთვის უნდა ყოფილიყო საინტერესო. თუმცა სინანულით მინდა აღვნიშნო, რომ მონეული სტუმრების უმრავლესობა საქართველოდან იყო. ლონდონის ნიგნის ბაზრობა, რომლის ფარგლებშიც მოენყო განმეორებითი პრეზენტაცია მეორე დღეს, საგამომცემლო ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი მოვლენაა მსოფლიოში, მხატვრული პროზის თვალსაზრისით კი რიგით მეორეა, ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის შემდეგ. ასევე დასანანია, რომ ქართველი გამომცემლების მხოლოდ მცირე ნაწილი ესწრებოდა ბაზრობას, მიუხედავად იმისა, რომ ნელს საქართველო ამ ბაზრობაზე უფრო დიდ სტენდით წარდგა. რადგან წინ 2018 წლის ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობა გველის, სადაც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგება, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ქართული მხარე რაც შეიძლება აქტიურად იყოს ჩართული საერთაშორისო საგამომცემლო პროცესებში და გააღრმავოს საქმიანი ურთიერთობები დაინტერესებულ პირებთან, ლონდონის ნიგნის ბაზრობა კი ამისი ერთ-ერთი საუკეთესო პლატფორმაა.

წერილის დასასრულს მინდა წარმატება ვუსურვო ყველა ქართველ ავტორს, რომელიც საერთაშორისო ასპერეზზე ახლა იმკვიდრებს თავს. ბოლოდროინდელი მოვლენები ნამდვილად ადასტურებს, რომ ეს პროცესი უკვე დაიწყო.

ZURAB KARUMIDZE  
**Dagny, or  
a Love Feast**

AKA MORCHILADZE  
  
**Journey  
to Karabakh**  
A NOVEL  
TRANSLATED BY ELIZABETH HEIGHWAY

ZAZA BURCHULADZE  
**adibas**  
  
TRANSLATED BY GURAM SANIKIDZE

LASHA BUGADZE  
**The Literature  
Express**  
A NOVEL  
  
TRANSLATED BY MAYA KIASASHVILI

კლოდ ლევი-სტროსი


# ანთროპოლოგია თანამედროვე სამყაროს პრობლემათა წინაშე

ფრაგმენტი

ფრანგულიდან თარგმნა ელენე ლადარიამ

ფრაგმენტი კლოდ ლევი-სტროსის მოხსენებიდან „სამი დიდი თანამედროვე პრობლემა: სექსუალობა, ეკონომიკური განვითარება და მითოსური აზროვნება“, რომელიც ერთ-ერთია მის მიერ 1986 წელს ტოკიოში წაკითხული სამი მოხსენებიდან. სამივე მოხსენება 2011 წელს გამოიცა კრებულად, „ანთროპოლოგია თანამედროვე სამყაროს პრობლემათა წინაშე“.

LEVI-STRAUSS Claude. *L'anthropologie face aux problèmes du monde moderne*. Editions du Seuil. Paris, 2011. pp. 63-75.



## მშობელი, საშვილოსნოს გამათხოვებელი და სოციალური მემკვიდრეობითობა

უპირველესი აუცილებლობა, რომლის წინაშეც ადამიანური საზოგადოებები დგებიან, რეპროდუქცია, ანუ დროის მდინარეებში თავის შენარჩუნებაა. შესაბამისად, ყოველი საზოგადოება საჭიროებს მემკვიდრეობითობის წესს, რომლითაც ჯგუფის ყოველი ახალი წევრის მიკუთვნებულობა განისაზღვრება, - ნათესაურ სისტემას, რომლითაც ნათესავთა, თანამოსიხლეთა და ალიანსში მყოფთა კლასიფიკაცია

ხდება. ამასთან, საზოგადოებისთვის აუცილებელია ის წესები, რომლებიც საქორწინო ალიანსთა მოდლობებთან ერთად იმასაც განსაზღვრავს, თუ ვისი შერთვა შეიძლება და ვისი - არა. გარდა ამისა, ყოველ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სტერილურობასთან გამკლავების მექანიზმებიც.

რაც შეეხება დასავლურ საზოგადოებებს, აქ სწორედ სტერილურობასთან გამკლავების საკითხი გამწვავდა მას შემდეგ, რაც რეპროდუქციის დამხმარე თუ მისი ხელოვნურად გამოწვევის საშუალებები აღმოაჩინეს. არ ვიცი, რა ვითარებაა ამ მხრივ იაპონიაში. ევროპაში, შეერთებულ შტატებსა და ავსტრალია-

ში კი ყველა ამაზე ბჭობს და საგანგებო კომისიებიც კი შეიქმნა შესაბამისი განხილვებისათვის, რომლებსაც, თავის მხრივ, საპარლამენტო ასამბლეები, პრესა და საზოგადოებრივი აზრიც ეხმებოდა.

მამ, რასთან გვაქვს საქმე უფრო ზუსტად? უკვე შესაძლებელია - ზოგიერთი პროცედურის შემთხვევაში კი მაღელვებელია შესაძლებელია - რომ გარკვეულ მეთოდთა მეშვეობით ბავშვი გაუჩნდეს წყვილს, რომლის ერთი ან ორივე წევრი სტეროლიზირებულია: ხელოვნური განაყოფიერება, საკვერცხის დონორობა, საშვილოსნოს თხოვრება ან ლოკალიზება, ემბრიონის გაყინვა, *in vitro* განაყოფიერება ქმრის ან სხვა მამაკაცის სპერმატოზოიდებით, ან ცოლის, ან სხვა ქალის კვერცხუჯრედით.

ამგვარ მანიპულაციითა შედეგად დაბადებულ ბავშვებს, ჩვეულებისამებრ, შესაძლოა ჰყავოდეთ ერთი მამა და ერთი დედა ან ერთი დედა და ორი მამა, ორი დედა და ერთი მამა, ორი დედა და ორი მამა, სამი დედა და ერთი მამა, ხოლო, იმ შემთხვევაში, როცა მშობელი იგივე მამაკაცი არაა, ვინც მამა, ქალთაგან კი სამის ჩარევა ხდება აუცილებელი - კვერცხუჯრედის გამცემის, საშვილოსნოს გამათხოვებლისა და მომავალში ბავშვის ლეგალური დედისა -სამი დედა და ორი მამაც კი.

ყველაფერი ამით არ მთავრდება, რადგან ისეთ ვითარებასაც შეიძლება შევხვდებით, როცა ქალი თავისი დასუფილი ქმრის გაყინული სპერმით განაყოფიერება ითხოვს, ან ორი ჰომოსექსუალური ქალი ითხოვს შესაძლებლობას იყოლიონ ბავშვი, რომელიც წარმოიშობა ქალთაგან ერთ-ერთის ისეთი კვერცხუჯრედით, რომელიც ანონიმური დონორის მიერ ხელოვნურად განაყოფიერდება და მაშინვე მორეე ქალის საშვილოსნოში გადაინერგება. ასევე, რატომ არ შეიძლება, რომ დიდი დიდი-ბაბუის გაყინული სპერმით განაყოფიერდეს საუკუნის შემდეგ მისი შვილთაშვილის შვილი; ამ შემთხვევაში ბავშვი დედამისის დიდი ბიძა და საკუთარი დიდი ბაბუის ძმა იქნება.

აქედან გამომდინარე, ისემა კითხვები, რომლებიც ორი რიგისაა: ზოგი იურიდიული, ზოგიც - ფსიქოლოგიური და მორალური.

პირველ რიგის საკითხებთან დაკავშირებით ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სამართალი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ინგლისის სამართალში სოციალური მამობა იურიდიული ფიქციის სახითაც კი არ არსებობს, დამასადამე, შეესაბეგელია, რომ საპერმის მიძევება კანონიერად მოითხოვოს ბავშვი, ანდა მისი ჩრჩხის ვალდებულების წინაშე დადგეს. საფრანგეთში, პირიქით, ნაპოლეონის კოდექსი - ერთგვარ ძველი ანდაზისა, *"Pater is est quem nuptiae demonstrant"* - ადგენს, რომ ბავშვის კანონიერი მამა დედის ქმარია. თუმცა ფრანგული კანონმდებლობა წინააღმდეგობრივია, რადგან 1972 წელს მიღებული კანონი ნათესავთა ძებნის ქმედებას ნებადართულად აცხადებს. ამიტომ გაუგებარია, რა ტიპის კავშირს აქვს უპირატესობა - სოციალური თუ ბიოლოგიური.

ფაქტია, რომ თანამედროვე საზოგადოებებში მემკვიდრეობითობის ბიოლოგიური კავშირიდან გამომდინარეობის იდეა სძლევს მემკვიდრეობითობის როგორც სოციალური კავშირის იდეას. მაგარამ, მაშინ, რა მოვუხერხობთ საკითხებს, ნამოჭრითლ ისეთი ხელოვნურად ხელშეწყობილი რეპროდუქციის საფუძველზე, რომლის შემთხვევაშიც, სწორედაც, კანონი-

რი მამა აღარ არის ბავშვის მშობელი, დედას კი, ამ სიტყვის სოციალური და მორალური გაგებით, არც კვერცხუჯრედი უკუთვნის და, შესაძლოა, არც საშვილოსნო, რომელშიც მუცლადყოფნა ხორციელდება?!

მეორე მხრივ, როგორი უნდა იყოს ამიერიდან ერთმანეთისგან გამიჯნული სოციალური და ბიოლოგიური მშობლების უფლებები და მოვალეობები? რა გადანაწილება უნდა მიიღოს სასამართლო იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი საშვილოსნოში სრულყოფილად ვერ ჩამოყალიბდა, წყვილი კი, რომელმაც ეს სერვისი ითხოვა, მასზე უარს აცხადებს? ანდა პირიქით, იმ შემთხვევაში, თუ ქმრის სპერმით განაყოფიერებული ქალი განზრახავს შეიცვლოს და ბავშვის თავისთან, როგორც ერთადერთ პატრონთან დატოვებას დაიწყებს.

ერთ სიტყვით, როგორც კი რომელიმე ეს პრაქტიკა შესაძლებელი ხდება, მაშინვე ისმის კითხვა იმის შესახებ, უნდა იქნეს თუ არა დაშვებული მათი თავისუფლად გამოყენება? იქნებ კანონმა ზოგი მათგანი უნდა დაუშვას, ზოგი კი აკრძალოს? ინგლისში უარს იკითხა კომისიამ (თავმჯდომარის გვარიდან გამომდინარე) საშვილოსნოს გათხოვების აკრძალვის რეკომენდაცია გასცა, დაყვრდნო რა გენეტიკურ, ფიზიოლოგიურ და სოციალურ დედობობათა შორის განსხვავებას და მიიჩნია რა, რომ ამ სამიდან სწორედ ფიზიოლოგიური დედობაა ის შემთხვევა, როცა ყველაზე უფრო ინტიმური კავშირი იბმება დედასა და ბავშვს შორის. თუ საფრანგეთის მოსახრების თანახმად ხელოვნურად ხელშეწყობილი რეპროდუქცია უმეტესწილად დასაშვებია მუცლადბული წყვილის სტერტილურობის პრობლემის გადასაჭრელად, მიდგომა თავშეკავებული ხდება იმ შემთხვევაში, თუ საქმე თავისუფალ კავშირში მყოფ წყვილს ეხება, ანდა ქალს, რომელსაც სურს, რომ თავისი ვარდაცვლილი ქმრის გაყინული სპერმით განაყოფიერდეს. ეს მიდგომა განმარტულად ნეგატიურ ელფერს იძენს, როცა წყვილს ბავშვის გაჩენა ქალის მენოპაუზის შემდეგ სურს, ან თუ ამის მსურველი მარტობელა ქალი ან ჰომოსექსუალთა წყვილია.

რაც შეეხება ფსიქოლოგიური და მორალური რიგის საკითხებს, ამ შემთხვევაში ძირითადი პრობლემა, როგორც ჩანს, გამჭვირვალობას უკავშირდება. ანონიმური უნდა იყოს თუ არა სპერმის ან კვერცხუჯრედის დონაცია ან საშვილოსნოს გათხოვება იმ შემთხვევაში, როცა სოციალურ მშობლებს და, შემდგომში, თვით ბავშვსაც აქვთ უფლება შეიტყონ მონაწილე პირთა ვინაობა? შეედეტემა უარი თქვა ანონიმურობაზე; ინგლისური ტენდენციაც, ვკონებ, ამისკენა მიდრეკილია; საფრანგეთში კი განწყობებიც და კანონიც საპირისპირო მხარისკენ იხრება. თუმცა ის ქვეყნებიც კი, რომლებიც გამჭვირვალობას უშვებენ, როგორც ჩანს, რეპროდუქციის და სექსუალულობის — ან, თუ გნებავთ, სენსუალობის - ერთმანეთისგან დისოციაციის საჭიროებაში დანარჩენ ქვეყნებს ეთანხმებიან. მართლაც, ყველაზე უფრო მარტობი მაგალითით რომ შემოვიფარგლოთ, ზოგი მოსახრების თანახმად სპერმის დონაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ის ლაბორატორიაში და ექიმის ჩარევით ხორციელდება: ხელოვნური მეთოდით, რომელიც დონორსა და მიმღებს შორის ყოველგვარ პიროვნულ კავშირს, ემოციურ და ეროტიკულ ზიარებას გამოორიგხავს. არადა, საყოველთაო ცვლევებს მონაცემები

არ ადასტურებს იმას, რომ სპერმის თუ კვერცხუჯ-  
არის დონაციისას ანონიმურობა მთავარი საზრუ-  
ნავი; ის ცხადყოფს, რომ ჩვენს საზოგადოებებშიც კი,  
მოუხედავად იმისა, რომ ამის აღიარება არ ხდება, იმა-  
ზე უფრო ხშირად მიმართავენ ამ სერვისის „მიდასა-  
ოჯახო“ გამოყენებას, ვიდრე შეიძლება გვეგონოს.  
ამის სამავალიოდ ბალზაკის ერთ დაუსრულებელ  
რომანს მოვიყვან, რომლის წერაც მან 1843 წელს წა-  
მოიწყო, იმ დროს, როცა სოციალური ცრურწმენები  
გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დღევანდელ  
საფრანგეთშია. ეს ზედმიწევნით დოკუმენტური რე-  
მანი, საგულისხმო სათაურით - „წვრილბურთები“,  
იმაზე მიგვითხრობს, თუ როგორ შეთანხმდა მგო-  
ბართა ორი, ერთი ნაყოფიერი და მეორე სტერილური  
წყვილი: ნაყოფიერმა ქალმა საკუთარ თავზე აიღო  
სტერილური ქალის ქმრისაგან ბავშვის გაჩენა. გო-  
გონას, რომელიც ამ კავშირის შედეგად გაჩნდა, ერთ  
შენობაში მცხოვრები ორივე ოჯახი ერთნაირი სით-  
ბოთი ევლებოდა თავს, მათ გარემოსცვაში კი ყველა  
მშვენივრად იცნობდა გარემოვებებს.

როგორც ვთქვი, ბიოლოგიის განვითარებით მიღ-  
ნულმა მიხმარებული რეპროდუქციის ახალმა ტექ-  
ნოლოგიებმა თანამედროვე აზროვნებას თავგზა აუღრია.  
ჩვენი სამართლებრივი იდეები, ჩვენი მორალური და  
ფილოსოფიური რწმენები უძღური გამოდგა სოცია-  
ლური წესრიგის შენარჩუნების ამ არსებითი სფეროში  
წარმოქმნილი ახალი ვითარებებისათვის პასუხის გა-  
საცემად. როგორ განვსაზღვროთ ბიოლოგიურ ნათე-  
საობასა და სოციალურ ფილიაციას შორის ან უკე-  
ვილი უფლებები მიმართება? რა მორალური და სოცია-  
ლური შედეგებს გამოიღებს სექსუალობისა და რეპ-  
როდუქციის ერთმანეთისგან გამიჯვნა? უნდა ვაღიარ-  
ოთ თუ არა „მარტოხელა“ ინდივიდის რეპროდუქ-  
ციული უფლება? არის თუ არა ბავშვის უფლება ხელი  
მოუწვდებოდეს თავისი წინამორბედის ეთნიკური წარ-  
მომავლობისა და გენეტიკური ჯანმრთელობის შესა-  
ხებ ძირითად ინფორმაციაზე? რა ზომითა და რა ფარ-  
გებებში შეგვიძლია გადავუხვიოთ ბიოლოგიურ წე-  
სებს, რომელთა უმრავლესობასაც რელიგიები კვლავ  
ცღეთაბერივ დედაცენილებებად აცხადებენ?

### ხელეწიერი რეპროდუქცია: ქალწულები და ჰომოსექსუალთა წყვილები

ამ პრობლემებთან დაკავშირებით ანთროპოლო-  
გებს საექიმელი ბევრი აქვთ, რადგან საზოგადოებებ-  
მა, რომლებიც ისინი შეისწავლიან, უკვე ნამოჭრეს ეს  
საკითხები და გარკვეულ პასუხებსაც გვითავაზო-  
ბენ. რაღა თქმა უნდა, ამ საზოგადოებებისთვის უც-  
ნობა იმ ვიტრო განაყოფიერების თანამედროვე ტექ-  
ნოლოგიები, კვერცხუჯრების ან ემბრიონის ამტლე-  
ბა, ტრანსფერი, იმპლანტაცია თუ გაყინვა. მიუხედა-  
ვად ამისა, მათ პირს ეკვივალენტური ფორმულები წარ-  
მოიხასხეს და პრაქტიკადაც აქციეს, სულ მცირე, იური-  
დიული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მაინც.  
ნება მიბოძეთ, რამდენიმე მაგალითი მოგიყვანათ.

დონორის მემუბოთი განაყოფიერების ეკვივ-  
ალენტს აფრიკაში, ბურკინა ფასოს სამოხელე ვოპო-  
ლებში, რომლებიც ჩემმა კოლეგამ და კოლეგ დე ფრანს-  
სში ჩემმა მემკვიდრემ, ქალბატონმა ფრანსუაზა ერი-  
ტიე-ოჟემ შეისწავლა. ამ საზოგადოებაში ყოველი გო-

გონა საკმაოდ მცირე ასაკში ქორწინდება. მაგრამ მა-  
ნამ, სანამ ქმართან საცხოვრებლად გადავა, მან, სულ  
მცირე, სამი წლის მანძილზე მაინც უნდა იყოლოს  
მის მიერვე არჩეული და ყველას მიერ ასეთად აღიარ-  
ებული საყვარელი. გოგონა ქმარს საყვარელად კავ-  
შირის შედეგად გაჩენილ პირველ ბავშვს მიჰპყრის,  
რომელიც კანონიერი კავშირის პირველმობილად მი-  
იჩნევა. თავის მხრივ მამაკაცს რამდენიმე ლეგიტიმური  
ცილის ყოლა შეუძლია; თუმცა იმ შემთხვევაში,  
თუ რომელიმე მოეცება, ის იმ ბავშვების კანონიერ  
მამობასაც შეინარჩუნებს, რომლებსაც ცოლყოფილ-  
ში მომავალი სხვებთან გააჩენენ. აფრიკის სხვა პო-  
პულაციებშიც აქვს ქმარს ყველა მომავალ ბავშვზე  
უფლება იმ პირობით, თუ ეს უფლება ყოველი მობოიარ-  
ობის შემდგომ განახლებად post partum პირველი  
სქესობრივი კავშირის საშუალებით. სწორედ ეს უკა-  
ნასწელი განსაზღვრავს იმას, თუ რომელი მამაკაცი  
გახდება მომავალი ბავშვის კანონიერი მამა. უნაყოფო  
ცილის მყოფ მამაკაცს გარკვეული თანხის სა-  
ნაცვლოდ მუშობია მუუთანხმდეს ნაყოფიერ ქალს ინი-  
სათვის, რომ მან ეს მამაკაცი [მამად] განსაზღვროს.  
ამ შემთხვევაში, კანონიერი ქმარი განაყოფიერებს  
დონორის ხდება, ქალი, კამოილს, საკუთარ მუცელს  
სხვა მამაკაცს ან უკილო წყვილს ათხოვებს. ამიტომ  
არც საფრანგეთისათვის მწვავე საკითხი ისმება იმის  
შესახებ, საშვილოსნოს გამათხოვებელმა სანაცვლოდ  
გასამარჯლო უნდა აიღოს თუ არა.

ბრაზილიაში, ტუპი-კავაიბებთან, რომლებსაც 1938  
წელს ვენეცია მამაკაცს მუშობია ერთდროულად ან  
თანმიმდევრებით იქორწინოს რამდენიმე დაზე, ამ დე-  
დასა და მის ნინა ქორწინებაში დაბადებულ ქალიშ-  
ვილზე. ეს ქალები ერთობლივად ზრდიან თავიანი ბავ-  
შვებს და, ჩემი დაკვირვებით, ყურადღებას არ აქე-  
ციენ იმას, ბავშვი, რომელზეც ესა თუ ის ქალი ზრუ-  
ნავს, მისია თუ ქმრის სხვა ცოლისა. ამის სიმეტრიული  
ვითარება ტიბეტში, სადაც რამდენიმე ძმას ერთი  
საერთო ცოლი ჰყავთ. ყველა ბავშვი უფროს ძმას მიე-  
წერება. მას ისინი ძიას უწოდებენ, დანარჩენ ქმრებს  
კი - ბიძებს. მოყვანილ შემთხვევებში ინდივიდუალუ-  
რი მამობა და დედობა ან გაურკვეველია, ან ანგარმ-  
გაურკვევლი.

დავუბრუნდეთ აფრიკას, სადაც სუდანელი ნუე-  
რები უნაყოფო ქალს მამაკაცს უიყვებენ. „მამის მხრი-  
დან ბიძის“ სტატუსით ეს ქალი ძველად იღებს „პა-  
ტნარობის საფასურს“ (ინგლისურად — „bride price“),  
რომელსაც მისი ძმისშვილის ქორწილში იხდიან; შემ-  
დეგ კი ამ ფულად საცოლეს ყიდლობენ, რომელიც  
მას ენიჭე - ხშირად უცხოელი - მამაკაცის ფასიანი  
მომსახურების მემუბოთი ბავშვს გაუჩენს. ნივთიელ  
იორუბებში მდიდარ ქალებსაც მუშობიათ იყიდონ ცო-  
ლები, რომლებსაც მამაკაცებთან სქესობრივი კავში-  
რის დაჭირისკენ უბიძგებენ. დაბადების შემდეგ ბავშ-  
ვებს ეს, ლეგალური „ქმრის“ [ფუნქციით აღჭურვილი]  
ქალები ეპატრონებიან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რე-  
ალური მშობლები ბავშვების თავისთან დატოვებას  
მიონდობენ, ვაკარიანი თანხის გადახდა მოუწევს.

ყველა განხილულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქალ-  
თა ისეთ წყვილებთან, რომლებსაც, გადაუჭარბებლად  
რომ ეთქვას, ჩვენ ჰომოსექსუალებს უწოდებენ. ისინი  
მიხმარებულ რეპროდუქციას მიმართავენ ბავშვების  
საყოლად, რომლებსაც ქალთაგან ერთ-ერთი კანონი-  
ერ მამად, მეორე კი ბიოლოგიურ დედად ეკუთვნის.

გარდა ამისა, დამწერლობის არმქონე საზოგადოებები იცნობენ ეკვივალენტს *post mortem* განაყოფიერებას, რომელსაც ფრანგული სასამართლო კრძალავს; ინგლისში კი უარსივს კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ კანონმა გამორიცხოს მამის მთავომომავლობიდან და მემკვიდრეობიდან ყველა ის ბავშვი, რომელსაც დაიდა შეცვლილი ჩანასახის სახით არ უარსებია ქმრის გარდაცვალების მომენტისთვის. არადა, ათასწლეულების განმავლობაში (ჯერ კიდევ ადრეულ ებრაელებთან) დადასტურებულად არსებული ინსტიტუტი „ლევირატი“ უმცროს ძმას ნებას რთავდა და ხანდახან აკისრებდა კიდევაც, თავისი გარდაცვლილი ძმის სახელით გავერძელებინა გამრავლება. როცა სუდანელ ნუერებში, რომლებიც უკვე ვახსენე, უცხოურ ან უმთავომავლო კაცს გარდაცვლილობა, მის რომელიმე ახლო ნათესავს უფლება ეძლეოდა გარდაცვლილის საქონლიდან იმდენი სული ნაყვანა, რამდენიც ცოლის საყიდლად ეყოფოდა. ეს, ნუერელთა თქმით, „მოჩვენებითი ქორწინება“ მას გარდაცვლილის სახელით გამრავლების უფლებას აძლევდა, რაკი სწორედ ამ უკანასკნელის მიერ იყო უზრუნველყოფილი მემკვიდრეობის (filiality) წარმოქმნელი ქორწინების საფასურის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ მოყვანილ ყველა მავალითა ბავშვის ოჯახური და სოციალური სტატუსის განსაზღვრა კანონიერი მამის ვალეით ხდება (მამინაც კი, თუ ეს უკანასკნელი ქალია), ბავშვმა თავისი მშობლების ვინაობა იცის და მათთან ემოციური კავშირი აქვს. ჩვენი შიშების საპირისპიროდ, გამჭვირვალობა სულაც არ ინევეს ბავშვში კონფლიქტს იმის გამო, რომ მისი ბიოლოგიური მშობელი და მისი სოციალური მამა სხვადასხვა ინდივიდია.

ეს საზოგადოებები არც იმის მსგავს შიშს განიცდიან, რომელსაც ჩვენში გარდაცვლილი ქმრის ან, თუ ორიოულად, თუნდაც შორეული ნინაპრის გაყინული საკერძით განაყოფიერება ინევეს: ბევრი მათგანისთვის საბავშვო ნინაპრის რეინკორნაცია, რომელსაც მასში ვაცოცხლება აურჩევია. ნუერების „მოჩვენებითი ქორწინება“ კი დამატებით მოქნილობას ამჟღავნებს, როცა გარდაცვლილის ჩამნაცვლებული ძმა თავისი სახელით ჩასახავს ვერ ახერხებს. ამ შემთხვევაში, გარდაცვლილის სახელზე დაბადებულ ვაჟს (რომელსაც, შესაბამისად, მისივე ბიოლოგიური მამა საკუთარ ძმის შვილად განიხილავს) შეუძლია მსგავსი საქციელით გადაუხადოს ამაგი თავის ბიოლოგიურ მამას. ხოლო რამდენდაც ამ შემთხვევაში ასეთი მშობელი საკუთარი კანონიერი მამის ძმას, ამიტომ ბავშვები, რომელსაც ის გააჩენს, კანონიერად მისივე ბიძაშვილები იქნებიან.

უკლებლად ყველა ეს ფორმულა თანამედროვე ტექნიკითა ნინსსრებ მეტაფორულ სურათს ვეთავსებ. აღმოვაჩენთ, რომ ბიოლოგიურ რეპროდუქციასა და სოციალურ მამობას შორის კონფლიქტი, რომელიც ამხელს უხერხულობას ინევეს ჩვენში, სრულეებით არ არსებობს საზოგადოებებში, რომლებსაც ანთროპოლოგები სწავლობენ. ეს საზოგადოებები უპირატესობას ცალსახად ანიჭებენ სოციალურს, ისე რომ ეს ორი ასპექტი კოლიზიაში არ მოცის არც ვაჭუფის იდეოლოგიის დონეზე და არც ინდივიდალ ვიწვამში.

ამ პრობლემებზე დიდხანს შეეჩერდი, რადგან ფიქრობ, ისინი კარგად წარმოაჩენს იმას, თუ რა სახის სარგებლს შეიძლება მივლოდეს თანამედროვე

საზოგადოება ანთროპოლოგიური კვლევებისაგან. ანთროპოლოგი იმისთვის არ არის მონოდებელი, რომ თავის თანამედროვეებს ამა თუ იმ ეგზოტიკური პოპულაციის იდეებისა და ჩვეულებების გადაღება შესთავაზოს. ჩვენი წვლილი გაცილებით უფრო მოკრძალებულია და ორი მიმართულებით მოქმედებს. უპირველეს ყოვლისა ანთროპოლოგი გვაჩვენებს, რომ ის, რაც ჩვენ „ბუნებრივი“ და საგანთა წესრიგზე დაფუძნებულია მიგავარჩნია, ჩვენი კულტურისათვის მარტინაბისათებელ შეზღუდვებას და მენტალურ ჩვეულებზე დაყვანებას. ანთროპოლოგია თვალსაფრის ახსნასა და იმის გაგებაში გვეხმარება, თუ როგორ და რატომ შეუძლიათ სხვა საზოგადოებებს მარტინად და თავისთავადად მიანდეთ ჩვეულებები, რომლებიც ჩვენ წარმოუდგენლად და სკანდალურად გვეჩვენება.

მეორე მხრივ, საქმე ისაა, რომ ჩვენ მიერ შერეული ფაქტები ძალიან ფართო საკაცობრიო გამოცდილებას წარმოაჩენს; ის იმ ათასობით საზოგადოებისგან მომდინარეობს, რომლებიც საუკუნეებით, ხანდახან კი ათასწლეულებით ენაცვლებოდა ერთმანეთს დროში და რომლებიც დასახლებული მიწის მთელ ზედაპირზეა გადახანილებული. ამიტომ ჩვენ იმის გამოაშკარავებასაც ვუნწყობ ხელს, რაც ადამიანური ბუნების „ზნივერსალიტებად“ შეგვიძლია განვიხილოთ და, აქედან გამომდინარე, ისიც შევიძლია ვივარაუდოთ, თუ რა მიმართულებით განვითარდება ჯერჯერობით სუსტად გამოკვეთილი ევოლუციური ტრენდები, რომელთა ნინასწარვე დევიაცია და გარყვნილებად შერაცხვა შეცდომა იქნებოდა.

ხელოვნურად ხელშეწყობილი რეპროდუქციის ირგვლივ მიმდინარე დიდი დებატების მიზანი იმის გარკვევაა, მიზანშეწონილია თუ არა საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება და რას ან რა თვალსაზრისით უნდა შეეხოს ისინი. სხვადასხვა კომისიებსა და ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო აპარატის მიერ შექმნილ ორგანიზმებში წევრებად საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელი, იურისტები, ექიმები, სოციოლოგები და ხანდახან ანთროპოლოგებიც შედიან. თვალმისაცემია, რომ ანთროპოლოგები ყველგან ერთი და იგივე მისწრაფება გამოაჩენენ: ნინალმდგენი არიან დაჩქარებულად ხდებოდეს კანონების შემოღება, აკრძალვებისა და ნებართვების დადგენა.

სულწარავი იურისტებისა და მორალისტებისათვის ანთროპოლოგებს ლიბერალზმისა და სიფრთხილისკენ მიმანდებლად ბევრი რჩევა ეთქმით. ისინი ხაზს უსვამენ, რომ იმ პრაქტიკებსა და მისწრაფებებსაც კი, რომლებიც ყველაზე უფრო დიდ შოკს აყენებს საზოგადოებრივ აზრს - იქნება ეს ქალწულებისათვის, დაუქორწინებელი და ქერივი ქლებისათვის თუ ჰომოსექსუალიზა წყვილებისათვის გამიზნული მიზმარებული რეპროდუქცია - ეკვივალენტს მოუპოვებს სხვა საზოგადოებებში, რომლებიც ამ ყველაფერს მშვენივრად იტანენ.

ანთროპოლოგების სურვილია, რომ მოვლენები თვითინებაზე მივუშვათ, რომ ოჯახურ და სოციალურ სტრუქტურათა შექმნა თუ მოკვითა ცალკეული საზოგადოების მინაგან ლოკას მივადლოთ: ეს სტრუქტურები ან თვითონვე გამოიჩენენ სიცოცხლისუნარიანობას, ან ნინალმდგომებს შექმნიან, რომელთა გადაულახაბობასაც კვლავაც მხოლოდ პრაქტიკა დადასტურებს.

დათო ქარდავა

# მოდის, ვნახოთ თბილისი...

„ქალაქი ჩემთვის წიგნია...“ - შოთა ჩანტლაძე

„მომავლის ხილვის საფუძველად უნდა ვაქციოთ წარსულის წვედომა და აწმყოს აუხიერებელი შეცნობა“ - კარლ იასკერსი



ალექსანდრე ელისაშვილი, „როგორ შეიცვალა თბილისი“. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

იცვლება ქალაქი და იცვლება მასში მცხოვრები ხალხიც ისევე, როგორც ყველაფერი სამყაროში - არაფერი გასაკვირი ამაში არ არის, თუმცა აზრს მოკლებული არ იქნება, თუკი ვიკითხავთ, რა ცვლის ქალაქს? როგორია ქალაქისა და მისი მოსახლეობის მიმართება გარდაუვალ ცვლილებებთან? ადამიანი ცვლის ქალაქს თუ ქალაქი - ადამიანს? რომლის გველენა უფრო ძლიერი, მნიშვნელოვანი და ბიძგის მიმცემია? როგორია დროის (როგორც ასტრონომიულის, ასევე ისტორიულის) გველენა ქალაქზე? - ეს და კიდევ სხვა ბევრი შეკითხვა აფაფორიაქებთ, როცა ალექსანდრე ელისაშვილის წიგნს - „როგორ შეიცვალა თბილისი“ - ნაიკითხავთ.

შესავალში თავად ავტორიც წერს, რომ ყველა ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და ამ ორგანიზმს, რა თქმა უნდა, ცვლილება ახასიათებს, არც ერთ ქალაქში არაფერია სტატიკური, გაყინულ-გაშე-

შებულო, თუმცა იქვე შენიშნავს, ცვლილებაც არის და ცვლილებაცო.

რაშია საქმე?

კვლავ ავტორის მოვუსმინოთ:

„ალბათ, ძნელად მოიძებნება ქალაქი, რომლის ისტორიულ ცენტრს, უკვე ჩამოყალიბებულ განაშენიანებას იმდენი ჩარევა განეცდებოდა, რამდენიც 1921 წლის მერე დაიწყო და დღემდე გრძელდება თბილისში. უბნები, მოედნები, ქუჩები, ხიდები, სხვადასხვა რელიგიური მრწამსის საკულტო ნაგებობები საბჭოთა ხელმძღვანელებისა და დამოუკიდებელი საქართველოს მმართველების ხშირად აკვიტებულ ურბანულ ხედვებსა და გემოვნებს შეენირო. ეს წიგნი სწორედ ამ სახეცვლილებებზეა, იმ ადგილებსა და ნეგებობებზე, რომლებიც იყო თბილისში და ძალიან შეიცვალა, ან სულაც გაქრა და მხოლოდ ფოტოებზე შემორჩა“.

დროში ცვალებადი თბილისი - სწორედ ეს არის ამ წიგნის მთავარი საგანი, რომლის აღსანივრად ავტორი ტექსტის გარდა უზეად იყენებს ვიზუალურ მასალას ფოტოების სახით. რეტროსპექტია მოიცავს პერიოდს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე და სწორედ ამ, ძველი და ახალი ფოტების თვალყურებისას იჩენს თავს დროისა და სივრცის პოეტურობა, რომელიც თბილისის მიმეხედვისას და უზარმაზარი დანაკარგის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ სევდითაა დაღუდასმული. ალბათ, ამ ფოტოებზე შემორჩენილ ქალაქს მისტოროდ იოსებ გრიშაშვილი, როცა ძველ თბილისს ემშვიდობებოდა თავის ცნობილ ლექსში:

ძველო თბილისო! ჩემი მიზნები

ალარ მაქვს, გულში რომ კინახავდი...

გადაწყედა, უნდა შეეცვლა გზები...

ძველო თბილისო... გტოვებ... ნახავმდის...

მხოლოდ ფოტოებზეა შემორჩენილი, მაგალითად შიგთხედი მჩენით, იტალიური ოპერის შენობა, სასახლის ქუჩა, ვანქის ტაძარი და სხვა მრავალი მატერიალური თუ სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც წლების განმავლობაში ამშვენებდა თბილისის სივრცულ ქსოვილს და რომლებმაც ვერ გაუძლეს დროის ცვალებადობასა თუ სტიქიურ უბუდურებას (განსაკუთრებით ხანძრების სახით) და ვერ მოაღწია ჩვენამდე, თუმცა ნებისმიერი სტიქიის შემოტევა უმნიშვნელოდ ჩანს იმასთან შედარებით, რაც ადამიანმა დამართა თბილისს. განსაკუთრებით მძიმე გამოდგა მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი, როცა ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა წარსულთან ბრძოლასა

და თბილისის ევროპეიზებას ძველი ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი, მისი განუმეორებელი ხასიათი და სიერცული სტრუქტურა შესწირეს. მაგალითად, სანაპიროს მშენებლობას შეენარა თბილისის ყველაზე კოლორიტური ნაწილი - მტკვარზე დაკიდულაიენებანი სახლები და მდინარიდან ამოზრდილი ქარვასლები, თუმცა ალექსანდრე ელისაშვილის ამ ნივინდან კარგად ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ცინიზით ეპყრობოდა საკულტო ნაგებობებს. ავილოთ თუნდაც ოთხმეოც სუბასტიელ მონამეთა ეკლესია, რომელიც აბანოთუბნის მახლობლად იმ ტაძრის ადგილზე იყო აშენებული, სადაც აბო თბილელს მოჰკვეთეს თავი. ფრაგმენტი ნივინდან:

„მოგვიანებით ამავე ადგილის უკვე გუმბათიანი ეკლესია იდგა (ეს ეკლესია კარგად ჩანს მე-19 საუკუნის ფოტოებზე), რომელიც სადავო და საცილო იყო ქართველებს, ბერძნებსა და სომხებს შორის. ეს დავა, ჩვეულებისამებრ, თავისებურად გადაჭარბებოდა ბოლშევიკებმა - 20-იან წლებში ეკლესია ააწერიეს. მიგვიანებით ნაექლესიარზე საზოგადოებრივი ტუალეტი აშენდა“.

ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციას ემსხვერპლა ვანკის დიდებული ტაძარი, ხოლო მეტეხის ხიდის მშენებლობას - უნიკალური შიტიური მეჩეთი, რომლის შესახებაც ალექსანდრე ელისაშვილი წერს:

„მეჩეთი მეტეხის კლდის გადმოღმა იდგა, მისი კედლები მტკვრის კალაპოტზე ოსტატურად იყო ამოყვანილი. ცნობილია, რომ მას ჰქონდა უპრეცედენტოდ დაბალი მინარეთი, ვინაიდან ქართველებმა სარსებს არ დაანებეს, ის სიონის ჯვარზე მალალი აგვით. მეჩეთის გუმბათი და მინარეთის კოშკი (ცისფერი შორენკეეცებით იყო მოპირკეთებული, ამიტომ მას „ცისფერ მეჩეთსაც“) ეძახდნენ. ეს მეჩეთი, როგორც ჩანს თვალში არ მოუვიდა საბჭოთა საქართველოს მმართველს, კანდიდატურის და 1952 წელს მისი დანგრევა ბრძანდა. უნდა ითქვას, რომ არაერთმა ქართველმა მეჩეთებმა გამოითქვა პროტესტი ძეგლის განადგურებასთან დაკავშირებით, თუმცა სატალინის რეჟიმის დროს, ცხადია, პროტესტი ამაო გამოდგა. განადგურებული მეჩეთიდან მხოლოდ და მხოლოდ გუმბათისა და მინარეთის ცისფერი შორენკეეცებია შემორჩენილი, რომლებიც ხელოვნების მუზეუმში ინახება“.

თუმცა ავტორი ამავე ნივინში (ოლონდ სხვა პარაგრაფში) შენიშნავს, რომ შაჰ ისმაილის დანგრეული მეჩეთის ხის კათედრა, ანუ მიმბარი ამჟამად ბოტანიკურის ქუჩაზე მდებარე სუნიტურ მეჩეთში დგასო.

ნივინს ცალკეულ პარაგრაფებს შორის ამგვარი ბმების გამო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „როგორ შეიცვალა თბილისი“ არ არის ფოტოების შერალი, ერთმანეთისგან იზოლირებული აღწერა. ალექსანდრე ელისაშვილი საგნის - თბილისის ისტორიისა და მისი კულტურის საფუძვლიანი ცოდნის წყალობით ოსტატურად ალაგებს ქალაქის მრავალფერნახანაგოვანი მოზაიკის დეტალებს. ერთი პა-

რაგრაფი არ ნიშნავს ერთი ადგილის (შენობის, ქუჩის და ა.შ.) ავტონომიურ ისტორიას. თბილისი ხომ, ისევე როგორც ყველა ძველი ქალაქი, უამრავი, ერთმანეთთან დაკავშირებული მიკროტოპოსისაგან შემდგარი ერთიანი ორგანიზაცია. ფოტოების თანმხლებ ტექსტებში კარგად ჩანს ეს კავშირები, რომელთა გარეშე თბილისი ვერ იქნებოდა შთამბეჭდავი და, შეიძლება ითქვას მისტიური ქალაქი, რომელშიც უსულო საგნებსაც კი საოცარი ამავე გადახდებით ხოლმე თავს. ავილოთ თუნდაც თბილისის უძველესი ქანდაკებების - გრიფონების ისტორია, რომელიც 1851 წელს დაიწყო, როცა გაბრიელ თამამშევმა ერევნის (თავისუფლების) მოედანზე აგებული ქარვასისა დაარაჯად ოთხი რკინის გრიფონი - მითური ლომ-არწვი დაუყენა:

„1934 წელს ლავრენტი ბერიამ მოედნის გაფართოების მიზნით თამამშევის ქარვასლა დაანგრია, ხოლო გრიფონები გმირთა მოედანზე აგებული ხიდის დასამშენებლად გადაიტანა. 1970-იან წლებში გმირთა მოედნის რეაბილიტაციის დროს ხიდი გადააკეთეს და გრიფონები აიღეს. ოთხიდან ორი გრიფონი თბილისის ისტორიის მუზეუმის მახლობლად გადაიტანეს. 90-იან წლებში ჯართზე მონადირეთა წყალობით, გიფონებს თანდათან შემოეძარცვათ ფრთები, ფეხები, კუდეები და ერთთა საბარალო შესახედავები გახდნენ, თუმცა დაახლოებით ერთი წლის წინ თბილისის მერიის ინიციატივით მრავალჭირნახულ გრიფონებს რესტავრაცია ჩაუტარეს, შავად შეღებეს და თავისუფლების მოედანზე ძველი სამყოფელის მახლობლად, საკრებულოს შენობის შესახედავთან დადგეს“. ნივინში გრიფონების მთელი ეს ოდისეა გაფორმებულია შესახედავით ვიზუალური მასალით, რომელიც ლამის საუკუნეხანავარს მოიცავს.

თბილისის კულტურულ გარემოზე დაწერილი ნივინს კითხვისას ბუნებრივია შეხვედებით ბევრი ისეთი მენარმის, არქიტექტორის, ლიტერატორის, მუსიკოსისა თუ სხვა პროფესიის გავლენიანი მოქალაქის გვარ-სახელს, რომელთა ძალისხმევის გარეშე ქალაქი ვერ ექნებოდა ის იერი, ხასიათი და შინაარსი, რომელიც მას სხვა დასახლებული პუნქტებისგან გამოარჩევს. ამ ხალხის ღვაწლი, გავლენა და დანახედავარი იმედნად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ გჩნდება განცდა თითქოს ისინი არც არსად წასულან და ჩვენ გვერდით ცხოვრობენ. მათი ნაწილი მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონებში განისვენებს, ნაწილი კი - გრიფორიანელთა, კათოლიკეთა და მუსლიმთა სასაფლაოებზე.

ძნელია იყო ისტორიკოსი, ძველი ქალაქისა და მისი ყოფის, კულტურის მკვლევარი და არ იყო ტაფოფული (ბერძ. *taphos* - საფლავი, *philia* - სიყვარული), ანუ სასაფლაოების მოყვარული. ცხადია, ამ მხრივ გამოწკლისი არც ალექსანდრე ელისაშვილია, რომელიც გულისტკივილით აღწერს სოლოლაკის კათოლიკური სასაფლაოსა და გორხანის (აზერბაიჯანელთა პანთეონის) ისტორიას:

„აზერბაიჯანელთა ნეკროპოლისი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, ულამაზეს ადგილას მდებ-

ბარეობს. აქ საუკუნეების განმავლობაში თბილისელ მუსლიმთა სასაფლაო იყო და დიდ ტერიტორიას მოიცავდა, თუმცა საბჭოთა პერიოდში საფლავთა უმეტესობა ტრაქტორებით მოასწორეს და ფორხანაზე რამდენიმე გამოჩენილი პირის (მირზა ფათალი ახუნდოვის, მირზა შაფი ვაზეჰის და სხვათა) საფლავი დატოვეს".

კიდევ უფრო ტრაგიკულია ბედი კათოლიკეთა სასაფლაოს, რომელიც დღევანდელი ჭონქაძისა და გერგეტის ქუჩების კუთხეში მდებარეობდა, მოიცავდა 13 ათას კვადრატულ საყენს, ეკუთვნოდა წმინდა როზარიას ძმობას და ექვემდებარებოდა თბილისის ღვთისმშობლის მიძინების რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას:

„...სასაფლაოს ტერიტორია ძველ თბილისელთა საყვარელი სასიერო ადგილი იყო, ვინაიდან ამ ადგილიდან იშლებოდა შესანიშნავი ხედი ქალაქზე და თავად სასაფლაოს ტერიტორიას დიდ ნაწილზე ინგლისელი სამხედრო ინჟინრის, გენერალ-ლეიტენანტ მონსინის მიერ შირაზიდან და ინდოეთიდან გამოგზავნილი ვარდების ბალი ყვაოდა. ტერიტორიის შუაგულში უშუალოდ სასაფლაო, მცირე კათოლიკური ეკლესია და სამრეკლო იყო. 1893 წელს შედგენილი სასაფლაოს გეგმიდან ვიგებთ, რომ სოლოლაკის კათოლიკურ სასაფლაოზე საგვარეულო სამარხებს ჰქონდათ: ანდრონიკაშვილებს, თუმანიშვილებს, ჩიქოვანებს, ბაქრაძეებს, ზუბალაშვილებს, მიხანდარებს, მაისურაძეებს და სხვებს. სოლოლაკის კათოლიკური სასაფლაო 1920-იან წლებში ბოლშევიკებმა გააუქმეს და მის ტერიტორიაზე საცხოვრებელი და სხვა სახის ნაგებობები ააშენეს".

ამ ტექსტსაც ახლავს ილუსტრაციები: მე-19 საუკუნის 90-იანი წლები დათარიღებული ფოტოები სასაფლაოს ახლო და შორი ხედვებით; სასაფლაოს გეგმა, მის ადგილზე აშენებული სახლების ფოტოები და ერთიც, 2013 წელს გადაღებული ფოტო, რომელზეც გერგეტის ქუჩაზე ნაპოვნი საფლავის ქვის ნატიხია აღებჭდილი.

წარსულისადმი ვანდალური დამოკიდებულება მთელი მე-20 საუკუნე გაგრძელდა და 21-ეშიც გადმოგვეყვ. ქრესტომათიულია იმელის - მარქსიზმ-ლენინიზმის ყოფილი ინსტიტუტის შენიშის მაგალითი: ჯერ იყო და, 1990 წელს, როცა ებრუნული მოძრაობა გაძლიერდა, ე.წ. ურა-პატრიოტებმა დაზიანეს ფასადის ბოლშევიკური შინაარსის ბარელიეფები, რომელთა ავტორები ცნობილი ქართველი მოქანდაკეები, თამარ აბაკელია და იაკობ ნიკოლაძე იყვნენ, 2007 წლიდან კი შენობის ფიზიკური არსებობა დადგა საფრთხის ქვეშ, რადგანაც ფინანსური კრიზისით დამფრთხილმა ინვესტორმა ნახევრად, თანამრ აბაკელია და გამოიშინული შენობა (რომელიც უსინდისოდ განიარაღებდა თბილისის მერიამ) მიატოვა და ბედის ანაბარა დატოვა.

ალექსანდრე ელისაშვილის ეს ნიგნი საყვარელი დრამატული ისტორიებით, რის გამოც შეუძლებელია მისი ნაკითხვა-დათვალიერება მორალური გულდამშვიდებით. წარსულის გამოცდილებ

ბა, რომლის მიხედვითაც თბილისის ქალაქგეგმარებაში ხან იდეოლოგია იჭრება, ხანაც ძალაუფლებასთან ნაჯვარი კაპიტალი, ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. აკი, ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგი, ლორენ ისილიც წერდა: „ყველა საზოგადოებას აქვს თავის თავსა და თავის ცხოვრების წესზე რაიმე წარმოდგენა. ამ წარმოდგენაში აისახება ხოლმე მილიონობით ადამიანის სწრაფვა და ოცნება. თუკი მასში მხოლოდ ანწყოს მოვლენებითა ახახული, თუკი დაკარგულია ტრადიციები, თუ წარსული დავეინყვება ეძლევა, მაშინ მივიღილი საზოგადოების მოზაიკა თანდათანობით დამახინჯდება".

სწორედ ამ უნიკალური მოზაიკის დამახინჯების შეჩერების მცდელობაა ნიგნი „როგორ შეიცვალა თბილისი“, რომლის ავტორი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითაც ცდილობს ქალაქის უნიკალური სივრცული სტრუქტურის გადარჩენასა და შენარჩუნებას. დანტერესებული მკითხველი სწორედ ამ ნიგნიდან მიიღებს ამომწურავ პასუხს კითხვაზე, თუ რისთვის იბრძვის ალექსანდრე ელისაშვილის მიერ დაფუძნებული თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქარი“, რომლის აქტივისტები საპროტესტო აქციებითა და საგანმანათლებლო საქმიანობით ცდილობენ თბილისელთა აყილიებასა და მათი დახმარებით თბილისის, როგორც საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქისა და თბილისის, როგორც უნიკალური საცხოვრებელი გარემოს დაცვას.


ცხადია, არ არსებობს ქალაქი მოქალაქეთა გარეშე, ისევე როგორც ნიგნი მკითხველის გარეშე. ალექსანდრე ელისაშვილის ამ ნიგნმა ერთიიც უნდა მიიზიდოს და მეორენიც. სამწუხარო და გულდასაწყვეტია ის, რომ მათ შორის ვერ იქნება ნიგნის იდეის ავტორი, პროფესორი ვახტანგ როდუნიანი - სამაგალითო მოქალაქე, მეცნიერი, პედაგოგი, ლიტერატორი, მრავალი ნიგნისა და სახელმძღვანელოს ავტორი, რომელმაც მთავრად ალექსანდრე ელისაშვილს ამ ნიგნზე მუშაობა და, რომლის ნათელ ხსოვნასაც ეძღვნება ეს მნიშვნელოვანი ნაშრომი. ამასთანავე, ავტორის დაპირებით, ამ ნიგნს გაგრძელება ექნება. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ შეიცვალა ორთაჭალა, ხარფუხი, რიყე, აბანოთუბანი, კალა, სოლოლაკი და მთაწმინდა, წინ კი, როგორც ალექსანდრე ელისაშვილი გვიპრდებოდა, ზემელის, ვერა-ვარდისუბნის, გმირთა მოედნის, ვაკის, ავლაბრის, ხოჯივანქის, ჩულურეთის, პლენარისა და სხვა ადგილთა სახეცვლილებების შიამაშეცდავი ტექსტური და ფოტომასალა გველის, რაც შეუძლებელია არ გვეაღივლებდეს. კვლავ ანთროპოლოგებს რომ დავესესხოთ, ადამიანის გარდა, ხომ არ არსებობს დედამიწაზე სხვა ცხოველი, რომელსაც წარსულის დამახსოვრება და მომავალზე ფიქრი შეუძლია.

გვახსოვდება თბილისის წარსული, ვიფიქროთ მის მომავალზე - გვეუბნება ალექსანდრე ელისაშვილი ნიგნით „როგორ შეიცვალა თბილისი“.



ლაშა მილორავა

# Lucrecia515, ანუ კითხვარი მოღალატე ქმრებისთვის



ლაშა ბულაძე, Lucrecia515 (რომანი),  
ბ. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014.

2014 წლის დასაწყისში „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ მკითხველს ლაშა ბულაძის ორი ახალი ნიჭი, რომანი „Lucrecia515“ და „როიად ქორწინი“ დადგმული პიესა - „პრეზიდენტი სტუმრად ოციდა“ წარუდგინა.

მოკლედ და პირდაპირ რომ ვთქვათ, ერთი „ქარი“ აღმოჩნდა, მეორე - „არც ისე“.

ახლა, სწორედ ამ „არც ისეს“ ვანეხილავთ.

„Lucrecia515“ ერთდროულად საპნის ოპერასაც გავს (შესაბამისად, მაროი ვარგას ლიოსას ნიჭებს) და ბეგბედერის რომანებსაც და თანამედროვე დონ ჟუანის ქაოტური ცხოვრების შესახებ მოგიხიბობს.

სანდრო პოლიგამიისკენ მიდრეკილი, ფრუსტრაციისგან გატანჯული საშუალო რგოლის წარმომადგენელია და „ბედნიერი სექსის“ მისაღებად (სიამბვილეში, ალბათ უფრო რუტინისგან გასაქცევად) ხშირად უწევს ტყუილების თქმა, ისტორიების ეთხზვა.

რომანში სამი ძირითადი პერსონაჟია: სანდრო, ეთი - სანდროს ცოლი და ანა - სანდროს საყვარელი. მათი ინდივიდუალური გზები ერთმანეთში იხ-

ლართება, იკვანძება და ბოლოს ერთი „ანტისასიყვარული სამკუთხედი“ იქმნება გატეხილი პაროლებით, გამჟღავნებული ლაღაბით, გამქრალი ფულით და შემოხეული ტანსაცმლით.

ავტორს, ალბათ, წერისას არც ჰქონია პრეტენზია რაიმე მაღალი ლირებულების ნაწარმოები შეექმნა, სამუდამოდ რომ დარჩება მკითხველთა გულეში (ნამდვილად სასწუხაროა, თუ ჰქონდა მსგავსი პრეტენზია). „Lucrecia515“ დინამიური, რამდენიმე საათში წასაკითხი ნიჭიანი და მხოლოდ და მხოლოდ დროის გაცვანის კარგ საშუალებას წარმოადგენს, რაც, დამეთანხმებით, პლუსადაც შეიძლება ჩაითვალოს.

რომანი ასევე ნამდვილი გზამკვლევაა მოღალატე ქმრებისთვის. თუ ცოლი მოგებნებთ, თავგადასავლებს ეძებთ, სწრაფწარმავალი ბედნიერების მისაღწევად დრო, ენერჯია და ფული არ გენანებთ, თავისუფლად შეგიძლიათ ლაშას ახალი ნიჭი წაკითხოთ და მისით იხელმძღვანელოთ. წარმატებული ლაღაბი გარანტირებულია (მანამდე მაინც, სანამ ნიჭი მეუღლეს ჩაუვარდება ხელში)!

შეიძლება ითქვას, „Lucrecia515“ სატირაა ოჯახურ ცხოვრებაზე, რითაც კიდევ უფრო მეტად ემსგავსება ზემოთ ნახსენები ფრანგი პროვოკატორის რომანებს. ბეგბედერის მსგავსად ბულაძეც ნაკლებად „მგრძობიარეა“, - რომანში ასახული „ეროტიკული“ სცენები თუ პასაჟები ოდნავადაც არ აღაგზნებს მკითხველს, პირიქით - ალბათ, ოდნავ აღიზიანებს კიდევ.

ხშირად გავგეცინებთ, ამის გარანტიას ნამდვილად გაძლევთ. 66-ე გვერდზე ნამოჭრილი პრეზერვატივის თან ქონა-არქონის საკითხმა, ალექს პოლდრიჯის რომანტიკული კომედია „In search of a midnight kiss“ გამახსენა, როცა უილსონის ჯიბეებში ნაპოვნი პრეზერვატივების გამო (ხაზი ქსიმევა მრავალთხელი რიცხვს) ვივიანი სერობულად ჭედავს, მოსალოდნელ სექსზე ყმანვილკაცის მიერ წინასწარ ფიქრი და შემზადება მასზე დამამცირებლად მოქმედებს.

რომანში ყველაზე მეტად 28-ე თავი მომეწონა, სადაც ვითომ სემინარზე ბათუმში წასული სანდრო სახლში ბრუნდება და „ოჯახის კაცად“ რე-ტრანსფორმირებული ცდილობს ბუნებრივად მოიქცეს, ცოლი კი ყველაფერს მშვენივრად ხედავს და აი, სწორედ აქ, ლაშას კარგად აქვს წარმოჩენილი დიალოგს შორის ქალის ფიქრები. გეცინება და გეცოდება.

„Lucrecia515“ თითქმის მთლიანად ტყუილებზე აგებული რომანია, რაც, ცოტა არ იყოს, დამღლელად მომეჩვენა. რაღაც პერიოდის შემდეგ ყელში ამოგდის ამდენი სიცრუე და, მიუხედავად იმისა,

რომ ხედვები, რომანში შექმნილი სიტუაცია მოითხოვს ამხელა ფარსს, მაინც უკმაყოფილო ხარ. თითქოს ავტორი განვალეს.

თავიდან მოგწონს, მერე - გბეზრდება, ბოლოს - იღვლები.

30-ე თავში გაიფიქრებს ერთი, რეალობიდან გამომდინარე, საკმაოდ სწორი, თუმცა დამამცირებელი შეკითხვა: „ჯამში, ცოლი რამდენი გიჯდება წლიურად?“, თითქოს „ცოლი“ ნაქირავები ბინა იყოს, ან ბანკში აღებული კრედიტით ნაყიდი მანქანა.

36-ე თავში კი ალბათ ნიგნის მთავარი სათქმელის გამომხატველი ფრაზა გვხვდება: „ცოლი ბოლოს და ბოლოს მარტო იმისთვის გჭირდება, რომ ტანსაცმელი დაგიკეცოს და ნასკები დაგილაგოს სიმეტრიულად, ჰოდა, ამას ყველა იზამს“.

თავში ერთი სიტყვა მიტრიალებს - „დაკომპლექსებული“, თითქოს ავტორი გარკვეული კომპლექსების მავთულხლართებშია აბურდული და პრომისკუიტეტს აქამდე „არ“ ან „ვერ“ თქმულის ვასაჯაროებით გაუარბის.

„Lucrecia15“ ამისმელებს მონოგამიასა და ოჯა-

ხურ ცხოვრებას და სიყვარულის „სიიაფზე“ და მის წარმავლობაზე, ჰედონიზმის, კონკრეტულად - სექსუალური ტრფობის წინა პლანზე წამოწევასა და რუტინაზე, ერთფეროვნებით გატანჯული ნორმალური ადამიანების „არაადამიანურ“ ქმედებებსა და ამ ქმედებების სავალალო შედეგებზე მოვითხრობს.

თუმცა, სამწუხაროდ (თუ საბედნიეროდ), ათასობით, ათი ათასობით წიგნი არსებობს იმავე თემატიკაზე და მოდი ვალიაროთ - ბევრი გაცილებით უკეთესი.

ახლაც იმავეს ვფიქრობ, რასაც წლების წინ, როცა ლამაზ ბულიძეს პირველად ვეცნობოდი - იგი არჩვეულებრივი დრამატურგია, თუმცა - სუსტად პროზაიკოსი.


და მიუხედავად საკმაოდ თავშესაქცევი, სახლისო სიუჟეტისა, „Lucrecia15“ მაინც არ არის ისეთი ნაწარმოები, სამი-ოთხი წლის შემდეგ რომ გახსენდება და ხელახლა ნაიკითხავ.

ცოლებო - უფრთხილდით ქმრებს!

ქმრებო - უფრთხილდით სოციალურ ქსელებს!

# მადლობა მხარდაჭერისთვის!

ჟურნალი „არჩილი“ მადლობას უხდის ყველა ერთგულ მკითხველს და მეგობარს, ვინც ჟურნალის მარტის ნომრის ბეჭდვის ხარჯების შეგროვებაში მიიღო მონაწილეობა და ვინც გადმორიცხული შემოწირულობებით შესაძლებელი გახდა ჩვენი ჟურნალის წინა ნომრის გამოშვება.



მადლობა ანა ჯაფარიძეს, მანანა გეგშიძეს, ნანა ნიბლაძეს და მწერალთა სახლს, ნანა აკობიძეს, აკაკი ავალიშვილს და მაიკო მორგოშას, ქეთევან დედარიანს, ხათუნა ცხადაძეს, დიანა ანფიმიადის, თამარ ნაფეცვარიძეს, დაჩი გრძელიშვილს და ირმა იანტბელიძეს, მარიამ კოჭლავაშვილს, თამარ ჯაფარიძეს, ქეთი ქარჩავას, ივანე იმნაძეს, ნინო კიკნაველიძეს, ახალგაზრდა იურისტს, ნინო რობაქიძეს, ალექსანდრე ასათიანს, ნოდარ აფხაძეს, ნათია ჯაფარიძეს, მალხაზ ჯაყელს, ნანა ზაზანაშვილს, ია ნათაძეს, დალია გოგიას, მგადა მჭედელიძეს, თამარ ხოსრუაშვილს, ნინო ბალავაძეს, ქეთი ალხაზიშვილს, ვიაროინიშვილს, ნონა ქურდოვანიძეს, ნათია გაბიტაშვილს, მარიამ ქორჩილაძეს, მარიამ გუჯეჯიანს, გურამ ჯახუტაშვილს, მაკო ჯანჯიბუხაშვილს, კოკა ბრეგაძეს, ლია ჯამბურიას, დავით კანდელაკს, თამარ ყუბანეიშვილს, დიანა მიქაძეს, მერაბ ფიფიას, ირინე ჭოლოშვილს, მაკა თარაშვილს, ნათია ხიდაშელს, ზურაბ კინმარიშვილს.

ასევე დიდი მადლობა ყველას, ვინც გვამხნელებდა და ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ადამიანის ყურამდე მისულიყო ჩვენი პრობლემა.

ჟურნალი „არჩილი“ კვლავ ეძებს სპონსორს, ვინც თავის თავზე აიღებს ბეჭდვის ხარჯებს, თვეში 2000 ლარის ოდენობით.

# არჩილის აპრილის რჩეულები



ლელა სამნიაშვილი, ლოცვა  
აბსტრაქციად (ლექსები),  
თბ. "ინტელექტი", 2014.




ზურმუხტი (რომანი), თბ. "ბაკურ  
სულაკაურის გამომცემლობა", 2013.




ქართული კულტურა (ერებული), ვახტანგ  
როდონიას სივნიხადმი მიძღვნილი  
კრებული, თბ. "ლოგოსი", 2013.




პლატონი, დიალოგები, ძველი ბერძნულიდან  
თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, I-III ტომები,  
ბიბლიოთეკა, თბ. "ბაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა", 2013.



გადმოაქვს გურამ გოგიავიძე, ქართულად  
"პალიტრა L", 2013.



ფრანც კაფკა, რჩეული  
მოთხრობები, სხვადასხვა  
მთარგმნელი, თბ. "კეცასი", 2013.



ტომას სტერნ ელიოტი, უნაკლოდ  
მიწა, ინგლისურიდან თარგმნა ზვიად  
რაჭიანი, თბ. "ინტელექტი", 2013.



ს. დილანი, ქრონიკები,  
ინგლისურიდან თარგმნა, თაკო  
ჭილაძემ, თბ. "არტანუჯი", 2013.



ორპან ფაბუკი, გულბერცილი და  
სენტიმენტალური რომანისტი,  
თურქულიდან თარგმნა ია ბერსენაძემ,  
თბ. "დიოგენე", 2013.



ჩარლზ ოსბორნი, ვაგნერის საოპერო  
შემოქმედება, ინგლისურიდან თარგმნა  
ნიკა სამუშაძემ, თბ. "საქართველოს  
რიპარდ ვაგნერის საზოგადოება", 2014.



ი 90/20



# მოსუბიას წიგნები

გაუშვი საყვარელი წიგნი სახეტილოდ!

წააწრე წიგნს და დადე ნებისმიერ დროსა  
და ნებისმიერ ადგილას.

რატომ? იმიტომ, რომ თამაშიც, გაცემაც,  
პოვნაცა და კითხვაც სასიამოვნო პროცესია.

დეტალებისთვის შემოგვიერთდი ფეისბუქის  
გვერდზე „მოსუბიას წიგნები“.